საზღვარგარეთული აზიის ქვეყნები

ფეოგრაფიული და პოლიტიკური ცნობარი

გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო"
თ ბ ი ლ ი ს ი 1978

91(5)
91(5)(08)
ს 177

1971 წელს გამოვიდა გეოგრაფიული და პოლიტიკურ-ეკონომიური ცნობარი „საზღვარგარეთული ევროპის ქვეყნები“, 1973 წელს ცნობარი — „ამერიკის ქვეყნები“, 1976 წელს კი ცნობარი — „ავსტრალია და ოკეანეთი“. წინამდებარე ცნობარი აღნიშნული სერიის გაგრძელებაა. იგი მკითხველს მოკლედ გააცნობს საზღვარგარეთულ აზიაში მდებარე სახელმწიფოებისა და სამფლობელოების ბუნებრივ პირობებსა და სიმდიდრეებს, მეურნეობას, კულტურასა და განათლებას, სახელმწიფო წყობილებასა და პოლიტიკურ პარტიებს.

შემდგენლები:

გრ. ზარდალიშვილი, ვლ. კაკაბაძე

20904—005
ზ ——————— 353—78
М 601 (08)—78

© გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, თბილისი, 1978

ავღანეთი

ავღანეთის რესპუბლიკა მდებარეობს შუა აღმოსავლეთში, აზიის მატერიკის ცენტრალურ ნაწილში, ხმელთაშუა და კასპიის ზღვებიდან ინდოეთისაკენ მიმავალ ძველ სავაჭრო გზებზე. აღმოსავლეთითა და სამხრეთით ესაზღვრება პაკისტანი, დასავლეთით— ირანი, ჩრდილოეთით 2350 კმ-ზე — საბჭოთა კავშირი. ამას გარდა, მცირე მონაკვეთზე საზღვარი აქვს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკასთან. ავღანეთს თავისი დახშული მდებარეობის გამო ზღვაზე უშუალო გასასვლელი არა აქვს. სახმელეთო საზღვრების სიგრძეა 4710 კილომეტრი, ფართობი — 655 ათასი კვ. კმ, მოსახლეობა — 18,7 მლნ კაცი 1974).* მათ შორის 3,0 მლნ მოხეტიალე ცხოვრებას ეწევა. უმეტესობას შეადგენენ ავღანები ანუ პუშტუ (55%), არიან ტაჯიკები, უზბეკები, თურქმენები. ქალაქად მოსახლეობის მხოლოდ 1/6 ცხოვრობს. დედაქალაქია ქაბული (0,6 მლნ მცხოვრებით, მდებარეობს 1800 მ სიმაღლეზე მდ. ქაბულის პირას, იგი ავღანეთის დედაქალაქია 1919 წლიდან). მნიშვნელოვანი ქალაქებია აგრეთვე გერატი, მაზარი-შერიფი, ყანდაარი. ადმინისტრაციულად იყოფა 28 პროვინცია-ვილაიეთად, ოფიციალური ენა — პუშტუ და დარი (სპარსული ენის ავღანური დიალექტი), გაბატონებული რელიგია — მუსლიმანური (უპირატესად ჰანიფის მიმართულებისა, სუნი, ნაწილობრივ შიი), ეროვნული დღესასწაული — დამოუკიდებლობის გამოცხადების დღე — 27 მაისი (1919), რესპუბლიკის დღე — 17 ივლისი (1973).

ისტორია. თავისი გეოგრაფიული მდებარეობით ავღანეთი მუდამ იყო ერთგვარი „დერეფანი", რომლითაც დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ მოდიოდნენ დამპყრობლები დაწყებული ალექსანდ-

* ძირითადი ცნობები აღებულია დიდი საბჭოთა ენციკლოპედიის 1976 წ.-ის „წელიწდეული"-დან.

რე მაკედონელით და დამთავრებული სპარსელებით. ავღანეთი, როგორც სახელმწიფო, XVIII საუკუნეში შეიქმნა, მაგრამ მისი ტერიტორია ჯერ კიდევ XIX საუკუნის დამდეგს გადაიქცა ინგლისსა და რუსეთს შორის ბრძოლის ასპარეზად. მალე ინგლისელებმა ავღანეთის ტერიტორია ბუფერულ სახელმწიფოდ გადააქციეს და ინდოეთის საწინააღმდეგოდ გამოიყენეს დასავლეთიდან. რუსეთის საბჭოთა რესპუბლიკამ 1921 წლის ივნისში პირველმა ცნო ავღანეთის დამოუკიდებლობა. 1973 წლის ივლისში ავღანეთში მოხდა სამხედრო გადატრიალება, მეფის რეჟიმი დამხობილ იქნა და ავღანეთი რესპუბლიკად გამოცხადდა.

ბუნებრივი პირობები. ავღანეთი ტიპური მთიანი ქვეყანაა, მაგრამ დიდ მთიან სისტემებთან ერთად ვაკე-დაბლობები და უდაბნოებიც საკმაოდაა გავრცელებული. მისმა მდებარეობამ და რელიეფის თავისებურებებმა განაპირობეს ძირითადად ქვეყნის ბუნებრივი პირობები და კლიმატი. ავღანეთის ფართობის 4/5-ზე მეტი მთებსა და ზეგნებს უკავია, დანარჩენი — ვაკე-დაბლობებს, სადაც სჭარბობს უდაბნოები. ავღანეთისა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის საზღვარი იწყება მსოფლიოში ერთ-ერთი უმაღლესი მთიანი სისტემით — ჰინდუკუშით. იგი მოემართება აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ 1200 კმ მანძილზე და თითქმის შუაზე კვეთს ავღანეთს. ამასთან ჰინდუკუში ავღანეთს ქედის ყველაზე მაღალსა და ძნელადსავალ ნაწილისაგან — ქაშმირისა და პაკისტანისაგან გამოყოფს. აქ არის უმაღლესი მწვერვალი ნუშაუ (7500 მ), მხოლოდ აღმოსავლეთ ფერდობებზე გადის საცალფეხო ბილიკები, რომლებიც სავსებით მიუვალია. ჰინდუკუშზე მთავარი გადასასვლელებია: ბაროგელი (3800 მ, აერთებს პამირს ქაშმირთან), დორა (4500 მ, გადადის პაკისტანში), ჰავაკი (3500 მ), ჩიბარი (2700 მ); სამხრეთ-აღმოსავლეთით არის მეორე მძლავრი მთათა სისტემა სულეიმანის მთების სახელწოდებით, რომელიც ავღანეთს გამოყოფს პაკისტანისაგან. მის სამხრეთ-დასავლეთით კი — კვეტა-პიშის მთიანეთი (საშუალო სიმაღლე 2000 მ), რომელზედაც გადადის პაკისტანის ქალაქ ყარაჩისაკენ მიმავალი საავტომობილო გზა. მთები მეტად ციცაბო და სუსტად დასახლებულია. აქ სათავეს იღებს მდინარე ინდოსი. მთავარი გადასასვლელებია: გუმალი, ტოჩი და კურამი. აქვეა ცნობილი ჰაიბერის გადასასვლელი (4500 მ), რომლითაც საავტომობილო გზა მიდის ქაბულიდან ფენგავარსა და შუა აზიაში. გზა გადის უამრავ გვირაბებში. ჰინდუკუშისა და სულეიმანის ქედებს შორის მდება-

რეობს ღაზნი-ყანდაარის ზეგანი (საშუალო სიმაღლე 4200 მ), რომელიც დასავლეთით დაშთ-ი-მარგოსა და რეგისტანის უდაბნოებამდე აღწევს. წყლის უქონლობის გამო უდაბნოთა ტერიტორია თითქმის დაუსახლებელია. ყველაზე მეტად დასახლებულია ქაბულისპირა ველი და ჰინდუკუშის ჩრდილო მთიანეთი. ავღანეთის ტერიტორია სხვადასხვაგვარი კლიმატით ხასიათდება. ზღვებიდან დაშორებისა და რთული რელიეფის გამო სჭარბობს კონტინენტური კლიმატი, წლიურ და დღეღამურ ტემპერატურათა ძლიერი რყევის გამო ძალზე დიდია განსხვავება ბუნებრივ პირობებს შორის. ინდოეთის ოკეანიდან მონაბერ მუსონურ ნოტიო ქარებს სამხრეთ კალთებზე უფრო მეტი ტენი მოაქვთ, ვიდრე ჩრდილოეთ კალთებზე. ნალექების წლიური რაოდენობა მერყეობს 40-60 მმ-დან უდაბნოში, 500-800 მმ-მდე ქაბულ-ჯელალაბადის რაიონში. ჩრდილო ვაკე-დაბლობებზე იანვრის საშუალო ტემპერატურა 0° აღემატება, ქაბულში — 10°-მდე ადის. ყველაზე ცხელი თვის (ივნისის) საშუალო ტემპერატურა 30°, ხოლო მაქსიმუმი უდაბნოში ჩრდილში 28° აღწევს სამხრეთ-დასავლეთიდან იცის ძლიერი ქარი, რომელსაც საბჭოთა კავშირში „ავღანელს“ („ავღანეცს“) უწოდებენ, ასევე დამახასიათებელია ჩრდილო-დასავლეთური ცხელი ქარი „გარმსილი“, რომელიც 3-4 დღის განმავლობაში განუწყვეტლივ ქრის.

მდინარეთა ქსელი ხშირია, მდინარეები — უხვწყლიანი, ისინი მიეკუთვნებიან ინდოეთის ოკეანის (ქაბული), არალის ზღვისა (ამუდარია, მურღაბი) და დახშულ აუზებს. გაზაფხულობითა და ზაფხულობით იცის ძლიერი წყალდიდობა. მთავარი მდინარეა ამუდარია, რომელიც ზემო წელში ფიანჯის სახელწოდებითაა ცნობილი და 1250 კმ-ზე მიედინება საბჭოთა კავშირისა და ავღანეთის საზღვარზე, ამასთან ავღანეთის ტერიტორიაზე სავსებით გამოუყენებელია. მისი მთავარი შენაკადებია: მურღაბი, გერირუდი (ეს უკანასკნელი საბჭოთა კავშირში ცნობილია თეჯენის სახელწოდებით), ქაბული (რომელიც თავისი სამეურნეო მნიშვნელობით მეორე მდინარეა). მდინარეებს იყენებენ ხე-ტყის დასაცურებლად, ხმარობენ სასმელად და მოსარწყავად. მცენარეთა საფარი უმეტესად წარმოდგენილია უდაბნოსა და ნახევრად უდაბნოს ტიპის მცენარეულობით, ტყეები მხოლოდ მთის ზონაშია, ტყის ზონის ზევით საუკეთესო სუბალპური და ალპური საძოვრებია. ცხოველთა სამყაროსათვის დამახასიათებელია გარეული ღორი, გარეული სახედარი, განსაკუთრებით ბევრია ჯეირანი. ავღანეთი, საუდის არაბეთის მსგავსად, გა-

მოირჩევა კალიის სიმრავლით, ამიტომ საბჭოთა კავშირი დიდ დახმარებას უწევს მას კალიის გამრავლების კერების მოსპობაში.

მეურნეობა. ავღანეთი ტიპური ჩამორჩენილი აგრარული ქვეყანაა ძლიერი ფეოდალური გადმონაშთებით, დიდია უცხოეთის კაპიტალის გავლენა, სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა პრიმიტიულია, აგროტექნიკა — დაბალი, დამახასიათებელია მიწათმოქმედების შერწყმა მომთაბარე და ნახევრადმომთაბარე მეცხოველეობასთან. დამუშავებული ფართობი არ აღემატება მთელი ფართობის 5-6%, სოფლის მეურნეობაში ჩაბმულია მთელი მოსახლეობის 3/4-ზე მეტი. მიწათმოქმედებაში სჭარბობს მარცვლეული კულტურები (ნათესი ფართობის 70%), მოჰყავთ ხორბალი, ქერი და ბრინჯი, მთიან რაიონებში — ჭვავი და ქერი. მიუხედავად ამისა, საკუთარი მარცვლეული არ ყოფნის და შეაქვს. მასიურად ითესება ლობიო და მუხუდო (3100 მეტრ სიმაღლეზე). ზეთოვანი კულტურებიდან უმეტესად გავრცელებულია ქუნჯუთი და სელი, ნაწილობრივ ბამბა. მოსახლეობის კვების რაციონში მთავარი კომპონენტია მცენარეული ზეთი, მთებში ითესება კარტოფილი, რომელიც ავღანეთში შეტანილ იქნა საბჭოთა კავშირიდან მიმდინარე საუკუნის 30-იან წლებში.

ტექნიკურმა კულტურებმა ჯერ კიდევ ვერ მოიკიდეს ფეხი, რადგან სარწყავი მიწები ცოტაა და შიდა მოთხოვნილებაც არ არის. ტექნიკური კულტურებიდან ყველაზე მეტი გამოყენება აქვს ბამბას. საბჭოთა კავშირმა მეგობრული დახმარება გაუწია ავღანეთს, გაუგზავნა მაღალხარისხოვანი ბამბის თესლი და ბამბის საწმენდი მრეწველობისათვის საჭირო მთელი რიგი მოწყობილობანი. ორი ათეული წელია, რაც შაქრის ჭარხლის თესვა წარმოებს. წამყვანი დარგებია აგრეთვე მეხილეობა (მათ შორის სუბტროპიკული) და მევენახეობა. ავღანეთი მაღალხარისხოვანი ქიშმიშის ერთ-ერთი ექსპორტიორია, გამოირჩევა აგრეთვე უმაღლესი ხარისხის ატამი და გარგარი. ქვეყნის ეკონომიკაში დიდ როლს ასრულებს მეცხოველეობა. ზოგიერთ პროვინციაში. იგი წამყვანი და ხშირად ერთადერთი დარგია. ავღანეთის მთელი ექსპორტის 4/5-ზე მეტს მეცხოველეობის პროდუქცია შეადგენს. მეცხოველეობის განვითარების დონე დაბალია, უმეტესად აშენებენ თხას, ყარაყულის ცხვარს (ქურქი ექსპორტის 50% შეადგენს) მსხვილფეხა პირუტყვსა და ნაწილობრივ აქლემს. სოფლის მეურნეობის ერთ-ერთი წამყვანი დარგია მეაბრეშუმეობა.

მრეწველობა ჯერ კიდევ განვითარების დაბალ დონეზეა. კვლავ დიდი მნიშვნელობა აქვს შინახელოსნობას. ქვეყნის ბუნებრივი სიმდიდრეები სუსტად არის შესწავლილი. დღემდე მიკვლეულია 300-მდე სხვადასხვა წიაღისეული საბადო, მაგრამ რაც მიკვლეულია, მათი დამუშავებაც არ ხდება და, თუ ხდება, ისიც პრიმიტიული წესით. წიაღისეული საბადოებიდან აღსანიშნავია ქვანახშირის მოპოვება მაზარი-შერიფისა და ქაბულის მიდამოებში (120 ათასი ტ), ნავთობისა — გერატთან, ბუნებრივი გაზის (2,7 მლრდ $м^3$), მარილის, რკინის მადნის, გვარჯილის, ლაჟვარდის, გოგირდისა და სხვ. თითქმის გამოუყენებელია დიდძალი „თეთრი ნახშირის“ მარაგი. სჭარბობს თბოელექტროსადგურები. ელექტროენერგიის გამომუშავება შეადგენს 430 მლნ კვტს. მრეწველობის დარგებიდან უფრო მეტად განვითარებულია კვებისა (ხილკონსერვების, შაქრის) და საფეიქრო მრეწველობა, რომელიც მუშაობს ადგილობრივი ბამბისა და მატყლის ხარჯზე. 1973 წელს დამზადებულ იქნა 76 მლნ მ ბამბისა და 13 მლნ მ შალის ქსოვილი. მსხვილი საფეიქრო კომბინატებია: პული-ჰუმრიში, ქაბულში, ყანდაარსა და ჯებელ-სერაჯში. დიდი რაოდენობით ქსოვენ ნოხებს, რომელიც მთლიანად უცხოეთში გააქვთ. მრეწველობის სხვა დარგებიდან აღსანიშნავია ტყავფეხსაცმლის, ცემენტის, ქიმიური (მაზარი-შერიფში), ბამბის, ზეთსახდელი (გერატსა და ქაბულში), ავტოსარემონტო ქარხანა (ჯანგალაკში), სახლმშენებლობის კომბინატი. სულ უფრო ვითარდება უცხოური ტურიზმი.

ტრანსპორტი და საგარეო კავშირურთიერთობანი. ავღანეთში არის ერთადერთი რკინიგზა (სიგრძე 7 კმ), რომელიც აშენდა საბჭოთა კავშირის დახმარებით კუშკადან ტორაგუნდაიმდე. ავტოგზების სიგრძე 8 ათასი კმ-ია. სსრ კავშირის დახმარებით აშენდა ავტომაგისტრალი კუშკა-ყანდაარი და გზატკეცილი ჰინდუკუშის ქედზე. გაზსადენების სიგრძე 180 კმ უდრის. დიდი მნიშვნელობა აქვს საჰაპანო ტრანსპორტს. ქაბულში არის საერთაშორისო მნიშვნელობის აეროპორტი, ავღანეთს გააქვს: ყარაყულის ქურქი (წლიურად 2,5-3,0 მლნ ცალი), მატყლი, ბამბა, ნოხები, ქსოვილები, ციტრუსები, ზეთისხილი, ხილკონსერვები, ბუნებრივი გაზი (საბჭოთა კავშირში); შეაქვს: მანქანა-მოწყობილობანი, ნავთობპროდუქტები, სურსათი. ვაჭრობაში მთავარი პარტნიორები არიან: საბჭოთა კავშირი (ექსპორტის და იმპორტის დაახლოებით 1/3), ინდოეთი, ამერიკის შეერთებული შტატები, გერმანიის ფედერაციული რეს-

პუბლიკა, იაპონია, ინგლისი, ჩეხოსლოვაკია. ფულის ერთეულია ავღანი.

განათლება. ჯერ კიდევ დიდია წერა-კითხვის უცოდინართა რიცხვი. XX საუკუნის დამდეგამდე სწავლა-განათლების საქმე მთლიანად მოლების ხელში იყო (მექთები, მედრესი). 1903 წელს ქაბულში გაიხსნა პირველი სახელმწიფო საერთო-საგანმანათლებლო სასწავლებელი (ლიცეი-ჰაბიბია), 1919 წელს სკოლა გამოეყო მეჩეთს და სწრაფი ტემპით დაიწყო სკოლების მშენებლობა. ავღანეთში არის 800 დაწყებითი, სასოფლო და 600 საქალაქო სკოლა, 45 ვაჟთა და 10 ქალთა საშუალო სკოლა, 16 ვაჟთა და 15 ქალთა ლიცეუმი. სწავლება უფასოა და მიმდინარეობს პუშტუს' ან ფარსის ენაზე. ამას გარდა, არის სამხედრო სწავლებლო და სასულიერო სასწავლებლები. 1946 წელს ქაბულსა და ჯელალაბადში გაიხსნა უნივერსიტეტები (მედიცინის, იურიდიული, ფილოლოგიური, ქიმიური და ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტებით). სსრ კავშირის დახმარებით აშენდა პოლიტექნიკური ინსტიტუტი. ავღანეთს აქვს მეცნიერებათა აკადემია, ეროვნული ისტორიული მუზეუმი ქაბულში. 1974-75 წლებში გაიხსნა 350 კურსი წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციისათვის. გამოდის 12 ყოველდღიური და კვირეული გაზეთი, აქვს საკუთარი საინფორმაციო სააგენტო, რადიომაუწყებლობა და ტელევიზია.

სახელმწიფო წყობილება. 1973 წლის ივლისამდე ავღანეთი კონსტიტუციური მონარქია იყო. უმაღლესი ხელმძღვანელი ორგანოა რესპუბლიკის ცენტრალური კომიტეტი, მისი თავმჯდომარე ერთდროულად ითვლება პრემიერ-მინისტრად, თავდაცვისა და საგარეო საქმეთა მინისტრად.

პოლიტიკური პარტიები. ლეგალური პოლიტიკური პარტიები და პროფკავშირები ავღანეთში არ არის. მონარქიის გაუქმების შემდეგ გარკვეული პირობები შეიქმნა პოლიტიკური პარტიების შესაქმნელად. არალეგალურად მოქმედებენ: სახალხო-დემოკრატიული პარტია (1965), აგრეთვე დაჯგუფებანი: „პროგრესული დემოკრატები“ (გამოხატავს მსხვილ ფეოდალთა და მრეწველთა ინტერესებს) და მემარცხენე ექსტრიმისტული (მაოისტთა მიმართულებისა) „მუდმივი ალი“. რესპუბლიკის სხვადასხვა პოლიტიკური ძალები შემოკრებილნი არიან გაზეთ „ვიჰდატის“ („ერთიანობა“) გარშემო. გაზეთისა და მისი აქტივის მიზანია ავღანეთში შეიქმნას „კლასობრივი ჰარმონიის“ საზოგადოება, ხელი შეუწყოს ორმხრივი ეკონომიკის (სახელმწიფო

და კერძო სექტორების) განვითარებასა და ეროვნული წარმოების ყოველმხრივ წინსვლას. მეორე მნიშვნელოვანი გაზეთია „აფგან მილიათი" („ავღანთა ერი"). რომელიც აგრეთვე 1966 წლიდან გამოდის და საესებით ემხრობა გაზეთ „ვიჰდატის" პოლიტიკურ კურსს.

აომინი (მაკაო)

ტერიტორია აომინი (1959 წლამდე მაკაო) მდებარეობს აზიაში, სამხრეთ ჩინეთის ზღვის სანაპიროზე, მდ. სიძიანის შესართავთან. მოიცავს აომინის ნახევარკუნძულსა და ჰანძიდაოსა და ძიუაოს კუნძულებს. ხშირად მას უწოდებენ მაგეს ან მაგანს, საიდანაც წარმოდგა ძველი სახელწოდება მაკაო. სამფლობელოს ტერიტორია 16 კვ. კმ-ია, მოსახლეობა არაოფიციალური მონაცემებით — 0,3 მლნ კაცი (1974). მოსახლეობის ძირითად მასას ჩინელები შეადგენენ, არიან პორტუგალიელები და ევროპის სხვა ქვეყნის წარმომადგენლებიც (დაახლოებით 8 ათასი კაცი). ადმინისტრაციული ცენტრია აომინი (170 ათასი მცხოვრებით), ადმინისტრაციულად იყოფა ორ ოკრუგად, ოფიციალური ენა — პორტუგალიური.

მაკაო პორტუგალიის კოლონიაა 1557 წლიდან, როდესაც პორტუგალიელებმა აღნიშნული ტერიტორია იჯარით აიღეს ჩინელებისგან. 1848 წელს პორტუგალიამ უარი თქვა იჯარის გადახდაზე და ჩინეთის მთავრობისაგან ამ ტერიტორიის „მუდმივი მართვის" უფლებას მიაღწია. 1951 წლიდან აომინს აქვს „ზღვის გადაღმა პროვინციის" სტატუსი. კოლონიას მართავს პორტუგალიის მთავრობის მიერ დანიშნული გუბერნატორი, ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოა საკანონმდებლო საბჭო (11 წევრი). პორტუგალიის პარლამენტში აომინი წარმოდგენილია ერთი დეპუტატით. ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა არ ცნობს აომინის კოლონიურ სტატუსს და იგი თავის საკუთარ ტერიტორიად მიაჩნია.

აომინი მნიშვნელოვანი სავაჭრო ნავსადგური და მსოფლიო მნიშვნელობის საფინანსო ცენტრია. მისი საშუალებით ხდება სატრანზიტო ვაჭრობა ჩინეთის სამხრეთ პროვინციასა და სიანგანთან (ჰონგკონგი). ქალაქში განსაკუთრებით განვითარებულია ოქროთი და ნარკოტიკებით ვაჭრობა. ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა აომინიდან იჯარის სახით ყოველწლიურად დაახლოებით 50 მლნ აომინის

დოლარს იღებს. მოსახლეობის მთავარი საქმიანობაა მეთევზეობა და თევზსაკონსერვო მრეწველობა. სამუშაო ძალა აომინში ერთ-ერთი ყველაზე იაფია მთელს აზიაში. ყოველგვარი გაფიცვები კანონით აკრძალულია, არის კვების, საფეიქრო და კუსტარული ბევრი წვრილი საწარმო. აომინი საკმაო შემოსავალს ღებულობს უცხოური ტურიზმიდან და კაზინოებიდან, ღამის კლუბებიდან. ოპიუმის საწევი სპეციალური დარბაზებიდან. აომინი მთელს აზიაშია ცნობილი თავისი მრავალრიცხოვანი და საუკეთესო ეკლესიებით. დიდი მნიშვნელობა აქვს უცხოურ ტურიზმს, ტურისტები აქედან მიდიან იაპონიაში.

აომინიდან ძირითადად გააქვთ: საფეიქრო ნაწარმი, დენთი, ფეიერვერკებისათვის, ასანთი, ქაფური, ჩინური ფაიფური; ჩინეთიდან შეაქვს: ტყვია, ბეკონი, ბრინჯი, ბოსტნეული, სასმელი წყალი. იმპორტი ორჯერ სჭარბობს ექსპორტს. დეფიციტს აწონასწორებს შეხოსავალი უცხოური ტურიზმიდან, ძაღლების მარულიდან. ვაჭრობაში მთავარი პარტნიორები არიან: სიანგანი, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა, ამერიკის შეერთებული შტატები, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა. ფულის ერთეულია პატაკა (აომინის დოლარი).

აომინში გამოდის ერთი ყოველდღიური და ერთი კვირეული გაზეთი, აგრეთვე მთავრობის ოფიციალური ბიულეტენი, არის. რადიომაუწყებლობა. 1974 წელს პორტუგალიაში კაეტანის რეჟიმის დამხობის შემდეგ აომინში შეიქმნა პოლიტიკური პარტია მ ა კ ა ო ს დ ე მ ო კ რ ა ტ ი უ ლ ი ც ე ნ ტ რ ი. უნდა აღინიშნოს, რომ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა ფორმალურად არ ცნობს მაკაოს ტერიტორიის არსებობას.

არაბთა გაერთიანებული ემირატები

არაბთა გაერთიანებული ემირატები (აგე) წარმოადგენს შვიდი არაბული სამთავროს კავშირს. მდებარეობს არაბეთის ნახევარკუნძულის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში, სპარსეთისა და ომანის უბეების სანაპიროზე. ფართობია 83.600 კვ. კმ (თუმცა **მისი საზღვრები** დღემდე ზუსტად არ არის დადგენილი). მოსახლეობა — 240 ათასი კაცი (1975). ძირითად მასას შეადგენენ არაბები (80%), არიან ირანელები, ბელუჯები, ინდოელები, მცირე რაოდე-

ნობით ევროპელები. დედაქალაქია აბუ-დაბი (60 ათასი მცხოვრებით). მსხვილი ქალაქია აგრეთვე დიბაი (90 ათასი მცხოვრებით). ადმინისტრაციულად იყოფა შვიდ ემირატად, რომელთაც ავტონომიური უფლებები აქვთ. ოფიციალური ენა — არაბული, გაბატონებული რელიგია — მუსლიმანური (სუნი, ნაწილობრივ შიი), ეროვნული დღესასწაული — დამოუკიდებლობის გამოცხადების დღე-- 2 დეკემბერი (1971).

ისტორია. ემირატების ტერიტორია ინგლისელებმა ხელთ იგდეს XIX საუკუნის დამდეგს, როდესაც იგი „მეკობრეთა სანაპიროს" სახელწოდებით იყო ცნობილი. ეროვნულ-განმათავისუფლებელი ნოძრაობის შედეგად 1968 წელს ინგლისელებმა თავისი ჯარი გაიყვანეს, ხოლო 1971 წელს შვიდი სამთავრო-ემირატი გაერთიანდა ერთ არაბულ სახელმწიფოდ. არაბთა გაერთიანებული ემირატები არის არაბული ქვეყნების ლიგისა და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრი, მან სსრ კავშირთან დიპლომატიური ურთიერთობა დაამყარა 1971 წლის 23 დეკემბერს.

ბუნებრივი პირობები. გაერთიანებული ემირატების ტერიტორიის რელიეფი ძირითადად დიბლობია, მხოლოდ რას-ალ-ჯებელის ნახევარკუნძულზე არის საშუალო სიმაღლის მთები. ტერიტორია მთლიანად ნახევრად უდაბნოსა და უდაბნოს უკავია, ამიტომ მცენარეულ საფარსა და წყალს ძირითადად მოკლებულია (გარდა ოაზისებისა).

მეურნეობა. გაერთიანებული ემირატები მეურნეობის თვალსაზრისით მეტად ჩამორჩენილია, ძლიერია ფეოდალური გადმონაშთები, სანაპიროზე მცხოვრებნი უპირატესად მეთევზეობასა და მარგალიტის ჭერას მისდევენ. ოაზისებში განვითარებულია სარწყავი მიწათმოქმედება, შიდა რაიონებში — მომთაბარე მესაქონლეობა. დიდი რაოდენობით აშენებენ აქლემს, საკუთარი სურსათი არ ყოფნის და შეაქვს ირანიდან და ინდოეთიდან.

გაერთიანებული ემირატების ეროვნული შემოსავლის მთავარი წყაროა ნავთობი, რომლის მარაგს 3 მლრდ ტონას ვარაუდობენ. ნავთობის წლიური მოპოვება 75-80 მლნ ტ შეადგენს, ამასთან, ნავთობმოპოვება მთლიანად უცხო კაპიტალის ხელშია. შემოსავლის მნიშვნელოვანი წყაროა აგრეთვე სასოფლო-სამეურნეო კულტურების, განსაკუთრებით ფინიკიური პალმის ნაყოფისა და ციტრუსოვანთა წარმოება, საფოსტო მარკების გამოშვება, რომლებიც დიდი მოწონებით სარგებლობს მსოფლიოს ფილატელისტთა შორის. არის

მცირე გემთსაშენი ვერფები დიბაიში. მრეწველობა წარმოდგენილია კუსტარული საწარმოებით, კერძოდ, ხალიჩების საქსოვით და ოქროსა და ვერცხლის სამკაულის დამამზადებელით. აშენდა ახალი ნავთობგადასამუშავებელი ქარხანა დიბაიში. მცირე რაოდენობით ხდება სპილენძის, ტყვიისა და მარილის მოპოვება.

ტრანსპორტის მთავარი სახეობა იყო საჭაპანო საშუალება. რკინიგზა არ არის. ავტოგზების სიგრძე 500 კმ-ია, არის საერთაშორისო აეროპორტი აბუ-დაბსა, დიბაისა და შარჯაში. ნავთობის გატანა ძირითადად ხდება საზღვაო ფლოტით. მთავარი ნავსადგურებია: დიბაი, ფუჯეირა, უმ-ელ-კაივაინი და რას-ელ-ჰაიმა. გაერთიანებული ემირატებიდან გააქვთ ნავთობი, შეაქვთ ფართო მოხმარების საგნები. ვაჭრობაში მთავარი პარტნიორები არიან: ინგლისი, ამერიკის შეერთებული შტატები, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა, იაპონია. ფულის ერთეულია გაერთიანებული ემირატების დირჰემი, მიმოქცევაშია აგრეთვე ამერიკული დოლარი და ინგლისური სტერლინგი.

განათლება. ემირატში ძალზე მაღალია წერა-კითხვის უცოდინართა რიცხვი. სულ ითვლება 50-მდე დაწყებითი და არასრული საშუალო სკოლა, 4 საშუალო სკოლა, აგრეთვე კოლეჯი, სავაჭრო, პროფტექნიკური და სასოფლო-სამეურნეო სასწავლებლები, კუვეიტის დახმარებით შენდება ახალი სკოლები. გამოდის ერთი ყოველდღიური გაზეთი და ერთი ჟურნალი. აქვს საკუთარი რადიომაუწყებლობა.

სახელმწიფო წყობილება. არაბთა გაერთიანებულ ემირატში შვიდი სამთავროა გაერთიანებული. ესენია: დიბაი, შარჯა, ფუჯეირა, აჯმანი, აბუ-დაბი, უმ-ელ-კაივაინი, რას-ელ-ჰაიმი. ამას გარდა, ინგლისის ყოფილი პროტექტორატის ხელშეკრულებით შესულია ომანის ტერიტორია. 1972 წლის 10 თებერვლიდან ემირატების პრეზიდენტს ჰყავს თითო მოადგილე ყველა ემირატიდან. არსებობს ფედერაციული მთავრობა. უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოა ემირატთა დიდი საბჭო.

პოლიტიკური პარტიების საქმიანობა არაბთა გაერთიანებულ ემირატში აკრძალულია.

რადგან ემირატში გაერთიანებულია შვიდი სამთავრო და თანაც მათ შესახებ ლიტერატურაში ძალზე ძუნწი ცნობები მოიპოვება, ამდენად საჭიროდ მიგვაჩნია სულ მოკლედ დავახასიათოთ თითოეული მათგანი ცალ-ცალკე.

აბუ-დაბი — ყველაზე დიდი სამთავროა ემირატში. ფართობი — 66.500 კვ. კმ, მოსახლეობა — 60 ათასი კაცი, მთავარი სიმდიდრეა ნავთობი (1973 წ. — 7 მლნ ტ) და საშუალო წლიური შემოსავლით 1 სულ მცხოვრებზე ერთ-ერთ პირველ ადგილზეა კაპიტალისტურ სამყაროში. ოაზისებში განვითარებულია მიწათმოქმედება (ფინიკი, მარცვლეული).

დიბაი — ფართობი — 3840 კვ. კმ, ემირატთა შორის ყველაზე პეტი მოსახლეობით (75 ათასი კაცი). მთავარი ქალაქია **დიბაი**, მთავარი სიმდიდრე — ნავთობი (1973 წ. 12 მლნ ტ). საგარეო ვაჭრობას უფრო რეექსპორტული ხასიათი აქვს. დიბაი ითვლება ოქროთი ვაჭრობის მსოფლიო ცენტრად.

შარჯა — ფართობი — 2560 კვ. კმ, მოსახლეობა — 3500 კაცი, ცენტრი — **შარჯა**. მრეწველობა არა აქვს, უპირატესად ცნობილია ნოხებისა და ლამაზი ქსოვილების დამზადებით. ხდება მარილისა და ჟანგმიწის მოპოვება.

შარჯაში არის ელექტროსადგური (250 მლნ კვტს გამომუშავებით).

ფუჯეირა — ფართობი — 1150 კვ. კმ, მოსახლეობა — 10 ათასი კაცი, ცენტრი — **ფუჯეირა** (3000 მცხოვრებით), მოსახლეობის მთავარი საქმიანობაა სოფლის მეურნეობა, საექსპორტო მნიშვნელობა აქვს სუბტროპიკულ მეხილეობას. აღმოჩენილია ურანის უმდიდრესი საბადოები, ამუშავდა ცემენტის დიდი ქარხანა და ელექტროსადგური.

აჯმანი — ფართობი — 255 კვ. კმ, მოსახლეობა — 4500 კაცი, ცენტრი — **აჯმანი** (2 ათასი მცხოვრებით); მისდევენ მეთევზეობას. ემირატში წყალი არ არის, ამიტომ სასმელ წყალს ჭებიდან იღებენ. იგი ცნობილია თავისი საუკეთესო კლიმატით და მეზობელი ემირებისა და მათი ოჯახების დასასვენებელ ადგილს წარმოადგენს.

უმ-ელ-კაივაინი — ფართობი — 720 კვ. კმ, მოსახლეობა — 4 ათასი კაცი, რომელთა აბსოლუტური უმეტესობა ამავე სახელწოდების ქალაქში ცხოვრობს. მისდევენ თევზისა და მარგალიტის ჭერას.

რას-ელ-ჰაიმა — ფართობი — 1665 კვ. კმ, მოსახლეობა დაახლოებით 25 ათასი კაცი, ცენტრი — **რას-ელ-ჰაიმა** (8 ათასი მცხოვრებით). განსაკუთრებით მდიდარია წყლითა და სათესი ფართობების რაოდენობით. იგი მდიდარი სასოფლო-სამეურნეო რაიონია. საკმაოდ განვითარებულია მეხილეობა-მებოსტნეობა.

აქ არის მსოფლიოში უდიდესი სუპერტანკერების სარემონტო საწარმო. შენდება ახალი ბლასტმასის საწარმო, ხოლო იაპონელთა დახმარებით მეტალურგიული კომბინატი.

ბანგლადეშის სახალხო რესპუბლიკა

აზიის ახალი სახელმწიფო — ბანგლადეშის სახალხო რესპუბლიკა მდებარეობს ინდოსტანის ნახევარკუნძულის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში, აღმოსავლეთ პაკისტანის ყოფილ ტერიტორიაზე. ბანგლადეშს სამხრეთით ესაზღვრება ბენგალის უბე, სამი მხრიდან კი — ინდოეთის ტერიტორია. რესპუბლიკა მთლიანად ბენგალის დაბლობზეა განლაგებული. ფართობი — 142.700 კვ. კმ, მოსახლეობა — 76,2 მლნ კაცი (1975). მოსახლეობა ეთნოგრაფიულად თითქმის ერთგვაროვანია. ბენგალელები შეადგენენ მთელი მოსახლეობის 98%, არიან ინდური მოდგმის ხალხებიც — ჩაკმა, მოგჰი, სანტალი, მუნდა და სხვ. საშუალო სიმჭიდროვე მსოფლიოს ქვეყნებს შორის უდიდესია და 1 კვ. კმ-ზე 535 კაცს აღწევს. ეს მაჩვენებელი ზოგან ათას კაცამდე იზრდება. დედაქალაქია დაკა (1,5 მლნ მცხოვრებით), ქალაქად ცხოვრობს მოსახლეობის მხოლოდ 1/10. დედაქალაქს გარდა ქალაქებიდან აღსანიშნავია ჩიტაგამი (ყოფ. ჩიტაგონგი, 0,5 მლნ მცხოვრებით), ნარაიანგანჯი და კჰულნა. ადმინისტრაციულად იყოფა 4 პროვინციად. ოფიციალური ენა — ბენგალი (1973 წლის იანვრიდან), თუმცა იყენებენ ინგლისურ ენასაც. გაბატონებული რელიგია — მუსლიმანური (სუნი მოსახლეობის 4/5-მდე), არიან ინდუისტები, ქრისტიანები, ბუდისტები (ახალი კონსტიტუციის თანახმად მეჩეთი გამოეყო სახელმწიფოს, გარანტირებულია რწმენის სრული თავისუფლება). ეროვნული დღესასწაული — დამოუკიდებლობის გამოცხადების დღე — 26 მარტი (1971), რესპუბლიკის გამოცხადების დღე — 10 აპრილი (1971).

ისტორია. 1947 წლამდე ბანგლადეშის ტერიტორია (ყოფილი აღმოსავლეთ პაკისტანი) ინდოეთის კოლონიის შემადგენელი ნაწილი იყო, შემდეგ ინდოეთი ორ დომინიონად — საკუთრივ ინდოეთად და პაკისტანად გაიყო (ძირითადად რელიგიური ნიშნების მიხედვით). აღმოსავლეთ ბენგალია, აღმოსავლეთ პაკისტანის სახელწოდებით, 1600 კმ-ით იყო დაცილებული დასავლეთ პაკისტანიდან. 1947 წლის აპრილში პაკისტანი რესპუბლიკად გამოცხადდა. ბენგა-

ლელი ხალხის განმათავისუფლებელი ბრძოლის შედეგად 1971 წელს ბანგლადეში სახალხო რესპუბლიკად გამოცხადდა. 1972 წელს დიპლომატიური ურთიერთობა დაამყარა საბჭოთა კავშირთან და ამ ორ ქვეყანას შორის სავაჭრო ხელშეკრულება დაიდო.

ბუნებრივი პირობები. ბანგლადეში მდებარეობს განგა-ბრაჰმაპუტრას დელტაზე. სანაპირო ხაზი ძალზე დანაწევრებულია. ბევრია ჭაობი, კლიმატი სუბეკვატორული, მუსონური, მაღალი სინოტივით. მკვეთრად გამოირჩევა ორი სეზონი: ნოტიო (V-X თვეები) და მშრალი (IV-XI თვეები). ნალექების საშუალო წლიური რაოდენობა 1500—3000 მმ აღწევს. მთელი წლის განმავლობაში დამახასიათებელია მაღალი ტემპერატურა 28-35° ნოტიო პერიოდში და 20-23° მშრალ პერიოდში. ხშირია გრიგალი, რასაც თან სდევს ზღვის ძლიერი ღელვა და სანაპიროთა დატბორვა. მაგალითად, 1970 წელს ზღვამ წალეკა სანაპიროზე მდებარე ათეული ათასობით სახლი, ნათესი, დაიღუპა ნახევარი მილიონი და დაზარალდა თერთმეტი მილიონი კაცი. მდინარეთა ქსელი ხშირია, ძირითადად წარმოადგენს განგა-ბრაჰმაპუტრას სისტემას. ამ მდინარეთა შესართავთან შექმნილია მსოფლიოში ერთ-ერთი უდიდესი დელტა დიდძალი კუნძულებითა და ნოღებით. ხშირია წყალდიდობა, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ჰიმალაის მთებში თოვლის ინტენსიური დნობა იწყება. მცენარეთა საფარი წარმოდგენილია მარადმწვანე სუბეკვატორული ტყეებით (მთელი ფართობის მხოლოდ 5%), ოდესღაც ბანგლადეშის ტერიტორია მთლიანად ტყით იყო დაფარული. ამჟამად ტყეები გაჩეხილია და ბუნებრივი ლანდშაფტი კულტურული ლანდშაფტითაა შეცვლილი. ტყისა და აუთვისებელი ტერიტორიის სიმცირის გამო გარეული ცხოველები შემორჩენილია მხოლოდ ნაკრძალებსა და ჩრდილოეთით (სპილო, მარტორქა, ბენგალის ვეფხვი), ბევრია ნიანგი, კუ. მდინარეები მდიდარია თევზით.

მეურნეობა. 1971 წლის შეიარაღებული კონფლიქტის დროს იმდენად დიდი იყო მეურნეობის დეზორგანიზაცია და ნგრევა, რომ მიუხედავად განსაკუთრებული ღონისძიებების ჩატარებისა, შეუძლებელი შეიქმნა ჩამორჩენილობის სრული აღმოფხვრა 1975 წლისათვის. 1973 წელს მიღებულ იქნა ბანგლადეშის მეურნეობის განვითარების ხუთწლიანი გეგმა (1974-1978).

ბანგლადეში ტიპური აგრარული ქვეყანაა ფეოდალიზმის ძლიერი გადმონაშთებით. სოფლის მეურნეობაში ჩაბმულია მოსახლეობის 4/5-ზე მეტი, სუსტად არის წარმოდგენილი მრეწველობა. სამე-

ურნეო ჩამორჩენილობიდან თავის დასაღწევად შექმნილია სპეციალური სახელმწიფო საგეგმო კომისია, რომელმაც შეიმუშავა ქვეყნის განვითარების პერსპექტიული გეგმა. მეურნეობის საფუძველია მიწათმოქმედება, თუმცა მოსახლეობის დაახლოებით 1/3 საერთოდ არ გააჩნია მიწის ნაკვეთი. დამუშავებული ფართობი მთელი ტერიტორიის 4/5-ზე მეტს შეადგენს. მთავარი სასოფლო-სამეურნეო კულტურაა ბოჭკოვანი მცენარე ჯუთი, რომლისგანაც მზადდება უხეში ქსოვილები (ტომრები, ანძები, თოკი, ნოხები და სხვ.). ბანგლადეში იძლევა ჯუთის მსოფლიო წარმოების ნახევარზე მეტს (წლიურად 1,2 მლნ ტ) და ექსპორტის მთავარ საგანს შეადგენს. სხვა კულტურებიდან საექსპორტოა ჩაი (30 ათასი ტ), შაქრის ლერწამი (6-7 მლნ ტ), თამბაქო, ბამბა. მთავარი სასურსათო კულტურაა ბრინჯი, რომელსაც მთელი დამუშავებული ფართობის 2/3 უჭირავს (1973 წ. — 12 მლნ ტ). საკუთარი მარცვლეული არ ყოფნის და ყოველწლიურად დაახლოებით 2-3 მლნ ტ შეაქვს. საძოვრების სიმციცრის გამო მეცხოველეობა სუსტად არის განვითარებული. უმეტესად გავრცელებულია კამეჩი (როგორც გამწევი ძალა).

მრეწველობიდან წამყვანია სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის გადასამუშავებელი დარგები, კერძოდ, ჯუთის გადამუშავება, ნაწილობრივ ჩაისა და შაქრის, ცემენტის, ქსოვილების წარმოება, ბუნებრივი გაზის მოპოვება (1973 წ. — 1,6 მლრდ $მ^3$), არის რამდენიმე ცელულოზა-ქაღალდის, ასანთის, ცემენტის, მინის, მინერალური სასუქებისა და ნავთობგადასამუშავებელი ქარხნები. საკუთარი მანქანათმშენებლობა და შავი მეტალურგია არა აქვს. ჩიტაგამში იმპორტული ლითონისა და ჯართის ბაზაზე მუშაობს თუჯსასხმელი ქარხანა (წლიურად 150 ათასი ტ ლითონი), წვრილი საწარმოები ამზადებენ ველოსიპედებს, ვენტილატორებს, სარეცხ მანქანებს, საკერავ მანქანებს, ფართო მოხმარების საგნებს. ძალზე სუსტია ენერგობაზა, არის რამდენიმე წვრილი თბოსადგური. 1974 წ. ელექტროენერგიის გამომუშავება 0,8 მლნ კვტს შეადგენდა. ერთ მცხოვრებზე ელექტროენერგიის მოხმარებით ბანგლადეში ერთ-ერთ ბოლო ადგილზეა მსოფლიოში. სანაპიროებზე მისდევენ მეთევზეობას. ამას გარდა, თევზს აშენებენ ხელოვნურ წყალსატევებსა და ბრინჯის ნათესებში.

ტრანსპორტი და საგარეო კავშირურთიერთობანი. ტრანსპორტის მთავარი სახეობაა სამდინარო ტრანსპორტი. მგზავრების გადაყვანის 80% და ტვირთბრუნვის 75% ხდება მდინარეებით, უმეტესად

მცირე წყალწყვის გემებით. რკინიგზების სიგრძე 3000 კმ-ია, ავტოგზებისა — 3100 კმ. საგარეო ვაჭრობა ძირითადად საზღვაო ფლოტით ხდება. მთავარი ნავსადგურებია: ჩიტაგამი და ჩელნი. ბანგლადეშს გააქვს ჯუთი და მისი ქსოვილები, ჩაი; შეაქვს: მანქანა-მოწყობილობანი, სურსათი, სასუქი, ლითონი, ფართო მოხმარების საგნები. საგარეო ვაჭრობაში მთავარი პარტნიორები არიან: სსრ კავშირი, ინდოეთი, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა, ბულგარეთი, პოლონეთი, მონგოლეთი, ჩეხოსლოვაკია, იაპონია, ინგლისი, საფრანგეთი. ფულის ერთეულია ტაკა.

განათლება. მოსახლეობის 4/5-ზე მეტი წერა-კითხვის უცოდინარია. არის 500-მდე დაწყებითი და საშუალო სკოლა, დაკაში — უნივერსიტეტი, გამოდის 15 გაზეთი, აქვს საკუთარი საინფორმაციო სააგენტო, რადიომაუწყებლობა და ტელევიზია.

სახელმწიფო წყობილება. 1975 წლის აგვისტოში ბანგლადეშის არმიის ოფიცრებმა მოახდინეს სახელმწიფო გადატრიალება, რომლის დროსაც დაიღუპა რესპუბლიკის პრეზიდენტი შეიხი მაჯიბურ რაჰმანი თავისი ოჯახით. 1973 წელს შექმნილმა სახალხო ლიგამ (აერთიანებდა სამ პოლიტიკურ პარტიას — მმართველ პარტიას—სახალხო ლიგას, ეროვნულ სახალხო პარტიასა და კომუნისტურ პარტიას) მთლიანად ვერ დაძლია მის წინაშე მდგარი სიძნელეები და ამიტომ იყო, რომ 1974 წლის ბოლოს ბანგლადეშის ეროვნულმა ასამბლეამ ქვეყნის მართვის პარლამენტური ფორმა შეცვალა პრეზიდენტის უშუალო მართვის ფორმით. მთელი ძალაუფლება პრეზიდენტის ხელში გადავიდა. ამავე დროს, პრეზიდენტის განკარგულებით აკრძალულ იქნა ყველა **პოლიტიკური პარტიის** საქმიანობა და დაიწყო ახალი პარტიის — ერთიანი ბანგლადეშის გლეხურ-მუშური სახალხო ლიგის შექმნა.

ბაჰრეინი

არაბული სახელმწიფო ბაჰრეინი მდებარეობს ამავე სახელწოდების არქიპელაგზე (30 კუნძული), სპარსეთის ყურეში. ყველაზე დიდი კუნძულია ბაჰრეინი, რომლის სიგრძე 50 და სიგანე 16 კმ შეადგენს. მნიშვნელოვანი კუნძულებია აგრეთვე: უმ-ნაასანი, ჰაიარი, მუჰარაკი, სიტრა, ნაბი-სალიჰი ჯიდა, უმ-ას-სუბანი და

სხვ. ფართობი — 622 კვ. კმ (ზოგიერთი ცნობით 598,3 კვ. კმ), მოსახლეობა — 266,1 ათასი კაცი (1975), მოსახლეობის მთავარ მასას შეადგენენ არაბები (85%-მდე), არიან სპარსელები, ინდოელები, პაკისტანელები, ებრაელები. დედაქალაქია მანამა (166 ათასამდე მცხოვრებით), მნიშვნელოვანი ქალაქებია აგრეთვ მუჰარაკი (50 ათასი მცხოვრებით) და კალბახინე. მოსახლეობა ძირითადად ცხოვრობს სამ დიდ — ბაჰრეინის, მუჰარაკისა და სიტრას — კუნძულზე. საშუალო სიმჭიდროვე მაღალია და 1 კვ. კმ-ზე 40-მდე კაცს აღწევს. ოფიციალური ენა — არაბული, გაბატონებული რელიგია — მუსლიმანური (სუნი, არიან შიიტებიც), ეროვნული დღესასწაულია — ემირის გამეფების დღე — 16 დეკემბერი (1970), დამოუკიდებლობის გამოცხადების დღე — 14 აგვისტო (1971). სსრ კავშირთან დიპლომატიური ურთიერთობა დაამყარა 1971 წლის 18 აგვისტოს.

ისტორია. ბაჰრეინის კუნძულები პორტუგალიელებმა ხელთ იგდეს 1511 წელს, ხოლო 1861 წლიდან ინგლისის პროტექტორატი გახდა. 1934 წელს ინგლისის პარლამენტმა ბაჰრეინის კუნძულები ისეთ ტერიტორიად გამოაცხადა, რომელიც არ შედიოდა ბრიტანეთის იმპერიაში, მაგრამ ეს იყო მხოლოდ ნომინალური აღიარება. 1957 წელს ირანმა ბაჰრეინი თავის მეთოთხმეტე პროვინციად გამოაცხადა. 1971 წლიდან ბაჰრეინის არქიპელაგი დამოუკიდებელი არაბული სახელმწიფოა. ბაჰრეინი არის არაბული ქვეყნების ლიგისა და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრი.

ბუნებრივი პირობები. ბაჰრეინის არქიპელაგი ძირითადად მარჯნიანი კუნძულებია, რელიეფი დაბალი, უმაღლესი მწვერვალის სიმაღლე 135 მ არ აღემატება. კლიმატი გარდამავალია ტროპიკულიდან სუბტროპიკულისაკენ. იანვრის საშუალო ტემპერატურა 16°, ხოლო ივნისისა 37° უდრის. ჭარბობს ტროპიკული უდაბნოს ლანდშაფტი, ნალექების საშუალო წლიური რაოდენობა 90 მმ აღწევს, არქიპელაგზე მდინარეები და ტბები პრაქტიკულად არ არის, მოსახლეობა სასმელად იყენებს არტეზიული ჭების წყლებს.

მეურნეობა. ბაჰრეინი ეკონომიურად ჩამორჩენილი ქვეყანაა, შედარებით განვითარებული ნავთობმოპოვებითი მრეწველობით. მისი მთავარი სიმდიდრეა ნავთობი, რომლის მოპოვებაც 1952 წლიდან წარმოებს, წლიურად იღებენ 4,5-5,0 მლნ ტ ნავთობს (1974). არის მსხვილი ნავთობგადასამუშავებელი ქარხანა, რომელიც ინგლის-ამერიკის ხელშია. ქარხანა ახდენს არა მარტო ადგილობრივ,

არამედ შემოზიდული ნავთობის გადამუშავებასაც. მაგალითად, აქ ნავთობი შემოაქვთ საუდის არაბეთიდან ორი წყალქვეშა ნავთობსადენი მილით ‹ბაჰრანი-ბაჰრეინი (წლიური სიმძლავრე 14 მლნ ტ), მეურნეობაში გაბატონებულია ინგლისისა და ამერიკის კაპიტალი.

მრეწველობა ძირითადად წარმოდგენილია წვრილი საწარმოებით, ხდება მცირე წყალწყვის გემების მშენებლობა, ეროვნული ტანსაცმლისა და ცივი იარაღის დამზადება. დიდი მნიშვნელობა აქვს გამაგრილებელი წყლების, საშენი მასალების, ცემენტის წარმოებას. ავსტრალიიდან შემოზიდული ბოქსიტების ბაზაზე მუშაობს ალუმინის ქარხანა (სიმძლავრე 2,5 ათასი მლნ ტ). ბაჰრეინისათვის განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს ზღვის წყლის გამტკნარებას, არსებული დანადგარები დღიურად იძლევიან 15 მლნ გალონ* მტკნარ წყალს, არის თევზის კონსერვების ქარხანა, ორი ჰიდროელექტროსადგური.

სოფლის მეურნეობას უპირატესად ოაზისური ხასიათი აქვს და სახნავ-სათესად გამოყენებულია მთელი ფართობის მხოლოდ 9%. მიწათმოქმედება მთლიანად სარწყავია. მთავარი კულტურებია: ფინიკის პალმა, ციტრუსოვანები, ბანანი, ვაზი, ბოსტნეული. საძოვრების სიმცირის გამო მეცხოველეობას დამხმარე მნიშვნელობა აქვს. მისდევენ აგრეთვე კიბორჩხალის, მარგალიტისა და ზღვის ღრუბლების ჭერას. 1930-იანი წლებიდან მარგალიტის ჭერა ბაჰრეინის კუნძულებზე მნიშვნელოვნად დაეცა, რადგანაც იაპონიამ დაიწყო ხელოვნური მარგალიტის დამზადება და ამით დიდი კონკურენცია გაუწია მსოფლიო ბაზარზე ბაჰრეინის მარგალიტს. მაგრამ მიუხედავად ამისა, ეროვნულ შემოსავალში მარგალიტის ჭერა კვლავ ინარჩუნებს თავის მნიშვნელობას. საკმაოდ განვითარებულია შინახელოსნობა (სამხატვრო ნაწარმი).

ტრანსპორტი და საგარეო კავშირურთიერთობანი. ტრანსპორტის მთავარი სახეობაა საზღვაო ტრანსპორტი, არის ასფალტირებული გზები, მსხვილი საერთაშორისო აეროპორტი კუნძულ მუჰარაჯზე. მთავარი ნავსადგურია მინა-სალმანი, სადაც, ხალხური ლეგენდების მიხედვით, ცხოვრობდა თურმე „ათას ერთი ღამის“ ზღაპრების პერსონაჟი — ცნობილი სინდბად ზღვაოსანი, ბაჰრეინში ყოფილა აგრეთვე მარკო პოლო. ბაჰრეინზე მეტად დაბალია უცხო-

---

* გალონი უდრის დაახლოებით 4,5 ლიტრს.

ეთიდან შემოტანილი საქონლის ბაჟი, რაც დიდად უწყობს ხელს ვაჭრობას. ბაჰრეინიდან გააქვთ: ნავთობი და ნავთობპროდუქტები, ალუმინი, ფინიკი, თევზი, მარგალიტი; შეაქვთ: მანქანები, სამრეწველო საქონელი, სურსათი, ამასთან შეტანილი საქონლის 1/3-ზე მეტის რეექსპორტი ხდება საუდის არაბეთის საშუალებით. ვაჭრობაში მთავარი პარტნიორები არიან: ინგლისი, საუდის არაბეთი, ამერიკის შეერთებული შტატები, ინდოეთი, იაპონია, კატარი, ავსტრალია, ირანი. ფულის ერთეულია ბაჰრეინის დინარი.

განათლება. მოსახლეობის 80%-ზე მეტი წერა-კითხვის უცოდინარია, ხოლო სოფლად ეს მაჩვენებელი 95% უდრის. პირველი სახელმწიფო სკოლა გაიხსნა 1919 წელს. ნავთობის აღმოჩენამ და დამუშავებამ დღის წესრიგში დააყენა სათანადო კადრების მომზადების საკითხი, რამაც თავის მხრით ბიძგი მისცა საგანმანათლებლო ქსელის შემდგომ ზრდას. ბაჰრეინში დაახლოებით მამაკაცთა 35 და ქალთა 16 დაწყებითი სკოლაა, არის სამი საშუალო, ერთი ტექნიკური და ერთი ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა. დიდი მნიშვნელობა აქვს ეგრეთ წოდებულ ევროპულ სკოლებს, რომლებშიც ასწავლიან ინგლისურსა და სხვა ევროპულ ენებზე. 1947 წლიდან სწავლება ყველა საფეხურზე უფასოა. საშუალო სკოლებისათვის მასწავლებლებს ამზადებს ორწლიანი პედსასწავლებელი. გამოდის სამი კვირეული და ერთი ერთთვიური გაზეთი არაბულ ენაზე, არის რადიომაუწყებლობა.

სახელმწიფო წყობილება. 1973 წლის კონსტიტუციის თანახმად, ბაჰრეინი კონსტიტუციური მონარქიაა. ბაჰრეინს მართავს ემირი, რომელიც აბსოლუტური უფლებებით სარგებლობს, მასთან არის საკონსულტაციო ფუნქციების მქონე ადმინისტრაციული საბჭო. საგარეო პოლიტიკისა და თავდაცვის საკითხებს ინგლისი აკონტროლებს. საკანონმდებლო ორგანოა ეროვნული საბჭო. შექმნილია ბაჰრეინის ისტორიაში პირველი პარლამენტი.

პოლიტიკური პარტიების საქმიანობა ბაჰრეინის ტერიტორიაზე აკრძალულია. არალეგალურად მოქმედებს ეროვნულ-განმათავისუფლებელი ფრონტი (1959), რომლის საფუძველსაც შეადგენს კომუნისტური პარტია.

ბირმა

სოციალისტური რესპუბლიკა ბირმის კავშირი მდებარეობს სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში. დასავლეთიდან და ჩრდილო-დასავლეთიდან ესაზღვრება ინდოეთი (ბენგალია) და ბანგლადეში. ჩრდილოეთიდან და ჩრდილო-აღმოსავლეთიდან ჩინეთი, ლაოსი და ტაილანდი, სამხრეთითა და სამხრეთ-დასავლეთით ფართო გასასელელი აქვს ბენგალის უბეში (ინდოეთის ოკეანე). მასვე ეკუთვნის რიგი წვრილი კუნძულები. ფართობი — 678000 კვ. კმ, მოსახლეობა — 30,8 მლნ კაცი (1976) ბირმაში ცხოვრობს 70-მდე ეროვნების ხალხი და ტომი, რომელთა დიდი ნაწილი ბირმულ-ტიბეტურ ენათა ოჯახს მიეკუთვნება (ვა, მონი, პალაუნი). მთელი მოსახლეობის 73%-ს საკუთრივ ბირმელები შეადგენენ. ეროვნულ უმცირესობათაგან გამოირჩევა კარენი (8%), შანი (7%), ჩინი (2%), მონი, კაჩინი. არიან ინდოეთიდან და ბანგლადეშიდან წამოსულნი (ძირითადად ტამილები, ტელუგუ, ბენგალელები), აგრეთვე ჩინელები, მცირე რაოდენობით ევროპელები. საშუალო სიმჭიდროვე 1 კვ. კმ-ზე 45-47 კაცს აღწევს. მჭიდროდაა დასახლებული მდ. ირავადისა და ირიკლის ხეობები, ხოლო შედარებით თხლად დასახლებული ჩრდილოეთით მდებარე მაღალმთიანი და უკიდურეს სამხრეთით — ტანინტაის ოკრუგის ტერიტორიები. დედაქალაქია რანგუნი (2,1 მლნ მცხოვრებით). მნიშვნელოვანი ქალაქებია: ნავსადგური პეგუ (აქ იყო თავისი მესამე მოგზაურობის დროს ქართველი მოგზაური რაფიელ დანიბეგაშვილი 1799-1813 წწ.), მანდალაი, ნოლამიანი, ბასეინი და სხვ. ქალაქად ცხოვრობს მთელი მოსახლეობის 1/6; ადმინისტრაციულად იყოფა: საკუთრივ ბირმა 7 ოკრუგად, ამას გარდა, შედის ეროვნული ოლქები (ავტონომიური სახელმწიფოების უფლებებით): კაია, კარენი, კაჩინი, ჩინი, შანი, მონი, არაკანი. დედაქალაქი რანგუნი დამოუკიდებელი ადმინისტრაციული ერთეულია. ოფიციალური ენა — ბირმული, გაბატონებული რელიგია — ბუდისტური, არიან მუსლიმანები, ქრისტიანები (უმთავრესად ბაპტისტები), იუდეველები, კონფუცის მოძღვრების მიმდევარნი (ჩინელები). მთიელებს თავისი ტრადიციული სარწმუნოება აქვთ. ოფიციალური კალენდარია ბირმული (მთვარე — მზისა), წელთაღრიცხვა იწყება 638 წელს. ახალი წელიწადი მოდის აპრილის შუა რიცხვებზე. საერთაშორისო ურთიერთობაში გამოყენებული აქვთ გრიგორიანული კალენდარი. ეროვნული დღესასწაული — ბირმის კავშირის დღე —

17 იანვარი (1947), დამოუკიდებლობის გამოცხადების დღე — 4 იანვარი (1948).

ისტორია. ბირმა აზიის უძველესი სახელმწიფოა. XI საუკუნეში უკვე აღმოცენდა პირველი ფეოდალური ცენტრალიზებული სახელმწიფო. შემდეგ ბირმა დაიპყრეს მონგოლებმა, ხოლო XVI საუკუნეში გამოჩნდნენ პორტუგალიელები. XVIII საუკუნეში ბირმის ყველა სამთავრო გაერთიანდა და აზიის ერთ-ერთი უდიდესი სახელმწიფო გახდა. ინგლისელთა სამი ომის შედეგად (I—1824-26; II—1852; III — 1885) ბირმა დაპყრობილი და კოლონიად გამოცხადებული იქნა. თავდაპირველად ბირმა ინდოეთის კოლონიაში შედიოდა. 1947 წელს უკვე დამოუკიდებელი რესპუბლიკაა ბირმის კავშირის სახელწოდებით. ბირმა არის გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრი, საბჭოთა კავშირთან დიპლომატიური ურთიერთობა დაამყარა 1948 წლის 18 თებერვალს.

ბუნებრივი პირობები. ბირმა ძირითადად მთიანი ქვეყანაა. დასავლეთით განლაგებულია რაკჰაინის მერიდიანული მიმართულების ქედი, მთელი აღმოსავლეთი ნაწილი უჭირავს შანის ვრცელ ზეგანს, ხოლო უკიდურესი ჩრდილოეთი — პოტკაის ზეგანს. მთელი ცენტრალური ნაწილი უჭირავს მდინარე ირავადისა და მისი შენაკადების დაბლობს. კლიმატი სუბეკვატორული, ცხელი, ნოტიო, მუსონური ტიპისაა. ყველაზე ცხელი თვის (IV) საშუალო ტემპერატურა 30-37°, ხოლო იანვრისა — 20-25° აღწევს. სამხრეთ-დასავლეთურ მუსონებს მოაქვთ წლიური ნალექების 90-95%. ნალექების მაქსიმუმი მოდის ზღვისპირა რაიონებში. მკვეთრად გამოიყოფა სამი კლიმატური პერიოდი: ნოტიო ცხელი (VI-X თვეები), გრილი მშრალი (II-XI), ცხელი მშრალი (III-V);

ბირმის დიდი მდინარეებია: ირავადი (სანაოსნო 1440 კმ-ზე) ოავისი შენაკადებით (ჩინდუინი, სალუინი, სიტაუნი), ხშირია წყალდიდობა, განსაკუთრებით მუსონური წვიმების დროს. მთელი ფართობის 2/5 დაფარულია ტყით. დამახასიათებელია მცენარეული საფარის ვერტიკალური გავრცელება, ბევრია ძვირფასი ჯიშის ხე (რკინის, ტეკის, წითელი). ფლორისა და ფაუნის დაცვის მიზნით შექმნილია რამდენიმე მსხვილი რეზერვატი (პატუნი, შუეზეტო, შეზუდაუნი და სხვ.).

მეურნეობის მხრივ ბირმა აგრარული ქვეყანაა. ეკონომიკის საფუძველია სოფლის მეურნეობა, რომელშიც ჩაბმულია თვითმოქმედი მოსახლეობის 4/5. ბირმის ეკონომიკა მთლიანად დამოკიდე-

ბულია მსოფლიო ბაზარზე, კერძოდ, ბრინჯის, ფერადი ლითონებისა და ძვირფასი მერქნის მოთხოვნილებაზე. ბირმის რევოლუციური საბჭოს ხელმძღვანელობით ჩატარდა რიგი დემოკრატიული გარდაქმნანი: ნაციონალიზებულია მრეწველობის წამყვანი დარგები, ბანკები, ტრანსპორტი, საგარეო და ნაწილობრივ საშინაო ვაჭრობა. ეკონომიკაში გაბატონებულია სახელმწიფო სექტორი.

სოფლის მეურნეობის მთავარი საექსპორტო კულტურაა ბრინჯი (7,5-8,0 მლნ ტ), რომლის ფართობები თითქმის მთლიანად ირავადისა და სიტაუნის დელტებზეა თავმოყრილი, წლიურად იღებენ ორ-სამ მოსავალს. საექსპორტო მნიშვნელობა აქვს აგრეთვე: თამბაქოს, შაქრის ლერწამს, ჩაის, ბამბისა და კაუჩუკოსნების მოშენებას, მოჰყავთ ციტრუსოვანები, ბანანი, ანანასი, არაქისი. ბირმა ითვლება შავი პილპილის მსოფლიო მწარმოებლად (26 ტ) და ექსპორტიორად. მეცხოველეობიდან უმეტესად განვითარებულია სარძეო მესაქონლეობა, კამეჩებს სპილოებთან ერთად იყენებენ ხეტყის დასამზადებელ სამუშაოებზე. სანაპიროებსა და შიდა წყალსაცავებში მისდევენ მეთევზეობას.

მრეწველობის მთავარი დარგებია დამუშავებითი და სამთომოპოვებითი. ბირმა მსოფლიო მწარმოებელი და ექსპორტიორია მუაარი მერქნისა (1,4-1,5 მლნ მ³), განსაკუთრებით ტიკის ხისა (368 ათასი მ³). ხე-ტყის დამზადება და დაცურება ხდება მდინარეებით ნავსადგურებამდე და რკინიგზის სადგურებამდე. სამთომოპოვებითი მრეწველობიდან აღსანიშნავია ნავთობის მოპოვება (წლიურად 11 მლნ ტ). ნავთობის ახალი დიდი საბადოები აღმოჩენილია მდ. ირავადის ქვემო წელში, მისი გადამუშავება ხდება ტანხლინში (რანგუნთან), მცირე რაოდენობით იღებენ ბუნებრივ გაზს.

დიდი ხვედრითი წონა აქვს კალის (420 ათასი ტ), კალა-ვოლფრამის კონცენტრატის (1,1 მლნ ტ), ვოლფრამის (415 ათასი ტ), პოლიმეტალების მოპოვებას შანის სახელმწიფოში. ქალაქ ნამტუნსა და ტავოიში არის ფერადი ლითონების გადასამუშავებელი კომბინატები. ბირმა ოდითგანვე ცნობილია ძვირფასი ქვების — ნეფრიტის (მომწვანო მინერალი), ლალისა და საფირონის მოპოვებითა და მხატვრული დამუშავებით.

მრეწველობის საერთო პროდუქციის ღირებულების 2/5 მოდის ქვების საწარმოებზე (შაქრის, ბრინჯსაწმენდი, ზეთსახდელი, თევზკონსერვების, თამბაქოს, რძე-ხორცის). დამუშავებითი მრეწველობიდან გამოირჩევა საფეიქრო (წლიურად 27-28 მლნ მ ბამბეულის ქსო-

ვილი), ფოლადსასხმელი, გემთმშენებლობა (რანგუნში), სატვირთო, ჩსუბუქი ავტომობილებისა და ავტობუსების (1300) ამწყობი საამქრო, ველოსიპედების (13,600), ტრაქტორების (1300) ამწყობი საწარმოები, აგრეთვე ელექტროტექნიკური, ცემენტის, ფარმაცევტული საწარმოები. დიდი ხვედრითი წონა აქვს შინახელოსნობას. ბირმა მსოფლიო ექსპორტიორია მაღალხარისხოვანი ოქრო-ვერცხლის ჭედურობისა, ხეზე კვეთილობისა, მხატვრული ჭურჭლისა და სხვა სამახსოვროებისა. ელექტროენერგიის გამომუშავება 700 მლნ კვტს შეადგენს.

ტრანსპორტი და საგარეო კავშირურთიერთობანი. ტერიტორიის დიდი ნაწილი სუსტადაა უზრუნველყოფილი ტრანსპორტით. რკინიგზების სიგრძე 4310 კმ-ია, ავტოგზებისა — 13,500 კმ, სამდინაროსი — 7000 კმ. მთავარი სატრანსპორტო არტერიაა მდინარე ირავადი; არის დიდი სანაოსნო არხები: რანგუნი-ტუანტე, პეგუ-სიტაუნი. აქვს საკუთარი საზღვაო და სამდინარო ფლოტები. მთავარი საზღვაო ნავსადგურებია: რანგუნი, ბასეინი, სიტუე, საერთაშორისო აეროპორტი დედაქალაქში (მანდალაიში).

საგარეო ვაჭრობა სახელმწიფოს ხელშია, ფართოვდება სამეურნეო კავშირურთიერთობა საბჭოთა კავშირსა და სხვა სოციალისტურ ქვეყნებთან. ბირმის ექსპორტის მთავარი საგნებია: ბრინჯი, ძვირფასი მერქანი, ბამბა, კაუჩუკი, ფერადი ლითონები; შეაქვს: მანქანა-მოწყობილობანი, ჩარხები, ნახევარფაბრიკატები, სატრანსპორტო საშუალებანი. საგარეო ვაჭრობაში მთავარი პარტნიორები არიან: იაპონია, ინგლისი, ჩინეთი, ავსტრალია, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა, ამერიკის შეერთებული შტატები. ფულის ერთეულია ვიატი (ადგილობრივ უწოდებენ ჩას ან ჯას).

განათლება. ძველ ბირმაში სწავლა-განათლების ცენტრები იყო სამონასტრო სკოლები, სადაც ღვთისმეტყველებასთან ერთად ასწავლიდნენ ისტორიას, ასტრონომიას, გეოგრაფიას, მედიცინას. ბევრი იყო კერძო სკოლები. კოლონიური უღლისაგან განთავისუფლების შემდეგ დიდი ყურადღება ექცევა წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციასა და მოსწავლე-ახალგაზრდობის განათლების საქმეს. ბირმაში ითვლება 300-მდე სრული და არასრული საშუალო სკოლა, სამი ათასი დაწყებითი სკოლა, სწავლა მიმდინარეობს ბირმულ ენაზე, პროვინციებში — ადგილობრივ ენებზე, ყველა საფეხურზე სწავლება უფასოა. უკანასკნელი შვიდი წლის განმავლობაში შექმნილია 28 ათასი ცენტრი წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვი-

დაციისათვის. ბოლო წლებში განსაკუთრებული ყურადღება ექცევა იდეოლოგიურ აღზრდასა და ტექნიკური კადრების მომზადებას. თანამედროვე ბირმაში ბევრი უმაღლესი სასწავლებელი და სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტია. არის ორი უნივერსიტეტი (რანგუნსა და მანდალაიში), სამი სამედიცინო ინსტიტუტი და ორი სამედიცინო კოლეჯი (აქ ამზადებენ კბილის ექიმებს), უცხო ენათა, ეკონომიკის, ტექნოლოგიური (აშენდა საბჭოთა კავშირის დახმარებით), სასოფლო-სამეურნეო, მეცხოველეობისა და ვეტერინარიის, პედაგოგიური ინსტიტუტები; სამასწავლებლო კოლეჯები, ეროვნული მუზეუმი, სამხატვრო გალერეა, გამოდის 10 ყოველდღიური და კვირეული გაზეთი, აქვს საკუთარი საინფორმაციო სააგენტო, რადიომაუწყებლობა და ტელევიზია.

სახელმწიფო წყობილება. 1974 წლის კონსტიტუციის მიხედვით, ბირმის კავშირი სოციალისტური რესპუბლიკაა. სახელმწიფოს უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოა ერთპალატიანი სახალხო კრება და მათ მიერ არჩეული რევოლუციური საბჭო, რომლის თავმჯდომარე ერთდროულად ითვლება მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარედ, თავდაცვის მინისტრად და შეიარაღებული ძალების გენერალური ჯარების უფროსად. შემსრულებელი ორგანოა მინისტრთა საბჭო. ბირმის მთელი ხელმძღვანელი აპარატი შედგება შეიარაღებული ძალების უფროსი ოფიცრებისაგან.

პოლიტიკური პარტიები. ბირმაში არის ერთადერთი მმართველი პარტია ბირმის სოციალისტური პროგრამის პარტია (1962 წ.), რომლის პოლიტიკური დეკლარაციის აზრია — „ბირმული გზა სოციალიზმისაკენ". პარტიის წესდების მიხედვით იგი წარმოადგენს მშრომელთა პარტიასა და „რევოლუციის ნამდვილ ბელადს". ექსპლოატატორულ ელემენტებს პარტიაში არ ღებულობენ. ბირმაში არის აგრეთვე სახალხო მუშათა საბჭოები, სახალხო გლეხთა საბჭოები. არალეგალურად მოქმედებენ: ეროვნულ-დემოკრატიული გაერთიანებული ფრონტი, ეროვნულ-განმათავისუფლებელი ფრონტი, ბირმის კომუნისტური პარტია და სხვ.

ბრუნეი

დიდი ბრიტანეთის პროტექტორატი სასულთნო ბრუნეი მდებარეობს სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში და უკავია კუნძულ კალიმანტანის ჩრდილო-დასავლეთი ნაწილი. ფართობი — 5.800 კვ. კმ, მოსახლეობა დაახლოებით — 147 ათასი კაცი (1975). მცხოვრებთა უმეტესობას შეადგენენ მალაელები (54%), არიან აგრეთვე ჩინელები (26%), ინდოელები, ინგლისელები, ადგილობრივი მცხოვრებნი (ტომები — დაიაკები, კედაიანი, დუსუნი, მელანო და სხვ.). ადმინისტრაციული ცენტრია ქალაქი-ნავსადგური **ბანდარ-სერი-ბეგავანი** (ყოფ. ბრუნეი, 75,7 ათასი მცხოვრებით). ადმინისტრაციულად იყოფა ოთხ ოკრუგად, ოფიციალური ენა — ინგლისური და მალაური, გაბატონებული რელიგია — მუსლიმანური და ბუდისტური, არიან ქრისტიანებიც. მოსახლეობის საშუალო სიმჭიდროვე ძალზე დაბალია და ერთ კვ. კმ-ზე 35 კაცი მოდის.

ისტორია 1432 წლიდან ბრუნეი სასულთნოა, მაგრამ 1888 წელს ინგლისელებმა მას ჩამოაშორეს მისი კუთვნილი ტერიტორიები სარავაკი და საბაჰი და თავის პროტექტორატად გამოაცხადეს. მას შემდეგ ბრუნეის მართავს ინგლისის უზენაესი კომისარი. 1941-45 წლებში იგი ოკუპირებულ იქნა იაპონელების მიერ, 1959 წლიდან მიიღო კონსტიტუცია, რომლის თანახმად ბრუნეიში ძალაუფლება ეკუთვნის სულთანს. კანონმდებელია საკანონმდებლო საბჭო, შემსრულებელია სულთნის მიერ დანიშნული პრემიერ-მინისტრი და მინისტრთა საბჭო.

ბუნებრივი პირობები. ბრუნეის რელიეფი მოსწორებულია. ზღვის სანაპიროს მიუყვება ვრცელი, მჭიდროდ დასახლებული და ათვისებული დაბლობი. კლიმატი ეკვატორული, ჰაერის ტემპერატურა მთელი წლის განმავლობაში 26° აღწევს, ნალექების საშუალო წლიური რაოდენობა 2000-დან 4000 მმ-მდე მერყეობს. მთელი ტერიტორიის 3/4 დაფარულია მარადმწვანე ტროპიკული ტყეებით, თითქმის 1/5 უჭირავს ჭაობებსა და ბუჩქნარებს. ტყე მდიდარია ძვირფასი ჯიშის ხეებით, განსაკუთრებით კაუჩუკოსნებით.

მეურნეობა. ბრუნეის მთავარი სიმდიდრეა ნავთობი და ბუნებრივი გაზი, რომელთა მოპოვებაც მთლიანად ინგლისელ მონოპოლისტთა ხელშია (წლიურად 10 მლნ ტ ნავთობი, 3,1 მლრდ $მ^3$ ბუნებრივი გაზი). 1973 წელს დამთავრდა მთელს კაპიტალისტურ სამყაროში ერთ-ერთი უდიდესი გაზის გასათხევადებელი საწარმო.

დიდი მნიშვნელობა აქვს კაუჩუკის დამზადებას (წლიურად 430-450 ათასი ტ). ადგილობრივი მოხმარებისათვის თესავენ ბრინჯსა და საგოს. დამუშავებითი მრეწველობა წარმოდგენილია ხე-ტყისა და კვების წვრილი საწარმოებით. მეცხოველეობა სუსტად არის განვითარებული. გარკვეული მნიშვნელობა აქვს მეთევზეობას. ექსპორტის მთავარი საგნებია: ნავთობი, პილპილი (მასზე მოდის ექსპორტის ღირებულების 95%-მდე); შეაქვს: მედიკამენტები, საშენი მასალა, ლითონის ნაკეთობანი. საგარეო ვაჭრობაში მთავარი პარტნიორები არიან: ინგლისი, სინგაპური, იაპონია და ამერიკის შეერთებული შტატები.

მიმოსვლის მთავარი საშუალებაა სამდინარო და საჰაერო ტრანსპორტი, ავტოგზების სიგრძე დაახლოებით 600 კმ-ია, არის ვიწროლიანდაგიანი რკინიგზა (13 კმ), საგარეო ვაჭრობას ინგლისის საჰაერო ფლოტი ემსახურება. ბრუნეიში არის ორი ნავსადგური. ფულის ერთეულია დოლარი.

განათლება. პირველი სკოლა ბრუნეიში გაიხსნა 1914 წელს. მას შემდეგ დაწყებითი და საშუალო სკოლების რაოდენობამ 140-ს მიაღწია. სწავლება ხდება მალაურ, ინგლისურსა და ჩინურ ენებზე. შექმნილია ბრუნეის ენისა და ლიტერატურის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი. უმაღლესი სასწავლებელი არ არის, გახსნილია საჰაერო-ტექნიკური სკოლა და პედაგოგიური სასწავლებელი, არის ეროვნული მუზეუმი, გამოდის ერთი ყოველდღიური და ერთი კვირეული გაზეთი, კვირეული ბიულეტენი ინგლისურ ენაზე, აქვს საკუთარი რადიომაუწყებლობა.

პოლიტიკური პარტიები. ბრუნეიში არის ერთადერთი პარტია — ბ რ უ ნ ე ი ს ხ ა ლ ხ ი ს დ ა მ ო უ კ ი დ ე ბ ლ ო ბ ი ს ფ რ ო ნ ტ ი (1961), რომელიც აერთიანებს ყველა დანარჩენ წვრილ პარტიას და მოითხოვს ბრუნეის სრულ დამოუკიდებლობას.

ბუტანი*

სახელმწიფო ბუტანი (სწორია ბჰუტანი) მდებარეობს ძნელადმისასვლელ აღმოსავლეთ ჰიმალაიში. იგი ტიპური მაღალმთიანი ქვეყანაა. ფართობი — 47 ათასი კვ. კმ გაერთიანებული ერე-

* ბუტანის სახელწოდებაა დრუკ-იული, რაც „მეხის დრაკონთა ქვეყანას" ნიშნავს.

ბის ორგანიზაციის ცნობით — 47 ათასი კვ. კმ), მოსახლეობა დაახლოებით — 1,3 მლნ კაცი (1974). რადგან ბუტანში მოსახლეობის აღწერა არასოდეს არ ყოფილა, რაოდენობასაც ძალზე მიახლოებით ანგარიშობენ. დედაქალაქია **თჰიმპჰუ** (15 ათასი მცხოვრებით), საზაფხულო რეზიდენცია — ქალაქი **ტრაშჩოძონგი**. ყველაზე დიდ ქალაქად და მეფის მუდმივ რეზიდენციად ითვლება **პუნაკჰა** (30 ათასი მცხოვრებით). მნიშვნელოვანი ქალაქებია აგრეთვე პარო და ფხუნჩხოლინგი. ძირითად მასას შეადგენს მონგოლოიდურ-ტიბეტური ტომი ბჰოტია (ან ტეპჰიუ), აღმოსავლეთით ცხოვრობენ ჩინები, ლონაკპო და ტიბეტელთა სხვა მონათესავე ტომები. საშუალო სიმჭიდროვე დაბალია და 1 კვ კმ-ზე 23-24 კაცს არ აღემატება. მოსახლეობა ძირითადად თავმოყრილია სამხრეთ ვაკე-ადგილებში. ჩრდილო მთიანი ნაწილი სუსტად არის დასახლებული. ადმინისტრაციულად იყოფა 8 ძონგად (პროვინცია), ოფიციალური ენა — ტიბეტური. ტიბეტში აუცილებელია ორი ენის ცოდნა: ეს არის ოფიციალური ენა ძონკჰა და რელიგიური ჩონკჰა. გაბატონებული რელიგია — ბუდიზმი (ლამაისტური მიმართულება).

ისტორია. IX საუკუნიდან ბუტანი ტიბეტის ვასალი იყო, ხოლო XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან ინგლისის გავლენის ქვეშ მოექცა. 1946 წლიდან ინდოეთის პროტექტორატს წარმოადგენდა. ამჟამად დამოუკიდებელი სახელმწიფოა, თუმცა ინდოეთის მთავრობა კონტროლს უწევს საგარეო პოლიტიკის საკითხებში, შინაგან საქმეებში არ ერევა. ბუტანის დედაქალაქში მუდმივად არის ინდოეთის მთავრობის პოლიტიკური წარმომადგენელი. 1949 წელს ინდოეთსა და ბუტანს შორის დაიდო „ხელშეკრულება მარადი მეგობრობის“ შესახებ. ბუტანი არის გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრი. სსრ კავშირთან დიპლომატიური ურთიერთობა დაამყარა 1971 წლის 21 სექტემბერს.

ბუნებრივი პირობები. ბუტანი მაღალმთიანი ქვეყანაა ლრმა ხეობებითა და გიგანტური ქედებით. მდებარეობს ჰიმალაის ქედზე და მთელი ტერიტორიის ნახევარზე მეტი 3 ათას მეტრს აღემატება ზღვის დონიდან. უმაღლესი მწვერვალია მთა ჯომოლჰარი (7314 მ). კლიმატი ტიპური მთიანი, ტროპიკული, მუსონურია, მეტისმეტად ნოტიო ზემო სარტყელში და საკმაოდ ცივი ქვემო სარტყელში. ნალექების საშუალო წლიური რაოდენობა 3-4 ათას მმ აღწევს, იანვრის საშუალო ტემპერატურა — 27-28°. ზამთარი ჩვენი გაგებით არ იცის. იანვარში თერმომეტრი 16-18° სითბოს უჩვენებს. არის

სწრაფი, ჭორომიან-ჩანჩქერიანი მდინარეები. მთავარია სანკოში და მანასი. მუსონური და ტროპიკული კლიმატის გავლენის გამო სხვა ქვეყნებთან შედარებით ბუტანში გაცილებით მაღალია მოსახლეობის განსახლება და კულტურულ მცენარეთა ვერტიკალური გავრცელება. ტყეების გავრცელების სიმაღლე 3500 მეტრს აღწევს — დაწყებული ტროპიკული მარადმწვანე მცენარეულიდან ქვემო სარტყელში და დამთავრებული წიწვიანებით ზემო სარტყელში. ტყის ზონის ზევით შესანიშნავი ალპური საძოვრებია, რომელიც უფრო ზევით ნივალურ ზონაში გადადის. ტყეები ცნობილია საუკეთესო ჯიშის ხეებით, მათ შორის ლაქის, მუსკუსის, ცვილისა და სხვ. მდიდარია ცხოველთა სამყარო. საკმაოდაა შემორჩენილი მარტორქა, გარეული კატა, ვეფხვი, დათვი, ლეოპარდი, პანტერა, გარეული ღორი, მაიმუნი. მრავალფეროვანი ქვეწარმავალი და ფრთოსანი.

მეურნეობა. ბუტანი ძალზე ჩამორჩენილი აგრარული ქვეყანაა, ძლიერი ნატურალური და ფეოდალური გადმონაშთებით. სრულდება მესამე ხუთწლიანი გეგმა (1971-72—1975-76). მას ფინანსურ დახმარებას უწევს გაერთიანებული ერების ორგანიზაცია, ინდოეთი აძლევს გრძელვადიან სესხს. ხეობებში მოჰყავთ: ბრინჯი, ქერი, ხორბალი, კარტოფილი, სიმინდი, სამხრეთით ბამბა. მიწათმოქმედება უპირატესად ტერასებზეა განვითარებული, თუმცა დამუშავებული ოკრთობი მთელი ტერიტორიის 6% არ აღემატება. სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში დიდი მნიშვნელობა აქვს ტროპიკულ მეხილეობას, განსაკუთრებით მანგოსა და ციტრუსოვანებს. მთავარი სასოფლო-სამეურნეო კულტურაა ბრინჯი, რომელიც 2500 მ სიმაღლემდე ვრცელდება.

საძოვრების სიუხვე ხელს უწყობს მეცხოველეობის განვითარებას. აშენებენ: ცხვარს, თხას, ცხენს (მათ შორის პონის), ღორს, იაკს, დიდი მნიშვნელობა აქვს მერქნის დამზადებასა და გატანას. განვითარებულია შინახელოსნობა, განსაკუთრებით ხეზე ჭრა, ვერცხლისა და ოქრომჭედლობა, ცივი იარაღის დამზადება. ინდოეთის დახმარებით დედაქალაქში მდინარე ჯალდაკზე აშენდა პირველი ჰიდროელექტროსადგური (სიმძლავრე 18 ათასი კვტ), ტჰიმპჰუში მცირე რაოდენობით ხდება ქვანახშირის მოპოვება (წლიურად 30-35 ათასი ტ), არის ხილის წვენების, ხილ-კონსერვების, ასანთის, ცემენტისა და ხე-ტყის სახერხი წვრილი საწარმოები. ბუტანის წიაღი დღემდე შეუსწავლელია, აღმოჩენილია სპილენძის, გრაფიტისა და

ჭარსის დიდი საბადოები. თუმცა მათი დამუშავება არ ხდება. შემოსავლის მნიშვნელოვანი წყაროა საფოსტო მარკების გაყიდვა, რომელიც მცირე ზომის გრამფირფიტას წარმოადგენს და ყოველწლიურად დაახლოებით 100 ათასი დოლარის მოგებას იძლევა (ე. წ. მარკა — ბარელიეფი, მარკა — ფოლგა).

ტრანსპორტის ძირითადი საშუალებაა იაკი (მაღალ ზონებში), ცხენი. ბილიკები გადის მხოლოდ ხეობებში. უკანასკნელ წლებში ააშენეს ავტოგზები, რომლის სიგრძე 1300 კმ უდრის და რეგულარული კავშირი აქვს ინდოეთთან. ქალაქ პაროში და ტჰიმპჰუში არის აეროდრომები. ბუტანი ვაჭრობას ძირითადად ჩინეთთან და ინდოეთთან ეწევა. გააქვს: ბრინჯი, ხორბალი, ხილი, პირუტყვი, ცვილი, მერქანი, სპილოს ძვალი, საფოსტო მარკები; შეაქვს: სამრეწველო საქონელი. საქონელბრუნვა ძირითადად ქალაქების ბაზრობაზე (დარჯილინგი, ჯალპაიტური, დარანგი) ხდება. ფულის ერთეულია ტიკჩუნგი (ხმარებაშია ინდური რუპიაც).

განათლება. წერა-კითხვის უცოდინართა რაოდენობა ძალზე მაღალია (90%-მდე), ბუტანში ითვლება 110 სახელმწიფო დაწყებითი და საშუალო სკოლა. დაწყებითი სწავლება უფასოა. სწავლება მიმდინარეობს ბჰუტიას, ჰინდი და ინგლისურ ენებზე, არის მონასტრებთან არსებული სკოლები, მასწავლებლებს ინდოეთიდან იწვევენ. გამოდის ერთი ორკვირეული გაზეთი სამ ენაზე, აქვს საკუთარი რადიომაუწყებლობა, კეთილშობილი ხელოვნების ინსტიტუტი ტჰიმპჰუში.

სახელმწიფო წყობილება. ბუტანი კონსტიტუციური მონარქიაა. სახელმწიფოს მეთაურია მეფე, მასთან არის საბჭო 8 კაცის შემადგენლობით (სათათბირო ფუნქციით). საკანონმდებლო ორგანოა პარლამენტი. 1969 წელს ბუტანის კონსტიტუციაში შეტანილ იქნა შემდეგი შესწორება: პარლამენტი 3 წელიწადში ერთხელ დახურული კენჭისყრით წყვეტს საკითხს მეფის პერსონალური ნდობის შესახებ. თუ მეფემ არ მიიღო ხმების 2/3-ზე მეტი, მაშინ ის უნდა გადადგეს და ტახტი დაუთმოს უახლოეს მემკვიდრეს. შემსრულებელი ორგანოა მინისტრთა საბჭო.

პოლიტიკური პარტიებისა და პროფკავშირული ორგანოების საქმიანობა ბუტანში აკრძალულია.

ერაყი

ერაყის რესპუბლიკას ცენტრალური ადგილი უჭირავს ახლო და შუა აღმოსავლეთის ქვეყნებს შორის. მისი დიდი ნაწილი მდებარეობს ტიგროსისა და ევფრატის შუამდინარეთში (მესოპოტამია). ჩრდილოეთით ესაზღვრება თურქეთი, დასავლეთით — სირია და იორდანია, აღმოსავლეთით — ირანი, სამხრეთით — საუდის არაბეთი და კუვეიტი. იგი ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ ვრცელდება თითქმის 1000 კმ-ზე, ხოლო დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ 700 კმ-ზე. უკიდურეს სამხრეთ-აღმოსავლეთით უშუალო გასასვლელი აქვს ინდოეთის ოკეანეში სპარსეთის უბის სახით (50 კმ მანძილზე). ფართობი — 439.000 კვ. კმ (ზოგიერთი ცნობით 432.900 კვ. კმ ან 444.440 კვ. კმ). მასვე მიეკუთვნება ერაყსა და საუდის არაბეთს შორის მდებარე ნეიტრალური ზონის ნაწილი. ფართობი — 3500 კვ. კმ, მოსახლეობა — 10,4 მლნ კაცი (1975). მოსახლეობის სრული აღწერა ერაყში არასოდეს ჩაუტარებიათ. ამიტომ მოსახლეობის რაოდენობა მიახლოებითია. მოსახლეობის 3/4-ს არაბები შეადგენენ, 1/5-ს ქურთები (ჩრდილოეთითა და ჩრდილო-აღმოსავლეთით სასაზღვრო ტერიტორიას ერაყის ქურთისტანი ეწოდება). არიან აგრეთვე თურქები, თურქმენები, აისორები, სომხები, ბევრია მოხეტიალე არაბთა ტომი. დედაქალაქია ბაღდადი (2,8 მლნ მცხოვრებით). ყველაზე დიდი სამრეწველო და კულტურული ცენტრი ბაღდადი ძველსპარსულად ნიშნავს „ღვთის მოცემულს“. იგი დაარსდა 762 წელს, იყო ბაღდადის ხალიფატის დედაქალაქი. დამახასიათებელია მოსახლეობის სიჭარბე სოფლად. ქალაქად ცხოვრობს მოსახლეობის მხოლოდ 1/3. დედაქალაქს გარდა დიდი ქალაქებია: ნავსადგური ბასრა (0,5 მლნ მცხოვრებით) ძველად ცნობილი იყო თავის მაღალხარისხოვანი ფოლადისა და საომარი იარაღის დამზადებით. ნავთობმოპოვების ცენტრები კირკუკი, მოსული (აქედანაა ნაწარმოები ქსოვილი მუსლინის სახელწოდება), ნეჯეფი, ქერბელა (მუსლიმანური რელიგიის მესამე ცენტრი მექასა და მედინას შემდეგ, ქერბელაში დაკრძალულია ცნობილი პოეტი ფიზული). ადმინისტრაციულად იყოფა 16 ლივად, 1974 წლის 11 მარტს მიღებულ იქნა კანონი ქურთისტანის ავტონომიის შესახებ, ოფიციალური ენა — არაბული და ქურთული (ქურთისტანისათვის), გაბატონებული რელიგია—მუსლიმანური (უმთავრესად შიი, მერე, სუნი, არიან აგრეთვე ქრისტიანები და იუდეველები). სსრ კავშირთან დიპლომატიური

ურთიერთობა დაამყარა 1944 წლის 9 სექტემბერს, ეროვნული დღესასწაული — რესპუბლიკის გამოცხადების დღე—14 ივლისი (1948).

ისტორია. ერაყი მსოფლიოს ცივილიზაციის ერთ-ერთი უძველესი კერაა. ერაყის ტერიტორიაზე ერთმანეთს ცვლიდნენ შუმერთა, აქადიელთა და ბაბილონთა სამეფოები. VI საუკუნეში ჩვენს წელთაღრიცხვამდე იგი ჯერ აქემენიდთა, შემდეგ კი სელევკიდების, პართიელებისა და სასანიდების მთავარი სავაჭრო რაიონი იყო. VII საუკუნეში ერაყის ტერიტორიას არაბები იპყრობენ და ბაღდადი არაბთა ხალიფატის, ფაქტიურად მთელი მუსლიმანური სამყაროს პოლიტიკური და კულტურული ცენტრი ხდება. XI საუკუნეში ერაყის ტერიტორია სელჯუკებმა დაიპყრეს, XIII საუკუნეში — მონგოლებმა, XV საუკუნეში — თემურ-ლენგმა, XVI საუკუნეში თურქებმა და თითქმის პირველ მსოფლიო ომამდე მის სამფლობელოს წარმოადგენდა. 1914 წელს მთელი ერაყი ინგლისმა დაიპყრო და მესამედი საუკუნის განმავლობაში მის სამფლობელოს წარმოადგენდა. ჩვენმა თანამემამულემ რაფიელ დანიბეგაშვილმა ინდოეთსა და აზიის ქვეყნებში მგზავრობისას მოიარა ერაყი, იყო მოსულში (ძვ. ნინევია), ბაღდადში (ძვ. ბაბილონი), ბასრაში (ძვ. ქარიოულად ბასორა), ნახა მდინარე შატ-ელ-არაბი. 1972 წელს ხელმოწერილ იქნა ხელშეკრულება ერაყსა და სსრ კავშირს შორის მეგობრობისა და ურთიერთთანამშრომლობის შესახებ.

ბუნებრივი პირობები. ერაყის ტერიტორიის უმეტესი ნაწილი დაბლობია, განსაკუთრებით მდინარე ტიგროსსა და ევფრატს შუა მდებარე ტერიტორია. ჩრდილო-აღმოსავლეთით ბუნებრივ საზღვარს წარმოადგენს ქურთისტანის ქედი (უმაღლესი მწვერვალით ბოზდაღი, 3612 მ), რომელიც აღმოსავლეთით ირანის მთიანეთში გადადის, ჩრდილოეთითა და დასავლეთით ეკვრის სირია-არაბეთის ზეგანი, ბევრია უადი. ცენტრალური ნაწილი ხასიათდება სუბტროპიკული კლიმატით, ზაფხული ცხელი და მშრალია, ზამთარი — რბილი, თბილი და ნოტიო. ჩრდილოეთით ყველაზე ცივი თვის (იანვრის) საშუალო ტემპერატურა უდრის 5°, ყველაზე ცხელი თვის (ივლისის) — 33°. ზოგჯერ, განსაკუთრებით მთიან ზონაში, ზამთრობით ტემპერატურა მინუს 10-15°-მდე ეცემა.

სამხრეთი ნაწილი ხასიათდება ტროპიკული კლიმატით. თითქმის მთელი წლის განმავლობაში ქრის ჩრდილო და ჩრდილო-დასავლეთური მშრალი ქარები, ამიტომ სწორედ ჩრდილოეთით მოდის მეტი ნალექი — 500 მმ-მდე, ხოლო სამხრეთით ნალექების რაოდენო-

ბა თანდათანობით მცირდება და 100 მმ-მდე ეცემა. ყველაზე მშრალ ადგილად მესოპოტამიის ჩრდილო-აღმოსავლეთი ნაწილი ითვლება. დიდი მდინარეებია ტიგროსი და ევფრატი, რომლებიც ქვემო ნაწილში ერთიანდებიან, მდინარე შატ-ელ-არაბის სახელწოდებით ჩაედინება სპარსეთის უბეში. მესოპოტამიის ქვემო წელი მეტად დაჭაობებულია, მდინარეებმა იცის ადიდება, რითაც დიდი ზიანი მოაქვთ მოსახლეობისათვის. ბევრია ჭაობი და წვრილი ტბა. ერაყის ტერიტორიაზე ტყე თითქმის მთლიანად გაჩეხილია და ძირითადად წარმოდგენილია ნახევრად უდაბნოს ტიპის მცენარეულობით ან კულტურული ლანდშაფტით დაბლობ ზონაში.

მეურნეობა. ერაყის მეურნეობა ძალზე ჩამორჩენილია. მისი განვითარება შედარებით სწრაფი ტემპით იწყება 1958 წლიდან — რევოლუციის შემდეგ. ამ პერიოდიდან დაწყებული ერაყში ნაციონალიზებულ იქნა ნავთობმოპოვების რაიონები და ბანკები, ჩატარდა აგრარული რეფორმა, შემუშავდა სახალხო მეურნეობის განვითარების ხუთწლიანი გეგმები. სოციალისტური ქვეყნების დახმარებით შეიქმნა მეურნეობის ახალი დარგები — ელექტროტექნიკური, საფეიქრო, მანქანათმშენებლობის, ქიმიური, ფარმაცევტული. ძსხვილ მიწათმფლობელებს ჩამოერთვათ მიწები და თითოეულ ოჯახზე დაწესებულ იქნა მიწათსარგებლობის ნორმები 10-15 ჰექტარი სარწყავი და 250 ჰექტარამდე ურწყავი მიწა. შეიქმნა სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივები, მანქანების გამქირავებელი სადგურები.

სოფლის მეურნეობის საფუძველია მიწათმოქმედება. მთავარი სამიწათმოქმედო რაიონია ტიგროსისა და ევფრატის ხეობა. ჩრდილოეთით დიდი ფართობები უკავია მარცვლეულს (ხორბალს, ქერს, განსაკუთრებით ბრინჯს), მაგრამ საკუთარი მარცვლეული არ ყოფნის და შეაქვს. ასევე დიდი ფართობები უკავია ფინიკის პალმას. აღნიშნული კულტურა მეტად დამახასიათებელი და სპეციფიკურია ერაყისათვის. ერაყში დაახლოებით 30 მლნ ცალი პალმის ხეა და ამ მონაცემით იგი პირველ ადგილზეა მსოფლიოში. ამას გარდა, ერაყს წლიურად საშუალოდ გააქვს 400 ათასი ტონა ფინიკის ნაყოფი, ხოლო მოსავალი შეადგენს 0,5 მლნ ტონას, ანუ ფინიკის მსოფლიო ექსპორტის თითქმის 4/5-ს. მეცხოველეობა უპირატესად მომთაბარეა, უმეტესად განვითარებულია მეცხვარეობა, თხის მოშენება. გავრცელებულია ცხენი, სახედარი, აქლემი. შექმნილია სამკურნალო მცენარეების მწარმოებელი სპეციალიზებული მეურნეობები და

ფერმები. სსრ კავშირის დახმარებით აშენდა სარწყავი არხი ტარ-ტარი-ევფრატი.

მრეწველობა ჯერ კიდევ ჩანასახ მდგომარეობაშია, მაგრამ სწრაფი ტემპით ვითარდება. ჯერჯერობით წამყვანია სამთომოპოვებითი მრეწველობა, კერძოდ, ნავთობმოპოვება. ერაყი მსოფლიოში ერთ-ერთ უდიდეს ქვეყნად ითვლება ნავთობის მარაგით (5,3 მლრდ ტ), წლიური მოპოვება 95-100 მლნ ტ შეადგენს. წლიურად საშუალოდ გააქვს 80-85 მლნ ტ ნავთობი. ნავთობის მთავარი საბადოებია კირკუკის რაიონი, რომელიც იძლევა მთელი ნავთობმოპოვების თითქმის 3/4-ს და რუმელია. ერაყში არის შვიდი ნავთობგადასამუშავებელი ქარხანა, 9-10 მლნ ტ სიმძლავრით თითოეული (ბაღდადი, კირკუკი, ჯაიარე, ალვანდე, ბასრა, რუმელია). განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ნავთობსადენ მილებს, აღსანიშნავია კირკუკი-ტრიპოლი (ლიბანისაკენ), კირკუკი-ჰაიფა (ისრაელისაკენ), კირკუკი-ბანიასი (სირიისაკენ). სამხრეთით სპარსეთის უბეში გაშენებულია ნავსადგური ფაო, სადაც ნავთობმილებით შემოდის და გადის ნავთობი. მრეწველობის დანარჩენი დარგებიდან ადგილობრივი მნიშვნელობა აქვს ცემენტის წარმოებას, სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობას (ისკანდერი), ანტიბიოტიკებისა და ფარმაცევტული პრეპარატების (სამარა), საკონსერვო (ბაღდადი, ქერბელა), საფეიქრო, ელექტროტექნიკურ, ელექტროლამპების, ქიმიურ, შაქრისა და სხვა საწარმოებს, რომელთა მნიშვნელობაც ერაყის ფარგლებს ჯერჯერობით არ სცილდება. ხდება გოგირდის (ელ-მიშრაკი, მარაგი 340 მლნ ტ), ფოსფორიტებისა და მარილის მოპოვება. დიდი მნიშვნელობა აქვს შინახელოსნობას. სსრ კავშირის დახმარებით ბაღდადში აშენდა ატომური რეაქტორი, აგრეთვე ოცდაათამდე მსხვილი სამრეწველო საწარმო, რომლებიც უკვე პროდუქციას იძლევიან.

ტრანსპორტი და საგარეო კავშირურთიერთობანი. ტრანსპორტის მთავარი სახეობაა ავტომობილი (გზების სიგრძე 11 ათასი კმ). რკინიგზების სიგრძე უდრის 2530 კმ. სსრ კავშირის დახმარებით აშენდა რკინიგზის ახალი ხაზი ბაღდადი — ბასრა (545 კმ). ნავთობისა და სხვა სახის ტვირთის გადასაზიდად დიდი მნიშვნელობა აქვს ტიგროსსა და ევფრატს. საზღვაო ვაჭრობას ძირითადად უცხოეთის ფლოტი აწარმოებს. მთავარი ნავსადგურებია ბასრა და ფაო. ბასრასთან შენდება ახალი ნავსადგური უმ-კასრი. დიდ როლს თამაშობს ნავთობსადენი მილები (საერთო სიგრძე 2500 კმ). ბაღდადსა და ბასრაში არის საერთაშორისო აეროპორტები.

ერაყიდან გააქვთ: ნავთობი და ნავთობპროდუქტები, ტყავი, საშენი მასალა, ფინიკი; შეაქვს: სურსათი, მანქანა-მოწყობილობანი, ქაღალდი, საფეიქრო ნაწარმი, ხე-ტყე. საგარეო ვაჭრობაში მთავარი პარტნიორები არიან: ეგვიპტის არაბთა რესპუბლიკა, სირია, იორდანია, ბელგია, სსრ კავშირი. ნავთობი ძირითადად გადის გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკასა, იტალიასა, საბერძნეთსა, საფრანგეთსა, ნიდერლანდსა, ბრაზილიასა და თურქეთში. სულ უფრო ძლიერდება და ფართოვდება ვაჭრობა სოციალისტურ ქვეყნებთან. ფულის ერთეული ერაყის დინარი.

განათლება. ერაყში ითვლება 2 ათასზე მეტი დაწყებითი და საშუალო სკოლა, არსებობს დეკრეტი 14 წლამდე ასაკის ბავშვთა საყოველთაო სწავლების შესახებ. არის 10 პედაგოგიური კოლეჯი (ამზადებენ მასწავლებლებს საშუალო სკოლებისათვის), უმაღლესი სასწავლებლები ბაღდადსა, ბასრასა, ალ-ეჰიკმასსა და სულიემანიეში, ქურთების უნივერსიტეტი. ბევრი ერაყელი უმაღლესი განათლების მისაღებად სსრ კავშირში მოემგზავრება. არის აგრეთვე ნაციონალური ბიბლიოთეკა და მუზეუმი ბაღდადში, საჯარო ბიბლიოთეკა — მოსულში, დიდი ბიბლიოთეკა (არაბული სიძველეებით), ეთნოგრაფიის, ბუნებისმეტყველების, ბაბილონის სპეციალური მუზეუმები. (ეს უკანასკნელი შეიქმნა 1949 წელს ძველი ბაბილონის ნანგრევებზე), ერაყის მეცნიერებათა აკადემია, მათ შორის ქურთების მეცნიერებათა აკადემია. გამოდის 15 ყოველდღიური და კვირეული გაზეთი, აქვს საინფორმაციო სააგენტო, რადიომაუწყებლობა და ტელევიზია.

სახელმწიფო წყობილება. 1970 წლის კონსტიტუციის მიხედვით ერაყი სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკაა. სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ორგანოა რევოლუციური სარდლობის საბჭო. სახელმწიფოს მეთაურია პრეზიდენტი, რომელიც ერთდროულად ითვლება საბჭოს თავმჯდომარედ და შეიარაღებული ძალების უმაღლეს მთავარსარდლად.

პოლიტიკური პარტიები. მმართველია არაბული სოციალისტური აღორძინების პარტია (ბაასი, 1954 წლიდან), საერთო-არაბული ბაასის ერაყის სექცია; იგი თავის რიგებში აერთიანებს ცალკეულ წვრილბურჟუაზიულ დაჯგუფებებს, რომლებიც ეწევიან ბრძოლას იმპერიალიზმისა და რეაქციის წინააღმდეგ, ერაყის ეროვნული განთავისუფლებისათვის. 1973 წლის ივლისში ერაყის კომუნისტურსა და ბაასის პარტიებს შორის

ხელმოწერილ იქნა შეთანხმება ურთიერთთანამშრომლობის პრინციპების შესახებ პროგრესული ეროვნულ-პატრიოტული ფრონტის ფარგლებში; ქურთისტანის დემოკრატიული პარტია (1946) იბრძვის ქურთი ხალხის ეროვნული უფლებების მოსაპოვებლად; წვრილბურჟუაზიული ტიპის არაბთა სოციალისტური მოძრაობის პარტია, ერაყის კომუნისტური პარტია (1934), რომელიც აქტიურად მონაწილეობს ქვეყნის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში.

ვიეტნამის სოციალისტური რესპუბლიკა

ვიეტნამი მდებარეობს ინდოჩინეთის ნახევარკუნძულზე, სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში. იგი სანაპიროზე მერიდიანულადაა წაგრძელებული 1780 კმ-ზე. ჩრდილოეთით უსაზღვრება ჩინეთი; დასავლეთით — ლაოსი და კამბოჯა, ხოლო აღმოსავლეთითა და სამხრეთით აკრავს სამხრეთ ჩინეთის ზღვა. მასვე ეკუთვნის სანაპიროზე მდებარე რიგი წვრილი კუნძულები. ფართობი — 332.600 კვ. კმ, მოსახლეობა — დაახლოებით 50 მლნ კაცი (1976). ძირითად მასას შეადგენენ ვიეტნამელები (88%) და მათთან ახლო მდგომი ტომები: მოინგი, ზარაი, ტაი, თხაი, თხო, ნუნგი, ნეო, მანი, აგრეთვე ჩინელები, ' კჰმერი. ოფიციალური ენა — ვიეტნამური, გაბატონებული რელიგია — ბუდიზმი, ' რომელიც მჭიდროდაა შერწყმული დაოსიზმთან და კონფუცის მოძღვრებასთან. არიან ქრისტიანები (ძირითადად კათოლიკები), მუსლიმანები, მთიან რაიონებში შემორჩენილია ადგილობრივი ტრადიციული რწმენა.

ისტორია. XIX საუკუნის II ნახევრიდან 1945 წლამდე ვიეტნამის ტერიტორია საფრანგეთის ინდოჩინეთის კოლონიის ნაწილს შეადგენდა. ეროვნული სახალხო-დემოკრატიული რევოლუციის გამარჯვების შედეგად 1945 წლის 2 სექტემბერს სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში იგი პირველ სახალხო-დემოკრატიულ რესპუბლიკად — ვიეტნამის დემოკრატიულ რესპუბლიკად გამოცხადდა. 1946-1954 წწ. ფრანგმა კოლონიზატორებმა ახალი რესპუბლიკის ხელახალი დაპყრობა სცადეს, მაგრამ ვიეტნამელმა ხალხმა იარაღით ხელში დაიცვა რევოლუციის მონაპოვარი. 1954 წელს ჟენევის შეთანხმების შედეგად გატარებულ იქნა დროებითი სადემარკაციო ხაზი მე-17 პა-

რალელზე, მდ. ბენჰაიზე. 1955 წელს ამერიკელ იმპერიალისტთა მხარდაჭერით შეიქმნა სამხრეთ ვიეტნამის სახელმწიფო, რომლის ნაწილიც სამხრეთ ვიეტნამის განთავისუფლების ეროვნული ფრონტის კონტროლის ქვეშ მოექცა. 1969 წლის ივნისში შეიქმნა სამხრეთ ვიეტნამის რესპუბლიკის დროებითი რევოლუციური მთავრობა.

1961 წლიდან დაწყებული ამერიკის შეერთებული შტატები თანამიმდევრობით ანხორციელებდა „ვიეტნამიზაციის" პოლიტიკას. ამერიკელებმა სამხრეთ ვიეტნამთან ერთად დაიწყეს საჰაერო ომი ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის წინააღმდეგ. მიუხედავად იმისა, რომ 1973 წლის 27 იანვარს პარიზში ხელმოწერილ იქნა შეთანხმება ცეცხლის შეწყვეტის შესახებ, სამხრეთ ვიეტნამის მარიონეტული მთავრობა ამერიკელთა დახმარებით მაინც განაგრძობდა ნამდვილ ომს ჩრდილოეთ ვიეტნამის წინააღმდეგ.

1976 წლის 3 ივლისს ოფიციალურად გაერთიანდა ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკა და სამხრეთ ვიეტნამი და ეწოდა ვიეტნამის სოციალისტური რესპუბლიკა. ეროვნული კრების სესიამ დაამტკიცა პრეზიდიუმის წინადადება სახელმწიფო ალმის, სახელმწიფო ჰიმნის, რესპუბლიკის გერბისა და დედაქალაქის შესახებ. ვიეტნამის სოციალისტური რესპუბლიკის სახელმწიფო ალმად გახდა ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის სახელმწიფო ალამი, სახელმწიფო ჰიმნად — ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის სახელმწიფო ჰიმნი, სახელმწიფო გერბად — ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის სახელმწიფო გერბი, მაგრამ ახალი წარწერით: „ვიეტნამის სოციალისტური რესპუბლიკა". რესპუბლიკის დედაქალაქად დამტკიცებულია ქალაქი **ჰანოი**. ყველაზე დიდ ქალაქს საიგონს გამოეცვალა სახელი და ოფიციალურად ეწოდა ქალაქი ხოშიმინი.

ვიეტნამის სოციალისტური რესპუბლიკის სახელმწიფო მმართველობის სტრუქტურა ასეთია: ეროვნული კრება და მისი მუდმივი კომიტეტი, რესპუბლიკის პრეზიდენტი და ორი ვიცეპრეზიდენტი, მთავრობა (მთავრობის საბჭო) ეროვნული თავდაცვის საბჭო, უზენაესი სახალხო სასამართლო და უზენაესი სახალხო პროკურატურა.

რესპუბლიკის პრეზიდენტად არჩეულ იქნა ტონ დიკ თხანგი, ეროვნული კრების მუდმივი კომიტეტის თავმჯდომარედ — ჩიონგ ტინი, მთავრობის პრემიერ მინისტრად— ფან ვან დონგი.

1976 წლის 6 ივლისს ამხანაგებმა ლ. ბრეჟნევმა და ა. კოსიგინმა ვიეტნამის სოციალისტური რესპუბლიკის შექმნასთან დაკავშირებით მისასალმებელი დეპეშა გაუგზავნეს ვიეტნამის

შრომელთა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს ამხანაგ ლე ზუანს, ვიეტნამის სოციალისტური რესპუბლიკის პრეზიდენტს ამხ. ტონ დიკ თხანგს, ვიეტნამის სოციალისტური რესპუბლიკის ეროვნული კრების მუდმივი კომიტეტის თავმჯდომარეს ამხ. ჩიონგ ტინს, ვიეტნამის სოციალისტური რესპუბლიკის პრემიერ მინისტრს ამხ. ფამ ვან დონგს.

ბუნებრივი პირობები. სანაპირო ხაზის სიგრძე 2500 კმ-ია. ვიეტნამი ძირითადად მთიანი ქვეყანაა. მდ. მეკონგი შესართავთან აჩენს დიდ დელტას, ჩრდილოეთით კი მდ. ჰონგჰაც (ან წითელი მდინარე), ჰანოი-ჰაიფონის რაიონშიც ასევე აჩენს მოზრდილ დელტას. კლიმატი მუსონური, სუბეკვატორული, ცხელია სამხრეთითა და შედარებით ზომიერი ჩრდილოეთ ნაწილში, ყველაზე ცივი თვის (I) საშუალო ტემპერატურა უდრის 15° და სამხრეთით 25°. ჩრდილოეთ რაიონებში 1500 მ ზეგით იცის ყინვა, ნალექების საშუალო წლიური რაოდენობა 1500-2500 მმ-ია, ნალექები უპირატესად მოდის V-X თვეებში, ხშირია ტაიფუნი. მდინარეთა ქსელი ხშირია, ჭაობიანი, იცის წყალდიდობა მუსონური წვიმების პერიოდში. მთავარი მდინარეებია მეკონგი (ვიეტნამის ფარგლებში 220 კმ) და ჰონგჰა ან წითელი მდინარე (475 კმ). მთელი ტერიტორიის თითქმის 1/3 დაფარულია ტროპიკული და სუბტროპიკული ტყეებით, ბევრია ძვირფასი ჯიშის ხე, რომელთა მერქანს საექსპორტო მნიშვნელობა აქვს.

მეურნეობა. სსრ კავშირის დახმარებით ვიეტნამის დემოკრატიულ რესპუბლიკაში აშენდა მრავალი სამრეწველო ობიექტი, სახელმწიფო მეურნეობა. წამყვანი დარგია **სამთომოპოვებითი მრეწველობა.** დიდ როლს თამაშობს ქვანახშირის, აპატიტის (ლაიკაი), ქრომიტის, ზღვის მარილის მოპოვება. აღმოჩნდა ვოლფრამისა და კალას საბადოები კაობანგში, ახალ სოციალისტურ ქალაქში ტინტუკეში ამუშავდა კალის კომბინატი. დამუშავებითი მრეწველობა ჯერ კიდევ სუსტად არის წარმოდგენილი, თხაინგუეში შემოზიდულ ნედლეულზე მუშაობს მცირე მეტალურგიული კომბინატი: მანქანათმშენებლობის მთავარი ცენტრებია: ჰაიფონი (ავტომობილებისა და ტრაქტორების სათადარიგო ნაწილების წარმოება), ჰაიფონი (მცირე წყალწყვის გემები), ხადონგი (სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობა), ხაიზიონგი (წყლის ტუმბოები), კამფე (სამთო-საშახტო მოწყობილობანი). სწრაფი ტემპით ვითარდება ქიმიური, ბაშენ მასალათა, საფეიქრო (140 მლნ მ) და კვების მრეწველობის დარგები (ბრინჯსაწმენდი, თევზკონსერვების, შაქრისა და სხვ.).

ეკონომიკის მნიშვნელოვანი დარგია **სოფლის მეურნეობა.** ბოლო წლებში ათვისებულ იქნა ახალი ყამირი მიწები, აშენდა მსხვილი სარწყავი სისტემები, წლიურად იღებენ ორ მოსავალს, მარცვლეული კულტურებიდან ყველაზე მეტი ფართობი უკავია ბრინჯს, აგრეთვე თესენ: სიმინდს, ბატატს, მანიოკს. ტექნიკური კულტურებიდან ფართობითა და მოსავლიანობით ყველაზე მნიშვნელოვანია შაქრის ლერწამი. საკმაოდ განვითარებულია მეხილეობა (მათ შორის მეციტრუსეობა), სანაპიროებზე მისდევენ მეთევზეობას; მეცხოველეობაში სჭარბობს კამეჩისა და ღორის მოშენება.

წამყვანი დარგია ხე-ტყის მეურნეობა. ტყეს რესპუბლიკის მთლიანი ფართობის თითქმის 2/3 უჭირავს. ხდება ძვირფასი ჯიშის მერქნის დამზადება (რკინის, შავი ხე, ბამბუკი), წარმოებს აგრეთვე კარდამონის, ბენზოის, მიხაკის, დარიჩინის შეგროვება-დამზადება, დიდი რაოდენობით მზადდება მთრთილავი ნივთიერებანი.

სამხრეთ ნაწილში **ტრანსპორტის** მთავარი არტერიაა მდ. მეკონგი, რომლითაც რესპუბლიკა უკავშირდება კამპუჩსა და ტაილანდს. რკინიგზების საერთო სიგრძე 2 ათას კმ აღემატება, საავტომობილო გზებისა — 15 ათასს, საწყალოსნო გზებისა — 25 ათასს. საგარეო ვაჭრობას აწარმოებს საკუთარი საზღვაო ფლოტით. მთავარი ნავსადგურებია: ჰაიფონი, ხონგაი, კარფა, ბენგჰივი, საერთაშორისო აეროპორტი ბიალაშია (ჰანოი). საგარეო ვაჭრობას ძირითადად სოციალისტურ ქვეყნებთან აწარმოებს. ექსპორტში სჭარბობს სამთომოპოვებითი მრეწველობის პროდუქცია; შეაქვს მანქანა-მოწყობილობანი, ფართო მოხმარების საგნები. საგარეო ვაჭრობაში სოციალისტური ქვეყნების გარდა მნიშვნელოვანი პარტნიორები არიან იაპონია და საფრანგეთი.

თურქეთი

თურქეთის რესპუბლიკა მდებარეობს აზიასა და ევროპაში. აღმოსავლეთითა და ჩრდილო-აღმოსავლეთით ესაზღვრება სსრკ კავშირი და ირანი. სამხრეთითა და სამხრეთ-აღმოსავლეთით — ერაყი და სირია. ევროპულ ნაწილზე — ბულგარეთი და საბერძნეთი. სამი მხრიდან გარს ეკვრის ზღვები, ჩრდილოეთით — შავი ზღვა,

ჩრდილო-დასავლეთით — მარმარილოს, ხოლო დასავლეთით — ეგეოსისა და ხმელთაშუა ზღვები. სახმელეთო საზღვრების სიგრძე 2615 კმ-ს უდრის. შავი ზღვისპირა სანაპირო ხაზი განუვითარებელია, სამაგიეროდ ძალზე შეჭრილ-შემოჭრილი და დანაწევრებულია ეგეოსის ზღვის სანაპირო, რომელიც სავსეა მცირე ზომის კუნძულებით, ნახევარკუნძულებითა და უბე-ყურეებით. თურქეთის ევროპული ნაწილი აზიური ნაწილისაგან გამოიყოფა მარმარილოს ზღვითა და ბოსფორ-დარდანელის ვიწრო სრუტეებით. თურქეთის ფართობი 780,600 კვ. კმ-ია, მათ შორის 23.500 კვ. კმ (ან 3.0%) მოდის ევროპულ ნაწილზე, რომელიც აღმოსავლეთ თრაკიის სახელწოდებითაა ცნობილი. მოსახლეობა — 40,2 მლნ კაცი (1975). 1967 წლიდან თურქეთში რეგულარულად ტარდება მოსახლეობის აღწერა. მოსახლეობის ძირითად მასას შეადგენენ თურქები (90%), არიან აგრეთვე ქურთები, არაბები, სომხები (ძირითადად ქალაქებში), ბერძნები, ქართველები (ლაზ-ჭანები), ბულგარები, სერბები და სხვ. საკმაო რაოდენობითაა მოხეტიალე-მესაქონლე თურქი ტომები. საშუალო სიმჭიდროვე არც ისე მაღალია — 1 კვ. კმ-ზე 48 კაცს აღწევს. მჭიდროდ არის დასახლებული აღმოსავლეთ თრაკიის, ანატოლიისა და ეგეოსის ზღვის ვილაიეთები, სუსტად არის დასახლებული აღმოსავლეთი და სამხრეთ-აღმოსავლეთი მთიანი რაიონები. თურქეთის დედაქალაქია **ანკარა** (1,7 მლნ მცხოვრებით). მნიშვნელოვანი ქალაქებია (მოსახლეობის რაოდენობითა და მსხვილი სამრეწველო-სატრანსპორტო ცენტრით); სტამბული (2,5 მლნ მცხოვრებით), მდებარეობს ძირითადად თურქეთის ევროპულ ნაწილში, მარმარილოს ზღვიდან ბოსფორის სრუტის შესასვლელთან, აგრეთვე ქალაქები იზმირი, ადანა, ბურსა და სხვ. ქალაქად ცხოვრობს მოსახლეობის დაახლოებით 1/5. ადმინისტრაციულად იყოფა 67 ვილაიეთად. ოფიციალური ენა— თურქული, გაბატონებული რელიგია — მუსლიმანური (სუნი), ეროვნული დღესასწაული — რესპუბლიკის გამოცხადების დღე — 29 ოქტომბერი (1923).

ისტორია. XI საუკუნეში ჯერ ოღუზები (თანამედროვე თურქების წინაპრები) მოვიდნენ, შემდეგ — სელჯუკები, მოგვიანებით მთელი აღმოსავლეთი ნაწილი მონღოლებმა დაიპყრეს. 1453 წელს თურქებმა ქალაქი კონსტანტინოპოლი დაიკავეს და აღმოსავლეთ ბიზანტიის იმპერიამ ფაქტიურად შეწყვიტა თავისი არსებობა. თურქებმა ხელთ იგდეს დიდძალი ტერიტორიები ბალკანეთის ნახევარკუნძულზე, ჩრდილო აფრიკაში, ახლო აღმოსავლეთში. XVII-

XVIII სს. იწყება ოსმანთა იმპერიის რღვევა, უკვე 1919 წლისათვის თურქეთმა დაკარგა ყველა თავისი სამფლობელო და ევროპის ქვეყნების ნახევრად კოლონიად გადაიქცა.

1920 წლის 23 აპრილს ანკარაში შეიკრიბა დიდი ეროვნული კრება, რომელმაც თავის პირველ და საპატიო თავმჯდომარედ აირჩია გამოჩენილი სახელმწიფო მოღვაწე მუსტაფა ქემალი (ქემალ ფაშა ათა-თურქი). 1922 წელს დაემხო სულთნის ხელისუფლება, ხოლო 1923 წელს თურქეთი რესპუბლიკად გამოცხადდა.

ბუნებრივი პირობები. თურქეთი ძირითადად მთიანი ქვეყანაა, მხოლოდ სანაპიროებს ვიწრო ზოლად მიუყვება დაბლობები. ტერიტორია ძირითადად მოიცავს ანატოლიასა (მცირე აზიასა) და სამხრეთ მთიანეთს. შავი ზღვის მთელ სანაპიროს გასდევს დასავლეთი და აღმოსავლეთი პონტოს მთები. მთელი სამხრეთი და სამხრეთ-აღმოსავლეთი ნაწილი უკავია ტავრის მთათა სისტემას (დასავლეთი ტავრი, კილიკიის ტავრი, ცენტრალური ტავრი, შიდა ტავრი, ჩრდილოეთი ტავრი, აღმოსავლეთი ტავრი), პონტოსა და ტავრის მთათა სისტემებს შორის გადაჭიმულია ანატოლიის მთიანეთი, რომელიც გარშემორტყმულია ქედებით და წარმოადგენს ვრცელ ქვაბულს დიდძალი დაჭაობებული ადგილებითა და მლაშე ტბებით. მათ შორის ყველაზე დიდია ტბა ტუზი. ბევრია ჩამქრალი ვულკანი. საერთოდ თურქეთის რელიეფი თანდათანობით მაღლდება დასავლეთიდან აღმოსავლეთის მიმართულებით. აღმოსავლეთ ანატოლიისათვის დამახასიათებელია მაღალი ქედები და ზეგნები. სწორედ აქ სომხეთთან საზღვარზე მდებარეობს თურქეთის ყველაზე მაღალი მწვერვალი დიდი არარატი (5156 მ).

კლიმატი სუბტროპიკულია, უპირატესად მშრალი ზაფხულით, შიდა რაიონებში გარდამავალი ტიპის, საზღვაო ხმელთაშუა ზღვის კლიმატიდან კონტინენტური კლიმატისაკენ. იანვრის საშუალო ტემპერატურა ზეგნებზე უდრის მინუს 5°, სამხრეთ მთიანეთზე — მინუს 13°. ივლისის თვისა ზეგნებზე — 16-22°. ხოლო დაბლობებზე — 23-32°. ნალექების საშუალო წლიური რაოდენობა ზღვის სანაპიროებზე 600-1000 მმ-ს აღწევს, ჩრდილო-დასავლეთით (ლაზეთი) — 3000 მმ-მდე, ხოლო ანატოლიის ზეგანზე 200-600 მმ-მდე ეცემა. მდინარეთა ქსელი აღმოსავლეთ ნაწილში ხშირია, ზაფხულის პერიოდში დიდი სიმშრალის გამო მდინარეთა უმეტესობა შრება, ამიტომ მკვეთრად იგრძნობა სასმელი წყლის ნაკლებობა. მდინარეები არასანაოსნონი არიან, თუმცა შეიცავენ „თეთრი ნახშირის“ დიდ მა-

რაგს. თუ გავითვალისწინებთ, რომ თურქეთის ტერიტორიის დიდ ნაწილზე მიწათმოქმედება სარწყავია, მაშინ გასაგები გახდება მდინარეთა განსაკუთრებული მნიშვნელობა. თურქეთში ფართოდ არის გამოყენებული მიწისქვეშა წყლის დაგროვება და მიწისქვეშა წყლების კაპტაჟი.

სპარსეთის ყურეში ჩაედინება ორი დიდი მდინარე — ტიგროსი და ევფრატი, რომელთა სათავე და ზემო წელი თურქეთის ტერიტორიაზეა. ტიგროსი სათავეს იღებს აღმოსავლეთ ტავრის მთებზე, ტბა გიელჯიუკიდან, ევფრატს კი ჰქმნის ორი მდინარე მურადი და ყარა-სუ. მას სწორედ მათი შეერთების ადგილიდან ეწოდება ევფრატი. კოლა-არტაანიდან სათავეს იღებს მტკვარი, ბინგელის მთასთან კი არაქსი. მის შენაკად აზურიანზე (არფა-ჩაი) გადის სსრ კავშირისა და თურქეთის საზღვარი. საქართველოს ტერიტორიაზე შავ ზღვაში ჩაედინება ჭოროხი. ასევე შავ ზღვაში ჩაედინება მდინარეები საკარია, ეშილ-ირმაკი და ყიზილ-ირმაკი (ეს ის ყიზილ-ირმაკია, რომელიც ძველ საქართველოში ღალისის სახელწოდებით იყო ცნობილი), სწორედ ამ მდინარის სანაპიროზე დაამარცხა აჯანყებული ბარდა სკლიაროსის ჯარი ქართველთა ლაშქარმა 979 წელს თორნიკე ერისთავისა და ჯოჯიკის მეთაურობით. ამით მეფე დავით კურაპალატმა დიდი დახმარება გაუწია ბიზანტიის იმპერატორ ბასილს (მდინარე ღალისი ერთგვარ საზღვრად ითვლებოდა საქართველოსა და ბიზანტიას შორის). ტყეები ძირითადად გაჩეხილია, ანატოლიის ზეგანზე სჭარბობს ნახევრად უდაბნოს ტიპის შცენარეულობა, ზღვის სანაპიროებზე კი — ბუნებრივი ლანდშაფტი თითქმის მთლიანად კულტურული ლანდშაფტითაა შეცვლილი.

მეურნეობა. თურქეთი აგრარული ქვეყანაა ფეოდალიზმის ძლიერი გადმონაშთებით, განსაკუთრებით აღმოსავლეთ ანატოლიაში. მრეწველობა ჯერ კიდევ სუსტად არის განვითარებული. დიდია სახელმწიფო სექტორის ხვედრითი წონა ეკონომიკაში. სახელმწიფოს საკუთრებას შეადგენს მიწის მთელი ფართობები, ტყეები, სამთომოპოვებითი მრეწველობის დიდი ნაწილი, რკინიგზის ტრანსპორტი მთლიანად, სავაჭრო-საზღვაო ფლოტის 1/3, რიგი მსხვილი საწარმოები. მიუხედავად ამისა, მაინც საკმაოდ ძლიერია ამერიკის შეერთებული შტატებისა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის კაპიტალის ხვედრითი წონა თურქეთის მთელ მეურნეობაში.

სოფლის მეურნეობისათვის დამახასიათებელია მსხვილი მიწათმფლობელობა, მეორე მხრივ, მცირე მიწიანობა და უმიწაწყლო

გლეხთა სიჭარბე. სოფლის მეურნეობაში ჩაბმულია თვითმოქმედი ძოსახლეობის 3/4-ზე მეტი. მიწის სავარგულებისათვის დამახასიათებელია სასაძოვრე მდელოების სიჭარბე (43%), ასევე საკმაოდ მაღალია გამოუყენებელი და უვარგისი მიწების ფართობები (17%).

დამუშავებულ ფართობებში ყველაზე მეტი ადგილი უკავია მარცვლეულ კულტურებს. ხორბალი და ქერი ძირითადად გავრცელებულია ცენტრალურ ანატოლიაში, სიმინდი, შვრია და ბრინჯი— მარმარილოსა და ეგეოსის ზღვების სანაპიროებზე. მნიშვნელოვანი ფართობები უკავია ბამბას (წლიურად 0,6-0,7 მლნ ტ), თამბაქოს, რომელიც მთელს მსოფლიოში განთქმულია თავისი მაღალი ხარისხით (ცნობილი ჯიშები „სამსუნი" და „ტრაპიზონი", წლიურად 160-200 ათასი ტ). ფართოდ არის გავრცელებული ოპიუმის ყაყაჩოსა და ჩაის კულტურა.

დიდი ფართობები უკავია საექსპორტო მნიშვნელობის კულტურებს, როგორებიცაა; ვაზი (ცნობილი იზმირის ქიშმიში), ლეღვი, ზეთისხილი, ციტრუსები (განსაკუთრებით ლიმონი). თურქეთის ექსპორტის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საგანია გამხმარი ხილი, რომელიც მსოფლიო ბაზარზე დიდი მოწონებით სარგებლობს. მეცხოველეობა განვითარებულია ყველა ვილაიეთში. აღმოსავლეთი ანატოლია ცნობილია მომთაბარე მეცხვარეობით. საერთოდ თურქეთი ერთ სულ მცხოვრებზე ცხვრისა და თხის სულადობით პირველ ადგილზეა კაპიტალისტურ სამყაროში. ასევე ცნობილია ანკარის (ანგორის) ჯიშის თხა (20 მლნ სული) თავისი ძვირფასი ბეწვით. ევროპაში დიდი რაოდენობით გააქვთ მეფრინველეობის პროდუქტები. თურქეთისათვის ტრადიციული დარგია მეაბრეშუმეობა.

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ სწრაფი ტემპით ვითარდება მრეწველობა, განსაკუთრებით სამთომოპოვებითი, ქიმიური და მანქანათმშენებლობა. საკმაოდ ძლიერია თურქეთის ენერგეტიკული ბაზა. თურქეთს გააჩნია საკმაო რაოდენობით მაღალხარისხოვანი ქვანახშირი და მურა ნახშირი, თუმცა მუშავდება მხოლოდ მცირე ნაწილი. ქვანახშირის ყველაზე დიდი საბადოა ზონგულდაკ-ერეგლისა, მისი უპირატესობა იმაში მდგომარეობს, რომ მაღალი ხარისხისაა და თანაც ზღვის სანაპიროზე მდებარეობს, რაც აადვილებს მის გატანას. ამასთან აღნიშნული საბადო ახლო მდებარეობს მსხვილ სამრეწველო ცენტრებთან (სტამბული, ანკარა, ბურსა, ესქეშიჰირი და სხვ.) და ღია წესით მუშავდება, რაც საგრძნობლად აიაფებს მის თვითღირებულებას. ზონგულდაკ-ერეგლის ქვანახშირისა და მურა

ნახშირის რამდენიმე წვრილი საბადო სავსებით აკმაყოფილებს თურქეთის მრეწველობის მოთხოვნილებას (წლიურად 10-11 მლნ ტ მურა ნახშირისა და 7,5-8,0 მლნ ტ ქვანახშირის მოპოვება). გარკვეული პერსპექტივები გააჩნია ნავთობის საბადოებს აღმოსავლეთ ანატოლიაში (წლიურად 3,4-3,5 მლნ ტ). თურქეთის ელექტროსადგურების უმეტესობა ქვანახშირსა და მურა ნახშირზე მუშაობენ, ჰიდროელექტროსადგურების მიერ გამომუშავებული ელექტროენერგიის ხვედრითი წონა მეტად მცირეა, ძირითად ენერგიას იძლევიან თბოელექტროსადგურები, ელექტროენერგიის წლიური გამომუშავება 14,0 მლრდ კვტს შეადგენს.

მეურნეობის მაპროფილებელი დარგია სამთომოპოვებითი მრეწველობა. თურქეთი ქრომიტების ერთ-ერთი მთავარი მწარმოებელი და ექსპორტიორია მსოფლიოში (ერგანე, კიუტახი, ბურსა, ესქეშეპირი. 0.7 მლნ ტ წლიურად). ქრომიტი მთლიანად ამერიკის შეერთებულ შტატებსა და გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში გააქვთ. გარკვეული მნიშვნელობა აქვს სპილენძის მოპოვებას. სპილენძის მოპოვების ერთ-ერთი ძველი რაიონია ჭოროხის ხეობა, კერძოდ, ისპირი ან სპერი. ივ. ჯავახიშვილის გამოკვლევით სპილენძის მადნის სახელწოდება ქართულ ენაში შემორჩა მხოლოდ მეგრულ დიალექტში, ლინჯ-ისპირი (მოპოვების ადგილი) და მივიღეთ ისპირლინჯი, საიდანაც შემდეგში წარმოებულ იქნა სპილენძი.

ხდება აგრეთვე რკინის მადნის (2,0 მლნ ტ), მცირე რაოდენობით ტყვია-თუთიის, მანგანუმის, გოგირდისა და სხვ. მოპოვება.

ყარაბიუქში იყო ერთადერთი მეტალურგიული ქარხანა (1939), რომელიც წლიურად 1,1 მლნ ტ თუჯსა და 1,5 მლნ ტ ნაგლინს იძლეოდა. თურქეთს საკუთარი ლითონი არ ყოფნიდა და ევროპიდან შემოჰქონდა. შემდეგში ამუშავდა მეტალურგიული კომბინატი ისკანდერონში და მესამე მეტალურგიული კომბინატი, რომლებმაც უკვე მთლიანად დააკმაყოფილეს შავი ლითონით თურქეთის მანქანათმშენებლობის მოთხოვნილება.

დიდი ხვედრითი წონა აქვს კვების (საფქვავი, ჩაის, თამბაქოს, შაქრის, საკონსერვო და სხვ.) და ტრადიციულ საფეიქრო მრეწველობას. განსაკუთრებით გამოირჩევა აბრეშუმის მრეწველობა, რომლის უდიდესი ცენტრებია სტამბული, მალატია, ერეგლი, ბურსა და იზმირი (წლიურად ყველა სახის ქსოვილი 220 მლნ მეტრი). ბოლო წლებში მწყობრში ჩადგა რამდენიმე ახალი მსხვილი საწარმო, ალუმინის ქარხანა, ტექნიკური მინის (მერსინე), სუპერფოსფატის სასუ-

ქების (ბანდირმე) ქარხნები. სსრ კავშირის დახმარებით ღაზიანთებში აშენდა მსხვილი ბამბეულის კომბინატი, ბოსფორის ხიდზე აიგო 1560 მ სიგრძის საჰაერო ხიდი. დიდ მნიშვნელობას ინარჩუნებს შინახელოსნობა, განსაკუთრებით ნოხებისა და ფარდაგების ქსოვა.

ტრანსპორტი და საგარეო კავშირურთიერთობანი. ტრანსპორტით თურქეთი სუსტად არის უზრუნველყოფილი, განსაკუთრებით აღმოსავლეთი ანატოლია, სადაც საკმაოდ დიდ ფართობებზე რკინიგზა საერთოდ არ არის. ტვირთბრუნვისა და მგზავრთა გადაყვანის ოდენობით პირველ ადგილზეა რკინიგზის ტრანსპორტი (სიგრძე 8140 კმ), სწრაფად ვითარდება და ხშირად დამოუკიდებელი მნიშვნელობა აქვს საავტომობილო ტრანსპორტს (გზების სიგრძე 260 ათასი კმ). დიდ როლს ასრულებს საზღვაო ტრანსპორტი, მთავარი ნავსადგურია სტამბული, რომელიც პირველ ადგილზეა ტვირთბრუნვით. თავისი მნიშვნელობით მეორეა იზმირის ნავსადგური. სწრაფად ვითარდება საავიაციო ტრანსპორტი. თურქეთიდან გააქვთ უპირატესად სასოფლო-სამეურნეო პროდუქტები და სამთომოპოვებითი ჭრეწველობის ნაწარმი; შეაქვს: მანქანა-მოწყობილობანი, სატრანსპორტო საშუალებანი, მერქანი. საგარეო ვაჭრობაში მთავარი პარტნიორები არიან: ამერიკის შეერთებული შტატები, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა, საფრანგეთი, ინგლისი, იტალია. ფულის ერთეულია თურქული ლირა.

კულტურა და განათლება. თურქეთის ტერიტორიაზე შემორჩენილია ძველბერძნული და ბიზანტიური ხუროთმოძღვრების შესანიშნავი ძეგლები. ეგეოსის ზღვის სანაპიროზე ძველი საბერძნეთის კულტურის განთქმული ცენტრების — ქალაქების ეთესოს, ტროას, მილეტისა და ჰალიკარნასის ნანგრევები. XII-XV სს. დარბაზები და სასახლეები, მეჩეთები, აგრეთვე ძველი ქართული კულტურის ძეგლები: ბანა, ხახული, ოშკი, ოპიზა და სხვ.

მარმარილოს ზღვაში მდებარეობს მარმარილოს კუნძული, სადაც ხდებოდა ჩახმახებისათვის საჭირო საუკეთესო ხარისხის კაჟის მოპოვება. საშუალო საუკუნეებში კაჟი დიდი რაოდენობით საქართველოშიც შემოჰქონდათ, შესაძლოა აქედან შემორჩა ქართული გამოთქმა: „სტამბულის კაჟივით ვარო“, ე. ი. კარგად ვარო. თავისი მესამე მოგზაურობის დროს აღმოსავლეთ ანატოლიის ტერიტორიაზე გაიარა ქართველმა მოგზაურმა რაფიელ დანიბეგაშვილმა მარშრუტით ახალციხე-არზრუმი-დიარბექირი-მუში. ცნობილი ქართველი

მოგზაური ტიმოთე გაბაშვილი XVIII საუკუნისდროინდელ საქართველოს დიდ ქალაქებსა და კულტურის მნიშვნელოვან კერებს აღწერს: „მივიწიენით ქალდეას, აწ უხმობენ გუმიშხანას (თურმე ვერცხლის ადგილი, იგულისხმება მოპოვება) და ვიკითხევდი რა, იგინი მეტყოდნენ, ვითარმე, გუმიშხანა საქართველოსი მეფეთი არისო, რამეთუ ვერცხლის გამოსავალი აქაური საქართველოთა ყოფილაო, ჭოროხის წყლის სათავე — ეს არისო სამზღვარი საქართველო“.

თანამედროვე თურქეთში ითვლება 18 ათასი დაწყებითი, 5000 საშუალო სკოლა, 1000 ლიცეუმი, ოთხი უნივერსიტეტი — სტამბულში (ორი), ანკარასა და იზმირში, უმაღლესი კომერციული და ეკონომიური სკოლები, რამდენიმე პედაგოგიური ინსტიტუტი. ბევრი თურქი ახალგაზრდა სწავლობს საზღვარგარეთ, განსაკუთრებით დასავლეთ გერმანიაში. ეროვნული ბიბლიოთეკა ანკარაში, ბაიაზიდის სახელმწიფო ბიბლიოთეკა დიდძალი ხელნაწერებით სტამბულში (1802), ეთნოგრაფიული, არქეოლოგიური და ისტორიული მუზეუმები, წმინდა სოფიოს ტაძარი-მუზეუმი (აია-სოფიო), მუჰამედ II სასახლე-მუზეუმი (მასთან არის თურქული და მუსლიმანური ხელოვნების მუზეუმი). პირველი გაზეთი თურქეთში 1831 წელს გამოვიდა. თანამედროვე თურქეთში გამოდის 400-ზე მეტი გაზეთი და ჟურნალი, არის ორი საინფორმაციო სააგენტო, რადიომაუწყებლობა და ტელევიზია.

სახელმწიფო წყობილება. 1961 წლის კონსტიტუციის მიხედვით თურქეთი რესპუბლიკაა. საკანონმდებლო ძალაუფლება ეკუთვნის თურქეთის დიდ ეროვნულ კრებას, რომელიც ორი პალატისაგან — სენატისა და ეროვნული პალატისაგან შედგება. სახელმწიფოს მეთაურია პრეზიდენტი, რომელსაც ირჩევს დიდი ეროვნული კრება 7 წლით (მისი არჩევა შეიძლება მხოლოდ ორჯერ), შემსრულებელია პრეზიდენტი და მინისტრთა საბჭო.

პოლიტიკური პარტიები. მმართველია სამართლიანობის პარტია (1961), იცავს მსხვილი ბურჟუაზიის, სავაჭრო და საბანკო კაპიტალისა და მემამულეების ინტერესებს; სახალხო რესპუბლიკური პარტია, დაარსებულია 1923 წელს ქემალ-ათათურქის მიერ. გამოხატავს ეროვნული სავაჭრო-სამრეწველო ბურჟუაზიის მოხელეთა, ფართო მასებისა და ინტელიგენციის ინტერესებს; ეროვნული კეთილდღეობის პარტია, თურქეთის კომუნისტური პარტია (1920, მოქმედებს არალე-

გალურად), არის კიდევ რამდენიმე წვრილი პარტია: დ ე მ ო კ რ ა-ტ ი უ ლ ი (1970), ნ დ ო ბ ი ს რ ე ს პ უ ბ ლ ი კ უ რ ი პარტია (1973), ე რ თ ი ა ნ ო ბ ი ს პარტია (1966) და სხვ.

ია პ ო ნ ი ა

ია პ ო ნ ი ა (ან ნ ი პ ო ნ ი, ე. ი. „ამომავალი მზის ქვეყანა") კონსტიტუციური სამეფოა, მდებარეობს ოთხ დიდ და მრავალრიცხოვან წვრილ კუნძულებზე აზიის კონტინენტის აღმოსავლეთით. კუნძულთა ჯაჭვი წაგრძელებულია ჩრდილო-აღმოსავლეთიდან სამხრეთ-დასავლეთისაკენ ორ რკალად. ერთ რკალს ქმნის კუნძულები ჰოკაიდო, ჰონსიუ და რიუკიუ, მეორეს— კიუსიუ და სიკოკუ. კუნძულთა ორივე რკალის სიგრძე დაახლოებით 3300 კმ-ს უდრის. იაპონიის კუთვნილი ყველა კუნძულთა ფართობი 372.500 კვ. კმ-მდეა. დიდი კუნძულებია: ჰონსიუ (ან ჰონდო ან ნიპონი, ფართობი 223.400 კვ. კმ, მიმდებარე პატარა კუნძულებით), ჰოკაიდო (იესო ან ეძო ან მაცმაი, ფართობი 77.700 კვ. კმ), კიუსიუ (კიუშიუ, ფართობი 42.600 კვ. კმ) და სიკოკუ (ფართობი 18800 კვ. კმ). სანაპირო ხაზის სიგრძე უდრის 27000 კმ-ს, მათ შორის თითქმის ნახევარი მოდის წყნარი ოკეანის სანაპიროზე. იაპონიაში არ არის არც ერთი პუნქტი, რომელიც ზღვიდან დაშორებული იყოს 150 კილომეტრით.

იაპონიის კუთვნილი ყველაზე ჩრდილოეთით მდებარე კუნძული ჰოკაიდო საბჭოთა კავშირის კუნძულ სახალინიდან გამოიყოფა 43 კმ სიგანის ლაპერუზის სრუტით, ხოლო საბჭოთა კავშირის კუნძული კუნაშირი იაპონიის კუნძულ ჰოკაიდოდან დაშორებულია მხოლოდ 15 კმ-ით.

სსრ კავშირის კონტინენტური ტერიტორიიდან და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკიდან მას გამოყოფს იაპონიის ზღვა (ნაგასაკ-შანჰაიმდე მანძილი 860 კმ-ია, იაპონიის ნავსადგურებიდან ამერიკის შეერთებული შტატების წყნარი ოკეანის ნავსადგურებამდე თითქმის 8 ათასი კმ-ია, დასავლეთ ევროპის უახლოეს ნავსადგურამდე კი სუეცის არხით — 20 ათასი კმ, ხოლო პანამის არხით — 23 ათასი კმ.).

მოსახლეობა 11,21 მლნ კაცია (1976). მთავარ მასას შეადგენენ იაპონელები (99%-ზე მეტი), მცირე რაოდენობით ცხოვრობენ აქ

კუნძულთა უძველესი მკვიდრნი აინები. დაახლოებით 1,2 მლნ იაპონელი ცხოვრობს საზღვარგარეთ, ძირითადად ამერიკის შეერთებულ შტატებსა და ლათინური ამერიკის ქვეყნებში, ფილიპინებზე. საშუალო სიმჭიდროვე იაპონიაში საკმაოდ მაღალია და 1 კვ. კმ-ზე თითქმის 300 კაცი მოდის. დიდი კუნძულების მიხედვით სიმჭიდროვე სხვადასხვაგვარია. ყველაზე მჭიდროდ დასახლებულია სამხრეთი კუნძულები (500 კაცი), ყველაზე ნაკლებად — კუნძული ჰოკაიდო (60 კაცი). იაპონიის დედაქალაქია ტოკიო, რომელსაც შეუერთეს დიდი ნავსადგური იოკოჰამა, მისი მოსახლეობა აღწევს 11,6 მლნ კაცს და ამით ერთ-ერთ პირველ ადგილზეა მსოფლიოში შანჰაისა და ნიუ-იორკთან ერთად. ქალაქად ცხოვრობს მოსახლეობის თითქმის 4/5. დიდი ქალაქებიდან აღსანიშნავია: ოსაკა, ნაგოია, კიოტო, კობე; ადმინისტრაციულად იყოფა 46 კენად (პრეფექტურად). ამას გარდა, განსაკუთრებულ კენებად ითვლება დედაქალაქი ტოკიო, აგრეთვე მსხვილი ქალაქები ოსაკა და კიოტო. კუნძული ჰონსიუ დაყოფილია 34 კენად, კიუსიუ — 7, სიკოკუ — 4, კუნძული ჰოკაიდო ცალკე განსაკუთრებული კენია. სახელმწიფო ენაა იაპონური, გაბატონებული რელიგია — სინტოიზმი და ბუდიზმი, ეროვნული დღესასწაული — იმპერატორის დაბადების დღე — 20 აპრილი (1901).

ისტორია. იაპონია უძველესი ქვეყანაა, მაგრამ კაპიტალისტური განვითარების გზას ევროპის ქვეყნებზე უფრო გვიან დაადგა. XIX საუკუნის შუა წლებამდე იაპონია ჩამორჩენილ ფეოდალურ სახელმწიფოს წარმოადგენდა და გარეშე ქვეყნებისაგან იზოლირებული იყო. 1953 წელს იწყება ამერიკის შეერთებული შტატებისა და ევროპის სხვა ქვეყნების შეტევა იაპონიაზე. მას თავს მოახვიეს კაბალური ხელშეკრულებები. 1868 წლის „მეიძის რევოლუციის“ შემდეგ შეიქმნა ბურჟუაზიისა და მემამულეთა კავშირი, გატარდა ბურჟუაზიული რეფორმები, რამაც დიდი ბიძგი მისცა ქვეყნის კაპიტალისტურ განვითარებას. უკვე XX საუკუნის დამდეგს იაპონიამ მიაღწია სამრეწველო განვითარების საკმაოდ მაღალ დონეს, დაჩქარდა სოფლის მეურნეობის განვითარება, ქვეყანა დაიფარა რკინიგზის ხშირი ქსელით, შეიქმნა მძლავრი საავაჭრო ფლოტი, გაუქმდა თავზე მოხვეული კაბალური ხელშეკრულებები, შეიქმნა ფინანსიური ოლიგარქია, გაძლიერდა მონოპოლისტების ბატონობა და კაპიტალის ექსპორტი, დაიწყო დაპყრობითი ომები.

1894 წლიდან იაპონია თავს დაესხა ჩინეთს და ხელთ იგდო კუნძული ტაივანი (ფორმოზა), 1905 წელს რუსეთ-იაპონიის ომის შე-

დეგად დაიპყრო სამხრეთ სახალინი (კარაფუტო), კურილის კუნძულები, სამხრეთ მანჯურია, 1910 წელს კი — კორეა. პირველ მსოფლიო ომში იაპონიას ფაქტიურად მონაწილეობა არ მიუღია, სამაგიეროდ მან გერმანიის დამარცხების შემდეგ ხელთ იგდო გერმანიის ყოფილი კოლონიები ოკეანეთში: მარიანის, მარშალისა და კაროლინის კუნძულები. 1918 წელს მოახდინა ინტერვენცია საბჭოთა კავშირის შორეულ აღმოსავლეთში, რომელიც 1922 წლამდე გაგრძელდა.

მსოფლიოს ეკონომიურმა კრიზისმა 1929-1933 წლებში კიდევ უფრო გაამწვავა წინააღმდეგობანი მსხვილ კაპიტალისტურ ქვეყნებს შორის. 1931 წელს იაპონიამ მოახდინა ჩრდილო-აღმოსავლეთ ჩინეთის ოკუპაცია (მანჯუ-გო), 1937 წელს დაიწყო ომი ჩინეთის წინააღმდეგ. მეორე მსოფლიო ომამდე იაპონიის სამფლობელოთა ფართობი 1,5 მლნ კვ. კმ-ს აღწევდა, ხოლო მოსახლეობა — 63 მლნ კაცს. 1941 წელს დაიწყო ომი ამერიკის შეერთებული შტატების წინააღმდეგ და მოკლე დროში ხელთ იგდო ამ შტატების, ინგლისისა და ნიდერლანდის სამფლობელოები სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში. მსოფლიო ომში დამარცხების შემდეგ იაპონიამ დაკარგა ყველა თავისი სამფლობელო. მეორე მსოფლიო ომმა დიდი ზიანი მიაყენა იაპონიის ეკონომიკას, საწარმოთა თითქმის 30% დანგრეულ იქნა, სავაჭრო ფლოტის დაახლოებით 4/5 ჩაიძირა, საჰაერო ბომბარდირების შედეგად დაზიანდა ქალაქების შენობათა მნიშვნელოვანი ნაწილი (40%-მდე). სსრ კავშირთან დიპლომატიური ურთიერთობა დაამყარა 1925 წლის 20 იანვარს, შემდეგ დროებით გაწყდა და კვლავ აღდგენილ იქნა 1956 წლის 1 ოქტომბერს.

ბუნებრივი პირობები. იაპონია საზღვაო ქვეყანაა. მას გარს აკრავს წყნარი ოკეანის წყლები. კუნძულებს ჰოკაიდოს, სიკოკუსა და კიუსიუს შორის მდებარეობს „იაპონიის შიდა ზღვა". იაპონიის მთელი ეკონომიკა მჭიდროდ არის დაკავშირებული ზღვასთან. გარშემო მდებარე ზღვები არ იყინება (გარდა ოხოტის ზღვისა), რაც ფრიად ხელსაყრელ პირობებს ქმნის ნავსადგურების მშენებლობისა და მიმოსვლისათვის მთელი წლის განმავლობაში. იაპონიის მიმდებარე ზღვების წყლის ტემპერატურულ რეჟიმზე უდიდეს გავლენას ახდენს ჩრდილოეკვატორული თბილი დინება, რომელსაც სამხრეთიდან წყნარი ოკეანის ცენტრალურ ნაწილში მოაქვს თბილი წყლის მასა (წყლის ტემპერატურა ზაფხულში 28°, ზამთარში 10°-მდეა). კუნძულ კიუსიუსთან დინება იყოფა ორ ტოტად, ერთი ტოტი —

მცირე სიმძლავრის ცუსიმის დინება იაპონიის ზღვით ჰოკაიდოსა და სახალინისაკენ მიედინება, მეორე — კურო-სივოს მძლავრი თბილი დინება სამხრეთ იაპონიის სანაპიროების გასწვრივ მიემართება. ორივე დინება გარს უვლის იაპონიის კუნძულებს, მათ წყნარი ოკეანიდან მოაქვთ დიდძალი მიკროორგანიზმები, რაც საუკეთესო საკვებს წარმოადგენს თევზებისა და ზღვის სხვა ბინადართათვის, ამასთან მეტად ხელსაყრელ პირობებს ქმნის ზღვის ფლორის განვითარებისათვის. კურო-სივოს საწინააღმდეგოდ მიედინება კურილის (ოია-სივო) ცივი დინება, რომელიც გავლენას ახდენს უპირატესად ჩრდილოეთით მდებარე კუნძულ ჰოკაიდოს სანაპიროებზე. სწორედ ამ ცივ დინებასთანაა დაკავშირებული ზამთრობით იაპონიის სანაპიროებთან აისბერგების გამოჩენა და ზაფხულობით საშინელი ნისლიანობა.

იაპონიის ზღვებს განსაკუთრებული სატრანსპორტო მნიშვნელობა აქვს აზიის კონტინენტის ქვეყნებთან ეკონომიური კავშირურთიერთობისათვის, დიდია იაპონიის შიდა ზღვების მნიშვნელობა არა მარტო მიმოსვლისათვის, არამედ მეთევზეობისა და საერთოდ ზღვის რეწვისათვის.

იაპონია მთიანი ქვეყანაა, დიდი ნაწილი ტყითაა დაფარული. მეტად ძლიერია სეისმური მოვლენები, გრძელდება მთათაშორისი პროცესები, მიწისძვრა ჩვეულებრივი მოვლენაა, მაგრამ ადგილი აქვს კატასტროფულ მიწისძვრებსაც. უკანასკნელი 100 წლის განმავლობაში მოხდა ხუთი ძლიერი მიწისძვრა, მათ შორის ყველაზე გრანდიოზული იყო 1923 წელს, როდესაც ტოკიოსა და იოკოჰამაში დაინგრა 576 ათასი სახლი და დაიღუპა დაახლოებით 100 ათასი კაცი (ალბათ ამიტომაა რომ იაპონიაში მატარებელი მხოლოდ დღისით დადის). მიწისძვრებთან ერთად ხშირად ადგილი აქვს „ზღვისძვრასაც“, რაც აგრეთვე ტექტონიკური პროცესებით არის გამოწვეული. ზღვის ფსკერის აწევ-დაწევა იწვევს გიგანტურ ტალღათა (ცუნამის) წარმოქმნას, რომელიც დიდ ზიანს აყენებს სანაპიროთა მოსახლეობას. იაპონიაში 150 ვულკანია, მათ შორის 40 მოქმედი. მოქმედი ვულკანები თითქმის ყველა კუნძულზეა, გარდა სიკოკუსი. დიდი მოქმედი ვულკანებია: ფუძიამა (3776 მ), სერეტოკო (იოსანი), საკურაძიმა. ვულკანების სიმრავლის გამო იაპონია მდიდარია ცხელი და გოგირდის წყაროებით.

ჰონსიუსა და ჰოკაიდოს კუნძულები მთიანია, კიუსიუსა და სიკოკუსის—საშუალო მთიანი, რელიეფის დასერილობა ერთგვარად

ართულებს იაპონიის ტერიტორიის დიდი ნაწილის სამეურნეო ათვისებას. დაბლობები ცოტაა, უპირატესად სანაპიროებზე და ისიც ძალზე მჭიდროდ დასახლებული.

იაპონიის კლიმატს განსაზღვრავს მისი კუნძულოვანი მდებარეობა აზიის მატერიკსა და წყნარ ოკეანეს შორის. კლიმატი მუსონურია ზღვის კონტინენტური კლიმატის ნიშნებით. კლიმატზე დიდ გავლენას ახდენს აგრეთვე კუროსივოს თბილი და კურილის ცივი დინებები, ამიტომ იაპონიაში კლიმატი უფრო რბილია, ვიდრე, მაგალითად, აზიის კონტინენტზე მდებარე მეზობელ ქვეყნებში. გაცილებით მკაცრი კლიმატით ხასიათდება ჩრდილოეთით მდებარე კუნძული ჰოკაიდო. იაპონიაში ყველაზე ცივი თვეა იანვარი, კუნძულ ჰონსიუზე კი — თებერვალი, ყველაზე თბილი — აგვისტო. საშუალო თვიური ტემპერატურა კიუსიუზე უდრის 26°, ტოკიოში— 25,2°. თვით ჰოკაიდოზე ტემპერატურა არ ეცემა 23° ქვემოთ. ნალექების საშუალო წლიური რაოდენობა აღწევს 1000-2000 მმ. ჰონსიუს მთიან ნაწილში — 3000-4000 მმ. შედარებით ნაკლები ნალექი ჭოდის იაპონიის შიდა ზღვების აუზსა და ჰოკაიდოზე (1000-1500 მმ). წლის ყველაზე მშრალი თვეა ზამთარი. ძირითადი კლიმატური მაჩვენებლების მიხედვით იაპონიაში მკვეთრად გამოიყოფა ოთხი კლიმატური ზონა: ზომიერად ცივი (კუნძულ ჰოკაიდოსა და ჰონსიუს ჩრდილო ნაწილში), ზომიერი კლიმატის (ჰონსიუს ჩრდილო და ცენტრალურ ნაწილებში), სუბტროპიკული კლიმატისა (ჰონსიუს სამხრეთ ნაწილში, კუნძულებზე კიუსიუსა და სიკოკუზე) და ტროპიკული კლიმატის (რიუკიუს კუნძულებზე). ხშირია ძლიერი ტაიფუნი. 1925 წელს ტაიფუნმა დაანგრია 45 ათასი სახლი, დაიღუპა რამდენიმე ათასი კაცი.

იაპონიაში ბევრი მდინარე და ტბაა, რაც უშუალო კავშირშია უხვ ნალექებსა და მთიანი რელიეფის პირობებთან. მდინარეები მოკლე და წყალუხვია. ყველაზე დიდი მდინარეებია ჰოკაიდოზე — ოსიკარი (336 კმ), კუნძულ ჰონსიუზე — სინანო (369 კმ), ტონე (322 კმ), ტენრიუ, კისო, აბაკუმა, იოდო. კუნძულ კიუსიუზე — ტიკუგო; სიკოკუზე — ისინო (236 კმ) მდინარეთა დინება სწრაფია, კალაპოტი ციცაბო — ჭორომიანი, ბევრია ჩანჩქერი, რაც აძნელებს მათ სანაოსნოდ გამოყენებას. მდინარეთა რეჟიმი დაკავშირებულია წვიმის ნალექებსა და თოვლის დნობასთან, ხშირია წყალდიდობა. მდინარეებს დიდი სამეურნეო მნიშვნელობა აქვთ. პირველ რიგში, ეს არის „თეთრი ნახშირის“ დიდი მარაგი (პოტენციური სიმძლავ-

რე 20 მლნ კვტ), ამას გარდა, ხდება ხე-ტყის დაცურება, მდინარეები უზრუნველყოფენ ბრინჯის დიდძალ ნათესებს წყლით. ტბა ცოტაა, ბევრია ლაგუნა. ყველაზე დიდი ტბაა ბივა (726 კვ. კმ), რომელშიც ჩაედინება მდინარე იოდო.

მცენარეული საფარი მდიდარი და მრავალფეროვანია, ითვლის დაახლოებით ხუთი ათას სახეობას — დაწყებული კუნძულ ჰოკაიდოდან ტაიგით და დამთავრებული ფართოფოთლოვანი ტყით რიუკიუს კუნძულებზე. მიუხედავად საკმაოდ მჭიდროდ დასახლებისა, იაპონიაში ჯერ კიდევ დიდია ხელუხლებელი დაბურული ტყის ფართობები. საერთოდ ტყის ფართობი მთელი ტერიტორიის ნახევარზე მეტს მოიცავს და ბევრ ძვირფასი ჯიშის ხეს ითვლის. მერქანი გამოყენებულია საშენ მასალად, ნედლეული სატყეო-ქიმიური მრეწველობისათვის, ცელულოზა-ქაღალდის დასამზადებლად და სხვ. იაპონიაში მკვეთრად გამოიყოფა ოთხი მთავარი ზონა: (სამხრეთიდან ჩრდილოეთისაკენ) ტროპიკული, სუბტროპიკული, ფართოფოთლოვანი და წიწვიანი ტყის.

მეურნეობა. იაპონია მაღალგანვითარებული ინდუსტრიულ-აგრარული ქვეყანაა. მასზე მოდის მსოფლიო სამრეწველო წარმოების 5%-ზე მეტი ან მთელი კაპიტალისტური სამყაროს საერთო პროდუქციის 9,3%. აზიის სახელმწიფოთა შორის იაპონია ერთადერთი ქვეყანაა, რომელმაც სამრეწველო განვითარების მაღალ დონეს მიაღწია და დღეს კაპიტალისტურ სამყაროში მთელი რიგი პროდუქციით მეორე ადგილზეა ამერიკის შეერთებული შტატების შემდეგ. იაპონია პირველ ადგილზეა კაპიტალისტურ სამყაროში გემთმშენებლობის (წყალწყვის ოდენობით), ცელულოზის, ბოჭკოს, მატყლის ქსოვილებითა და ტრანზისტორული რადიომიმღებების წარმოებით, მეორეზე — ელექტროენერგიის გამომუშავებით, ფოლადის გამოდნობით, ავტომობილების, ელექტრონული აპარატის, პლასტმასების, სინთეზური ბოჭკოს, ტელევიზორების, ფოტოაპარატების, გოგირდმჟავას, კაუსტიკური სოდის, აზოტოვანი სასუქების, მაცივრების, სარეცხი მანქანების წარმოებითა და ნავთობის გადამუშავებით. მესამეზე — კაუჩუკის, ფისის, ბამბის ქსოვილების წარმოებითა და სხვ.

მეორე მსოფლიო ომის შედეგად იაპონიამ დაკარგა მთელი თავისი სამფლობელოები აზიასა და ოკეანეთში (კორეა, სამხრეთ სახალინი, კურილის, მარიანის, მარშალის, კაროლინის კუნძულები, ჩინეთის მდიდარი სანედლეულო ბაზა). მაგრამ ომის შემდგომ პერი-

ოდში სწრაფად აღადგინა თავისი მეურნეობა და მაღალგანვითარებულ ქვეყანათა რიგში ჩადგა. ეკონომიკაში გაბატონებულია მონოპოლისტთა ჯგუფი, სიკუბისი, მიცუი, მუმიტომო, ფუძი-იასუდა, საწვა და სხვ.

იაპონიის მეურნეობის დამახასიათებელი ნიშან-თვისებებია: სამრეწველო საწარმოთა მაღალი ტექნიკური აღჭურვილობა (ომის შემდგომ პერიოდში საწარმოთა სრული რეკონსტრუქცია, საწარმოთა 2/3-ზე მეტი ახალი მოწყობილობით არის აღჭურვილი), მაღალგანვითარებული მრეწველობა (განსაკუთრებით მანქანათმშენებლობა, რომელიც უპირატესად ექსპორტზე მუშაობს), ღარიბი წიაღისეული სიმდიდრეები (რისთვისაც იაპონია ძირითადად შემოზიდულ ნედლეულზე მუშაობს), მაღალკვალიფიციური მუშახელის არსებობა, მრეწველობასთან შედარებით სოფლის მეურნეობის ჩამორჩენილობა, ეროვნულ შემოსავალში მრეწველობის ხვედრითი წონა 40-45%-ს აღწევს, სოფლის მეურნეობისა — 12-13%-ს.

იაპონიის სახალხო მეურნეობის სტრუქტურა მაპროფილებელი დარგების მიხედვით შემდეგნაირად შეიძლება ჩამოვაყალიბოთ: ენერგეტიკული მრეწველობა (შაეი და ფერადი მეტალურგია, მანქანათმშენებლობა, გემთმშენებლობა, ავტომშენებლობა, მანქანა-მოწყობილობათა წარმოება, რადიოელექტრონიკა, აპარატურა); ქიმიური და ნავთობქიმიური მრეწველობა (ნავთობგადამუშავება, პლასტმასების, სასუქებისა და ხელოვნური ბოჭკოს წარმოება); საფეიქრო და კვების მრეწველობა (მეთევზეობა), საგარეო ვაჭრობა და კავშირურთიერთობანი, ტურიზმი.

მრეწველობა განვითარების დიდი ტემპით ხასიათდება, განსაკუთრებით გამოირჩევა მძიმე მრეწველობა, რომელიც მრეწველობის საერთო პროდუქციის 3/4 შეადგენს. იაპონიის ენერგობაზა შედარებით სუსტია. სათბობ-საწვავის უქონლობის გამო ქვანახშირზე მეტი მნიშვნელობა იმპორტულ ნავთობს ენიჭება. ქვანახშირის ხვედრითი წონა ენერგომეურნეობაში მხოლოდ 24%-ს აღწევს მაშინ, როდესაც ნავთობისა და გაზის ხვედრითი წონა 67%-მდეა. იაპონიაში არის ქვანახშირის რამდენიმე საბადო, ქვანახშირი არც ისე მაღალხარისხოვანია (საერთო მარაგი დაახლოებით 20 მლრდ ტ შეადგენს). მთავარი საბადოებია: კუნძულ ჰოკაიდოზე (მდ. ისიკარას ხეობაში), კუნძულ კიუსიუზე (სადაც მისი მოპოვება წლიურად 20-23 მლნ ტ არ აღემატება).

იაპონიას საკუთარი ნავთობი არ გააჩნია და ახლო და შუა აღ-

მოსავლეთის ქვეყნებიდან შემოაქვს. მარტო 1973 წელს 180 მლნ ტ ნავთობი შემოიტანა. იმპორტულ ნავთობზე მუშაობს 42 მსხვილი ნავთობგადასამუშავებელი ქარხანა (აკიტა, ნიიგატა, კავასაკი, სიმიეუ, ვაკაიამა, იოკაიტი, კუდამაცუ, ამაგასაკი), რომლებიც უპირატესად კუნძულ ჰონსიუს სანაპიროებზე არიან განლაგებული.

ელექტროენერგიის გამომუშავება 1974 წელს 384 მლრდ კვტს შეადგენდა, ელექტროგამომუშავების სწრაფი ზრდა, პირველ რიგში, გამოწვეულია თბოელექტროსადგურების მშენებლობით. მიუხედავად იმისა, რომ იაპონიას გააჩნია „თეთრი ნახშირის" დიდი მარაგი და საკმაოდ მსხვილი ჰიდროელექტროსადგურები, ელექტროენერგიის გამომუშავების 2/3-ზე მეტს თბოელექტროსადგურები იძლევიან. თბოსადგურები ძირითადად თავმოყრილია ქვანახშირის აუზებსა და ნავთობგადასამუშავებელ რაიონებში. განსაკუთრებით სწრაფი ტემპით ვითარდება ატომური ენერგეტიკა. 1971 წელს იაპონიაში უკვე ოთხი ატომური ელექტროსადგური იყო. განზრახულია ატომური ელექტროსადგურების მშენებლობა ტოკიოს მახლობლად სანაპიროდან 5-6 კმ-ზე, 100 მ სიღრმეზე წყალქვეშ. 1978 წლისათვის ატომური ელექტროსადგურები გამოიმუშავებენ მთელი ელექტროენერგიის 32%-ს.

მიუხედავად იმისა, რომ შავი მეტალურგია ძირითადად შემოზიდულ ნედლეულზე მუშაობს, იგი მაინც მეურნეობის მაპროფილებელი დარგია და იაპონიას ერთ-ერთი წამყვანი ადგილი უჭირავს თუჯისა და ფოლადის გამოდნობით კაპიტალისტურ სამყაროში. საკუთარი რკინის მადანი ცოტა აქვთ, გამოირჩევა მხოლოდ 2 საბადო კუნძულ ჰონსიუს ჩრდილო-აღმოსავლეთითა (კუმაისი) და ჰოკაიდოს სამხრეთით (კუტიანი), თუმცა მადანი დაბალი ხარისხისაა. მცირე რაოდენობით ხდება მანგანუმის, ქრომიტის, ტიტანის (მიიღება რკინის შემცველი ქვიშიდან) მოპოვება. 1974 წელს იაპონიაში გამოადნეს 90 მლნ ტ თუჯი, 120 მლნ ტ ფოლადი და 20 მლნ ტ ფეროშენადნობები. შავი მეტალურგიის მთავარი ცენტრებია კუნძულ კიუსიუსა და ჰონსიუზე (ტოკიო, კავასაკი, ოსაკა, კობე, ხიმეძი), ჰოკაიდოზე — მურორანი, აღნიშნულ საწარმოებზე მოდის თუჯისა და ფოლადის გამოდნობის თითქმის 9/10. შავი მეტალურგიის ნაწარმი იაპონიას ნაწილობრივ გააქვს სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ქვეყნებში, ავსტრალიასა და ვენესუელაში.

იაპონია შედარებით ღარიბია ფერადი ლითონებით. აღსანიშნავია მხოლოდ სპილენძისა და ალუმინატების რამდენიმე საბადო. ფე-

რადი მეტალურგიის მთავარი ცენტრებია: ასიო, ოსაკა, ნიკო, ნიიჰატა და სხვ. 1971 წელს იაპონიამ გამოადნო 991 000 ტ სპილენძი, 225 000 ტ ტყვია, 850 000 ტ თუთია, 1,1 მლნ ტ ალუმინი.

მანქანათმშენებლობა იაპონიის მაპროფილებელი დარგია, მასზე მოდის მთელი სამრეწველო პროდუქციის ღირებულების დაახლოებით 2/3 და მანქანების წარმოებითა და ხარისხით იგი ერთ-ერთ პირველ ადგილზეა კაპიტალისტურ ქვეყნებს შორის. მანქანათმშენებლობის დარგობრივი სტრუქტურაა: სატრანსპორტო გემები, ავტომობილები, მოტოციკლეტები და ველოსიპედები, ვაგონები და სხვ., ჩარხსაშენი, ენერგომანქანები, ელექტროტექნიკური, ელექტრონული მანქანები და აპარატები, სამთო-საშახტე მოწყობილობანი, ამწევ-სატრანსპორტო და საშენი მოწყობილობანი, ოპტიკური და სამედიცინო აპარატურა, საფეიქრო, ქიმიური და კვების მრეწველობის მანქანები, საყოფაცხოვრებო ელექტროსაქონელი, რადიომიმღებები (24,5 მლნ ცალი), ტელევიზორები (13,0 მლნ ცალი), ფოტოაპარატები (5,3 მლნ ცალი), საათები (58,0 მლნ ცალი) და სხვ. მანქანების წარმოება ძირითადად თავმოყრილია მსხვილი სამრეწველო კომპანიების ხელში. ასეთებია: „მიცუბისი ძიუკოგე“ (აერთიანებს ავტო, გემთ და თვითმფრინავთმშენებლობას), „ხიტატი“ (ელექტროტექნიკური მრეწველობა), „ისიკავაძიმა ხარიმა“ (გემთმშენებლობა), „ნისან ძიდოსია“ (ავტომშენებლობა და სხვ.).

დიდია გემთმშენებლობისა და ავტომშენებლობის ხვედრითი წონა. ამ მხრივ იაპონია პირველ ადგილს ინარჩუნებს კაპიტალისტურ სამყაროში. განსაკუთრებით ცნობილია დიდი წყალწყვის ტანკერების მშენებლობა. იაპონიაში ააშენეს მსოფლიოში ყველაზე დიდი ტანკერი 312 000 ტონა წყალწყვით. შემდეგ 372 000 ტონა წყალწყვის ტანკერი (ამ უკანასკნელის სიგრძე 347 მ-ია). დაბოლოს აშენდა 477 000 ტონა წყალწყვის ტანკერი. აღნიშნული ტანკერებით ძირითადად ნავთობი შემოაქვთ ახლო აღმოსავლეთიდან. 1974 წელს იაპონიაში ჩაშვებულ იქნა 13,0 მლნ ტ წყალწყვის გემები. გემთმშენებლობის მთავარი ცენტრებია ძირითადად ტოკიო-იოკოჰამა-იოკოსუკა-ოსაკა-კობეს რაიონები, არის აგრეთვე დიდი ცენტრი კურე. ამას გარდა, გემები შენდება კუნძულ კიუსიუს ქალაქებში სასებოსა და ნაგასაკში.

მანქანათმშენებლობაში ასევე ერთ-ერთი მაპროფილებელი დარგია ავტომშენებლობა. მისი განვითარება განსაკუთრებით 1965 წლიდან დაიწყო. თუ 1960 წელს დამზადებულ იქნა 482 000 ავტომობი-

ლი, 1973 წლისათვის მისმა რიცხვმა 7,1 მლნ მიაღწია (მათ შორის 4,5 მლნ მსუბუქი და 2,5 სატვირთო ავტომანქანა). ავტომობილების წარმოებით იაპონია უკვე დაეწია გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკას და მეორე ადგილზე გავიდა მსოფლიოში ამერიკის შეერთებული შტატების შემდეგ. ავტომშენებლობის ზრდა, პირველ რიგში, გამოწვეულია აზიის, ავსტრალიისა და ოკეანეთის ბაზრის დიდი მოთხოვნილებებითა და ავტომანქანების თვითღირებულების შემცირებით. იაპონური ავტომობილი თავისი ხარისხითა და კეთილმოწყობით ერთ-ერთი საუკეთესოა მსოფლიოში. ავტომშენებლობის მთავარი ცენტრებია: ტოკიო, ოსაკა, კობე, კავასაკი, ნაგოია და ა. შ.

დიდი მნიშვნელობა აქვს ზუსტი ხელსაწყოების, ჩარხების, სამჭედლო-საწნეხი მანქანების წარმოებას, რომელთა დიდი ნაწილი უცხოეთში გააქვთ. განსაკუთრებით სწრაფად ვითარდება ელექტრონული წარმოება, რომელზედაც პროდუქციის მაღალი ხარისხის გამო დიდი მოთხოვნილებაა მსოფლიო ბაზარზე. სამეურნეო მოთხოვნილებანი და განვითარებული ტექნიკა დიდად უწყობს ხელს კიბერნეტიზაციას. დღეისათვის იაპონიაზე მოდის ელექტროგამომთვლელი მანქანების მსოფლიო წარმოების დაახლოებით 1/10.

ქიმიური მრეწველობა სწრაფად ვითარდება, მასზე მოდის მთელი სამრეწველო წარმოების პროდუქციის ღირებულების 10,5%. ქიმიური ტექნოლოგიის ტექნიკურმა პროგრესმა დიდი ცვლილებები შეიტანა ქიმიური მრეწველობის სტრუქტურაში, ძალზე გაიზარდა ორგანული ქიმიის როლი. 1973 წელს იაპონიამ დაამზადა გოგირდმჟავა (7,1 მლნ ტ), შარდოვანა (3,5 მლნ ტ), კალცირებული სოდა (1,365 ათასი ტ), სინთეზური კაუჩუკი (380 000 ტ), ხელოვნური აბრეშუმის ნაერთი (270 000 ტ) და სხვ. ქიმიური მრეწველობის ზოგიერთი ნაწარმის პროდუქციის სწრაფ ზრდაზე მეტყველებს შემდეგი მონაცემები: 1960-71 წწ. პლასტმასებისა და სინთეზური ფისის წარმოება გაიზარდა 8-ჯერ (5,1 მლნ ტ), ქიმიური ბოჭკოსი 12-ჯერ (1 620 000 ტ), აზოტოვანი სასუქებისა 2,2-ჯერ (2 მლნ ტ), სინთეზური კაუჩუკისა თითქმის 40-ჯერ და სხვ. ორგანული ქიმიის პროდუქციის წარმოებისათვის საჭირო ნედლეულში მთავარი ადგილი უჭირავს იმპორტულ ნავთობს. ნავთობიდან მზადდება ამ პროდუქციის 70%-ზე მეტი. როგორც წესი, ქიმიური საწარმოების დიდი რაოდენობა განლაგებულია ქვანახშირის აუზებში ნედლეულის წყაროებთან, ელექტროსადგურებთან, მოხმარების მსხვილ ცენტრში, განსაკუთრებით ნავთობგადასამუშავებელ ცენტრებთან. ნავთობ-

ქიმიური მრეწველობის განვითარებასთან ერთად ქიმიური მრეწველობის ახალი საწარმოები აღმოცენდა დიდ ნავსადგურებში. ასე, მაგალითად, პლასტმასების წარმოება ძირითადად თავმოყრილია ტოკიოს, ოსაკასა და ნაგოიას რაიონებში.

მსუბუქი მრეწველობიდან გამოირჩევა საფეიქრო მრეწველობა. მეორე მსოფლიო ომამდე ქსოვილების წარმოებას პირველი ადგილი ეკავა იაპონიის ეკონომიკაში, მაგრამ ომის დროს აღნიშნული დარგი თითქმის მოისპო, ამჟამად, მიუხედავად დიდი განვითარებისა, საფეიქრო მრეწველობის ხვედრითი წონა საერთო პროდუქციის ღირებულებაში მხოლოდ 10%-ს შეადგენს. საფეიქრო მრეწველობა ტრადიციული და მაპროფილებელი დარგია და მისი ნაწარმი ექსპორტის საკმაო ნაწილს წარმოადგენს. განსაკუთრებით მაღალი ხარისხით გამოირჩევა ბამბისა და შალის ქსოვილების ნაწარმი. 1973 წელს იაპონიაში დამზადებული იყო 2 380 ათასი კვ. მ ბამბის, 190 მლნ კვ. მ აბრეშუმის, 300 მლნ, კვ. მ ხელოვნური აბრეშუმის, 740 მლნ კვ. მ. ვისკოზური და 2 920 მლნ კვ. მ სინთეზური ქსოვილი. სულ უფრო ფართოვდება ხელოვნური ბოჭკოს წარმოება. რადგან იაპონიას საკუთარი ნედლეული არ გააჩნია, ქსოვილების წარმოების ნახევარზე მეტი სინთეზურია. საფეიქრო მრეწველობის ძირითადი რაიონია ტოკიო და მისი რაიონი, აგრეთვე კობე, კიოტო, ნაგოია, ფუგუი, საბაესი, კანაძავა და სხვ.

პროდუქციის ღირებულებით საფეიქრო მრეწველობას თითქმის უტოლდება კვების მრეწველობა, წამყვანია თევზკონსერვების წარმოება (თევზჭერით იაპონიას ერთ-ერთი წამყვანი ადგილი უკავია მსოფლიოში, სადაც მოდის თევზჭერის 26-27%), შაქრის, საფქვავი, ბრინჯის, არყის და სხვ. სხვა ქვეყნებისაგან განსხვავებით იაპონიას თითქმის არ გააჩნია რძე-ხორცის მრეწველობა, დანარჩენი დარგების ხვედრითი წონა მცირეა.

სოფლის მეურნეობაში წამყვანია მიწათმოქმედება, სჭარბობს შემამულური მიწათმფლობელობა, ძლიერია ფეოდალური გადმონაშთები. მიწის სიმცირისა და დაბალი მოსავლიანობის გამო იაპონელი გლეხი ხშირად მიდის დამხმარე საწარმოებში (მეთევზეობა, შინახელოსნობა, ფაბრიკა-ქარხნები). დამუშავებულ ფართობს უჭირავს 5,5 მლნ ჰა, რაც მთელი ტერიტორიის 14,8%-ს შეადგენს. საკმაოდ დიდია ტყეების ფართობი (მთელი ტერიტორიის 67,8%), სამაგიეროდ მცირეა სათიბ-საძოვრები (1,3 მლნ ჰა). მიუხედავად მოსახლეობის სიმჭიდროვისა, იაპონიაში დიდია გამოუყენებე-

ლი მიწის ფართობი, რაც საშუალებას იძლევა დამუშავებული ფართობის გადიდებისათვის.

მიუხედავად იმისა, რომ სოფლის მეურნეობაში მიწის სიმცირისა და დაქსაქსულობის გამო ნაკლებად არის გამოყენებული თანამედროვე სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა, მიწათმოქმედება მაღალი მოსავლიანობით გამოირჩევა. დამუშავებული ფართობის უდიდესი ნაწილი მარცვლეულს უჭირავს. მთავარი კულტურებია: ბრინჯი, ქერი, ხორბალი, ყოველ ნაკვეთზე სამხრეთ რაიონებში წელიწადში ორ მოსავალს იღებენ. მარცვლეულიდან წამყვანია ბრინჯის თესვა. ბრინჯის მოსავლიანობით იაპონია მესამე ადგილზეა მსოფლიოში ჩინეთისა და ინდოეთის შემდეგ. საკუთარი ბრინჯი არ ყოფნის და შეაქვს. იაპონია საერთოდ სპეციალიზებულია ბრინჯის თესვაზე, რაც, პირველ რიგში, აიხსნება მისი ბუნებრივი პირობებით, ქვეყნის სოციალური წყობითა და ეკონომიკით. აქ უხვადაა მზე სითბო და სინოტივე — ესოდენ აუცილებელი პირობები ბრინჯის მოსაყვანად. ბრინჯი შრომატევადი კულტურაა, ამასთან მაღალხარისხოვანიც. ბრინჯის თესვის წამყვანი რაიონებია თითქმის ყველა კუნძული, გარდა ჰოკაიდოსი. 1973 წელს ბრინჯის მოსავალი შეადგენდა 15,6 მლნ ტ, დანარჩენი კულტურების ხვედრითი წონა უმნიშვნელოა და 4-5 მლნ ტ არ აღემატება.

იაპონიის თითქმის ყველა კუნძულზე, გარდა ჰოკაიდოსი, ფართოდ არის გავრცელებული ჩაის კულტურა. ჩაის მთავარი მწარმოებელია კუნძულ ჰონსიუს სამხრეთი ნაწილი (განსაკუთრებით სუძუოკას პრეფექტურა), აქ წლიურად ამზადებენ საშუალოდ 75-80 ათას ტონა ჩაის ფოთოლს, უპირატესად მწვანე ჩაის. ჩაის დამზადებით იაპონია მეოთხე ადგილზეა მსოფლიოში. ჩაის მზა პროდუქცია იაპონიას გააქვს ჩრდილოეთისა და ლათინური ამერიკის ქვეყნებში. ფართოდ არის გავრცელებული შაქრის ლერწამი, თუმცა საკუთარი წარმოების შაქარი არ ყოფნით. შედარებით ნაკლებადაა გავრცელებული ტექნიკური კულტურები — კანაფი, რამი, სელი, თამბაქო. მისდევენ მებოსტნეობას, დიდი ღონისძიებებია ჩატარებული ძვირფასი სამკურნალო მცენარის ჟენ-შენის პლანტაციების გასადიდებლად. სამხრეთ კუნძულებზე გარკვეული მნიშვნელობა აქვს მეხილეობასა და ციტრუსოვან კულტურებს.

მეცხოველეობა სუსტად არის განვითარებული, ცოტაა მსხვილპროდუქტიული პირუტყვი (ძროხა მხოლოდ გამწევ ძალად გამოიყენება). საკმაოდ განვითარებულია მეფრინველეობა. იაპონიის

ეკონომიკაში დიდ როლს თამაშობს მეთევზეობა, რომელშიც ჩაბმულია დაახლოებით 3,5 მლნ კაცი, და თევზმოშენება. სანაპიროებზე იჭერენ კიბორჩხალებს, ხამანწკებს. რეწვის სპეციალური დარგია ზღვის მცენარეთა მოშენება (განსაკუთრებით ზღვის კომბოსტოს). აშენებენ მარგალიტის მომცემ ხამანწკებს.

ტრანსპორტი და საგარეო კავშირურთიერთობანი. იაპონიისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ნედლეულის შეტანასა და მზა პროდუქციის ექსპორტს, რასაც, პირველ რიგში, საზღვაო ტრანსპორტი ახორციელებს. ამას გარდა, შიდა ტვირთის გადაზიდვისა და მგზავრების გადაყვანის მნიშვნელოვანი წილიც საზღვაო ტრანსპორტზე მოდის. იაპონიის საზღვაო სავაჭრო ფლოტი სწრაფად ვითარდება მეორე მსოფლიო ომის შემდეგ. 1954 წლიდან 1974 წლამდე იაპონიის სავაჭრო ფლოტი საგრძნობლად გაიზარდა (3,3 მლნ ტონიდან 30 მლნ რეგისტრ-ტონამდე). აქვს აგრეთვე რამდენიმე ათეული დიდი საზღვაო ნავსადგური, მათ შორის გამოირჩევა: ტოკიო, იოკოჰამა (რომელიც ფაქტიურად ტოკიოს ნავსადგურს წარმოადგენს), ოსაკა, კობე, ნაგოია, მოძი და სხვ.

საკმაოდ განვითარებულია რკინიგზის ტრანსპორტი (სიგრძე 28 ათასი კმ). კუნძულები ერთმანეთთან დაკავშირებულია წყალქვეშა გვირაბებით, რომლებიც მთიანი რელიეფის გამო ბევრია, მათი რაოდენობა დაახლოებით 260-ს შეადგენს, ხოლო სიგრძე — 700 კმ-ზე მეტს. მსოფლიოში უდიდესი წყალქვეშა გვირაბი ტანა კუნძულ ჰონსიუს აკავშირებს ჰოკაიდოსთან (სიგრძე 54 კმ). გვირაბი ორსართულიანია, ერთი რკინიგზისა და მეორე ავტომობილებისათვის. არის სპეციალური რკინიგზის ბორანი, მაგალითად, ბორანი სიმონოსეკი — კორეის ნავსადგური პუსანი, რომელიც იაპონიას აკავშირებს აზიის კონტინენტთან.

ავტოსატრანსპორტო ტვირთბრუნვითა და მგზავრთა გადაყვანით მნიშვნელოვნად ჩამორჩება საზღვაო და სარკინიგზო ტრანსპორტი. ავტოგზების სიგრძე 230 ათას კმ-ს უდრის, მეტად გავრცელებულია ველოსიპედი, მაღალგანვითარებულია საავიაციო ტრანსპორტი.

იაპონიას მეტად ფართო კავშირურთიერთობანი აქვს აზიისა და ამერიკის ქვეყნებთან. შეაქვს: ნავთობი, რკინის მადანი, მანგანუმი, ბამბა, მატყლი, შაქარი, სურსათი და სხვ. გააქვს: მანქანათმშენებლობის პროდუქცია, ლითონი, ქსოვილები (განსაკუთრებით სინთეზური). ექსპორტის 2/3-ზე მეტი მანქანათმშენებლობის პროდუქციაზე მოდის. საგარეო ვაჭრობის მოცულობით იაპონია მეხუთე ად-

გილზეა კაპიტალისტურ სამყაროში ამერიკის შეერთებული შტატებ-ის, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის, ინგლისისა და საფ-რანგეთის შემდეგ. ვაჭრობაში მთავარი პარტნიორები არიან: ჩინე-თი, ამერიკის შეერთებული შტატები, ინდოეთი, ტაილანდი, ბირმა, ლათინური ამერიკისა და ახლო აღმოსავლეთის ქვეყნები, სსრ კავ-შირი. ფულის ერთეულია იენა.

განათლება და კულტურა. იაპონია უძველესი კულტურის ქვე-ყანაა, რომელმაც ჩინეთის მძლავრი კულტურის გავლენა განიცადა. აღსანიშნავია, რომ იაპონელები დღემდე სარგებლობენ ჩინური დამ-წერლობის ნიშნებით — იეროგლიფებით. მიუხედავად იმისა, რომ XIX საუკუნეში იაპონიის კულტურაზე დიდი გავლენა მოახდინა ევროპისა და ამერიკის ქვეყნების კულტურამ, იაპონიამ მაინც შეი-ნარჩუნა თავისი თვითმყოფადი კულტურა. სწავლა ყველასათვის სავალდებულოა, თანაც უფასო (სკოლებში ბავშვები წერას სწავ-ლობენ ორივე ხელით), მთავარი საგნებია იაპონიის გეოგრაფია და ისტორია, ინგლისური ენა, სპორტი (განსაკუთრებით ჭიდაობა, ტან-ვარჯიში, ფარიკაობა), საშუალო სკოლებთან არის სპეციალური კო-მერციული, ტექნიკური, სასოფლო-სამეურნეო, მეთევზეობისა და სანავიგაციო სასწავლებლები. იაპონიაში ითვლება 400-მდე უმაღ-ლესი სასწავლებელი, მათ შორის 72 უნივერსიტეტი, რომელთა შო-რის გამოირჩევა ყველაზე დიდი და უძველესი (1877 წლიდან) ტო-კიოს უნივერსიტეტი.

იაპონელი ხალხი დიდ ინტერესს იჩენს საბჭოთა ლიტერატუ-რისადმი. იაპონურ ენაზე თარგმნილია შ. რუსთაველის უკვდავი „ვეფხისტყაოსანი“, ა. ჩეხოვის, მ. გორკის, მ. შოლოხოვის, ა. მაკა-რენკოს, დ. ფურმანოვისა და სხვათა ნაწარმოებები.

მრავალსაუკუნოვანი ისტორია აქვს იაპონიის თეატრს, ეროვ-ნულ ღირსშესანიშნაობათა რიცხვს მიეკუთვნება ცნობილი იაპონური კლასიკური თეატრი კაბუკი, რომელიც საშუალო საუკუნეებში შე-იქმნა (თეატრში როლებს მხოლოდ მამაკაცები ასრულებენ). წარ-მოდგენები მიმდინარეობს დილიდან საღამომდე. დიდი პოპულარო-ბით სარგებლობს თოჯინების თეატრი. ბოლო წლებში განვითარდა კინოხელოვნება. დღეისათვის იაპონია კინოფილმების გამოშვებით ერთ-ერთი პირველ ადგილზეა მსოფლიოში და ამ მხრივ მხოლოდ ამერიკის შეერთებულ შტატებს ჩამორჩება. იაპონიაში გამოდის 300-მდე გაზეთი და ჟურნალი. მათ შორის აღსანიშნავია ყოველ-დღიური გაზეთები „აკაჰატა“ („წითელი დროშა“), და „ასაჰი („ამო-

ბავალი მზე"), რომლებიც იაპონიის კომუნისტური პარტიის ორგანოებია. იაპონიას აქვს ორი საინფორმაციო სააგენტო: კიოდო ცუსინი და ძიძი ცუსინი, რადიომაუწყებლობა და ტელეგადაცემა.

სახელმწიფო წყობილება. 1947 წლის კონსტიტუციით იაპონია პარლამენტური მონარქიაა. იმპერატორის (ხიროხიტოს) ძალაუფლება შეზღუდულია. სახელმწიფოს მეთაურად მემკვიდრეობით ითვლება იმპერატორის საგვარეულო ნაშიერი (მამაკაცი). ეს არის სახელმწიფოსა და ხალხის ერთიანობის სიმბოლო, თუმცა მისი უფლებები საგრძნობლადაა შეზღუდული. უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოა პარლამენტი, რომელიც შედგება ორი პალატისაგან — წარმომადგენელთა და მრჩეველთა პალატისაგან. ორივე პალატა ირჩევა ფარული კენჭისყრით. შემსრულებელი ძალაუფლება ეკუთვნის მინისტრთა კაბინეტს პრემიერ-მინისტრის მეთაურობით, ამ უკანასკნელს ირჩევს პარლამენტი, მაგრამ პრემიერ-მინისტრის კანდიდატურას ამტკიცებს იმპერატორი და მინისტრთა საბჭო.

პოლიტიკური პარტიები. მმართველია ლ ი ბ ე რ ა ლ უ რ-დ ე მ ო კ რ ა ტ ი უ ლ ი პარტია (1955 წ.), აერთიანებს წინათ ცალკე არსებულ ლიბერალურსა და დემოკრატიულ პარტიებს. გამოხატავს მონოპოლისტური კაპიტალისა და მსხვილი ბურჟუაზიის ინტერესებს, გამოდის არსებული წყობილების შესანარჩუნებლად, ამერიკის შეერთებულ შტატებთან სამხედრო-პოლიტიკური კავშირის განსამტკიცებლად. აგრეთვე სსრ კავშირთან და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკასთან სამეურნეო კავშირურთიერთობათა განვითარებისათვის; პარტია „კ ო მ ე ი ტ ო" (ან „ს ა მ ა რ თ ლ ი ა ნ ი მ ა რ თ ვ ი ს პ ა რ ტ ი ა", 1964 წ.), შექმნილია მსხვილი ბუდისტური ორგანიზაციის „სოკა ტაკაის" მიერ. მისი სოციალური ბაზაა ქალაქისა და სოფლის წვრილი კერძო მესაკუთრეთა ფართო მასები. ნაწილობრივ მხარს უჭერს მსხვილ კაპიტალს; დ ე მ ო კ რ ა ტ ი უ ლ ი ს ო ც ი ა ლ ი ზ მ ი ს პარტია (1960 წ.), ძირითადად ეყრდნობა მეშარჯვენე პროფკავშირულ ორგანიზაციებს, საშუალო და წვრილ ბურჟუაზიას; ი ა პ ო ნ ი ი ს ს ო ც ი ა ლ ი ს ტ უ რ ი პარტია (1945 წ), ოპოზიციურია, ეყრდნობა ქალაქისა და სოფლის მოსახლეობის საშუალო ფენებს, ნაწილობრივ მუშათა კლასსა და ინტელიგენციას, გამოდის მონოპოლისტთა ბატონობის წინააღმდეგ, იცავს მშვიდობისმოყვარე საგარეო პოლიტიკას; ი ა პ ო ნ ი ი ს კ ო მ უ ნ ი ს ტ უ რ ი პარტია (1922 წ.) 1945 წლამდე არალეგალურ მდგომარეობაში იმყოფებოდა, თავის რიგებში ითვლის 0,3 მლნ წევრს.

იემენის არაბთა რესპუბლიკა

იემენის* არაბთა რესპუბლიკა მდებარეობს არაბეთის ნახევარკუნძულის სამხრეთ-დასავლეთით. ჩრდილოეთითა და აღმოსავლეთით მას ესაზღვრება საუდის არაბეთი, სამხრეთ-აღმოსავლეთით — იემენის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკა, დასავლეთით — წითელი ზღვა ბაბ-ელ-მანდების სრუტით. ფართობი — დაახლოებით 195.000 კვ. კმ (მასვე მიეკუთვნება წითელ ზღვაში მდებარე ფარანის კუნძული), მოსახლეობა — 6,5 მლნ კაცი (1975). აღნიშნული მონაცემები ძალზე მიახლოებითია, რადგან იემენში მოსახლეობის აღწერა არასოდეს ჩატარებულა. მოსახლეობის უმეტესობას შეადგენენ არაბები, არიან აგრეთვე სომალიელები, თურქები, ეთიოპები და სხვ. მოსახლეობის განლაგება მეტად არათანაბარია. საშუალო სიმჭიდროვე 1 კვ. კმ-ზე 30 კაცს უდრის. მოსახლეობის 3/5 ცხოვრობს მთიან ნაწილში, შედარებით ნაკლებია დაბლობ ნაწილში (1 კვ. კმ-ზე 60 კაცი), ხოლო უდაბნოს ზონა თითქმის დაუსახლებელია. უმეტესობას შეადგენენ არაბული ტომები ჰამიდი, ზარანიკი, ბაკილი. დედაქალაქია სანა (134,6 ათასი მცხოვრებით, 2400 მ სიმაღლეზე ზღვ. დონიდან, დაარსდა IV საუკუნეში), რომელიც განთქმულია ვერცხლისა და ოქრომჭედლობით. დიდი ქალაქებია ტაიზი (80 ათასი მცხ.) და ჰოდეიდა (60 ათასი მცხ.). ქალაქად ცხოვრობს მოსახლეობის მხოლოდ 7-8%. ადმინისტრაციულად იყოფა 7 ლივად, ოფიციალური ენა — არაბული, გაბატონებული რელიგია — მუსლიმანური (ჩრდილო რაიონებში უმთავრესად ზეიდიტები, სამხრეთ რაიონებში — შაფიიტები, არიან ჰანაფიტები და ისმაილიტები). ეროვნული დღესასწაულია რევოლუციის დღე — 26 სექტემბერი (1962). სსრ კავშირთან დიპლომატიური ურთიერთობა დაამყარა 1928 წლის პირველ ნოემბერს.

ისტორია. იემენი უძველესი სამიწათმოქმედო ქვეყანაა. დღემდე შემორჩენილია ძველ საირიგაციო სისტემათა ნაშთები. კაშხალები, წყალსაცავები XVI-XVIII საუკუნეებში თურქების ხელში იყო, XVIII ს. აქ ინგლისის კაპიტალი იჭრება, XIX ს. კვლავ ოსმალთა იმპერიის გავლენის ქვეშ ექცევა. 1911 წელს სამეფოდ გამოცხადდა, 1962 წლამდე თემოკრატიულ სახელმწიფოს წარმოადგენდა, სამ-

---

* ალ-ამანი, ე. ი. მარჯვენა მხარე. არაბულად რესპუბლიკას ეწოდება: „ალ-ჯუმჰურია ალ-არაბია ალ-იამანია".

ხედრო გადატრიალების შედეგად 1962 წლის სექტემბერში მონარქია დაამხეს და რესპუბლიკად გამოცხადდა. გამოიცა კანონი მონობისა და მძევალთა ინსტიტუტის აკრძალვაზე. 1964 წლის მარტში იემენსა და სსრ კავშირს შორის ხელმოწერილ იქნა შეთანხმება ეკონომიური და ტექნიკური თანამშრომლობის შესახებ, 1967 წელს კი დაიდო ხელშეკრულება, რომლის თანახმად სსრ კავშირი დახმარებას გაუწევდა იემენს 13 სამრეწველო ობიექტის აშენებაში.

ბუნებრივი პირობები. ქვეყნის რელიეფი მეტად რთულია. ტერიტორიის დიდი ნაწილი უჭირავს ჯებელის მთიან მასივს, რომელზედაც ბევრი ჩამქრალი ვულკანია. სანაპიროს გასდევს 150 კმ სიგანის დაბლობი — ტიხამა, უმაღლესი მწვერვალია ენ-ნაბი-შაიბი (3600 მ), ყველაზე მეტად ათვისებული და დასახლებულია სანაპირო ზოლი, ბევრია მარჯნიანი რიფი. სანაპირო ხაზი განუვითარებელია. აღმოსავლეთითა და ჩრდილო-აღმოსავლეთით იემენის ტერიტორია გადადის არაბეთის დიდ უდაბნო რუბ-ელ-ჰალიში.

კლიმატი სუბტროპიკულია, თუმცა რელიეფის სირთულის გამო ბევრ ადგილას განსხვავებულიც. სანაპიროზე ცხელა, საშუალო წლიური ტემპერატურა 32° უდრის, ზაფხულობით ჩრდილში — 40-45°. ამ ზონაში ტემპერატურა 20°-ზე დაბლა არასოდეს ეცემა. ნალექები ცოტაა, მთიანი ნაწილის (ჯებელის) კლიმატი ზომიერ-კონტინენტურია, იანვრის ტემპერატურა — 12°, აგვისტოსი — 25°, ნალექების რაოდენობა 750-900 მმ აღწევს. ჩრდილოეთის მიმართულებით კლიმატი უფრო მშრალი და კონტინენტური ხდება. მდინარეები ბევრია, მაგრამ უმეტესობა წარმოდგენილია მშრალი ხეობებით (ვადი), რომლებიც წყლით მხოლოდ დიდი წვიმების დროს ივსებიან. ერთადერთი მდინარე ზაბადია, რომელშიც წყალი მთელი წლის განმავლობაში დგას, ხოლო ზაფხულობით წვიმების პერიოდში მისი წყალი მეწამულ ზღვამდე აღწევს. ამიტომაა, რომ წყლის საკითხი მუდამ იყო და დღესაც ნომერ პირველ პრობლემად ითვლება. მიწისქვეშა წყლები დიდ სიღრმეებზეა და მათი ზედაპირზე ამოქაჩვა სიძნელეებსა და გარკვეულ ხარჯებთანაა დაკავშირებული.

ტერიტორიის დიდი ნაწილი დაფარულია უდაბნოსა და ნახევრად უდაბნოს ქვიშითა და მცენარეულით. ხე-მცენარეები მხოლოდ სამხრეთ-დასავლეთით ხარობს. ფართოდაა გავრცელებული ჯუჯა პალმები, კაქტუსი. იემენის მთებში იზრდება იშვიათი არომატული მცენარეები ლადანი, ნირა და სხვ.

მეურნეობა. იემენი ძალზე ჩამორჩენილია და ტიპიურ აგრარულ

ქვეყანას წარმოადგენს. მეტისმეტად ძლიერია ფეოდალური და ტომობრივ ურთიერთობათა გადმონაშთები. სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა ძალზე პრიმიტიულია. მრეწველობა მხოლოდ ჩანასახ მდგომარეობაშია, საკუთარი ბუნებრივი რესურსები საკმარისი არ არის ნეურნეობის განვითარებისათვის.

ეკონომიკის საფუძველია სოფლის მეურნეობა (მეცხოველეობით), რომელშიც ჩაბმულია მოსახლეობის თითქმის 4/5. დამუშავებული მიწები ძალზე ცოტაა, რაც, პირველ რიგში, წყლის სიმცირითაა გამოწვეული. ჯებელის მთიანეთში შედარებით ხელსაყრელი ბუნებრივი პირობების გამო წელიწადში ორ მოსავალს იღებენ. მთავარი კულტურაა ყავა, რომელსაც საექსპორტო მნიშვნელობა აქვს და ძირითადად ჯებელის მთიან ზონაშია გავრცელებული (საშუალოდ 6-7 ათასი ტ). მაღალი ხარისხიანობით განსაკუთრებით ცნობილია ყავა მოკო, რომელიც მსოფლიოს ყველა კუთხეში გააქვთ (სახელწოდება წარმოსდგა ნავსადგურ მოჰადან, რადგან აქედან გაჰქონდათ და გააქვთ ყავა).

მარცვლეული კულტურებიდან გავრცელებულია დურა (სორგო), ხორბალი, სიმინდი. მარცვლეულით იემენი თავის თავს ძირითადად აკმაყოფილებს. მნიშვნელოვანი ტექნიკური კულტურებია: ბამბა, თამბაქო, ინდიგო. განსაკუთრებით აღსანიშნავია არომატული მცენარეების დამზადება, როგორებიცაა: მირა (სურნელოვანი ფისი ხის ქერქში), ბოსველია, რეიპანი, ტმინი. ნარკოტიკული მცენარე კატი (დიდი მნიშვნელობა აქვს აგრეთვე საპარფიუმერიო და სამედიცინო მრეწველობაში), დიდი რაოდენობით არის ფინიკის პალმა (წლიურად დაახლოებით 6 მლნ ტ), სარწყავ ადგილებში მნიშვნელოვანი ფართობები უჭირავს ვაზს, ხეხილს (განსაკუთრებით ნუშს, მანგოს, ბანანს, გარგარს), ციტრუსოვანებს (ყველაზე მეტად ცნობილია იემენის ლიმონი).

მეცხოველეობას მეორეხარისხოვანი მნიშვნელობა აქვს და ძირითადად განვითარებულია შარკის მთიანეთზე, სამაგიეროდ ცნობილია იემენის ცხენი. სანაპიროებზე მისდევენ მეთევზეობას, იჭერენ ზღვის ღრუბელსა და მარგალიტს. ახალ იემენში სწრაფი ტემპით შენდება საირიგაციო სისტემანი.

სამთომოპოვებითი მრეწველობა წარმოდგენილია რკინის მადნის, სპილენძის, ქვანახშირისა და ქვამარილის მოპოვებით. ძლიერ განვითარებულია შინახელოსნობა. 1974 წლისათვის იემენში იყო თბოსადგური, ბამბის დიდი კომბინატი სანაში (რომელიც იძლევა

მთელი მრეწველობის პროდუქციის თითქმის 1/3), ბამბის საწმენდი, თევზკონსერვების ქარხნები, მაცივრები და ნავთობსაცავები ჰოდეიდასა და სანაში. სსრ კავშირის დახმარებით ბაჯილეში აშენდა ცემენტის ქარხანა, იტალიის დახმარებით სანაში — სიგარეტების ფაბრიკა, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის დახმარებით სანას, ტაიზსა და ჰოდეიდაში — ჰიდროელექტროსადგურები, მარილის მოპოვება ხდება სალიფეში.

ტრანსპორტი და საგარეო კავშირურთიერთობანი. იემენი უპირატესად უგზო ქვეყანაა. რკინიგზა არ არის. თანდათან ვითარდება ავტოტრანსპორტი. საბჭოთა კავშირის, ჩინეთისა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის დახმარებით აშენდა 2300 კმ სიგრძის ასფალტირებული საავტომობილო გზები. დიდი მნიშვნელობა აქვს საჭაპანო და სასაპალნე ტრანსპორტს. საკუთარი საზღვაო ფლოტი არა აქვს. სსრ კავშირის დახმარებით აშენდა ახალი კეთილმოწყობილი ნავსადგური ჰოდეიდას, მოეასა და სალიფეში. საგარეო ვაჭრობას ძირითადად უცხოეთის გემები აწარმოებენ. დედაქალაქ სანას მახლობლად სსრ კავშირის დახმარებით აშენდა საერთაშორისო აეროპორტი რაჰბა. იემენიდან გააქვთ: ყავა, შებოლილი თევზი, ხილი, კუსტარული საიუველირო ნაწარმი (განსაკუთრებით სატევრები და ხანჯლები, სალოცავი ნოხები); შეაქვს: ნავთობპროდუქტები, ლიმონი, მანქანა-მოწყობილობანი, სასუქები, ქსოვილები, ხე-ტყე. საგარეო ვაჭრობაში მთავარი პარტნიორები არიან: ამერიკის შეერთებული შტატები, ინგლისი, საფრანგეთი, იტალია, იაპონია, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა. სულ უფრო ფართოვდება სავაჭრო ურთიერთობანი საბჭოთა კავშირთან. ფულის ერთეულია იემენის რიალი.

განათლება. ჯერჯერობით დიდია წერა-კითხვის უცოდინართა რაოდენობა, 1961 წლიდან მუსლიმანური მედრესების ნაცვლად დაიწყო სკოლების გახსნა. სწავლება დაწყებითსა და საშუალო სკოლებში უფასოა. იემენში ითვლება 850 დაწყებითი, 50 არასრული და 30 სრული საშუალო სკოლა. სასოფლო-სამეურნეო, სამრეწველო, სავაჭრო, პედაგოგიური სასწავლებლები. უმაღლესი განათლების მისაღებად უცხოეთში მიდიან, ბევრი იემენელი სწავლობს სსრ კავშირში. სანაში გაიხსნა სავაჭრო კოლეჯი, არაბული ენისა და ლიტერატურის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი, ეროვნული ბიბლიოთეკა, არის კინო-თეატრები (1962 წლამდე კინო-ფილმების დემონსტრირება აკრძალული იყო), გამოდის ორი ყოველდღიური და

ერთი კვირეული გაზეთი, სამი ბიულეტენი არაბულ ენაზე, აქვს საკუთარი საინფორმაციო სააგენტო და რადიომაუწყებლობა.

სახელმწიფო წყობილება. 1970 წლის კონსტიტუციის თანახმად იემენი არაბული ისლამური რესპუბლიკაა. 1974 წლიდან სახელმწიფოს ხელმძღვანელობს სამხედრო სარდლობის საბჭო (8 კაცი), რომლის თავმჯდომარე ერთდროულად უმაღლესი მთავარსარდალიც არის.

1970 წლიდან ყველა **პოლიტიკური პარტიის** საქმიანობა აკრძალულია.

იემენის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკა*

იემენის სახალხო-დემოკრატიულ რესპუბლიკას უჭირავს არაბეთის ნახევარკუნძულის სამხრეთი და სამხრეთ-აღმოსავლეთი ნაწილი. დასავლეთით მას ესაზღვრება იემენის არაბთა რესპუბლიკა, ჩრდილოეთით — საუდის არაბეთის უდაბნო რუბ-ელ-ჰალი, აღმოსავლეთით კი მცირე მანძილზე, ომანი, მასვე მიეკუთვნება კუნძულები სოკოტრა (იხ.), კამარანი, აბდ-ელ-ნური, პერიმი (ბაბ-ელ-მანდების სრუტეში, ინგლისის ყოფილი ციხესიმაგრე). რესპუბლიკის შემადგენლობაში შედის ინგლისის ყოფილი კოლონია ადენი და 16 სამთავრო-საშეიხო. ფართობი — 287,700 კვ. კმ (ზოგიერთი მონაცემებით 202.000 კვ. კმ ან 336.500 კვ. კმ), იემენის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის გაანგარიშებით კი ფართობი უდრის 464 000 კვ. კმ. მონაცემთა ასეთი დიდი სხვაობა, პირველ რიგში, გამოწვეულია იმით, რომ მკვეთრად გამოხატული საზღვარი საუდის არაბეთთან არ აქვს. მოსახლეობა — 1,7 მლნ კაცი, ძირითად მოსახლეობას შეადგენენ არაბები (90%), ქალაქად ცხოვრობენ აგრეთვე ჩამოსული ინდოელები და პაკისტანელები. არაბთა მთავარი ტომებია: კუაიტი, კატირი, ვაჰიდი, აულაკი, ფადლი და სხვ. რესპუბლიკის დედაქალაქია ქალაქ ადენის ჩრდილო-დასავლეთით მდებარე, ახლად გაშენებული ქალაქი აშ-შაბი. მნიშვნელოვანი ქალაქებია: მაკალა, ელ-ჰუტა და სეიუნი. სიმჭიდროვე მეტად არათა-

* ჯუმჰურიატ ალ-იამან ალ-დიმოკრატია აშ-შაბია.

ნაბარია, 1 კვ. კმ-ზე საშუალო სიმჭიდროვე დაბალია და 6 კაცს არ აღემატება. სამაგიეროდ სანაპირო ზოლში ეს მაჩვენებელი 15-ს აღწევს, მაგრამ უდაბნოს ზოლში, სადაც ბევრი მოხეტიალე ტომია, 1 კვ. კმ-ზე ერთი კაციც არ მოდის.

ქალაქად ცხოვრობს მოსახლეობის დაახლოებით 1/8. ყველაზე დიდი ქალაქია **ადენი** (350 ათასამდე მცხოვრებით). ბრიტანეთის ერთა თანამეგობრობის ქვეყნებში ადენის ნავსადგური მიღებული გემების ოდენობით მესამე ადგილზეა ლონდონისა და ლივერპულის შემდეგ. ადენი მსოფლიოს ქალაქებს შორის პირველ ადგილზეა მამაკაცების სიჭარბით. 1965-1970 წლებში ადენის მთელი მოსახლეობის 68%-ს მამაკაცები შეადგენდნენ. ადმინისტრაციულად იყოფა 6 მუჰაფაზად, ოფიციალური ენა — არაბული, გაბატონებული რელიგია — მუსლიმანური (შაფიიტის მიმართულებისა, არიან სუნიტები), ეროვნული დღესასწაული—რევოლუციის დღე—11 ოქტომბერი (1963), დამოუკიდებლობის გამოცხადების დღე — 30 ნოემბერი (1967).

ისტორია. იემენის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკა უწინ დიდი იემენის ნაწილს წარმოადგენდა. აქ სხვადასხვა დროს იყვნენ პორტუგალიელები, ესპანელები, თურქები. 1839 წლის 19 იანვარს ადენი ინგლისმა დაიპყრო (ამიტომ ეს დღე სამგლოვიარო დღედაა გამოცხადებული). ქალაქი ადენი კუნძულ პერიმთან ერთად წარმოადგენდა ინგლისის მნიშვნელოვან ციხესიმაგრეს, ამიტომ 1952 წლიდან იგი „დამოუკიდებელი პროვინცია" იყო. მაგრამ 1959 წელს შინაგანი თვითმმართველობა მიიღო. 1959-1962 წწ. შეუერთდა ადენის ტერიტორიას. 1967 წლამდე მას სამხრეთ იემენი ეწოდებოდა, შემდეგ კი იემენის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკა ეწოდა. კონსტიტუციის თანახმად, რესპუბლიკაში აკრძალულია მონობა. იემენი არაბული ქვეყნების ლიგისა და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრია. სსრ კავშირთან დიპლომატიური ურთიერთობა დაამყარა 1967 წლის 3 დეკემბერს.

ბუნებრივი პირობები. იემენის რესპუბლიკის ტერიტორია ძირითადად მთიანია და უკავია ჯებელ-ჰიჯასის მთიანი სისტემის სამხრეთი ნაწილი უმაღლეს მწვერვალ ადარანით (2508 მ). მთელ სანაპიროზე გვხვდება დიუნები, ზოგან ციცაბო კლდეები, რის გამოც სანაპირო ხაზი განუვითარებელია, ბევრია დიდძალი მარჯნიანი რიფი, ჩამქრალი ვულკანი. კლიმატი ტროპიკულია, ძალზე ცხელი და ნოტიო ზაფხულით. ზღვის სანაპიროზე ზაფხულის ტემპერატუ-

რა 18-20° აღწევს, მთაში კი — 5-8°-მდე ეცემა. კლიმატზე გავლენას ახდენს სამხრეთ-დასავლეთური მუსონები, ნალექების საშუალო წლიური რაოდენობა, გარდა უდაბნოს ზონისა, 700-800 მმ აღწევს. უდაბნოს ზონაში საერთოდ ნალექები არ მოდის მრავალი წლის განმავლობაში. არაბეთის ნახევარკუნძულისაგან განსხვავებით აქ მრავლად არის მცირე სეზონური მდინარეები (ვადი), რომლებიც ერთგვარად აცოცხლებენ ლანდშაფტს. მნიშვნელოვანი მდინარეებია ვადი-მასილა (ჰადრამაუტში) და ჰუვაირა. ჩრდილოეთით გავრცელებულია სავანა—სიმშრალის მოყვარული მცენარეებით, ბუნებრივი ტყეები თითქმის არ არის.

მეურნეობის მხრივ ძალზე ჩამორჩენილია და ტიპური აგრარული ქვეყანაა. მრეწველობა ჩანასახ მდგომარეობაშია. საკმაო პოზიციებს ინარჩუნებს შინახელოსნობა და კუსტარული მრეწველობა. ადენს გარდა, რესპუბლიკას არ აქვს არც ერთი მნიშვნელოვანი სამრეწველო ცენტრი. ზოგ დარგებთან ერთად შემოსავლის უმთავრესი წყაროა მომსახურების სფერო.

დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ რესპუბლიკაში ჩატარდა რიგი დემოკრატიული გარდაქმნები (1968 და 1970 წწ.). ყოფილი სულთნების, შეიხებისა და მინისტრების მიწები კომპენსაციის გარეშე ჩამორთმეულ იქნა, მიწათმფლობელებისათვის დაწესდა მიწათსარგებლობის ნორმები 25 ფედლანი (დაახლოებით 10 ჰექტარი) სარწყავი ან 50 ფედლანი ურწყავი მიწა. უმიწაწყლო გლეხებმა მიიღეს 3-5 ფედლანი სარწყავი ან 6-10 ფედლანი ურწყავი მიწა, შეიქმნა სასოფლო-საწარმოო კოოპერატივები, სახელმწიფო სექტორი, ნაციონალიზებულ იქნა უცხოეთის ბანკები, კომპანიები, ზოგიერთი საწარმო, მთლიანად საგარეო ვაჭრობა. რესპუბლიკას ეკონომიკის განვითარებაში დიდ დახმარებას უწევენ სოციალისტური და არაბული ქვეყნები. საბჭოთა სპეციალისტების დახმარებით შედგენილ იქნა და წარმატებით დამთავრდა მეურნეობის განვითარების 1971-1974 წლების სამწლიანი გეგმა.

ადენთან ელ-ბურეიკაში არის უცხო კაპიტალის კუთვნილი ნავთობგადასამუშავებელი მსხვილი ქარხანა (8-10 მლნ ტ სიმძლავრით წელიწადში). აქედან ნავთობის მილები მიდის ნავსადგურ შაჰ-ოსმანაში, სადაც არის ერთადერთი 20 კმ სიგრძის რკინიგზის ხაზი. ქარხანა მუშაობს შემოზიდულ ნავთობზე. ამავე ქალაქშია გემთშემკეთებელი სახელოსნოები. მრეწველობის დანარჩენი დარგებიდან გამოირჩევა მარილის მოპოვება, საშენ მასალათა, ავეჯის, თევზ-

კონსერვების წარმოება, ალუმინის, მცენარეული ზეთის, საპნის, თევზის ფქვილის, წვრილი ბამბის საწმენდი, კვებისა და საფეიქრო მრეწველობის საწარმოები. შინამრეწველობიდან განსაკუთრებით ცნობილია ჯამბის—მოლუნული ხმლების წარმოება. საერთოდ რესპუბლიკის ეკონომიკა მნიშვნელოვანწილად ეყრდნობა რეექსპორტულ ოპერაციებს. ნავსადგურების, ტურისტებისა და მეზღვაურების მომსახურების სფერო ეროვნული შემოსავლის ნახევარზე მეტს იძლევა, თუმცა აღნიშნული მაჩვენებელი საგრძნობლად შემცირდა მას შემდეგ, რაც სუეცის არხი დაიკეტა. 1975 წლიდან სუეცის არხის აღდგენასთან დაკავშირებით ტვირთგადამსროლი ოპერაციები განახლებულ იქნა და ადენის, როგორც ნავსადგურის, მნიშვნელობა კვლავ დიდად გაიზარდა.

სოფლის მეურნეობაში ჩაბმულია მოსახლეობის 2/3-ზე მეტი. ტექნიკა მეტად ჩამორჩენილია, უწყლობის გამო აუთვისებელია დიდძალი ფართობები, ამიტომ რესპუბლიკის მთავრობა განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს საირიგაციო მშენებლობას, არტეზიული ჭების გაკეთებას. სსრ კავშირის დახმარებით შენდება ორი დიდი კაშხალი არხებით, რომლებიც 6 700 ჰექტარ მიწას მორწყავენ.

მთავარი სასოფლო-სამეურნეო კულტურებია: ბამბა, რომელსაც საექსპორტო მნიშვნელობა აქვს (ქალაქ აბიანში არის ბამბის საწმენდი ფაბრიკა), ყავა, თამბაქო, მარცვლეული, ფინიკის პალმა, ბანანი. დიდი რაოდენობით არის გავრცელებული გარგარი, რომლის წვენიც ევროპაში გააქვთ. განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს გვალვაგამძლე ხეს — ილბის, რომლის ნაყოფსაც საქმელად ხმარობენ, ფოთლებს კი პირუტყვის გამოსაკვებად იყენებენ. დიდი რაოდენობით ხარობს და საექსპორტო მნიშვნელობა აქვს ნარკოტიკულ მცენარე კატს და ლიუსენიას, რომლისგანაც ინა მზადდება.

მეცხოველეობა შედარებით სუსტად არის განვითარებული წამყვანია მეცხვარეობა, აშენებენ აქლემს, რომელიც ტრანსპორტის თითქმის ერთადერთი საშუალებაა ტერიტორიის დიდ ნაწილზე. მთიან რაიონებში გავრცელებულია მეფუტკრეობა, მზადდება უმაღლესი ხარისხის ე. წ. ეშბუმის ხარისხის თაფლი, რომელიც უცხოეთში გააქვთ. სანაპიროზე მცირე რაოდენობით იჭერენ თევზს. განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს სატრანზიტო ვაჭრობას.

ტრანსპორტი და საგარეო კავშირურთიერთობანი. განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს სატრანზიტო ვაჭრობას. ერთადერთი თანამედროვე ტექნიკით აღჭურვილი ნავსადგური ადენი ტვირთგა-

დამტან-განმანაწილებელსა და სატრანზიტო ტვირთის მთავარ პუნქტს წარმოადგენს. ტრანსპორტის მთავარი სახეობაა ავტოტრანსპორტი (გზების სიგრძე 5000 კმ), დიდძალი ტვირთი გადააქვთ და მგზავრები გადაჰყავთ აქლემებითა და სახედრებით. არსებობს ეროვნული ავიაკომპანია. გააქვს: ბამბა, ყავა, თამბაქო, მარილი და სხვ.; შეაქვს: ნავთობპროდუქტები, სურსათი, შაქარი, ქსოვილები. საგარეო ვაჭრობაში მთავარი პარტნიორები არიან: საბჭოთა კავშირი, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა, ჩეხოსლოვაკია, კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკა, ინგლისი, იაპონია. ფულის ერთეულია იემენის დინარი.

განათლება. ძალზე დიდია წერა-კითხვის უცოდინართა რაოდენობა. დაწყებით და საშუალო სკოლებში სწავლება უფასოა. გახსნილია 1100 დაწყებითი და საშუალო სკოლა. სწავლება არაბულსა და ინგლისურ ენებზე მიმდინარეობს. არის ტექნიკური სასწავლებელი ადენში, 1970 წელს იქვე გაიხსნა პირველი უმაღლესი სასწავლებელი — კოლეჯი. ადენშივეა საქალაქო მუნიციპალიტეტის დიდი ბიბლიოთეკა ინგლისურ, არაბულსა და ზოგიერთ ადგილობრივ ენებზე. არქეოლოგიური და რევოლუციის მუზეუმები, გამოდის ორი ყოველდღიური და სამი კვირეული გაზეთი, არის ადენის საინფორმაციო სააგენტო, საკუთარი რადიომაუწყებლობა და ტელევიზია.

სახელმწიფო წყობილება. 1970 წლის კონსტიტუციის მიხედვით სახელმწიფოს ეწოდება იემენის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკა. სახელმწიფოს მეთაურის ფუნქციას ასრულებს პრეზიდენტის საბჭო (სამი წევრით), რომელსაც ირჩევს უმაღლესი სახალხო საბჭო (101 კაცი), უმაღლესი ძალაუფლება ეკუთვნის უმაღლეს სახალხო საბჭოს, რომელსაც მოსახლეობა ირჩევს 3 წლის ვადით. შემსრულებელი ორგანოა მინისტრთა საბჭო. იემენის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკა არის გაერთიანებული ერების ორგანიზაციისა და არაბთა ქვეყნების ლიგის წევრი.

პოლიტიკური პარტიები. მმართველია ნაციონალური ფრონტი (1963), რომელიც იბრძვის ქვეყნის დამოუკიდებლობისა და თავისუფლებისათვის. დანარჩენი პოლიტიკური პარტიების საქმიანობა აკრძალულია. მნიშვნელოვან ფაქტორად უნდა ჩაითვალოს რიგი პოლიტიკური პარტიების გაერთიანება, ესენია: სამი პროგრესული პარტია, ნაციონალური ფრონტი, სახალხო-დემოკრატიული კავშირი და სახალხო ავანგარდის პარტია.

იემენის სახალხო-დემოკრატიულ რესპუბლიკას ეკუთვნის დიდი კუნძული სოკოტრა (სანსკრიტულ ენაზე ნიშნავს „განცხრომის კუნძულს“, მდებარეობს ინდოეთის ოკეანეში, გვარდაფუის (აფრიკა) კონცხის აღმოსავლეთით. ფართობი — 3630 კვ. კმ, მოსახლეობა — დაახლოებით 25-30 ათასი კაცი (1970). კუნძულზე მოსახლეობის აღწერა არასოდეს ჩატარებულა. ძირითად მასას შეადგენენ არაბები. მთავარი ქალაქია ჰადიბუ.

კუნძული სოკოტრა ძირითადად მთიანია. ყველაზე მაღალი წერტილია მწვერვალი სოკოტრა (1502 მ ზღვ. დონიდან). კლიმატი — ტიპური ტროპიკული. იანვრის საშუალო ტემპერატურა უდრის 21°, ივნისისა — 28°. ნალექების რაოდენობა მცირეა და საშუალოდ წელიწადში მოდის 250-300 მმ. მცენარეული საფარი ღარიბი და ძირითადად ნახევრადუდაბნოსებურია. მაღლა მთებში არის ტროპიკული ტყეები. მოსახლეობის მთავარი საქმიანობაა ფინიკური პალმის გაშენება. ბევრია სამკურნალო არომატული მცენარე, მისდევენ წვრილფეხა პირუტყვის მოშენებას, სანაპიროებზე დიდი მნიშვნელობა აქვს მეთევზეობას.

კუნძულზე ფული თითქმის არ არის მიმოქცევაში. მცხოვრებნი უპირატესად ნატურალურ გაცვლას ეწევიან. ამ საფუძველზე მიმდინარეობს სპარსეთის ყურიდან და აფრიკიდან მოსულ ვაჭრებთან ანგარიში. სოკოტრადან გააქვთ: მარგალიტი, მშრალი თევზი, ტყავი, ცებეტონი (რომელსაც იყენებენ პარფიუმერიაში); შეაქვს: ნავთობი, სიმინდი, ბრინჯი, ასანთი. კუნძულის მცხოვრებლებმა ფაქტიურად არ იციან, რა არის ფეხსაცმელი და ფეხშიშველნი დადიან, ასევე წარმოდგენა არა აქვთ სამედიცინო დახმარებაზე.

სოკოტრა დღეს იემენის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის პირველ საგუბერნატოროში შედის.

ინდოეთი

ინდოეთის რესპუბლიკა ერთ-ერთი უდიდესი ქვეყანაა მსოფლიოში როგორც ფართობით, ისე მოსახლეობის რაოდენობით. იგი მდებარეობს სამხრეთ აზიაში, ჰიმალაის ქედსა და ინდოეთის ოკეანეს შორის, უკავია ინდოსტანის მთელი ნახევარკუნძული. მისი სიგრძე ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ 3200 კმ აღწევს, მაქსიმალუ-

რი სიგანე დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ 2700 კმ-ს. მისი ჩრდილოეთით მდებარე სსრ კავშირის ტერიტორიიდან გამოიყოფა ავღანეთის ვიწრო ზოლით (არა უმეტეს 35 კმ სიგანისა), სანაპირო ზოლი განუვითარებელია. ადმინისტრაციულად ინდოეთს ეკუთვნის აგრეთვე ანდამანის, ნიკობარისა და ლაკადივის კუნძულები. საერთო ფართობია 3287,59 ათასი კვ. კმ (სიკიმისა და ლადაკის ჩათვლით), მოსახლეობა — 606 მლნ კაცი (1975). ამ მაჩვენებლებით ინდოეთი მეორე ადგილზეა მსოფლიოში ჩინეთის შემდეგ.

მოსახლეობა. ინდოეთი მრავალეროვანი ქვეყანაა, ითვლება რამდენიმე ასეული ერი, ეროვნება და ტომის გაერთიანება, რომლებიც სხვადასხვა ენაზე ლაპარაკობენ. 1971 წ. აღწერით აღრიცხული იყო 845 ენა და დიალექტი. მოსახლეობის 3/4 მიეკუთვნება ინდო-ევროპულ ენათა ოჯახს, ყველაზე მრავალრიცხოვნები არიან ჰინდი, ბიჰარი, მარაჰტი, ანდჰრა, ტელუგუ, ტამილი, გუჯარელი, ფენჯაბელი, რაჯასტჰანელი, ორია, მალაილი, ასამელი, ქაშმირელი, პაჰარი და სხვ. დამახასიათებელია მამაკაცთა სიჭარბე ქალებზე (2,5%-ით). საშუალო სიმჭიდროვე 1 კვ. კმ-ზე 183 კაცია. ტერიტორიის 1/4-ზე ეს მაჩვენებელი 250-ს აღემატება; ზოგიერთ შტატში კი 550 კაცს (მაგალითად, კერალას შტატში). მაღალი სიმჭიდროვე მნიშვნელოვანწილად განაპირობებს საგარეო მიგრაციას.

დედაქალაქია დელი (უფრო სწორედ ახალი ნაწილი ნიუ-დელი, 5 მლნ მცხოვრებით. დელის თავდაპირველად შაჰჯანაბადი ეწოდებოდა. იგი აღნიშნულია ვახუშტის რუკაზე, დელის მიდამოებში იბრძოდა ერეკლე II, რომელიც თავის წერილებში ამ ქალაქს ჯანაბადს უწოდებდა. ქალაქად ცხოვრობს მოსახლეობის მხოლოდ 1/5, დანარჩენი კი — სოფლად.

ინდოეთის დიდი ქალაქები, უდიდესი სამრეწველო ცენტრები და ნავსადგურებია: კალკუტა (7,0 მლნ მცხოვრებით, 1834-1911 წწ. იყო ინდოეთის დედაქალაქი), ბომბეი (6,0 მლნ), მადრასი (3,2 მლნ), ბანგალური (1,5 მლნ), ჰაიდარაბადი (1,9 მლნ), აჰმედაბადი (1,7 მლნ), კანპური (1,4 მლნ), პუნა (1,2 მლნ) და სხვ. ადმინისტრაციულად იყოფა 22 შტატად და 10 მოკავშირე ტერიტორიად. 1975 წელს ინდოეთის შემადგენლობაში შევიდა ყოფილი პროტექტორატი სიკიმის სამთავრო. ცენტრალური დაქვემდებარების ქალაქებია დელი და ბომბეი. ლაკადივის, ნიკობარისა და ანდამანის კუნძულები მოკავშირე ტერიტორიებად ითვლება. ოფიციალური ენა — ჰინდი და დროებით ინგლისური. შტატების მიხედვით ოფიციალური ენებია:

ბენგალი (დასავლეთი ბენგალია, ტრიპურის), გუჯარატი (გუჯარატის), ჰინდი (უტარ-პრადეშის, მადჰია-პრადეშის, რაჯასტჰანის, ჰიმჩალ-პრადეშის, ბიჰარის, ჰარიანას), კანდა (მაისურის), ქაშმირი (ჯამუ და ქაშმირის), მალაიალამი (კერალას), ორია (ორისას), მარატჰი (მაჰარატშრას), ფენჯაბი (ფენჯაბის), ტამილი (ტამილნადი), ინგლისური (ნაგალენდი) და სხვ. ამის გარდა, ოფიციალურ ენებად მიღებულია აგრეთვე ძველინდური ენა სანსკრიტი და ინდოელ მუსულმანთა შორის გავრცელებული ენა ურდუ. გაბატონებული რელიგიებია: ინდუიზმი ან ბრაჰმანიზმი (მოსახლეობის 4/5-ზე მეტი), მუსლიმანური (სუნი), აგრეთვე ბუდისტური, სიკჰი, ქრისტიანები, ჯაინები, ანიმისტები (მთიან რაიონებში), დამოუკიდებლობის დღე — 15 აგვისტო (1947 წ.) და რესპუბლიკის გამოცხადების დღე — 25 იანვარი (1950 წ.).

ისტორია. ინდოეთი უძველესი და მაღალი კულტურის ქვეყანაა. მან მსოფლიოს მისცა ციფრები, რომელიც აქამდე შეცდომით არაბულის სახელწოდებით იყო ცნობილი (სინამდვილეში არაბებმა ისწავლეს ინდოელებისაგან და შემდეგში მათ გადასცეს ევროპის ქვეყნებს). ინდოელმა მეცნიერებმა დაამუშავეს ალგებრის, გეომეტრიისა და ტრიგონომეტრიის რიგი დებულებები. ბრწყინვალე არქიტექტურული ძეგლები (ვარანგალი, ტაჯ-მაჰალი) და კლდეში ნაკვეთი ტაძრები მეტყველებენ ინდოელი ხალხის მაღალ სამშენებლო ხელოვნებაზე. ინდოეთის კულტურაზე ის ფაქტიც მეტყველებს, რომ მათ ჯერ კიდევ ჩვენს წელთაღრიცხვამდე იცოდნენ ლითონის დნობა და ჭედვა. მაღალ დონეზე იდგა ქირურგია, ხუროთმოძღვრება, ასტრონომია. უდიდესმა მათემატიკოსმა და ასტრონომმა არიაბატჰამ (V საუკ. ჩვ. წელთაღრიცხვამდე) გამოთქვა აზრი, რომ დედამიწა მრგვალია და იგი თავისი ღერძის გარშემო ტრიალებსო. ინდოეთი საკმაოდ ცნობილი იყო ქართველი ხალხისათვის. არსებობდა მოგზაურ ვაჭართა მთელი პლეადა, რომლებიც უპირატესად ინდოეთთან აწარმოებდნენ ვაჭრობას (დანიბეგაშვილები, მაღალაშვილები, შერგილაშვილები, ზუბალაშვილები, ხურსიძეები და სხვ.). ინდოეთიდან საქართველოში მოჰქონდათ ძვირფასი ქვები და სამკაული (ლალი, იაგუნდი, ზურმუხტი), იარაღი და თოფის წამალი, აბრეშუმისა და შალის ქსოვილები, ცნობილი ქაშმირი, მუშკამბრი, მიხაკი, დარიჩინი, ილი, პილპილი. „ქართლის ცხოვრება" იუწყება ვახტანგ გორგასალის ლაშქრობაზე ინდოეთში, 1738-40 წწ. შეფე

ქრეკლე II თავის ამალასთან ერთად მონაწილეობას იღებდა ნადირ-შაჰის ლაშქრობაში ინდოეთის დასაპყრობად.

1469-72 წწ. ინდოეთს ესტუმრა რუსეთის ვაჭარ-მოგზაური ათანასე ნიკიტინი. მან დაწერა წიგნი „მოგზაურობა სამ ზღვას იქით". 1498 წ. ვასკო და გამამ საზღვაო გზა აღმოაჩინა ევროპიდან ინდოეთისაკენ (აფრიკის გარშემოვლით) და ამით ფართო გზა გაუხსნა ევროპელთა მიერ ინდოეთის კოლონიზაციას. პირველი კოლონისტები, რომლებმაც ინდოეთის ტერიტორიაზე კოლონიები შექმნეს, პორტუგალიელები იყვნენ. 1613 წელს ინგლისმა ოსტ-ინდოეთის კომპანია დააარსა და დაიწყო ინგლისის ჯერ სავაჭრო და შემდეგ საფინანსო კაპიტალის შეჭრა. 1757 წელი ინგლისის მიერ ინდოეთის კოლონიზაციის თარიღად ითვლება.

ინდოეთი აღწერილი აქვს აგრეთვე ცნობილ ქართველ მოგზაურს რაფიელ დანიბეგაშვილს, რომელიც ხუთჯერ იყო ინდოეთში და 1815 წელს მოსკოვში გამოიცა ნაშრომი ინდოეთში მოგზაურობის შესახებ. რ. დანიბეგაშვილი მოგვითხრობს ინდოეთის ბუნებაზე, მოსახლეობის განლაგებასა და ზნე-ჩვეულებებზე, რელიგიურ რიტუალებზე, აგრეთვე ინდოელი ხალხის ბრძოლაზე ინგლისელ დამპყრობთა წინააღმდეგ. საკმაოდ ხანგრძლივი ისტორია აქვს ინდოელი ხალხის ეროვნულ-განმათავისუფლებელ ბრძოლას ინგლისელ კოლონიზატორთა წინააღმდეგ. ამ ბრძოლის საუკეთესო მაგალითია 1858-59 წწ. სახალხო აჯანყება (ე. წ. სიპაის აჯანყება), მასიური გამოსვლები 1918-1922 და 1928-33 წწ., რომელთაც სათავეში ედგნენ გამოჩენილი მოღვაწეები მაჰმატა განდი და ჯავაჰარლალ ნერუ.

თითქმის ორი საუკუნის განმავლობაში ინდოეთი ინგლისის სამფლობელოს წარმოადგენდა, განსაკუთრებული კოლონიის სტატუსით. 1947 წელს რელიგიური ნიშნების მიხედვით ინდოეთის კოლონია გაიყო ორ დომინიონად: ინდოეთად (ინდუისტური რელიგიის მიმდევართა მიხედვით) და პაკისტანად (მუსულმანური რელიგიის მიმდევართა მიხედვით). 1950 წელს ინდოეთი რესპუბლიკად გამოცხადდა და დარჩა ბრიტანეთის ერთა თანამეგობრობაში, არის გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრი. სსრ კავშირთან დიპლომატიური ურთიერთობა დაამყარა 1947 წლის 13 აპრილს, ხოლო 1971 წლის 9 აგვისტოს და 1973 წელს ხელმოწერილ იქნა ორმხრივი შეთანხმება მეგობრობისა და ურთიერთთანამშრომლობის შესახებ. ინდოელი ხალხის ცხოვრებაში მნიშვნელოვანი მოვლენა

იყო სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხ. ლ. ი. ბრეჟნევის ვიზიტი ინდოეთში.

ბუნებრივი პირობები. ინდოეთის ბუნება მდიდარი და მრავალფეროვანია. აქ შეხვდებით ტიპურ კონტრასტებს — ზღვისპირა დაბლობებსა და მსოფლიოში უმაღლეს ჰიმალაის ქედს, რომელზედაც ორი ათეული მწვერვალის სიმაღლე 8 ათას მეტრს აღემატება. სანაპირო ხაზი (სიგრძე 12 ათასი კმ) უპირატესად დაბალია, ქვიშიანი, სუსტად დანაწევრებული, მოხერხებული ბუნებრივი ნავსადგურ-ნავმისადგომები ცოტაა, ნავსადგურთა უმეტესობა ან მდინარეთა შესართავებშია, ანდა ხელოვნურად არის გაშენებული.

ინდოეთის კლიმატი სუბეკვატორული, მუსონურია, ჩრდილოეთით — ტროპიკული. ზამთარი ჩვენი გაგებით ინდოეთში არ იცის, ჩრდილო (კიბორჩხალის) ტროპიკი თითქმის შუაზე ყოფს ინდოეთის ტერიტორიას, ჰიმალაის მთები იცავენ ინდოეთის ნახევარკუნძულს შემოშრილი ჰაერის ცივი მასებისაგან, ამიტომ საშუალო წლიური ტემპერატურა ვაკე-დაბლობებში 3-5°-ზე მაღალია, ვიდრე ამავე განედზე მდებარე პუნქტებისა სხვა ქვეყნებში. ზამთარში ხმელეთის გაცივების გამო ატმოსფერული წნევა ხმელეთზე უფრო მეტია, ვიდრე ზღვაზე. ქარი ქრის ხმელეთიდან ოკეანისაკენ, ზაფხულის პერიოდში კი — პირიქით (ეს არის მუსონი). ატმოსფერული ცირკულაციის, ნალექებისა და ტემპერატურის რეჟიმის მიხედვით ინდოეთში გამოიყოფა ოთხი სეზონი: ზამთერი (II-XII თვეები), ცხელი (III-IV), გარდამავალი და წვიმიანი. როგორც წესი, კოკისპირული წვიმების დროს მოდის მთელი ნალექების 80-90 პროცენტი. ჰიმალაის ქედის სამხრეთ კალთებზეა მსოფლიოში ყველაზე წვიმიანი ადგილები — ჩერაპუნჯა (12 000 მმ) და შილონგი (13 000 მმ).

ინდოეთის კლიმატი განსაზღვრავს მდინარეთა რეჟიმს. მდინარეთა უმეტესობა უხვწყლიანია, იცის ძლიერი ადიდება. მთავარი მდინარეა განგა (იგი წმიდათაწმიდა მდინარედ ითვლება), ინდოსი, ბრაჰმაპუტრა, გოდავარი, კრიშნა, ნარბადა, მაჰანადი. ბევრი მათგანი გამოიყენება სარწყავად. ჰიდროენერგიის მარაგით ინდოეთი ერთ-ერთ პირველ ადგილზეა მსოფლიოში, მაგრამ აღნიშნული რესურსი ჯერ კიდევ სუსტად არის გამოყენებული.

მცენარეული საფარისა და მთელი ბუნებრივი ლანდშაფტების სხვადასხვაობა, პირველ რიგში, გამოწვეულია სინოტივის მკვეთრი განსხვავებით. ფართოდ არის გავრცელებული სურნელოვანი პილპილოვანი მცენარე ბეტელი. ბეტელის პალმის ნაყოფს ურევენ გაჭ-

ნილ კირში, უმატებენ მიხაკს, თამბაქოს, აკაციის სურნელოვან ნაწილს, ახვევენ ბეტელის ფოთოლში და ღეჭავენ. ამას ეწოდება პანი. პანის ღეჭვა იწვევს ნერვული სისტემის გაღიზიანებას. პირში რჩება მომწარო მშუშხავი გემო.

ტერიტორიულად ინდოეთი სამ გეოგრაფიულ-კლიმატურ ზონაში მდებარეობს. ჩრდილო-დასავლეთით არის ტროპიკული უდაბნოს ზონა, რომელიც სამხრეთ-აღმოსავლეთ სავანაში გადადის, ხოლო შემდეგ ნოტიო ტროპიკულ მარადმწვანე ტყეების (ჯუნგლი) ზონაში. ინდოეთის ფლორა დაახლოებით 21 000 სახეობას ითვლის, მათ შორის ცნობილია ჰიმალაის კედარი (დეოდარი), ტიკი, შავი ხე, თეთრი ხე, თეთრი სანდალოზი, ქინაქინის ხე და სხვ.

ინდოეთის ფაუნა ინდოეთ-მალაის ოლქს მიეკუთვნება. გარეულ ცხოველთა სახეობა ყველაზე მეტად შემორჩენილია 47 ნაკრძალში. ბანადგურებისაგან დაცულია მარტორქა, ვეფხვი, სპილო, მგელი, ბარეული ძაღლი, ანტილოპა, ხალებიანი და შავი ირემი, ჰიმალაის დათვი. მდიდარია ფრთოსანთა სამყარო, ბევრია ქვეწარმავალი, განსაკუთრებით გველი, რომელიც მაიმუნსა და ძროხასთან ერთად წმინდა ცხოველად ითვლება და მისი მოკვლა სასტიკად აკრძალულია.

ბუნებრივი პირობების მიხედვით ინდოეთში მკვეთრად გამოიყოფა ოთხი მთავარი ბუნებრივ-სამეურნეო ერთეული — ჰიმალაი, ინდოს-განგას დაბლობი, დასავლეთი ნაწილი მალაბარის სახელწოდებითაა ცნობილი, აღმოსავლეთ სანაპირო ზოლი — კორომანდელის სახელწოდებით, საკუთრივ ინდოსტანის ნახევარკუნძული და ასამი.

ჰიმალაის მაღალმთიანი ქედი სამ გიგანტურ საფეხურად ეშვება ინდოეთისაკენ, ქვემო საფეხურის საშუალო სიმაღლეა 700-900 მ, მცირე ჰიმალაისა — 3500-4000 მ. ყველაზე მაღალი ანუ ცენტრალური ნაწილი ძალზე დანაწევრებულია და საშუალო სიმაღლე დაახლოებით 6 ათას მეტრს აღწევს. ყველაზე დაბალი გადასასვლელი 4800-5000 მეტრ სიმაღლეზე მდებარეობს. 19 მწვერვალს 8000 მეტრზე მეტი სიმაღლე აქვს. მათ შორის აღსანიშნავია კანჩენჯანგა (ე. ი. „ხუთი ყინვარის მთა“ 8585 მ), ნანგა-პარბატი (ე. ი. „შიშველი მთა“, 8121 მ), ნანდა-დევი და სხვ. ნალექი თოვლის სახით მხოლოდ 5 ათას მეტრზე ზევით მოდის. ინდოეთის მცხოვრებთათვის თოვლი უჩვეულო მოვლენაა, ამიტომ ამ მთიან-თოვლიან მხარეს ჰიმალაი ე .ი. „თოვლის სამეფო“ უწოდეს. ხშირია მიწისძვრები, რაც იმის მაჩვენებელია, რომ ამ მხარის მთათა წარმოშობის პროცესები ჯერ კიდევ მიმდინარეობს.

ინდო-განგას დაბლობი ძირითადად შექმნილია მდინარეთა მიერ მოტანილი ნაფენებით, ნალექი ცოტაა (350-500 მმ), სჭარბობს მშრალი სტეპები და ნახევრად უდაბნოები. დასავლეთით არის ქვიშიანი უდაბნო ტარი-ინდოეთის ყველაზე მჭიდროდ დასახლებული და ეკონომიურად განვითარებული მხარე.

ინდოსტანის ნახევარკუნძული ძირითადად დეკანის ზეგანს უჭირავს. დასავლეთით თითქმის 1000 კმ მანძილზე მიუყვება ტყით დაფარული საფეხურებიანი გჰატი (ან საჰიადრი), რომელიც ციცაბოდ ეშვება ზღვისაკენ. მისი სახელწოდებაც სწორედ ამ საფეხურისებრმა რელიეფმა განსაზღვრა. ინდოეთში, ყოველგვარ საფეხურს, კიბეს, რომელსაც ზღვისკენ მივყავართ, გჰატი ეწოდება.

ბირმის საზღვარზეა (ბანგლადეშის ჩრდილო-აღმოსავლეთით) ხშირი ტყით დაფარული და საშუალო სიმაღლის ბირმა-ასამის მთები, სადაც ყველაზე მეტად არის შემორჩენილი პირველყოფილი ბუნებრივი ლანდშაფტები.

მეურნეობა. ინდოეთი აგრარულ-ინდუსტრიული ქვეყანაა. მრეწველობის განვითარება იწყება განსაკუთრებით 1950 წლიდან, როდესაც აღებულ იქნა, პირველ რიგში, ძძიმე მრეწველობის უპირატესი განვითარების კურსი (მეტალურგია, მანქანათმშენებლობა და სხვ.). მიუხედავად ამისა, ჯერ კიდევ შემორჩენილია კოლონიური ქვეყნებისათვის დამახასიათებელი მეურნეობის ტიპური სტრუქტურა — ეკონომიკაში სჭარბობს მსუბუქი მრეწველობის დარგები, ჯერ კიდევ სუსტად ათვისებული და გამოუყენებელია უმდიდრესი ბუნებრივი რესურსები. შეფარდება სოფლის მეურნეობასა და მრეწველობას შორის შეადგენს 70%:30%-თან. ჯერ კიდევ საკმაოდ ძლიერია უცხოეთის კაპიტალის გავლენა, განსაკუთრებით ამერიკის შეერთებული შტატებისა და ინგლისისა. საერთო ეკონომიური ჩამორჩენილობის მიზეზია ერთ სულ მცხოვრებზე ეროვნული შემოსავლის დაბალი დონე (270 რუპია წელიწადში), რაც 11-ჯერ ნაკლებია, ვიდრე ინგლისში და 28-ჯერ, ვიდრე ამერიკის შეერთებულ შტატებში. 1970 წელს ინდოეთის მრეწველობის ხვედრითი წონა მსოფლიო სამრეწველო წარმოებაში მხოლოდ 1,3%-ს უდრიდა.

ეკონომიკის განვითარებისა და განმტკიცების საქმეში დიდი როლი ენიჭება სახელმწიფო სექტორისა და კერძო კაპიტალდაბანდებათა რეგულირებას. სახელმწიფო სექტორის ხვედრითი წონა ეროვნულ შემოსავალში აღწევს 40%-ს, რომელიც განუხრელად

იზრდება. მრეწველობის განვითარებას ინდოეთში ხელს უწყობენ სსრ კავშირი, ჩეხოსლოვაკია, რუმინეთი, უნგრეთი და იუგოსლავია, რომელთა დახმარებით წარმატებით ვითარდება მეტალურგია, მანქანათმშენებლობა, ქიმიური და ენერგეტიკული მრეწველობა. მეოთხე ხუთწლიანი გეგმის შესრულების შემდეგ წარმატებით სრულდება მეხუთე ხუთწლიანი გეგმა (1974-79 წწ.); სსრ კავშირის დახმარებით აშენებულია 60 მსხვილი სამრეწველო ობიექტი.

ინდოეთის მეურნეობის სტრუქტურა ასეთია: მემარცვლეობა (ბრინჯის, ხორბლის, შვრიის მოყვანა), ტექნიკური კულტურები (ბამბა, ჯუთი, თამბაქო, ჩაი), შაქრის ლერწამი, ზეთისნაირნი, სამთომოპოვებითი, ელექტროტექნიკური, შავი და ფერადი მეტალურგია, მანქანათმშენებლობა, ქიმიური და საფეიქრო მრეწველობა. ჯერ კიდევ საკმაოდ ძლიერია შინამრეწველობის ხვედრითი წონა.

სოფლის მეურნეობა ჯერ კიდევ ჩამორჩენილია, თუმცა მთელი ეკონომიკის საფუძველია და მასში ჩაბმულია თვითმოქმედი მოსახლეობის 2/3-ზე მეტი. ბოლო წლებში სოფლად ჩატარდა აგროტექნიკურ ღონისძიებათა კომპლექსი „მწვანე რევოლუციის“ სახელწოდებით ცნობილი. სჭარბობს წვრილი მეურნეობანი, სუსტია ტექნიკური შეიარაღება. დამახასიათებელია სახნავი მიწების მაღალი დონე (საერთო ფართობის 1/2). სითბოს სიჭარბის გამო ინდოეთის მთელ ტერიტორიაზე (გარდა მთიანი რაიონებისა) შესაძლებელია სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა ჩატარება მთელი წლის განმავლობაში, ზოგან მოსავალს წელიწადში ორჯერ იღებენ.

მიწათმოქმედების საფუძველია ირიგაცია, ირწყვება მთელი სათესი ფართობის 2/5 (38 მლნ ჰექტარი), შექმნილია მსხვილი საირიგაციო სისტემები, მათ შორის ბჰაკრა-ნანგალის კომპლექსური ჰიდროკვანძი მდ. სატლეჯზე, ჰირაკუდის კვანძი მდ. მაჰანადიზე, რაჯასტჰანის სარწყავი არხი (580 კმ სიგრძით) და სხვ.

სოფლის მეურნეობას უმთავრესად სამიწათმოქმედო მიმართულება აქვს. მთავარი კულტურებია ბრინჯი (მსოფლიო მოსავლის დაახლოებით 1/3), მშრალ რაიონებში ფეტვი, ზამთრის სეზონის კულტურაა ხორბალი, უმთავრესად უტარპრადეშისა და ფენჯაბის შტატებში, სიმინდი გავრცელებულია ყველგან. ზეთოვანებიდან განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს არაქისს. სოფლის მეურნეობაში შაქრის ლერწამთან ერთად დიდი მნიშვნელობა აქვს ჩაის, რომლის მოსავლიანობით ინდოეთი პირველ ადგილზეა მსოფლიოში. ჩაის პლანტაციები თავმოყრილია მდ. ბრაჰმაპუტრას ზემო წელში. გარ-

კვეული მნიშვნელობა აქვს აგრეთვე თამბაქოს (ფართობითა და მოსავლით მეხამე ადგილზეა მსოფლიოში ამერიკის შეერთებული შტატებისა და ჩინეთის შემდეგ), ყავას.

ინდოეთი ტრადიციული და უდიდესი მწარმოებელია მსოფლიო ბაზარზე სპეციისა და მუშკამბრისა, შავი პილპილისა (28-30 ტონა ან მსოფლიო ექსპორტის 1/3), წითელ პილპილ „ჩილესი" (0,5 მლნ ტ), კარდამონისა (მსოფლიო წარმოების 85%). მუშკისა, მიხაკისა და შაფრანისა.

ინდოეთში ფრიად ხელსაყრელი პირობებია თითქმის ყველა სახეობის ხილის, მათ შორის ციტრუსების და განსაკუთრებით მანგოს მოსაყვანად. ბევრია ბანანი, განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ქოქოსის პალმას, მისი ნაყოფის გულს მზეზე გამომშრალს კოპრა ეწოდება და იყენებენ მაღალხარისხოვანი ცხიმის მისაღებად. ქოქოსის ბოჭკო მეტად გამძლეა და გამოიყენება ტროსებისა და აფრების დასამზადებლად. ქოქოსის პალმის მერქანი ძვირფასი საშენი მასალაა, ხოლო მის ფოთოლს სახლების სახურავად იყენებენ. ინდოეთში იზრდება ხე კუსუმი, პალასი და ბერი, რომლებიც იძლევიან ფისის ძვირფას სახეობას — შელაკს — ესოდენ აუცილებელ ნედლეულს ლაქსაღებავების მრეწველობისათვის. შელაკის დამზადებით ინდოეთი პირველ ადგილზეა მსოფლიოში (წლიურად 50-55 ათასი ტ). ეთერზეთის მისაღებად მნიშვნელოვანია სანდალოზის ხე, ხოლო ლემონგრასის ზეთს ამზადებენ ველურად მზარდი ლიმონის ბალახისაგან, რომელსაც დიდი გამოყენება აქვს ფარმაცევტულსა და საპარფიუმერიო მრეწველობაში.

საკვები ბაზის სიმცირისა და სახნავი ფართობის სიჭარბის გამო მეცხოველეობის განვითარება ინდოეთში გარკვეულ წილად შეზღუდულია. რელიგიური ჩვევების მიხედვით ინდოელებს ეკრძალებათ საქონლის დაკვლა და ჭამა, ამიტომ მიუხედავად პირუტყვის საკმაოდ დიდი სულადობისა (180 მლნ. მსხვილფეხა პირუტყვი, 5 მლნ კამეჩი, 45 მლნ ცხვარი, 70 მლნ თხა), მისი პროდუქცია უმნიშვნელოა ინდოელთა რაციონში, ასევე სუსტად არის განვითარებული მეთევზეობა, მეაბრეშუმეობა და მეფრინველეობა.

მრეწველობა სწრაფად იზრდება, რასაც ხელს უწყობს მდიდარი მინერალური და ჰიდროენერგორესურსები. ენერგეტიკის მთავარი სახეობაა ქვანახშირი, რომლის მარაგით ინდოეთი მხოლოდ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკას ჩამორჩება (44 მლრდ ტ), არის კოქსვადი ქვანახშირი (მარაგი 920 მლრდ ტ). მთავარი საბადოები

ნავმოყრილია დამოდარის ხეობაში. ქვანახშირის მთავარი მომხმარებელია რკინიგზა, მეტალურგია, თბოელექტროსადგურები. 1973 წ. ინდოეთში მოპოვებულ იქნა 74 მლნ ტ ქვანახშირი. ნავთობის მოპოვება და გადამუშავებითი მრეწველობა უპირატესად თავმოყრილია ასამში, ქალაქ ნუნმატსა და ბარაუმში (წლიურად 7,0-8 მლნ ტ). სსრ კავშირისა და რუმინეთის დახმარებით აშენდა ნავთობგადასამუშავებელი ქარხნები (წლიური სიმძლავრით 6 მლნ ტ).

განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ელექტროენერგიის გამომუშავებას (1974 წ. — 64 მლრდ კვტს). ელექტროენერგიის ნახევარზე მეტს თბოსადგურები იძლევიან. ერთ სულ მცხოვრებზე ელექტროენერგიის გამომუშავებით ინდოეთი ერთ-ერთ უკანასკნელ ადგილზეა მსოფლიოში. შენდება ახალი მსხვილი ჰიდროელექტროსადგურები დამოდარი (240 ათასი კვტ), ბჰაკრანანგალი მდ. სატლეჯზე (1,2 მლნ კვტ), ჩამბალი, ჰირაკუდი, კოინა და სხვ. ზოგიერთ რაიონში, სადაც სათბობ-ენერგეტიკული დეფიციტი იგრძნობა, აშენებულია ატომური ელექტროსადგურები, მაგალითად, ტრიპურში (400 ათასი კვტ სიმძლავრით), რანაპრატაპრაგარში, მადრასსა და სხვაგან. ინდოეთს დიდი რაოდენობით აქვს ატომის სადგურებისათვის საჭირო ნედლეული, კერძოდ, ურანისა და ტორიუმის შემცველი მონაციტის ქვიშები ჩჰოტა-ნაგპურის პლატოსა და კერალას ქვიშიანი ზღვის სანაპიროზე. მონაციტის მარაგითა და მოპოვებით ინდოეთი პირველ ადგილზეა მსოფლიოში.

შავი მეტალურგიის განვითარებისათვის ინდოეთს გააჩნია მაღალხარისხოვანი რკინისა და მანგანუმის მადნები. მოპოვებული რკინის მადნის (მარაგი 23 მლრდ ტ) თითქმის ნახევარი უმეტესად უცხოეთში გააქვთ (უმთავრესად იაპონიაში). მთავარი საბადოებია ორისასა და მადჰია-პრადეშის შტატები (წლიურად 37 მლნ ტ). მანგანუმის მოპოვება ძირითადად წარმოებს ნაგპურში (2 მლნ ტ).

დამუშავებითი მრეწველობის პროდუქციის ღირებულებით პირველ ადგილზეა საფეიქრო მრეწველობა (23%), მანქანათმშენებლობა, ლითონდამუშავება (21%), შავი მეტალურგია (10%), ქიმიური მრეწველობა (10%) და სხვ.

ინდოეთის სამეურნეო პროგრამის შესრულება ძირითადად ხდება შავი მეტალურგიის მძლავრ ბაზაზე. არის სამი სახელმწიფო მეტალურგიული კომბინატი, ბჰილაიში (აშენდა სსრკ-ის დახმარებით), დურგაპურში (ბრიტანეთის ტექნიკური თანამშრომლობით)

და რიურკელეში (გერმანიის ფედერაციული რეპუბლიკის დახმარებით). მძლავრი მეტალურგიული კომბინატებია აგრეთვე ბოკაროში (აშენდა სსრკ-ის დახმარებით), ჯამშედპურში (კონცერნი ტატა), მსხვილი კომბინატები შენდება ვიჯაინაგარში (მაისურის შტატი), ვისაკჰაპატნამში (ანდჰრა-პრადეშის შტატი) და სელამში (ტამილნადი). ინდოეთის მეტალურგიული კომბინატები წლიურად იძლევიან საშუალოდ 8,0 მლნ ტონა ფოლადს.

ფერად ლითონებზე მოთხოვნილების დაკმაყოფილება ხდება იმპორტის ხარჯზე. იაფი ჰიდროენერგიის არსებობამ ხელი შეუწყო ალუმინის მრეწველობის განვითარებას. ინდოეთი ცნობილია ბოქსიტის მარაგითა (380 მლნ ტ) და მაღალი შემცველობით. 1974 წ. ინდოეთში გამოდნობილ იქნა 175 ათასი ტ ალუმინი. საბჭოთა კავშირის დახმარებით ქალაქ კორპეში შენდება ახალი მძლავრი ალუმინის კომბინატი, რომლის სიმძლავრე 100 ათასი ტონა ალუმინი იქნება წელიწადში.

დიდი წარმატებები იქნა მოპოვებული მანქანათმშენებლობასა და ლითონდამუშავებაში. დღეისათვის ინდოეთი უშვებს საკმაო რაოდენობის მანქანებს, რომელთა ნაწილი უცხოეთში გააქვთ. ინდოეთი ამზადებს:

ლითონსაჭრელ ჩარხებს (კალკუტა, ბანგალორი).

ელექტრომოწყობილობებს (კალკუტა, ბომბეი, მადრასი, ჰარდვარი).

ხელსაწყოთმშენებლობას (კალკუტა, ბანგალორი).

ლოკომოტივებს (ჯამშედპური, ჩიტარანჯარი, ბანგალორი).

ვაგონებს (ბომბეი, პერამბუკი).

გემებს (ვისაკჰაპტნამი, ბომბეი, მადრასი).

ავტომობილებს (ბანგალორი, წლიურად 90,0 ათასი ცალი).

ტრაქტორებსა და სხვა სასოფლო-სამეურნეო მანქანებს. ზუსტ ხელსაწყოებს (ბანგალორი, ჰაიდარაბადი).

მოწყობილობებს შავი და ფერადი მეტალურგიისათვის (რანჩი, დურგაპური — საბჭოთა კავშირის დახმარებით, ბჰოპალი, ჰაიდარაბადი). ბურთულსაკისარებს (პატნა) და სხვ. ყველაზე სწრაფად სწორედ მანქანათმშენებლობა ვითარდება.

ქიმიურ ქარხნებს აქვთ მდიდარი სანედლეულო ბაზა და სპეციალიზებული არიან უპირატესად საღებავებისა და სასუქების წარმოებაზე. ასევე სწრაფად ვითარდება ნავთობქიმია, სინთეტური ბოჭკოსა და სხვა ქიმიურ ნივთიერებათა წარმოება.

ინდოეთში ტრადიციული დარგია საფეიქრო მრეწველობა. 1973 წ. გამომუშავებულ იქნა 7,9 მლრდ მ საფაბრიკო ბამბეულისა და 4,0 მლრდ მ კუსტარული წესით მიღებული ქსოვილი. ბამბის ქსოვილების ნახევარზე მეტს იძლევა ბომბეი-აჰმადაბადის საფეიქრო რაიონი. შენდება ახალი მსხვილი საფეიქრო ცენტრი კომიმბატურაში, მადურაისში, მადურაში, კარპუსსა და ნაკრუპსში. იზრდება ხელოვნური და სინთეტური ბოჭკოს წარმოება, რომლისაგანაც უკვე მზადდება დაახლოებით 1 მლრდ მ ქსოვილი. ოდითგანვე ნატურალური აბრეშუმის ნაწარმით ცნობილია კერალას შტატი, რომელიც დასპეციალებულია ქოქოსის თხილის ბოჭკოსაგან დამზადებული ქსოვილების გამოშვებაზე.

ბანგლადეშთან ერთად ინდოეთი ჯუთის მსოფლიო მწარმოებელია. ჯუთის საწარმოები ძირითადად თავმოყრილია კალკუტასა და მის გარეუბნებში. 1973 წ. დამზადებულ იქნა 1,2 მლნ მ ჯუთის ქსოვილი.

კვების მრეწველობაში წამყვანია შაქრის წარმოება, საფქვავი, ბრინჯსაწმენდი, თამბაქოს, ხილის წვენების (განსაკუთრებით მანგოს) წარმოება.

დასასრულ, ინდოეთი ცნობილია საიუველირო ალმასის დიდი საბადოებით. მთავარ საბადოდ ითვლება ანდჰრა-პრადეშის შტატი, სადაც სხვადასხვა დროს ნაპოვნ იქნა მსოფლიოში უდიდესი დიდი მოგოლის სახელწოდებით ცნობილი ალმასი (787 კარატი), აგრეთვე ალმასები პიტი ან რეგენტი (410 კარატი), ნიზამა (440), ორლოვი (194), დარია-ი-ნარი (185), შაჰი (87) და სხვ.

ტრანსპორტი და საგარეო კავშირურთიერთობანი. ინდოეთში ტრანსპორტის მთავარი სახეობაა რკინიგზა (სიგრძე 60 ათასი კმ, მათ შორის 30 ათასი კმ ვიწროლიანდაგიანია). რკინიგზაზე მოდის ტვირთბრუნვისა და მგზავრთა გადაყვანის 3/4-ზე მეტი. მეორე ადგილზეა საავტომობილო ტრანსპორტი (გზების სიგრძე 1,3 მლნ კმ), სოფლის მეურნეობაში კვლავ დიდ როლს თამაშობს საჭაპანო და სასაპალნე ტრანსპორტი. დიდძალი ტვირთი გადააქვთ საზიდრებით, კამეჩებითა და ხარებით. მთიან რაიონებშიც ტრანსპორტის მთავარი სახეობაა სასაპალნე. სამდინარო ტრანსპორტი ჯერ კიდევ სუსტადაა განვითარებული, ცვალებადი რეჟიმის გამო სანაოსნოდ გამოყენებულია მხოლოდ დიდ მდინარეთა ქვემო წელი. მთავარი მდინარეები ერთმანეთთან შეერთებულია სანაოსნო არხებით, საგარეო ვაჭრობა მთლიანად საზღვაო ტრანსპორტით ხდება (2,5 მლნ ტ ბრუ-

ტო-ტონა წყალწყვა). უდიდესი ნავსადგურებია ბომბეი და კალკუტა, მათზე მოდის მთელი საგარეო ტვირთბრუნვის თითქმის 3/4. ბენგალიის სანაპირო ოკეანესთან დაკავშირებულია მდინარე ჰუგლით, რომელიც კალკუტასთან მდებარეობს და დასილვის გამო მისი სატრანსპორტო გამოყენება ერთგვარად შეზღუდულია. ბენგალის უბეში შენდება ახალი დიდი კეთილმოწყობილი საზღვაო ნავსადგური ჰალდია, რომელიც კალკუტას ავანპოსტი იქნება. მსხვილი ნავსადგურებია აგრეთვე: მადრასი, ვისაკჰაპტნამი, კოჩინი; მსხვილი საერთაშორისო აეროდრომი არის დელიში, კალკუტასა და ბომბეიში. ინდოეთის მთელი ეკონომიკა მნიშვნელოვანწილად დამოკიდებულია შემოზიდულ ნედლეულზე. ჯერ კიდევ კოლონიზაციის ეპოქაში შეიქმნა რიგი საექსპორტო დარგები, რომელთა მნიშვნელობა დღესაც შემორჩენილია. ეს დარგებია: ჩაის, ნედლეულისა და ნახევარფაბრიკატების (ლითონის მადნები, შელაკი, მცენარეთა და ეთერზეთები). გააქვს მრეწველობის პროდუქცია (ბამბისა და ჯუთის ქსოვილები, ფეხსაცმელი), ბოლო წლებში ექსპორტის ღირებულებაში სჭარბობს მზა-პროდუქცია, რომელსაც თანდათანობით ემატება მანქანათმშენებლობისა და ლითონდამუშავებითი მრეწველობის პროდუქცია. იმპორტში მთავარ როლს თამაშობს სამრეწველო საქონელი, მანქანა-მოწყობილობანი, სატრანსპორტო საშუალებანი, შავი ლითონი, ნავთობი და ნავთობპროდუქტები, აგრეთვე ხორბალი და ბრინჯი. ვაჭრობაში მთავარი პარტნიორები არიან: ამერიკის შეერთებული შტატები, იაპონია, ინგლისი და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა, რომლებზედაც მოდის მთელი იმპორტის 3/5-ზე მეტი. ინდოეთი ვაჭრობას ეწევა აზიისა და აფრიკის განვითარებად ქვეყნებთან. ფართო სავაჭრო ურთიერთობა აქვს სსრ კავშირთან (საგარეო ვაჭრობის ბრუნვის 12%-მდე). საბჭოთა კავშირიდან შეაქვს მანქანა-მოწყობილობანი და სხვა სამრეწველო პროდუქცია. ფულის ერთეულია ინდური რუპია.

განათლება და კულტურა. ინდოეთი უძველესი კულტურის ქვეყანაა. ჯერ კიდევ ჩვენს წელთაღრიცხვამდე ბუდისტურ მონასტრებში ყოფილა უმაღლესი სკოლები, მათ შორის განსაკუთრებით ცნობილი იყო ნალანდას სკოლა ჩრდილო-აღმოსავლეთ ინდოეთში. XIV-XV საუკუნეებში მუსლიმანური ინდოეთის აყვავების პერიოდში შეიქმნა მრავალრიცხოვანი მექთები (სკოლა და მედრესი — უმაღლესი სკოლა).

1854 წელს ინდოეთის ყველა პროვინციაში შეიქმნა სახალხო

განათლების დეპარტამენტები, ხოლო კალკუტას, ბომბეისა და მადრასში გაიხსნა უნივერსიტეტები.

1950 წლიდან დაწყებით სკოლებში სწავლება (14 წლამდე) უფასოა. სწავლების პრინციპები ფორმულირებული იყო ჯერ კიდევ მ. განდის მიერ 1937 წელს. მისი აზრით სწავლების ძირითადი ელემენტი უნდა იყოს ბავშვთა შრომა—კასტებისა და რელიგიის განურჩევლად. გარდა ჰინდის სკოლებისა, ყველა დანარჩენ ენაზე მოსწავლეებს სკოლებში ეროვნულ ენასთან ერთად ჰინდი და ინგლისურ ენებს ასწავლიან. დიდი მნიშვნელობა აქვს ე. წ. ძირითად სკოლებს, სადაც უმაღლეს განათლებას იძლევიან და ამზადებენ პრაქტიკული საქმიანობის მასწავლებლებს დაწყებითი და საშუალო სკოლებისათვის. მრეწველობის კვალიფიციური მუშახელი მზადდება პროფტექნიკურ სასწავლებლებში. 1970 წლისათვის ინდოეთში ითვლებოდა 400 000 დაწყებითი, 31 000 საშუალო სკოლა, 370 ტექნიკური სკოლა-ინსტიტუტი, 1500 ტექნიკური ინსტიტუტი, 1500 პედაგოგიური ინსტიტუტი, 2300 კოლეჯი, 83 უნივერსიტეტი. ამას გარდა, არსებობს სპეციალური საშუალო სკოლები, სადაც ასწავლიან ინდურ მუსიკას, ცეკვას, ხელოვნებას, საშინაო მეურნეობას.

კალკუტას, ბომბეისა და მადრასის უნივერსიტეტების გარდა, ყველა დანარჩენი უნივერსიტეტის კანცლერად (რექტორად) ითვლება შესაბამისი შტატის გუბერნატორი.

ინდოეთში აღსანიშნავია დიდი მუზეუმი კალკუტაში, ნაციონალური გალერეა მადრასში, თანამედროვე ხელოვნების ნაციონალური გალერეა დელიში, მ. განდის და ჯ. ნერუს მემორიალური მუზეუმები დელიში, ეროვნული საჯარო ბიბლიოთეკები კალკუტასა, მადრასსა და დელიში, აღმოსავლეთის ლიტერატურის ინსტიტუტი პატნაში, გეოგრაფიული საზოგადოება. ინდოეთში გამოდის 650 ყოველდღიური გაზეთი 49 ენაზე, აქვს საკუთარი რადიომაუწყებლობა და ტელევიზია, ხუთი საინფორმაციო სააგენტო, მათ შორის ორი კერძო სააგენტო.

სახელმწიფო წყობილება. კონსტიტუციის მიხედვით ინდოეთი ფედერაციული რესპუბლიკაა (შტატების კავშირი) და შედის ბრიტანეთის ერთა თანამეგობრობაში. სახელმწიფოს მეთაურია პრეზიდენტი (ირჩევენ ხუთი წლით), რომელიც ნიშნავს პრემიერ-მინისტრს, უმაღლესი სასამართლოს წევრებს, ითვლება მთელი შეიარაღებული ძალების მთავარსარდლად. უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოა ორპალატიანი პარლამენტი (სახალხო პალატა და

შტატების საბჭო), აღმასრულებელია პრეზიდენტი და მთავრობა. თითოეულ შტატს ჰყავს პრეზიდენტის მიერ დანიშნული გუბერნატორი (5 წლის ვადით) და საკანონმდებლო კრება („ლეგისლატურა"), მოკავშირე ტერიტორიებს უშუალოდ მართავს პრეზიდენტი ან მის მიერ დანიშნული მთავარი კომისრები. თითოეულ შტატსა და ზოგიერთ მოკავშირე ტერიტორიას კი — თავისი საკანონმდებლო ორგანოები და მთავრობა ჰყავს.

პოლიტიკური პარტიები. ყველაზე გავლენიანია ბ ურ ჟ უ ა ზ ი უ ლ ი პ ა რ ტ ი ა. ი ნ დ ო ე თ ი ს ნ ა ც ი ო ნ ა ლ უ რ ი კ ო ნ გ რ ე ს ი (1885 წ.), ის თავის რიგებში ითვლის 11 მილიონ წევრს, გამოხატავს ინდოეთის ეროვნული ბურჟუაზიის, სხვადასხვა ჯგუფის მემამულეთა დაწვრილი ბურჟუაზიის გარკვეულ ფენათა ინტერესებს. სარგებლობს დიდი ავტორიტეტით მოსახლეობის ფართო მასებში. ნაციონალური კონგრესის ლიდერები იყვნენ მ. განდი, ჯ. ნერუ, ლიდერია ინდირა განდი. პარტიის პროგრამა ითვალისწინებს „სოციალისტური ნიმუშის საზოგადოების" აშენებას. მმართველია ბ ჰ ა რ ა ტ თ ა ჯ ა ნ ს ა ნ გ ჰ ი (1951). ს ე ქ ტ ა ნ ტ უ რ-რ ე ლ ი გ ი უ რ ი პ ა რ ტ ი ა, გამოხატავს ბურჟუაზიის ულტრანაციონალისტური ფენების ინტერესებს, ფაქტიურად წარმოადგენს ინდური რელიგიურ-თემური ორგანიზაციის გასამხედროებულ ფრთას; ი ნ დ ო ე თ ი ს კ ო მ უ ნ ი ს ტ უ რ ი პ ა რ ტ ი ა (1925), არსებობს ი ნ დ ო ე თ ი ს პ ა რ ა ლ ე ლ უ რ ი კ ო მ პ ა რ ტ ი ა ც, რომელიც გამოეთიშა ინდოეთის კომუნისტურ პარტიას, ოპოზიციურია: „მ ე მ ა რ ცხ ვ ნ ე დ ა ჯ გ უ ფ ე ბ ა" შეიქმნა 1954 წელს კალკუტაში; ი ნ დ ო ე თ ი ს ს ო ც ი ა ლ ი ს ტ უ რ ი პ ა რ ტ ი ა (1971 წ.), შეიქმნა გაერთიანებული სოციალისტური და სახალხო-სოციალისტური პარტიების გაერთიანებით. აერთიანებს წვრილი და საშუალო ბურჟუაზიის წარმომადგენელთა ნაწილს, საშუალო ფენის გლეხობას; პარტია დ რ ა ვ ი დ ა მ უ ნ ე ტ რ ა კ ა ზ ა გ ა მ ი (დრავიდთა პროგრესული ფედერაცია, 1949), რომელიც ძირითადად ტამილნადის შტატში მოქმედებს. რ ა შ ტ რ ი ა ს ვ ა ი ა მ ს ე ვ ა კ ი ს ა ნ გ ჰ ი — ნ ა ც ი ო ნ ა ლ-შ ო ვ ი ნ ი ს ტ უ რ ი პ ა რ ტ ი ა, რელიგიური ინდუისტური ორგანიზაციის პოლიტიკური გაერთიანება; ა კ ა დ ა ლ ი (1925) — ს ი კ ჰ ე ბ ი ს რ ე ლ ი გ ი უ რ ი თ ე მ ი ს პ ა რ ტ ი ა. მოქმედებს ფენჯაბში; შ ი ვ ს ე ნ ა (1966) — უკიდურესად მემარჯვენე ნაციონალისტური ორგანიზაცია მარატჰებისა, მოქმედებს მა-

ჰარაშტრას შტატში; ს ვ ა ტ ა ნ ტ რ ა („თავისუფალი“ 1959) — გამოხატავს ინდოელი მონოპოლისტების ინტერესებს, მჭიდროდ არის დაკავშირებული უცხოეთის კაპიტალთან.

ინდონეზია

კუნძულოვანი რესპუბლიკა ინდონეზია მდებარეობს სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში, ძირითადად მალაის (ინდონეზიის) არქიპელაგზე. კუნძულები გაფანტულია ეკვატორის ორივე მხარეზე აზიისა და ავსტრალიის მატერიკებს შორის. დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ სიგრძე 500 კმ, ხოლო ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ 2000 კმ აღწევს. თავისი ფართობით (1 904,300 კვ. კმ) ინდონეზია აღემატება დიდ ბრიტანეთს, ირლანდს, საფრანგეთს, იტალიას, ესპანეთს, პორტუგალიასა და საბერძნეთს ერთად აღებულს. არქიპელაგში სულ ითვლება 3 ათასამდე კუნძული, მათ შორის მნიშვნელოვანია ე. წ. დიდი ზონდის კუნძულები — კალიმანტანი (ბორნეო, რომლის ჩრდილო ნაწილიც მალაიზიაში შედის), სუმატრა, სულაველესი (ცელებესი), სამარი, მინდანაო, ლუსონი, იავა მადურით, კუნძულ ახალ გვინეის დასავლეთი ნაწილი (დასავლეთი ირიანი), ამას გარდა, არის მცირე ზონდისა და მოლუკის კუნძულები.

ინდონეზიის სახელმწიფო საზღვარი თითქმის მთლიანად საზღვაოა. სახმელეთო საზღვარი აქვს მხოლოდ კუნძულ ახალ გვინეაზე, სადაც მას აღმოსავლეთიდან ესაზღვრება დამოუკიდებელი რესპუბლიკა პაპუა, ახალი გვინეა; მოსახლეობა — 133,7 მლნ კაცი (1976), კუნძულ იავასა და მადურაზე, რომლებზედაც მოდის მთელი ფართობის მხოლოდ 7%, ცხოვრობს მოსახლეობის თითქმის 2/3. მოსახლეობა ეთნოგრაფიულად მეტად ჭრელია და შედგება დაახლოებით 150 ეროვნებისა და ეთნიკური ჯგუფისაგან. ძირითად მასას შეადგენენ მალაელები (ითვლება 250 დიალექტი), ჩინელები (3 მლნ კაცი), ინდოელები, ჰოლანდიელები, პაპუასები, საკმაოდ მაღალი სიმჭიდროვეა იავასა და მადურაზე. საერთოდ იავა მსოფლიოს ერთ-ერთ ყველაზე მჭიდროდ დასახლებულ კუნძულად ითვლება, აქ საშუალოდ 1 კვ. კმ-ზე 600 კაცი მოდის, სხვა დანარჩენი კუნძულები ჯერჯერობით სუსტად არის დასახლებული, ამიტომ ინ-

დონეზიის მთავრობის გადაწყვეტილებით იავადან ტრანსმიგრაციის გეგმის შესაბამისად ყოველწლიურად სხვა კუნძულებზე გადაჰყავთ დაახლოებით 50-60 ათასი კაცი. დედაქალაქია ჯაკარტა (ყოფ. ბატავია, 6720 ათასი მცხოვრებით). ინდონეზიაში სჭარბობს სოფლის მოსახლეობა (დაახლოებით 70%). დიდი ქალაქებია: სურაბაია (1,0 მლნ მცხოვრებით), ბანდუნგი, სემარანგი, პალემბანგი, მედანი, უნჯუნგი, მალონგი, ჯოკიაკარტა და სხვ. ადმინისტრაციულად იყოფა 26 პროვინციად, ოფიციალური ენა — ინდონეზიური, გაბატონებული რელიგია — მუსლიმანური (სუნი), არიან აგრეთვე ქრისტიანები, ინდუისტები, ბუდისტები, კონფუცის მოძღვრებისა და პირველყოფილი რელიგიის მიმდევარნი. ეროვნული დღესასწაულია დამოუკიდებლობის გამოცხადების დღე — 17 აგვისტო (1945);

ისტორია. პორტუგალიელი დამპყრობლები ინდონეზიის ტერიტორიაზე XVI ს. დამდეგს გამოჩნდნენ. აქედან მოყოლებული იწყება ჯერ პორტუგალიელთა და შემდეგ ჰოლანდიელთა დაპყრობები. 1602 წელს უკვე შეიქმნა ინდონეზიის ოსტ-ინდოეთის კომპანია. სამ საუკუნეზე მეტი ხნის განმავლობაში ინდონეზია ჰოლანდიის კოლონია იყო. 1942-45 წწ. ოკუპირებულ იქნა იაპონელების მიერ და იაპონიის დამარცხების შემდეგ დამოუკიდებელ რესპუბლიკად გამოცხადდა, მაგრამ ჰოლანდიამ ინდონეზიის დამოუკიდებლობა მხოლოდ 1949 წელს ცნო. ინდონეზია ერთ-ერთი ინიციატორია სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ქვეყნების ასოციაციისა, რომელთაც დასავლეთ ევროპის ქვეყნები ანტიკომუნიზმის მიმართულების ბლოკად თვლიან. ინდონეზია არის გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრი. სსრ კავშირთან დიპლომატიური ურთიერთობა დამყარებული აქვს 1950 წლის 3 თებერვლიდან.

ბუნებრივი პირობები. ინდონეზია საზღვაო ქვეყანაა. მას ეკვრის 11 შიდა ზღვა (იავის, ბალის, ფლორესის, სავუს, ტიმორის, არაფურის, ცერამის, ბანდას, ხალმაჰერას, მოლუკის, ცელებესის), ახლოა ზღვა სულუც, რომელიც ინდონეზიის სახელმწიფო საზღვრის გადაღმა მდებარეობს. თავისი ხასიათით ჩამოთვლილი ზღვები სხვადასხვაგვარია. დასავლეთი ზღვები უფრო თხელი (საშუალო სიღრმე 45-50 მ) და გამტკნარებულია მასში ჩამავალი დიდი მდინარეების გამო. ზღვის წყლის ტემპერატურა მთელი წლის განმავლობაში დაახლოებით 26° უდრის, ზოგჯერ 28-30° აღწევს. სანაპირო ხაზი დაბალია, ბევრია პატარა კუნძული. აღმოსავლეთით მდებარე ზღვები

უფრო ღრმაა (7-8 ათასი მ), სანაპირო ხაზი — ციცაბო, დიდძალი უბე-ყურეებით, რისდაგისაც ნაოსნობას საშიშროებას უქმნის უამრავი მარჯნის რიფი და ატოლი.

ინდონეზიის არქიპელაგი ფაქტიურად საზღვარია ორი დიდი — წყნარი და ატლანტის — ოკეანისა. თავისი სიღრმით ცნობილია იავის ღრმული ინდოეთის ოკეანეში და ფილიპინისა — წყნარ ოკეანეში. დასავლეთიდან ინდონეზიაში შედის ზონდის ან ბირმა-იავის მთათა ჯაჭვი, რომელიც იწყება ჰიმალაიდან და ბირმაზე გავლით გრძელდება სუმატრას, იავას, ცელებესისა და მცირე ზონდის კუნძულებამდე. აქ ძლიერია დედამიწის ქერქის ვერტიკალური მოძრაობა, ხშირია მიწისძვრები, ვულკანური მოქმედებანი. ინდონეზიაში სულ ითვლება 400-მდე ვულკანი (უმეტესად კუნძულ იავაზე), მათ შორის მოქმედია 80. თუმცა ვულკანების ამოფრქვევას დიდი ზიანი მოაქვს მოსახლეობისათვის, ამასთან საკმაოდ დიდ როლსაც ასრულებს ინდონეზიის ლანდშაფტის ფორმირებაში, რადგან იგი თავისი ფერფლითა და ლავით აღადგენს ხოლმე მიწის ნაყოფიერებას.

კუნძულ იავას მთელ სიგრძეზე გადაჰკვეთს მძლავრი ქედი, რომლის უმაღლესი მწვერვალია სემერუ (3676 მ). ბევრია პატარა მდინარე, ყველაზე გრძელია — სოლო (550 კმ), ხშირია წყალდიდობა. იავაზე მჭიდროდ დასახლების გამო გაბატონებულია კულტურული ლანდშაფტი.

კუნძული სუმატრა რელიეფის მიხედვით იყოფა მთიან (დასავლეთით) და დაბლობ (აღმოსავლეთით) ნაწილებად. დაბლობის სიგანე საშუალოდ 250 კმ აღწევს, იგი ძლიერ დაჭაობებულია და დაფარულია ნოტიო ტროპიკული ტყეებით, ბევრია წყალუხვი მდინარე, მათ შორის სანაოსნო ჯამბი (ან ჰარი) —სიგრძე 600 კმ. დასავლეთ სანაპიროსთან არის 1 700 კმ სიგრძის მძლავრი ქედი, რომლის უმაღლესი მწვერვალია კერინჩი ან ინდრაპურა (3800 მ). ჩრდილოეთი ნაწილი უჭირავს ბატაკის ზეგანს, რომელიც ყველაზე მჭიდროდაა დასახლებული.

კალიმანტანზე (ბორნეო) სჭარბობს მთაგორიანი რელიეფი, სამხრეთ-აღმოსავლეთით არის მთიანი მასივი კინაბალუ ამავე სახელწოდების მწვერვალით (4175 მ), ბევრია ჭაობები, ტბები, მდინარეები წყალუხვი ჭორომიან-ჩანჩქერიანია. ამ კუნძულზეა ინდონეზიის ყველაზე გრძელი მდინარე კაპუასი (1150 კმ) და ბარიტო (600 კმ);

ერთ-ერთი ტიპური მთიანი და ფრიად უცნაური მოხაზულობის

კუნძულია სულავესი (ცელებესი), უმაღლესი მწვერვალით რანტეკარიო (3440 კმ), ძლიერია ვულკანური მოქმედებანი, ბევრია მოკლე, მაგრამ წყალუხვი მდინარე.

მთელი ინდონეზიისათვის დამახასიათებელია კლიმატის მთავარი მონაცემების მუდმივობა. მზე თითქმის თანაბრად აცხუნებს მთელი დღის განმავლობაში, განსხვავება ყველაზე გრძელ და მოკლე დღეებს შორის შეადგენს 48 წუთს, ამიტომ საშუალო თვიური ტემპერატურა მთელი წლის განმავლობაში თითქმის უცვლელია და მერყეობს 25,5-26,5° შორის. ჯაკარტაში ყველაზე დაბალი საშუალო თვიური ტემპერატურა 25,4° აღწევს (იანვარი), ყველაზე ცხელია ოქტომბერი (26,5°), ტემპერატურა გაცილებით მერყეობა მთიან რაიონებში, სადაც ღამით ზოგჯერ 0°, ზოგჯერ მინუს 2°-მდე ეცემა. ინტენსიური აორთქლების გამო ზღვებსა და შიდაწყალსაცავებზე იქმნება ჰაერის ძალზე მაღალი სინოტივე (81%), ხოლო საშუალო მაქსიმალური სინოტივე 94%-ს აღწევს. ამის გამო, შუადღის შემდეგ აუტანელი სიცხე დგება. წლის სეზონებად დაყოფა საშუალო ტემპერატურათა ცვლილებებთან კი არ არის დამოკიდებული, არამედ უშუალო დამოკიდებულებაშია მუსონების გავრცელების ოლქებთან და ქარის მთავარ მიმართულებათა ცვალებადობასთან. დეკემბრიდან თებერვლამდე ინდონეზიაში წყნარი ოკეანიდან შემოიჭრება ხოლმე ნოტიო ჰაერის მასები, ე. წ. ჩრდილო-აღმოსავლეთური მუსონი, რომელიც შიაღწევს რა ეკვატორს, დედამიწის ბრუნვის გამო იცვლის მიმართულებას და სამხრეთ ნახევარსფეროში მდებარე კუნძულებს გადაუვლის, როგორც ჩრდილო-დასავლეთური მუსონი. ინდონეზია ნალექების საკმაო რაოდენობას ღებულობს ტერიტორიის დიდ ნაწილზე, მათი რაოდენობა 2 ათას მმ აღემატება, მთიან რაიონებში — 3 ათას მმ. ყველაზე წვიმიანი პუნქტია ჯასარეჯა ცენტრალური იავის ქედის ჩრდილო კალთებზე. იქ წლიურად საშუალოდ 6870 მმ ნალექი მოდის. ყველაზე მშრალი რაიონია მთელს მუსონურ აზიაში პალუს ქვაბული კუნძულ სულავესიზე (546 მმ). საერთოდ ინდონეზიაში ნალექების რაოდენობა მკვეთრად კლებულობს დასავლეთიდან აღმოსავლეთის მიმართულებით. ხშირია ტაიფუნი, რომელიც დიდ ზიანს აყენებს მოსახლეობას.

მუდმივად მაღალი ტემპერატურისა და უხვი ნალექების გამო მეტად მდიდარია მცენარეული სამყარო. დიდი ფართობები უკავია მარადმწვანე ტროპიკულ ტყეებს, სულ აღრიცხულია ორი ათასამდე სახეობის ხე-მცენარე და 24 ათასი სახეობის ყვავილოვანი მცენარე.

საგეგეტაციო პერიოდი მთელი წლის განმავლობაში გრძელდება. მკვეთრად არის გამოხატული მცენარეთა ვერტიკალური ზონალობა, ბევრია ბამბუკი, გიგანტური ევკალიპტისა და ძვირფასი ჯიშის ხეები. ასევე მდიდარია ცხოველთა სამყარო. ინდონეზია არის ავსტრალიისა და აზიის ზოოგეოგრაფიული ოლქების თავშესაყარი, ამიტომ, აქ გვხვდება როგორც ავსტრალიის, ისე აზიის ფაუნის წარმომადგენლები. გვხვდება ისეთი იშვიათი ცხოველები, როგორიც არის — გარეული ღორი ბაბირუსა, გიგანტური დრაკონი (კეკომოლი), სუმატრის მრისხანე ვეფხვი, მალაური დათვი, ვიეტრა, გარეული კამეჩი, ტაპირი, მარტორქა, გიგანტური ხვლიკი—ვარანი, ადამიანისმაგვარი მაიმუნი ორანგუტანგი, განსაკუთრებით მდიდარია ინდონეზია ქვეწარმავლებითა და მწერებით.

მეურნეობა. ინდონეზია ტიპური აგრარული ქვეყანაა, მისი ეკონომიკის საფუძველია საპლანტაციო მეურნეობა და განსაკუთრებით სასოფლო-სამეურნეო და მინერალური ნედლეულის დამუშავება. ინდონეზიის ხვედრითი წონა მსოფლიოში უდრის: ქინაქინის ქერქის დამზადებისა — 90%, შავი პილპილისა — 80%, კაუჩუკისა 40%, კოპრასი 30%, პალმის ზეთისა 25%, ჩაისა 20%, შაქრის ლერწმისა 10%, თამბაქოსა 5%, ყავისა 5%, კალისა 20%, ნავთობისა 10%, ბოქსიტებისა 8%. ეკონომიკაში მაპროფილებელია **სოფლის მეურნეობა**, მასში ჩაბმულია მოსახლეობის 3/4-ზე მეტი (სოფლის მეურნეობა იძლევა ეროვნული შემოსავლის 70%-ზე მეტს). სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა ჯერჯერობით დაბალია, მაგრამ, რაც მთავარია, ინდონეზიის მთელი სოფლის მეურნეობის პროდუქცია ძირითადად საექსპორტოა და ამდენად დამოკიდებულია საგარეო ბაზრისაგან. დიდია გამოუყენებელი მიწების ფართობი კალიმანტანსა და სუმატრაზე. ძლიერია უცხოეთის კაპიტალის გავლენა, განსაკუთრებით ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისის, იაპონიისა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკისა.

მთელი დამუშავებული ფართობი შეადგენს დაახლოებით 20 მილიონ ჰექტარს, რაც მთელი ტერიტორიის 10%-ს უდრის. ამასთან 10 მლნ ჰა მარტო იავასა და მადურაზე მოდის. ბევრია აუთვისებელი მიწები და ამიტომ კალიმანტანსა, სუმატრასა და სულავესიზე ხდება ტყეების გაჩეხვა და ჭაობების ამოშრობა ახალი სასოფლო-სამეურნეო ფართობების მისაღებად. სოფლის მეურნეობაში გაბატონებულია მიწათმოქმედების ორი ფორმა: საპლანტაციო

და წვრილგლეხური. საპლანტაციო მეურნეობა თითქმის მთლიანად უცხოელთა ხელშია.

სოფლის მეურნეობაში გაბატონებულია 30-მდე ტროპიკული კულტურა, რომელთა პროდუქციის 9/10 საექსპორტოა, მათ შორის კაუჩუკი (800-850 ათასი ტ), ჩაი (80-85 ათასი ტ), ყავა (200-220 ათასი ტ), კოპრა (1070-1200 ტ), შავი პილპილი (16-18 ათასი ტ), თამბაქო (80-85 ათასი ტ), პალმის ზეთი, ქინაქინის ხის ქერქი, კასავა და სხვ.

მთავარი კულტურაა და საამომხმარებლო მნიშვნელობა აქვს ბრინჯს (წლიურად 11-15 მლნ ტ), რომლის 60%-ზე მეტსაც კუნძული იავა და მადურა იძლევიან. მარცვლეულთაგან მეორე ადგილზეა სიმინდი, რომელიც წარმოადგენს სურსათს მოსახლეობისათვის და საკვებს პირუტყვისათვის. ინდონეზიის მთავრობის განკარგულებით სიმინდისა და კასავას (ფეტვისნაირი) გატანა სასტიკად აკრძალულია. მოსახლეობისათვის მნიშვნელოვანი საკვები კულტურებია აგრეთვე: მანიოკი (კასკა), ბატატი (ტკბილი კარტოფილი), არაქისი (მიწის თხილი), სოია. მანიოკის ფქვილისაგან გადამუშავების შედეგად მიიღება განსაკუთრებული პროდუქტი ტაპიკუე, რომელიც დიდი რაოდენობით გადის დასავლეთ ევროპისა და ამერიკის ქვეყნებში, სადაც იყენებენ კულინარიასა და საშაქარლამო მრეწველობაში.

დიდი მნიშვნელობა აქვს მებოსტნეობას, მეხილეობას, განსაკუთრებით ბევრია მანგოს ხე, შაქრის ლერწამი, ზეთისა და შაქრის პალმები ითვლებიან როგორც სასურსათო, ისე ტექნიკურ კულტურებად. შაქრის ლერწამი მოჰყავთ მხოლოდ იავაზე (თესლბრუნვაში ენაცვლება ბრინჯს). ინდონეზიელთა კვებაში მნიშვნელოვან როლს თამაშობს შაქრის პალმა, რომელიც იზრდება ყველა კუნძულზე, შაქარი მიიღება შაქრის პალმის წვენისა და ქოქოსის პალმის ხარშვით, მისგან ღებულობენ აგრეთვე პალმის ღვინოსა და არაყს. მრავალმხრივი გამოყენება აქვს ქოქოსის პალმას. მისი მერქანი საუკეთესო საშენი მასალაა. ფოთლებისაგან მიიღება ბოჭკო, ფილებს ხმარობენ სახლების სახურავად, ხოლო ნაყოფს — ქოქოსის თხილს (ერთი ხე წელიწადში იძლევა 60 თხილს) განსაკუთრებული გამოყენება აქვს. თხილის გამხმარ გულს კოპრა ეწოდება და მარგარინისა და ზეთის დასამზადებელ ნედლეულს წარმოადგენს, გამოიყენება აგრეთვე კულინარიაში და საპნის სახარშად. ამდენად კოპრა ინდონეზიის ექსპორტის მნიშვნელოვანი პროდუქტია. ქოქოსის პალმა ყველგან იზრდება. ზეთოვანი პალმა კი მხოლოდ სუმატრაზეა გავრ-

ცელებული, მისგან მიღებული ტექნიკური ზეთი მთლიანად ექსპორტში გადის.

ჩაი ძირითადად გავრცელებულია იავასა და ჩრდილო სუმატრაზე, ამას გარდა, სუმატრა და იავა მსოფლიოში ცნობილია თავისი უმაღლესი ხარისხის თამბაქოთი (განსაკუთრებით „დელით"). ძველი კულტურებიდან საექსპორტო მნიშვნელობა აქვს: პილპილს (რომელიც უწინ ცნობილი იყო სინგაპურის პილპილის სახელწოდებით), მუსკატის თხილს, ვანილს, მიხაკ-დარიჩინსა (მოლუკის კუნძულებზე) და სხვ. ინდონეზია მსოფლიო მწარმოებელი და ექსპორტიორია კაუჩუკისა.

მეცხოველეობა საკმაოდ დიდ როლს თამაშობს ეკონომიკაში. უმეტესად აშენებენ კამეჩს, ყველაზე მეტად გავრცელებულია თხა, შემდეგ ცხვარი და ღორი. დიდი მნიშვნელობა აქვს მეფრინველეობას (ქათამს, იხვს), მეთევზეობას, თუმცა თევზჭერა საკმაოდ პრიმიტიული საშუალებებით ხდება. ბოლო წლებში განვითარდა მანგრული თევზმოშენება, წყალმცენარეების დამზადება, მარგალიტის ჭერა, აღსანიშნავია ტყის რეწვა (მათ შორის ნადირობა), ძვირფასი მერქნის დამზადება (ქაფურის, რკინის ხე, ტეკი, სანდალოზის ხე). ამას გარდა, ტყე სხვა ძვირფას პროდუქტებსაც იძლევა, მაგალითად, ინდონეზიიდან საკმაო რაოდენობით გააქვთ: ლადანი, ბოჭკო, კანიფოლი, მთრთილავი ნივთიერებანი, რეწვის განსაკუთრებული სახეობაა აგრეთვე ნიანგისა და გველის ჭერა.

მრეწველობა ჯერ კიდევ ჩანასახ მდგომარეობაშია. შედარებით განვითარებულია სამთომოპოვებითი მრეწველობა, რასაც ხელს უწყობს მდიდარი წიაღისეული სიმდიდრეები, განსაკუთრებით ნავთობის მოპოვება (70 მლნ ტ), ნავთობის გადამუშავება ჯერ იქვე სუმატრასა და იავაზე ხდება, შემდეგ გააქვთ უცხოეთში, პირველ რიგში — ავსტრალიასა და იაპონიაში. ხდება ბუნებრივი გაზის მოპოვება (5,6 მლრდ $მ^3$). კალის მარაგითა და მოპოვებით ინდონეზია მეორე ადგილზეა მსოფლიოში მალაიზიის შემდეგ (წლიურად დაახლოებით 24-25 ათასი ტ), წარმოებს აგრეთვე ნიკელის (900 ათასი ტ), ქვანახშირის (156 მლნ ტ) მოპოვება ძირითადად სუმატრაზე, ბოლო დროს აშენდა ბოქსიტის კომბინატი კუნძულ ბინტანზე და ალუმინის მსხვილი ქარხანა ასახანის ჰიდროელექტროსადგურთან (სუმატრა). ელექტროენერგიის გამომუშავება 3,5 მლრდ კვტს შეადგენს, მოიპოვება აგრეთვე მანგანუმი, სპილენძი, ოქრო, ვერცხლი.

რკინის მადანი, გოგირდი, ფოსფორიტები და ალმასი. მრეწველობის დარგებიდან პროდუქციის ღირებულებით სამთომოპოვებითის შემდეგ მეორე ადგილზეა კვების მრეწველობა, შემდეგ საფეიქრო, სატყეო, ტყავ-ფეხსაცმლისა და ქიმიური მრეწველობა. მძიმე მანქანათმშენებლობა ინდონეზიაში არ არის. აშენდა ავტომაწყობი (56-60 ათასი ცალი), ველოსიპედების, მოპედებისა და მოტოციკლების (330 ათასი ცალი), საბურავების (1 მლნ ცალი), ელექტროელსაწყოების, რადიოაპარატურისა და სხვა საწარმოები.

ტრანსპორტი და საგარეო კავშირურთიერთობანი. ტრანსპორტის პრობლემა ინდონეზიაში გადაწყვეტილი არ არის. საგარეო და შიდა მიმოსვლა ხორციელდება საზღვაო ტრანსპორტით. ქვეყანაში 300-მდე ნავსადგური და ნავმისადგომია. დიდი ნავსადგურებია: ტანჯუნ-პრიოკი, ჯაკარტა, პალემბანგი, მედანა და სხვ. რკინიგზის ფართო ქსელი მხოლოდ იავასა და სუმატრაზეა (სულ 8600 კმ). ავტოგზების სიგრძე 85 ათასი კმ-ია. გარკვეული მნიშვნელობა აქვს ნავთობსადენ მილებსა და ავიატრანსპორტს.

ინდონეზიის სასაქონლო სტრუქტურა ნათლად გამოხატავს ეკონომიკის განვითარების თავისებურებებს. დიდია საექსპორტოდ განკუთვნილი პროდუქტების სია, განსაკუთრებით გააქვს: კაუჩუკი და ნავთობპროდუქტები, კალის კონცენტრატები, კოპრა, ყავა, ჩაი, თამბაქო, პალმის ზეთი, შაქარი, ქინაქინა, ძვირფასი მერქანი და სხვ. შეაქვს: სამედიცინო პრეპარატები, ბრინჯი, რძის ნაწარმი, თევზი, სასოფლო-სამეურნეო მანქანები, ნავთობი (გადასამუშავებლად). საგარეო ვაჭრობაში მთავარი პარტნიორები არიან: ამერიკის შეერთებული შტატები, ინგლისი, ნიდერლანდი, იაპონია, ავსტრალია, სინგაპური, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა. ფულის ერთეულია ინდონეზიის რუპია.

განათლება. ჯერ კიდევ დიდია წერა-კითხვის უცოდინართა რაოდენობა, ინდონეზიაში ითვლება 32 ათასი დაწყებითი და 1200 საშუალო სკოლა, არის პედაგოგიური კოლეჯები (რომლებიც მასწავლებლებს ამზადებენ სკოლებისათვის), უნივერსიტეტი ჯაკარტაში (განყოფილებებით მაკასარს, ბაგორსა და ბანდუნგში), სურაბაიასა და ჯოკიაკარტაში, გაიხსნა ახალი უნივერსიტეტი კოტაბარუში (დასავლეთ ირანი), ტექნიკური და კომერციული კოლეჯები, ეროვნული მუზეუმი, ჯაკარტაშია მსოფლიოში ცნობილი აკვარიუმი, საბუნებისმეტყველო და გეოგრაფიული საზოგადოებები, მსხვილი ბიბლიოთეკები; გამოდის 25 ყოველდღიური და 30 კვირეული გაზეთი ინდო-

ნეზიურ, ინგლისურ, ჩინურსა და ჰოლანდიურ ენებზე; აქვს საკუთარი საინფორმაციო სააგენტო, რადიომაუწყებლობა და ტელევიზია.

სახელმწიფო წყობილება. კონსტიტუციის თანახმად ინდონეზია უნიტარული რესპუბლიკაა. სახელმწიფოს მეთაურია პრეზიდენტი, რომელიც ერთდროულად ითვლება პრემიერ-მინისტრად და შეიარაღებული ძალების მთავარსარდლად. უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოა სახალხო საკონსულტაციო კონგრესი და ერთპალატიანი პარლამენტი. შემსრულებელია მთავრობა პრემიერ-მინისტრის მეთაურობით.

პოლიტიკური პარტიები. 1973 წლიდან ინდონეზიაში არსებობს მხოლოდ ორი პარტია: ინდონეზიის დემოკრატიული პარტია, შეიქმნა 1973 წელს ხუთი პარტიის გაერთიანებით (კათოლიკურის, ინდონეზიის ნაციონალურის, მურბას, ინდონეზიის დამოუკიდებლობის დამცველთა კავშირისა და ქრისტიანული პარტიისა); ერთიანობისა და განვითარების პარტია, შეიქმნა 1973 წელს ოთხი მუსლიმანური პარტიის გაერთიანებით; 1966 წლიდან აკრძალულ იქნა ინდონეზიის კომუნისტური პარტიის (1920) საქმიანობა.

იორდანიის ჰაშიმიტთა სამეფო

იორდანიის ჰაშიმიტთა სამეფო (ყოფ. ტრანსიორდანია) მდებარეობს ახლო აღმოსავლეთში, აზიის დასავლეთ ნაწილში. ფართობი—7,7 კვ. კმ, მოსახლეობა—2,7 მლნ კაცი (1975). მოსახლეობა ძირითადად ერთგვაროვანია, არაბებს გარდა არიან: ჩერქეზები (გადასახლებულნი რუსეთიდან რუსეთ-თურქეთის ომის დროს, 1877-78 წწ.). ბერძნები, სომხები, თურქები, ქურთები. დედაქალაქია ამანი (900.000 მცხოვრებით, ძველად უწოდებდნენ რაბატს), მნიშვნელოვანი ქალაქებია აგრეთვე: კერაქი, ადლჯიუნი, ბელკა. საშუალო სიმჭიდროვე ძალზე დაბალია და 1 კვ. კმ-ზე 3 კაცს არ აღემატება, შედარებით მაღალი სიმჭიდროვით ხასიათდება იორდანიის დასავლეთი ნაწილი, სადაც ხელსაყრელი ბუნებრივი პირობების გამო თავმოყრილია მოსახლეობის უმეტესი ნაწილი. ადმინისტრაციულად იყოფა 8 მუჰაფაზად (პროვინციად) და ერთ უდაბნოს რაიონად.

ოფიციალური ენა — არაბული, გაბატონებული რელიგია — მუსლიმანური (სუნი), მცირე რაოდენობით არიან ქრისტიანებიც. ეროვნული დღესასწაულებია: დამოუკიდებლობის გამოცხადების დღე — 25 მაისი (1946) და შეფის დაბადების დღე — 14 ნოემბერი (1935).

ისტორია. ინგლისელებმა 1921 წელს შექმნეს ტრანსიორდანიის ემირატი, ხოლო მეორე წელს მას ცალკე გამოეყო პალესტინის ტერიტორია, რომელზედაც ინგლისმა მიიღო ერთა ლიგის მანდატი. 1946 წელს იორდანია დამოუკიდებელი სახელმწიფო გახდა (ასე ეწოდება 1950 წლიდან), სსრ კავშირთან დიპლომატიური ურთიერთობა დაამყარა 1963 წელს. 1967 წელს იორდანიას თავს დაესხა ისრაელი და მოახდინა მისი მიწების ერთი ნაწილის ოკუპაცია მდინარე იორდანის დასავლეთ ნაპირზე (5900 კვ. კმ ფართობით). იორდანია არის გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრი.

ბუნებრივი პირობების მიხედვით იორდანიის ძირითადი ნაწილი წარმოადგენს უდაბნოსებრ ზეგანს, რომელიც 800-დან 1300 მეტრ სიმაღლემდე ვრცელდება. რელიეფის მიხედვით იგი იყოფა სამ ძირითად ნაწილად: დასავლეთ იორდანიის მთიანეთი, მდინარე იორდანიის ხეობა და მკვდარი ზღვის ქვაბული და ტრანსიორდანიის მთიანეთი, რომელიც არაბეთის ვრცელი პლატოს ნაწილს წარმოადგენს. დასავლეთ იორდანიის მთიანეთი ხმელთაშუა ზღვის ნაპირზეა და მასში მკვეთრად გამოიყოფა სამი გეოგრაფიული და ისტორიული ერთეული სამხრეთით — იუდეა, ცენტრში — სამარია, ჩრდილოეთით — გალილეა. ტრანსიორდანიის მთიანეთი აღმოსავლეთით გადადის სირია-არაბეთის უდაბნოში, მის სამხრეთით არის მსოფლიოში ყველაზე ღრმა დეპრესია, დაბალი ადგილი (780 მეტრი ზღვის დონიდან, მკვდარ ზღვასთან).

კლიმატი სუბტროპიკულია, მშრალი, ცხელი ზაფხულით, კონტინენტური წვიმების სეზონი გრძელდება ოქტომბრიდან მაისამდე, შემდეგ იწყება მშრალი ზაფხული, აგვისტოში მაქსიმალური ტემპერატურა გჰორის დაბლობში 50° აღწევს, ხეობებში — 40°, მინიმალური — 10°. ნალექების წლიური რაოდენობა დასავლეთ ნაწილში 500-800 მმ-ია, აღმოსავლეთით — უფრო ნაკლები და 100 მმ-მდე ეცემა. მდინარეთა ქსელს ქმნის სეზონური წყალნაკადები. დიდი წვიმების დროს მშრალი ხევები (ვადი) წყლით ივსება, ზაფხულობით კი თითქმის მთლიანად შრება. მუდმივი მდინარეა იორდანი, რომელიც გამოედინება ტივერიადის ტბიდან და ჩაედინება მკვდარ ზღვაში. იორდანი ერთადერთი მდინარეა, რომელიც სასმელად და

სარწყავად გამოიყენება. უდაბნოებსა და ნახევრად უდაბნოებში ბევრია არტეზიული ჭა, ამიტომ იორდანიაში საკმაოდ განვითარებულია საირიგაციო მშენებლობა. მცენარეულ საფარს უპირატესად ნახევრად უდაბნოსა და უდაბნოს ხასიათი აქვს. იშვიათად გვხვდება ოაზისები, ტყე ცოტაა, ძირითადად დასავლეთ ნაწილში; გავრცელებულია ფინიკიური პალმა.

მეურნეობა. იორდანია სუსტად განვითარებული აგრარული მეცხოველეობის ქვეყანაა ფეოდალიზმის ძლიერი გადმონაშთებით. 1967 წელს ხელმოწერილ იქნა ხელშეკრულება სსრ კავშირსა და იორდანიას შორის კულტურული და მეცნიერული ურთიერთთანამშრომლობის შესახებ, 1969 წელს კი — ეკონომიური და ტექნიკური თანამშრომლობის შესახებ.

მეურნეობის წამყვანი დარგია მიწათმოქმედება (იძლევა ეროვნული შემოსავლის 3/4-ზე მეტს), რომელშიც ჩაბმულია მოსახლეობის 3/5, მიწათმოქმედება უპირატესად სარწყავია, ამიტომ დამუშავებული ფართობი ძირითადად მდინარე იორდანის ხეობაშია განლაგებული. მთავარი სასოფლო-სამეურნეო კულტურაა მარცვლეული (ხორბალი, ფეტვი, სიმინდი), სარწყავ მიწებზე განვითარებულია მეხილეობა, მოჰყავთ ციტრუსოვანები (20-22 ათასი ტ), ზეთის ხილი (35-36 ათასი ტ), ვაზი, უდაბნოს რაიონებში მომთაბარე მესაქონლეობა უფრო ექსტენსიურია, უმეტესად აშენებენ ცხვარსა და თხას, ნაწილობრივ მსხვილფეხა პირუტყვს, აკაბის უბის სანაპიროზე მისდევენ მეთევზეობას.

ბოლო წლებში საკმაოდ ვითარდება მრეწველობა, განსაკუთრებით სამთომოპოვებითი. მთავარი სამრეწველო ცენტრია ამანი. დიდი მნიშვნელობა აქვს კალიუმის მარილების (მკვდარ ზღვაში), ფოსფორიტების (ამანს სამხრეთითა და მკვდარ ზღვასთან, 0,8 მლნ ტ), მარმარილოსა და მერგელის მოპოვებას. განსაკუთრებით აღსანიშნავია მკვდარი ზღვის უმდიდრესი მინერალური რესურსები. მიახლოებითი გამოანგარიშებით მისი მარილების მარაგი შეადგენს: ბრომიანი მანგანუმისა — 980 მლნ ტ, ქლორიანი კალიუმისა — 2 მლრდ ტ, ქლორიანი კალციუმისა—6 მლრდ ტ, ქლორიანი მანგანუმისა — 22 მლრდ ტ, სუფრის მარილისა—11 მლრდ ტ. მიუხედავად აურაცხელი მარაგისა მისი დამუშავება ჯერჯერობით ძალზე მცირე რაოდენობით ხდება. საფრანგეთის დახმარებით ეზ-ზარკეში შენდება ფოლადის მილების ქარხანა, პლასტმასის მილებისა და ტომრების, რკინის კასრების, სანიტარულ-ტექნიკურ ნაწარმთა სა-

წარმოები. იორდანიაზე გადის ნავთობსადენი მილი დაჰარანი-სადა (საუდის არაბეთიდან ლიბანის ნაესადგურამდე) წლიურად საშუალოდ ხდება 0,6 მლნ ტ ნავთობის გადამუშავება. ელექტროენერგიის გამომუშავება შეადგენს 120 მლნ კვტს.

ტრანსპორტი და საგარეო კავშირურთიერთობანი. ტრანსპორტი სუსტად არის განვითარებული, რკინიგზების სიგრძე 365 კმ უდრის, იგი იორდანიას გადაკვეთს ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ. გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის დახმარებით შენდება სარკინიგზო ხაზი ნაკბა-აკაბა (სიგრძე 116 კმ), ავტოგზების სიგრძე 6200 კმ-ია. საგარეო ვაჭრობა ძირითადად ხორციელდება ერთადერთ ნავსადგურ აკაბათი. იორდანიის საგარეო ვაჭრობა ძირითადად მეურნეობის სტრუქტურამ განაპირობა. შეაქვს თითქმის ყველა. სახის სამრეწველო საქონელი, მეცხოველეობის პროდუქცია; გააქვს; სასოფლო-სამეურნეო პროდუქტები, ფოსფორიტები (ძირითადად იუგოსლავიასა, ჩეხოსლოვაკიასა და იტალიაში). საგარეო ვაჭრობაში მთავარი პარტნიორები არიან: ინგლისი, ამერიკის შეერთებული შტატები, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა, ლიბანი, იაპონია, სირია. ფულის ერთეულია იორდანიის დინარი.

განათლება. მოსახლეობის 4/5-ზე მეტი წერა-კითხვის უცოდინარია. არის დაწყებითი და საშუალო სპეციალიზებული სკოლები (სულ 600-მდე), დაწყებითი სწავლება უფასოა, არის სამასწავლებლო კოლეჯი, 10 ტექნიკური, 3 სასოფლო-სამეურნეო და აგროტექნიკური სასწავლებლები. 1962 წელს გაიხსნა უმაღლესი მუსლიმანური სასულიერო კოლეჯი, ქალაქ ჯუბეიხეში — პირველი ეროვნული უნივერსიტეტი, არქიტექტურისა და ისლამის მუზეუმები, გამოდის 4 ყოველდღიური და 3 კვირეული გაზეთი, აქვს საკუთარი რადიომაუწყებლობა და ტელევიზია.

სახელმწიფო წყობილება. იორდანია კონსტიტუციური მონარქიაა. ფაქტიურად ტახტი მემკვიდრეობით გადადის მამაკაცთა ხაზით. სახელმწიფოს მეთაურია მეფე, საკანონმდებლო ძალაუფლება ეკუთვნის ორპალატიან პარლამენტს (მეფეს აქვს ვეტოს უფლება). შემსრულებელი ფუნქციები დაკისრებული აქვს თვით მეფეს, რომელიც ყველა კანონს ცხოვრებაში მის მიერ დანიშნული მთავრობის მეშვეობით ატარებს.

პოლიტიკური პარტიების საქმიანობა 1957 წლის აპრილიდან აკრძალულია. არსებობს არალეგალურად ი ო რ დ ა ნ ი ი ს კ ო მ უ ნ ი ს ტ ურ ი პარტია (1943), მას 1941 წლამდე ეწოდებოდა ეროვ-

ნული განთავისუფლების ლიგა. მისი ნაბეჭდი ორგანოა გაზეთი „ალ-ჯამაჰირი“ („მასები“) და თეორიული ჟურნალი „ალ-ჰაკიკა“ („სიმართლე“). ერთადერთი ლეგალური პარტიაა ა რ ა ბ თ ა ე რ ო ვ ნ უ ლ ი კ ა ვ შ ი რ ი (1970-1971 წწ).

ირანი

ირანი (1935 წლამდე სპარსეთი) მდებარეობს დასავლეთ აზიაში. ჩრდილოეთით ესაზღვრება სსრ კავშირი (აზერბაიჯანისა და თურქმენეთის სს რესპუბლიკები), დასავლეთით — თურქეთი და ერაყი, აღმოსავლეთით — ავღანეთი და პაკისტანი, ჩრდილოეთითა და სამხრეთით უშუალო გასასვლელი აქვს კასპიისა და არაბეთის ზღვებზე (სპარსეთისა და ომანის უბეებით). ფართობი — 1 648 ათასი კვ. კმ, მოსახლეობა — 32,7 მლნ კაცი (1975). ირანში ცხოვრობს 30-მდე ეროვნება. მთელი მოსახლეობის დაახლოებით 3/4 შეადგენს ირანულ ენათა ჯგუფის ხალხები — სპარსელები (ფარსი) და მათთან ახლო მდგომნი გილანელები და მაზანდერანელები, აგრეთვე ქურთები, ლურები, ბაქთიარები, ბელუჯები, თალიშები, ტატები, ხაზარელები, ჯემშიდები, ავღანელები, ტაჯიკები; თურქულ ენათა ჯგუფიდან — თურქმენები და უაჯარები. ამას გარდა, არიან: არაბები, ასირიელები, სომხები, ებრაელები, ბოშები, ქართველები (ძირითადად ფერეიდანში), სიმჭიდროვე 1 კვ. კმ-ზე დაახლოებით 20 კაცს აღწევს. შედარებით მჭიდროდ არის დასახლებული ზღვის სანაპიროები, უფრო ხუსტად — ირანის მთელი ცენტრალური და აღმოსავლეთი რაიონები.

დედაქალაქია **თეირანი** (4 მლნ-მდე მცხოვრებით), ქალაქად ცხოვრობს მთელი მოსახლეობის 2/5. დედაქალაქს გარდა მნიშვნელოვანი ქალაქები და სამრეწველო ცენტრებია: თავრიზი, ისპაჰანი, მეშჰედი, შირაზი, აბადანი, აჰვაზი და სხვ. ადმინისტრაციულად იყოფა 12 ოსტანად (პროვინცია) და 8 მთავარ საგუბერნატოროდ (ქურთისტანის, ჰამადანის, სემნანის, ბოიერაჰმედი-სერდსირ-კოჰგილუიესა, ბაქთიარია და ჩეხარმეჰელისა, ილამისა, ლურისტანისა, სპარსეთისა და ომანის უბეების ნავსადგურებისა და კუნძულების საგუბერნატოროები). ოფიციალური ენა — ფარსი (სპარსული), გა-

ბატონებული რელიგია — მუსლიმანური (შიი), მცირე რაოდენობით არიან სუნიტები, ქრისტიანები, იუდეველები.

1976 წლის მარტში ირანის პარლამენტმა მიიღო დადგენილება ახალი წელთაღრიცხვის მიღების შესახებ, რომლის ათვლა იწყება 558 წლიდან ჩვენს წელთაღრიცხვამდე, როდესაც მოხდა ძველი სპარსეთის მეფის კიროსის (კურუშის) ტახტზე ასვლა. ამრიგად, 1976 წლის მარტი ირანში დაიწყო 2535 წლით.

მანამდე არსებული მზის კალენდარი გაუქმებულ იქნა, მაგრამ რელიგიური მოსაზრებების გამო პარალელურად რჩება ახალ კალენდართან ერთად (მზის კალენდრით ირანში 1976 წელს იყო 1395 წელი);

ისტორია. ირანის ტერიტორიაზე ჯერ კიდევ მესამე ათასწლეულში ჩვენს წელთაღრიცხვამდე არსებობდა რიგი მძლავრი სამთავრო-ქალაქები და სახელმწიფოები, რომლებიც თანამიმდევრობით ცვლიდნენ ერთმანეთს. ესენი იყვნენ: ელამი (ცენტრი სუზი), შუმერი და აკადი, მანა, მიდია, პართია, სასანიდების სახელმწიფო, გარკვეული პერიოდის განმავლობაში ირანის ტერიტორია შედიოდა ალექსანდრე მაკედონელის იმპერიაში, უფრო გვიან არაბთა ხალიფატში, ღაზნეველთა სახელმწიფოში. XIII საუკუნეში ირანის ტერიტორია ჯერ მონგოლებმა დაიპყრეს, შემდეგ — თემურ-ლენგმა. XVII-XVIII საუკუნეებში იწყება უცხო კაპიტალის შემოჭრა და საფუძველი ეყრება ბურჟუაზიულ ურთიერთობათა განვითარების საწყისებს. XIX საუკუნეში ირანი ფაქტიურად სამეურნეო თვალსაზრისით დაიმორჩილა ინგლისმა და რუსეთმა. 1905-1911 წლებში ირანის რევოლუცია მიმართული იყო ფეოდალიზმისა და იმპერიალიზმის წინააღმდეგ. პირველი მსოფლიო ომის პერიოდში ირანის ტერიტორიის ჩრდილოეთი ნაწილი დაკავებულ იქნა მეფის რუსეთის ჯარების მიერ, სამხრეთი ნაწილი კი — ინგლისელების მიერ.

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის უშუალო გავლენით 1918-1922 წწ. ირანში დაიწყო მძლავრი ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა, რის გამოც ინგლისელებმა მთლიანად მოახდინეს ირანის მთელი ტერიტორიის ოკუპაცია და თავს მოახვიეს კაბალური ხელშეკრულებანი. 1921 წელს შეიქმნა ირანის კომუნისტური პარტია, რომელიც სათავეში ჩაუდგა ირანელი ხალხის ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას. 1925 წლიდან ირანი დამოუკიდებელ სახელმწიფოდ ითვლება, თუმცა მონარქია შენარჩუნებულ იქნა.

ბუნებრივი პირობები. ირანის თითქმის მთელი ტერიტორია უკავია ვეებერთელა ზეგანს, რომლის უმაღლესი მწვერვალია კასპიის ზღვის სანაპიროზე მდებარე ვულკანი დემავენდი (5604 მ), საბჭოთა კავშირისაგან, კერძოდ, თურქმენეთის რესპუბლიკისაგან, ირანი გამოიყოფა კოპეტ-დაღის ქედით, პაკისტანისაგან — სერჰედის ქედით. ცენტრალური ნაწილი უჭირავს დეშთექევირის საკმაოდ დაჭაობებულ უდაბნოს, სადაც ბევრი მლაშე ტბაა, მის სამხრეთ-აღმოსავლეთით კი გრძელდება მეორე დიდი უდაბნო დეშთე-ლუთი.

ირანის კლიმატი დიდ ნაწილზე სუბტროპიკულია, კონტინენტური, ცხელი ზაფხულით, ჩრდილოეთით — ცივი ზამთრით, სამხრეთით დამახასიათებელია ტროპიკული ცხელი კლიმატი, იანვრის საშუალო ტემპერატურა თეირანში 2° აღწევს, ომანის უბის სანაპიროზე — 19,4°. ივლისის თვის ტემპერატურა შეფარდებით აღწევს 29,4° და 32,5°. ნალექების საშუალო წლიური რაოდენობა 500 მმ არ აღემატება. შიდა რაიონებში ნალექების სიმცირის გამო მიწათმოქმედება მხოლოდ სარწყავია, ირანი შიდა წყლებით ღარიბია. დიდი მდინარეებია: სეფირუდი, კარუნი (ერთადერთი სანაოსნო მდინარე), ატრეკი, არაქსი, ყიზილ-უზენი. შიდა რაიონებში მდინარეები თითქმის არ არის. დამახასიათებელია გაუდინარი მლაშე ტბების არსებობა, ესენია: რეზაიე (ურმია), დერიაჩეი-ნემეკი, ჰამუნი და სხვ. ფართოდ იყენებენ მიწისქვეშა წყლებს ჭებისა და კიაჰრიზების სახით. ტყე გაჩეხილია და მხოლოდ მთელი ტერიტორიის 10%-ზეა შემორჩენილი.

სოფლის მეურნეობა. ირანი ტიპური აგრარული ქვეყანაა. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ სწრაფად ვითარდება მრეწველობა. ეკონომიკის მთავარი დარგია ნავთობმოპოვება და ნავთობგადამუშავება, რაც მთლიანად უცხო კაპიტალის ხელშია.

სოფლის მეურნეობაში ინერგება მექანიზაცია, სასუქების გამოყენება. მთავარი საკვები კულტურაა ხორბალი, რომელსაც უკავია მთელი ნათესი ფართობის თითქმის 2/5. მთიან რაიონებში წამყვანია ქერი, ხოლო გილანისა და მაზანდერანის პროვინციებში ბრინჯი (წლიური მოსავალი დაახლოებით 4,5—5,0 მლნ ტ), ფართოდაა გავრცელებული მეხილეობა, ირანი განთქმულია თავისი უმაღლესი ხარისხის ბროწეულით, ატმით, გარგარით. სამრეწველო მნიშვნელობა აქვს მევენახეობას (ცნობილი ქიშმიში). მნიშვნელოვანი საექსპორტო კულტურაა ბამბა (წლიურად 1,2 მლნ ტ), ვრცელ-

დება და სამრეწველო მნიშვნელობა ენიჭება შაქრის ჭარხალს, ჩაისა და თამბაქოს ნათესებს.

მეცხოველეობას მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ირანის ეკონომიკაში, საკმაოდ გავრცელებულია მომთაბარე მეცხოველეობა, განსაკუთრებით ცნობილია ირანული დუმიანი ცხვარი და ძვირფასი ბეწვის მქონე თხა, ასევე ცნობილია მთელ აღმოსავლეთში დიდ ზომის ჰამადანის ჯიშის თეთრი სახედარი.

გილანსა და მაზანდერანში განვითარებულია მეაბრეშუმეობა, ზღვის სანაპიროებზე მისდევენ მეთევზეობას, კასპიის ზღვის სანაპიროზე ამზადებენ შავ და წითელ ხიზილალას, რომელთაც საექსპორტო მნიშვნელობა აქვთ.

ბოლო წლებში შეიქმნა მრეწველობის ახალი დარგები, ვითარდება მეტალურგია, ნავთობქიმია, მანქანათმშენებლობა, ფართოვდება ისეთი ტრადიციული დარგები, როგორებიცაა საფეიქრო და კვების მრეწველობა. მიუხედავად ამისა, კვებისა და საფეიქრო მრეწველობა ჯერ კიდევ წვრილი საწარმოებითაა წარმოდგენილი. რაც მთავარია, მეურნეობის თითქმის ყველა დარგი თავმოყრილია ცენტრალურ პროვინციებში.

ნავთობის მოპოვებით ირანი მესამე ადგილზეა კაპიტალისტურ სამყაროში (ამერიკის შეერთებული შტატებისა და საუდის არაბეთის შემდეგ), წლიურად ხდება 230-240 მლნ ტ ნავთობის მოპოვება, ნავთობის თანამგზავრია აგრეთვე ბუნებრივი გაზი (40-42 მლრდ m^3), სსრ კავშირის ტექნიკური დახმარებით გაყვანილ იქნა ტრანსირანის გაზსადენი გეჩსარანი-ასტარა, რითაც დაიწყო ბუნებრივი გაზის იმპორტი სსრ კავშირში.

მეურნეობის წამყვანი და პერსპექტიული დარგია სამთომოპოვებითი მრეწველობა, თუმცა მისი ტექნიკური აღჭურვილობა ძალზე დაბალია. ირანში ხდება ქვანახშირის (900 ათასი ტ), ქრომიტების (180 ათასი ტ), ტყვია-თუთიის მადნის (220 ათასი ტ), აგრეთვე სპილენძის, მანგანუმის, რკინის მადნისა და სხვათა მოპოვება. სამთომოპოვებით მრეწველობას ჯერჯერობით ადგილობრივი მნიშვნელობა აქვს, თუმცა ირანი მსოფლიო ბაზარზე გავიდა როგორც ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ექსპორტიორი ქრომიტებისა და ტყვია-თუთიის მადნისა.

მრეწველობის დანარჩენი დარგების განვითარების დონე დაბალია. დამუშავებითი მრეწველობა წარმოდგენილია ნავთობგადასამუშავებელი და ნავთობქიმიური საწარმოებით (ბენდერ-შაპური,

აბადანი, ხარკი, შირაზი, თეირანი); კვების მრეწველობაზე მოდის მრეწველობის მთელი ღირებულების თითქმის ნახევარი, ეს არის შაქრის საფქვავი და ბრინჯსაწმენდი, ხილისა და ბოსტნეულის კონსერვების, ჩაისა და თამბაქოს საწარმოები. კვების მრეწველობის პროდუქციის საკმაოდ მნიშვნელოვანი ნაწილი მსოფლიო ბაზარზე გაიქვთ. ასევე საექსპორტოდაა ძირითადად განკუთვნილი ირანის ტრადიციული დარგი — საფეიქრო მრეწველობა, განსაკუთრებით აბრეშუმისა და შალის ქსოვილების წარმოება.

სსრ კავშირის დახმარებით 1972 წელს ისფაჰანის მახლობლად აშენდა პირველი მეტალურგიული ქარხანა (წლიურად 0,5-0,6 მლნ ტ ლითონი), ამერიკის შეერთებული შტატების დახმარებით აჰვაზში— ორი ფოლადსაგლინი და მილების ქარხანა, ხოლო ერაკეში — ალუმინის ქარხნები. უცხო კაპიტალის დახმარებით ირანში აშენდა აგრეთვე რამდენიმე მსხვილი მანქანათმშენებელი საწარმო, მათ შორის ავტომაწყობი ქარხანა თეირანში (წლიურად 77 ათასი მსუბუქი და სატვირთო ავტომანქანა), ტრაქტორების ამწყობი თავრიზში, რადიომიმღებების, ტელევიზორების, მაცივრების მოწყობილობების, დიზელის ძრავებისა და სხვა საწარმოები. ელექტროენერგიის გამომუშავება წლიურად 12 მლრდ კვტს შეადგენს.

ტრანსპორტი და საგარეო კავშირურთიერთობანი. რკინიგზების სიგრძე 4600 კმ-ია (მათ შორის ტრანსირანის მაგისტრალისა 1440 კმ.). რკინიგზებზე მოდის მთელი ტვირთბრუნვისა და მგზავრთა გადაყვანის 3/4-ზე მეტი, ავტოგზების სიგრძე — 43 ათასი კმ. საგარეო ვაჭრობა ძირითადად საზღვაო ფლოტით ხდება. მთავარი ნავსადგურებია: სამხრეთით ბენდერ-შაჰპური, ბენდერ-აბასი, ბუშირი, ხარკი (სპეციალიზებული ნავსადგური ნავთობის გასატანად), ჩრდილოეთით — ფეჰლევი, ბენდერ-შაჰი. ირანიდან გაიქვთ: ნავთობი და ნავთობპროდუქტები, ყურძენი, ხილი, მხატვრულად ნაკეთები ჭურჭელი, განთქმული ქაშანური ფაიფური); შეაქვს: მანქანა-მოწყობილობანი, ლითონი, ქიმიკატები და მედიკამენტები. საგარეო ვაჭრობაში მთავარი პარტნიორები არიან: გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა, ამერიკის შეერთებული შტატები, ინგლისი, სსრ კავშირი, საფრანგეთი, იტალია, იაპონია.

ეკონომიური განვითარების პროგრამის შესრულებისათვის ირანი ფართოდ იყენებს სოციალისტური ქვეყნების, პირველ რიგში, საბჭოთა კავშირის სამეურნეო-ტექნიკურ დახმარებას. მაგალითად, სსრ კავშირის დახმარებით ირანში აშენდა მეტალურგიული ქარხა-

ნა, სასოფლო-სამეურნეო მანქანების, სამთო-საშახტო მოწყობილობათა (ერაკი), ელექტროტექნიკური (თავრიზი, არაქსი) საწარმოები, აგრეთვე ელექტროსადგურები და ჰიდროენერგეტიკული კომპლექსი მდ. არაქსზე, ჩატარდა საძიებო და მოსამზადებელი სამუშაოები რკინის მადნისა და ქვანახშირის საბადოების ექსპლოატაციისათვის. ფულის ერთეულია რიალი.

კულტურა და განათლება. ირანი უძველესი კულტურის კერაა. ძველი კოსმოლოგიური შეხედულებები გამოხატულია ზოროასტრთა წმინდა წიგნში „ავესტაში". ირანის ტერიტორიაზეა ხელოვნების შესანიშნავი ძეგლები: აქემენიდების დედაქალაქი პერსეპოლი, გომბედე-კაბუსის მავზოლეუმი და ომარ ხაიამის საძვალე, მეცნიერთა ქალაქი ნიშაპურში, ალ-კაპუს სასახლე ისპაჰანში, დარიუსის ნეკროპოლი ნაკში — რუსტემაში, აქემენიდთა სასახლე სუზში და სხვ. ირანმა მსოფლიოს მისცა მეცნიერებისა და მწერლობის ისეთი ბრწყინვალე წარმომადგენლები, როგორებიც არიან ისტორიკოსები: ათა მელიქ ჯუვეინი, აბდალაჰ ყაზვინი,ისკანდერბეგ მუნში, ფირდოუსი („შაჰ-ნამე"), პოეტი-მოაზროვნე ნასირ ხისროუ, გენიალური პოეტები ომარ ჰაიამი და აქჰაკანი, ნიზამი, ჯალალედინ რუმი, საადი, ჰაფიზი, ჯამი და სხვ.

XX საუკუნის დამდეგამდე გაბატონებული იყო განათლების რელიგიური სისტემა, მხოლოდ 1943 წლიდან მიღებულ იქნა კანონი საყოველთაო სწავლების შესახებ საშუალო სკოლის ყველა საფეხურზე. წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციისათვის 1963 წელს შეიქმნა „განათლების კორპუსი", რომელშიც მობილიზებულ იქნა ყველა საშუალოსკოლადამთავრებული ახალგაზრდა. 1973 წლისათვის ირანში ითვლებოდა 25 ათასი დაწყებითი და 2 400 საშუალო სკოლა, 200-მდე პროფტექნიკური სასწავლებელი, უნივერსიტეტები თეირანში, შირაზში, მეშხედსა და ისპაჰანში, ინდუსტრიული უნივერსიტეტი „არიამეჰრი", აგრეთვე მეტყევეობის უმაღლესი სკოლა გორგანეში, სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი კერეჯეში, უმაღლესი კომერციული სკოლა შირაზში. ბევრი ირანელი სწავლობს უცხოეთში. აღსანიშნავია უდიდესი ეროვნული ბიბლიოთეკები თეირანსა და ფეჰლევიში (სადაც ბევრი ქართული დოკუმენტები არსებობს), იმამ რეზის ბიბლიოთეკა მეშჰედში (ცნობილი თავისი ხელნაწერი ფონდებით), არქეოლოგიური და ეთნოგრაფიული მუზეუმები, მუზეუმი „ფარსი" შირაზში, დაახლოებით 100 სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი, მათ შორის პასტერის, სამედი-

ციონ-პარაზიტოლოგიის, ატომის ენერგიისა და სხვა ცენტრები. ირანში გამოდის 120 გაზეთი (მათ შორის 75 პროვინციებში) და 80 ჟურნალი; არის საინფორმაციო სააგენტო, რადიომაუწყებლობა და ტელევიზია.

სახელმწიფო წყობილება. ირანი კონსტიტუციური მონარქიაა. სახელმწიფოს მეთაურია შაჰი (მოჰამედ რეზა ფეჰლევი), რომელიც ამტკიცებს კანონებს, ნიშნავს პრემიერ-მინისტრსა და მთავრობის წევრებს. შაჰი ერთდროულად ითვლება შეიარაღებული ძალების მთავარსარდლად. უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოა ორპალატიანი პარლამენტი, შემსრულებელი — მთავრობა.

პოლიტიკური პარტიები. მმართველია პარტია „ახალი ირანი" (1963), ბურჟუაზიულ-ნაციონალისტურ-მონარქიული პარტია, ხელს უწყობს შაჰის მიერ გამოქვეყნებული რეფორმების ცხოვრებაში გატარებას; პარტია „ხალხი" (1957), ბურჟუაზიულ-ოპოზიციური პარტია; ირანის სახალხო პარტია (1941), აერთიანებს მუშებს, გლეხებსა და ინტელიგენციის პროგრესულ ნაწილს, 1949 წელს გამოცხადდა კანონგარეშე; პანირანისტთა პარტია, გამოდის ექსპანსიონური ლოზუნგით სპარსეთის უბეში ირანის უფლებების დასაცავად; უკიდურესად მემარჯვენე პარტია და სხვა წვრილი პარტიები.

ისრაელი

სახელმწიფო ისრაელი მდებარეობს ახლო აღმოსავლეთში, ხმელთაშუა ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზე. მას ესაზღვრება არაბთა ოთხი სახელმწიფო: ლიბანი, სირია, იორდანია და ეგვიპტის არაბთა რესპუბლიკა. ამასთან ფართო გასასვლელი აქვს მეწამული ზღვის აკაბას უბეში. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის 1947 წლის 29 ნოემბრის გადაწყვეტილებით, ისრაელის სახელმწიფოს ფართობი უდრის 14,100 კვ. კმ, მაგრამ ბოლო წლებში მის მიერ ოკუპირებულია კიდევ 6 600-მდე კვ. კმ ფართობი, რომელიც ეკუთვნოდა ეგვიპტის არაბთა რესპუბლიკას, სირიასა და იორდანიას. მოსახლეობა — 3,5 მლნ-მდე კაცი (1975). უკანასკნელ პერიოდამდე დედაქალაქი იყო ყველაზე დიდი სამრეწველო ცენტრი ტელ-ავივი (0,4 მლნ მცხოვრებით, დაარსდა 1909 წელს, რომელსაც შეუერთდა

ქალაქი იაფა, ხოლო ნავსადგური თელ-ავივიდან გადატანილ იქნა აშდოშში), ამჟამად დედაქალაქია იერუსალიმი (0,3 მლნ მცხოვრებით) ისრაელის მთავრობისა და პარლამენტის ადგილსამყოფელი. მოსახლეობის უმეტესობას ებრაელები შეადგენენ (85%), განსაკუთრებით ბევრია ემიგრანტი, რადგან არაბთა მოსახლეობის დიდი ნაწილი ძალდატანებით იქნა გასახლებული. მათი რაოდენობა ისრაელში მცირეა, არიან სომხებიც. საშუალო სიმჭიდროვე 1 კვ. კმ-ზე საკმაოდ მაღალია და 235 კაცს აღწევს (ძველი ფართობის მიხედვით), მაგრამ ოკუპირებულ ტერიტორიაზე განსახლების შემდეგ ეს მაჩვენებელი 160-მდე დავიდა. მოსახლეობა ძირითადად განლაგებულია სანაპირო ზოლში. ქალაქად ცხოვრობს მოსახლეობის 4/5. დიდი ქალაქებიდან აღსანიშნავია აგრეთვე ნავსადგური ჰაიფა (0,3 მლნ), ქიმიური მრეწველობის დიდი ცენტრი. ადმინისტრაციულად იყოფა 6 ოკრუგად, ოფიციალური ენა — ძველებრაული — ივრიტი, გაბატონებული რელიგია — იუდაიზმი. ოფიციალურად მიღებულია ძველებრაული მთვარე-მზის კალენდარი, რომელშიც წელიწადი იწყება 5 სექტემბრიდან 10 ოქტომბრამდე (ასე, მაგალითად, 1970 წლის 1 ოქტომბერი ისრაელში იყო 5731 „სამყაროს შექმნიდან"), ეროვნული დღესასწაული — დამოუკიდებლობის გამოცხადების დღე — 11 მაისი (1948);

ისტორია. ისრაელის სახელმწიფო შეიქმნა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის გადაწყვეტილების შედეგად 1947 წლის 29 ნოემბერს, როდესაც ინგლისის სამანდატო ტერიტორია პალესტინა გაიყო ორ დამოუკიდებელ ქვეყანად — არაბულ და ებრაულ სახელმწიფოებად. შემდგომ ისრაელის აგრესიულმა წრეებმა მოახდინეს არაბული ქვეყნების ტერიტორიის ერთი ნაწილის ოკუპაცია და დაპყრობილი ადგილებიდან განდევნეს არაბი მოსახლეობა.

ბუნებრივი პირობები. ფიზიკურ-გეოგრაფიული თვალსაზრისით ისრაელის ტერიტორია* წარმოადგენს 600-700 მ სიმაღლის ზეგანს. ჩრდილოეთით განლაგებულია გალილეას პლატო, სადაც მდებარეობს ქვეყნის უმაღლესი მწვერვალი მეირონი (1208 მ). მთელი სამხრეთი ნაწილი წარმოადგენს ნახევრადუდაბნოსებრ ტერიტორიას (უდაბნო ნეგერი). ხმელთაშუა ზღვის ვიწრო სანაპირო ბევრგან ცი-

---

* ისრაელს განვიხილავთ იმ ტერიტორიის ფარგლებში, რომლებიც დადგენილია 1947 წ. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიერ.

ცაბოდ ეშვება ზღვისაკენ. საერთოდ სანაპირო ხაზი განუვითარებელია და ნავსადგურებისათვის ვარგისი ადგილი ცოტაა. იქვე გიგანტური ქვაბურია, რომელშიც მკვდარი ზღვა მდებარეობს. ქვაბურის მაქსიმალური სიღრმე 392 მ-ით დაბალია ზღვის დონეზე. მკვდარი ზღვის მარილიანობა დიდად აღემატება ოკეანის წყლის მარილიანობას, წყალი ძირითადად შეიცავს ქლორიან მანგანუმსა და ქლორიან ნატრიუმს. დიდი მარილიანობის გამო ზღვაში არ არის თევზი და საერთოდ წყლის გამოყენება სარწყავად ან სასმელად მხოლოდ სპეციალური გადამუშავების შემდეგ შეიძლება. მდინარე იორდანი (სიგრძე 252 კმ), რომელიც სათავეს იღებს სირიაში, ჯერ ტიბერიადის ტბაში ჩაედინება, შემდეგ — მკვდარ ზღვაში.

კლიმატი სუბტროპიკული, ხმელთაშუა ზღვის ტიპისაა, რბილი და ნოტიო ზამთრით (საშუალო ტემპერატურა 6-14°), მშრალი, ხანგრძლივი ზაფხულით, (VII-VIII თვეებში ტემპერატურა აღწევს 24-28°), ნალექები ზაფხულში თითქმის არ იცის, იგი (წვიმის სახით) მხოლოდ იანვარ-თებერვალში მოდის, ჩრდილო ნაწილში — 600 მმ, სამხრეთით — 150 მმ წელიწადში. უკიდურეს სამხრეთით ზაფხულში ტემპერატურა 40° აღწევს. ისრაელის ტერიტორია ოდესღაც მთლიანად ტყით იყო დაფარული, მაგრამ დღეისათვის სჭარბობს კულტურული ლანდშაფტი. წყლის ნაკლებობის გამო ბევრია აუთვისებელი მიწები, სასმელად და სარწყავად გამოიყენება ღრმა ჭების წყალი, ხდება ზღვის წყლის გამტკნარება სპეციალური დანადგარებით.

სახალხო მეურნეობა საკმაოდ განვითარებულია. ისრაელი ინდუსტრიულ-აგრარული ქვეყანაა და ძირითადად შემოზიდულ ნედლეულზე მუშაობს. საკმაოდ ძლიერია უცხოური კაპიტალის გავლენა და სესხებისა და ე. წ. ეკონომიური „დახმარების“ სახით მიღებული ინვესტიციები ხელს უწყობს ქვეყნის ეკონომიური განვითარების სწრაფ ტემპს. დახმარებას, პირველ რიგში, ღებულობს ამერიკის შეერთებული შტატებისა და საერთაშორისო სიონისტური ორგანიზაციებისაგან. განსაკუთრებით სწრაფად ვითარდება სამხედრო მრეწველობა, რამაც ისრაელი გადააქცია აგრარული ქვეყნიდან ინდუსტრიულ ქვეყნად. **მრეწველობაში** ჩაბმულია თვითმოქმედი მოსახლეობის თითქმის 1/4, მშენებლობაში — 1/5, მომსახურების სფეროში — 1/4, იგი იძლევა მთელი ეროვნული შემოსავლის ნახევარზე მეტს. დამუშავებითი მრეწველობის თითქმის ყველა ცენტრი განლაგებულია ხმელთაშუა ზღვის სანაპიროზე. მრეწველობის მთავა-

რი დარგებია: საფეიქრო (შემოზიდულ ბამბასა და მატყლზე), კვების, განსაკუთრებით გამოირჩევა საკონსერვო, რძე-კარაქისა და შაქრის წარმოება. სწრაფად ვითარდება ხელოვნური ბოჭკოს წარმოება. მსუბუქი მრეწველობის ყველაზე დიდი ცენტრებია თელ-ავივი და ჰაიფა. მნიშვნელოვანია აგრეთვე სამთომოპოვებითი მრეწველობა. მკვდარ ზღვაში ხდება პოტაშის (წლიურად 1,0 მლნ ტ), კალიუმის, კალციუმის, მაგნიუმისა და საჭმელი მარილის მოპოვება, სამხრეთით— აკაბას უბესთან — სპილენძისა. იქვეა სპილენძსადნობი კომბინატი (ქალაქ ორონთან), ფოსფორიტებისა და ბუნებრივი გაზისა (მკვდარ ზღვასთან). ოკუპირებულ სინას ნახევარკუნძულზე 1973 წ. მოპოვებულ იქნა 5,5 მლნ ტ ნავთობი, რომლის ბაზაზე ჰაიფაში მუშაობს მსხვილი ნავთობგადასამუშავებელი ქარხანა. ქიმიური მრეწველობა წარმოდგენილია საღებავების, სასუქებისა და ავტოსაბურავების წარმოებით. ისრაელში ითვლება 100-ზე მეტი წვრილი მეტალურგიული საწარმო, სწრაფად ვითარდება მანქანათმშენებლობა, განსაკუთრებით თელ-ავივსა და ნათანიეში. იერუსალიმში გაიხსნა ავტომაწყობი ქარხანა (1973 წ. — 8,6 მლნ ცალი), აგრეთვე რეაქტიული ძრავებისა და გაზის ტურბინების მსხვილი ქარხანა. დანარჩენი დარგებიდან გარკვეული მნიშვნელობა აქვს ხის დამუშავებას, მინის, საშენ მასალათა მრეწველობასა და სხვ. ისრაელში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ალმასის დამუშავებას. ამ დარგში ჩაბმულია 400-ზე მეტი საწარმო და მთელი პროდუქცია უცხოეთში გადის. ელექტროენერგიის გამომუშავება შეადგენს 8,5 მლრდ კვტს. აქედან 2/5-ზე მეტი მრეწველობას ხმარდება.

სოფლის მეურნეობა წარმოდგენილია მაღალი მექანიზაციითა და აგროტექნიკით, მიმდინარეობს ოკუპირებულ ტერიტორიათა ათვისება. სასოფლო-სამეურნეო მანქანების ოდენობით ისრაელი პირველ ადგილზეა აზიის ქვეყნებში. შექმნილია კოოპერაციული მეურნეობანი, რომლებიც სახელმწიფოს ეკუთვნის და სპეციალიზებული არიან მარცვლეულის წარმოებაზე. სოფლის მეურნეობა სავსებით აკმაყოფილებს საკუთარ მოთხოვნილებას.

მთავარი სასოფლო-სამეურნეო კულტურებია: ციტრუსოვანები, რომელთაც საექსპორტო მნიშვნელობა აქვთ (წლიურად 1,3-1,4 მლნ ტ), არაქისი, მევენახეობა, ბევრია ბანანი, თესენ ბამბას, შაქრის ჭარხალს, მარცვლეულს. მეცხოველეობას მეორეხარისხოვანი მნიშვნელობა აქვს, განსაკუთრებით გამოირჩევა თხის მოშენება. შემოსავლის მნიშვნელოვანი წყაროა უცხოური ტურიზმი.

ტრანსპორტი და საგარეო კავშირურთიერთობანი. ტრანსპორტის მთავარი სახეობაა საავტომობილო, გზების სიგრძე 4200 კმ უდრის. მთავარი ტრასაა ჰაიფა-ეილატი, რომელიც „ისრაელის სახმელეთო სუეცის“ სახელწოდებითაა ცნობილი. ავტოტრანსპორტზე მოდის მგზავრთა გადაყვანის 3/4-ზე მეტი. ხმელთაშუა ზღვის სანაპიროს მიუყვება რკინიგზა, რომელიც სირიასა და ლიბანზე გავლით თურქეთში ჩადის (სიგრძე 800 კმ), უდიდესი საზღვაო ნავსადგურებია: ჰაიფა, აშდოში (ფაქტიურად თელ-ავივის ნავსადგურს წარმოადგენს) და ეილატი (აკაბის უბეში). საზღვაო ტვირთბრუნვას ძირითადად უცხოეთის კამპანიები აწარმოებენ. დიდი მნიშვნელობა აქვს მილსადენ ტრანსპორტს. ნავთობის გადმოქაჩვა ხდება მეწამული ზღვიდან. ხმელთაშუა ზღვისაკენ. მთავარი ნავთობსადენი ხაზებია: ეილატი-ჰაიფა (400 კმ), ეილატი-აშკელონი (310 კმ). ამ მილებით წლიურად გადაიქაჩება 26-27 მლნ ტ ნავთობი, რომელიც შემდეგ უცხოეთის გემებს გააქვთ. ექსპორტის მთავარი საგნებია: მარგალიტი და ტექნიკური ალმასი (შეადგენს საექსპორტო ღირებულების დაახლოებით 2/5). ამერიკის შეერთებულ შტატებში უმთავრესად გააქვს ციტრუსები, ინგლისში — ხილკონსერვები, მზა ტანსაცმელი, ავტოსაბურავები, ნავთობპროდუქტები და სხვ.; შეაქვს: დაუმუშავებელი ალმასი, მანქანა-მოწყობილობანი, შავი ლითონი, მარცვლეული, ხორცი, ქაღალდი და სხვ. ვაჭრობაში მთავარი პარტნიორები არიან: ამერიკის შეერთებული შტატები, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა, აგრეთვე ნიდერლანდი, ბელგია, იაპონია, იტალია და სხვ. ფულის ერთეულია ისრაელის გირვანქა.

განათლება. 1949 წლის კანონით ისრაელში სავალდებულო საშუალო სწავლებაა სქესის, სარწმუნოებისა და ეროვნების განურჩევლად. წერა-კითხვის უცოდინართა დონე მაღალია არაბ მოსახლეობაში. განათლებას მკვეთრად ნაციონალისტური მიმართულება აქვს და დამოკიდებულია სიონიზმის იდეოლოგიაზე, საშუალო სკოლებში გოგონები და ბიჭები, როგორც წესი, სამხედრო მომზადებას გადიან, სავალდებულოა ბიბლიისა და თორის შესწავლა, სწავლება ხდება ძველებრაულ (ივრიტის) ენაზე. ისრაელში ითვლება 4 ათასამდე დაწყებითი, 300 საშუალო, 145 პროფტექნიკური საშუალო სკოლა, 45 პედაგოგიური კოლეჯი, 10 უმაღლესი სასწავლებელი (სწავლება ფასიანია). მათ შორის ყველაზე დიდია იერუსალიმის ებრაელთა უნივერსიტეტი (დაარსდა 1918 წელს), აგრეთვე თელ-ავივისა, ტექნოლოგიური ინსტიტუტი ჰაიფაში, გეოლოგიური და სა-

სოფლო-სამეურნეო ინსტიტუტები. ებრაელთა უნივერსიტეტს აქვს უდიდესი ბიბლიოთეკა (დაარსდა 1884 წ., 2 მილიონი ტომი), ეროვნული მუზეუმი, არქეოლოგიური და სამხარეთმცოდნეო მუზეუმები, მეცნიერებათა აკადემია 40 სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტით. გამოდის 400-ზე მეტი გაზეთი და ჟურნალი ივრიტის, ინგლისურსა და არაბულ ენებზე. აქვს საკუთარი საინფორმაციო სააგენტო, რადიომაუწყებლობა (11 ენაზე) და ტელევიზია.

სახელმწიფო წყობილება. რესპუბლიკას ერთიანი კონსტიტუცია არ აქვს, სახელმწიფოს მეთაურია პრეზიდენტი, რომელსაც ირჩევენ 5 წლით. მისი უფლებები შეზღუდულია. ფაქტიურად მთელი ძალაუფლება ეკუთვნის მთავრობას პრემიერ-მინისტრის მეთაურობით, რომელიც წარმართავს საგარეო პოლიტიკის საკითხებს. უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოა ერთპალატიანი პარლამენტი (120 კაცი, ირჩევენ 4 წლით);

პოლიტიკური პარტიები. მმართველია ისრაელის მუშათა პარტია (მაი), დაარსდა 1968 წელს სიონისტური მემარჯვენე სოციალისტური პარტიების (ისრაელის მუშათა პარტია), რაფისა (ისრაელის მუშათა სია) და ახტუგ გაავოდის (გაერთიანებული შრომა) გაერთიანებით. პარლამენტში აქვთ 56 დეპუტატის ადგილი (120-დან); გაერთიანებული მუშათა პარტია (მაპამ, დაარსდა 1948 წ.), არის სიონისტურ სოციალ-დემოკრატიული ტიპის პარტია. ბევრი საერთო აქვს ბურჟუაზიულ-ნაციონალისტურ პარტიებთან. პარტია ხერუტი („თავისუფლების მოძრაობა"), შეიქმნა 1948 წელს სამხედრო სიონისტურ-ტერორისტული ორგანიზაციების ბაზაზე, მოითხოვს დიდი ისრაელის შექმნას; ლიბერალური პარტია (1961 წ.), გამოხატავს მსხვილი და საშუალო ბურჟუაზიის ინტერესებს. 1965 წელს ხერუტმა და ლიბერალურმა პარტიამ შექმნეს საპარლამენტო ბლოკი (გახალ) და ბოლო წლებში გამოდის ლიკუდის („კავშირი") სახელწოდებით; ნაციონალ-რელიგიური პარტია (1956 წ.), შეიქმნა ორთოდოქსალური რელიგიური პარტიების — მიზრახისა და გაპოელ გამიზრახის გაერთიანების შედეგად. მისი მიზანია ქვეყნის მთელი ცხოვრება დაუმორჩილოს რელიგიურ კანონებს, მისი იდეოლოგიაა „რელიგიური სიონიზმი". პარტია აგუდატი ისრაელი და პოალეი აგუდატ ისრაელი — ორთოდოქსალური რელიგიური არასიონისტური პარტია, გამოდის მთავრობის აგრესიული კურსის წინააღმდეგ; ისრაელის კომუნისტური პარტია, დაარსდა

1919 წ., როგორც პალესტინის სოციალისტური პარტია, 1921 წლიდან ეწოდა პალესტინის კომუნისტური პარტია, 1958 წლიდან კი — ისრაელის კომუნისტური პარტია. ნაბეჭდი ორგანოებია: ყოველკვირეული გაზეთი — „ზოგადერეხი“ („ეს გზა“) და კვირეული „ალ-იტიჰადი“ („კავშირი“);

კამპუჩი*

სახელმწიფო კამპუჩი მდებარეობს ინდოჩინეთის ნახევარკუნძულის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში. დასავლეთითა და ჩრდილო-აღმოსავლეთით ესაზღვრება ტაილანდი, ჩრდილოეთით — ლაოსი, აღმოსავლეთით — ვიეტნამი, სამხრეთ-დასავლეთით ეკვრის სიამის უბის წყლები. სახმელეთო საზღვრების სიგრძე 1700 კმ-ია, საზღვაოსი — 300 კმ. მასვე ეკუთვნის სიამის უბეში მდებარე წვრილი კუნძულები (კონგი, რონგი, ტანგი, პრინგი და სხვ.), ფართობი — 181 000 კვ. კმ, მოსახლეობა — 7,8 მლნ კაცი (1976). მოსახლეობის ძირითად მასას შეადგენს კჰმერი (80%, ანუ იგივე კამბოჯელები), არიან ჩინელები, ვიეტნამელები, მალაელები, ბირმელები, მცირე რაოდენობით ევროპელები. დედაქალაქია პნომ-პენი (800 000 მცხოვრებით), საშუალო სიმჭიდროვე 1 კვ. კმ-ზე 39 კაცს აღწევს. მოსახლეობის დიდი ნაწილი ცხოვრობს მდინარე მეკონგის ხეობაში, ზღვის სანაპიროსა და ტბა ტონსელაპის გარშემო. დედაქალაქს გარდა, მნიშვნელოვანი ქალაქებია: კონპონგ-ჩანგი, მაპია, კრატიე. ადმინისტრაციულად იყოფა 22 კჰეტად (პროვინციად), ოფიციალური ენა — კჰმერი (აქვს ლათინური დამწერლობა), გაბატონებული რელიგია — ბუდიზმი, ჩინელები კონფუციანელები არიან, მალაელები — მუსლიმანები, ეროვნული დღესასწაული — დამოუკიდებლობის გამოცხადების დღე — 9 ნოემბერი (1953).

ისტორია: კამპუჩი ინდოჩინეთის ერთ-ერთი უძველესი სახელმწიფოა. საშუალო საუკუნეებში კამპუჩი მაღალგანვითარებული და ძლიერი სახელმწიფო იყო მთელს აღმოსავლეთ აზიაში, მაგრამ შინაგანი ომების შედეგად სახელმწიფოს ძლიერება დასუსტდა და დაიშალა. კამპუჩი ტერიტორიულად ჯერ სიამისა და მერე ვიეტნამის იმპერატორის გავლენის ქვეშ მოექცა. 1862 წელს კამპუჩი ფრანგებ-

---

* ან კამბოჯა, ნიშნავს კამბუს შვილებს (კამბუ—მითიური მეფისწული). 1976 წლიდან ეწოდა კამპუჩი.

მა დაიპყრეს და თავის კოლონიად გადააქციეს, მეორე მსოფლიო ომის პერიოდში კი—ოკუპირებულ იქნა იაპონელების მიერ. იაპონელების დამარცხების შემდეგ, 1945 წლის აგვისტოში, ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის შექმნამ ბიძგი მისცა კამპუჩელი ხალხის ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას, მაგრამ შემდეგ კვლავ გამოჩნდნენ ფრანგები, რომლებიც კამპუჩს დაეპატრონენ და „ავტონომიურ სახელმწიფოდ“ გამოაცხადეს, ამასთან მიღებულ იქნა პირველი კონსტიტუცია. 1953 წლის ოქტომბერში სახალხო რევოლუციური მოძრაობის შედეგად ფრანგებმა დატოვეს კამპუჩის ტერიტორია და სწორედ ეს დღე (9 ოქტომბერი) ითვლება კამპუჩელი ხალხის ეროვნული დამოუკიდებლობის დღედ. 1970 წლის მარტში მარშალმა ლონ ნოლმა მოახდინა სახელმწიფო გადატრიალება. 1970 წლის 9 ოქტომბერს მონარქია დაემხო და გამოცხადდა კჰმერის რესპუბლიკა, 1975 წლის 17 აპრილს—კამპუჩის დემოკრატიული რესპუბლიკა, მიღებულ იქნა ახალი კონსტიტუცია. კამპუჩია არის გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრი. სსრ კავშირთან დიპლომატიური ურთიერთობა დაამყარა 1956 წლის 13 მაისს.

ბუნებრივი პირობები. კამპუჩის დიდი ნაწილი ვაკე-დაბლობებს უკავია. დასავლეთით აღმართულია კრავანის (კარდამონის) მთები უმაღლესი მწვერვალით ორალი — 1813 მ. აღმოსავლეთით კამპუჩის ტერიტორიაზე შემოდის ანამის მთათა ტოტები. კამპუჩის დიდი დაბლობი მდებარეობს ტბა ტონლესაპის გარშემო. დასახელებული ტბა ბუნებრივი წყალსატევების როლში გამოდის. წყალდიდობის დროს მდინარე მეკონგის ჭარბი წყალი ამ ტბაში ჩაედინება, ბევრია ჭაობები, განსაკუთრებით მეკონგის შენაკადების სანისა და სენის ხეობებში.

კლიმატი სუბეკვატორულია, მუსონური, ნოტიო ზაფხულით, შედარებით მშრალი ზამთრით. ყველაზე ცხელი თვის (IV) საშუალო ტემპერატურა ვაკე-დაბლობებში აღწევს 29-30°, ყველაზე ცივი თვისა (XII) — 25-26°. ნალექების საშუალო წლიური რაოდენობა ვაკე-დაბლობებში 500-700 მმ აღწევს, მთიან ნაწილში — 2000 მმ. ნალექები უმთავრესად მოდის V-X თვეებში, როდესაც ნოტიო მუსონი ქრის.

სამდინარო ქსელი ხშირია, ყველაზე დიდი მდინარეა მეკონგი, რომლის შუა და ქვემო წელი კამპუჩის ტერიტორიაზეა. ეს წყალუხვი მდინარე კამპუჩის „საზღვაო ჭიშკარს“ წარმოადგენს. საოკეანო გემები თავისუფლად ამოდიან ქალაქ პნომ-პენამდე. მთელი

ფართობის თითქმის 3/4 ტყე-ბუჩქნარს უკავია, დაბლობი დაფარულია სავანით, მთიანი რაიონები — ტროპიკული ტყეებით, რომელთა მთავარი სიმდიდრე ძვირფასი ჯიშის ხეებია (ტიკი, სალი, ლაქის, ქაფურის ხე და სხვ.). კამპუჩი განსაკუთრებით მდიდარია ჯერ კიდევ ხელუხლებელი ფაუნით, როგორებიც არიან: პანტერა, შავი დათვი, სპილო, მარტორქა, მდინარეებში ბლომადაა ნიანგი, მრავალრიცხოვანია ფრთოსანთა (პელიკანი, ფლამინგო და სხვ.) და ქვეწარმავალთა სამყარო.

მეურნეობა. კამპუჩი სუსტად განვითარებული აგრარული ქვეყანაა, ძლიერია უცხოეთის კაპიტალის გავლენა, განსაკუთრებით ამერიკის შეერთებული შტატებისა და საფრანგეთისა, სჭარბობს საშუალო და წვრილი მიწათმფლობელობა, დაბალია აგროტექნიკა და მექანიზაციის დონე.

მეურნეობის საფუძველია მიწათმოქმედება, რომელშიც ჩაბმულია მოსახლეობის 3/5, განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს საექსპორტო კულტურებს, სახელდობრ: ბრინჯს, რომელსაც უკავია მთელი დამუშავებული ფართობის 2/5, წლიური პროდუქციაა 2,5-2,7 მლნ ტ, აქედან თითქმის ერთი მლნ ტ უცხოეთში გააქვთ. დიდი მნიშვნელობა აქვს ბანანს, ციტრუსოვანებს, თამბაქოს წარმოებას. კამპუჩი ითვლება შავი პილპილის (1500-1600 ტ წლიურად), სურნელოვანი კარდამონისა და შაქრის პალმის ქვეყნად. ასევე დიდი მნიშვნელობა აქვს კაუჩუკოვან მცენარეებს. კამპუჩს წლიურად გააქვს დაახლოებით 55-60 ათასი ტ კაუჩუკი. საკმაოდ განვითარებული და მაპროფილებელი დარგია მეხვილფეხა სარძევე მეცხოველეობა, განსაკუთრებით მეღორეობა და კამეჩის მოშენება. როგორც წესი, ცოცხალი პირუტყვი ექსპორტის ერთ-ერთ საგანს შეადგენს. კამპუჩი ცნობილია მეფრინველეობით, საყოველთაოდ აღიარებულია მისი ყელტიტველა ქათმის ჯიში, რომელიც კოხინხინას ქათმის ჯიშის სახელწოდებითაა ცნობილი. დიდი მნიშვნელობა აქვს მეთევზეობას (წლიურად 170-180 ათასი ტ), ბრინჯის შემდეგ ექსპორტში, თავისი ღირებულებით, მეორე ადგილზეა თევზი და თევზის პროდუქცია. თევზის ნარჩენებისაგან ამზადებენ სასუქს.

მრეწველობა ძირითადად წარმოდგენილია სასოფლო-სამეურნეო ნედლეულისა და ხე-ტყის გადამუშავების საწარმოებით, მათ შორის, კაუჩუკის, ხილის წვენების, ხილკონსერვების, თევზკონსერვების, ბრინჯსაწმენდი და საფეიქრო (განსაკუთრებით ჯუთის ქსოვილები) საწარმოებით, სამთომოპოვებითი მრეწველობიდან აღსანიშნავია ფო-

სფორიტებისა და ძვირფასი ქვების მოპოვება. პნომ-პენში არის ნავთობგადასამუშავებელი, ტრაქტორებისა და ავტომობილების ამწყობი ქარხნები. დიდი მნიშვნელობა აქვს მერქნის დამზადებასა და გატანას. ელექტროენერგიის გამომუშავება შეადგენს 150 მლნ კვტს. კამპუჩის ეკონომიკის შემდგომი განვითარებისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს სოციალისტური ქვეყნების სპეციალისტთა დახმარებას, რომელთა მონაწილეობით აშენდა მსხვილი საფეიქრო კომბინატი კომპონგ-ჩანში, ქაღალდის ფაბრიკა კრატიეში, ცემენტის, ფირფიცრის, შაქრის, ტრაქტორის ამწყობი ქარხნები, ჯუთის ტომრების საწარმო, ელექტროსადგური მდინარე კამრაიზე. კამპუჩი განთქმულია თავისი ძვირფასი ქვებით (ლალი, ზურმუხტი), რომელთაც საექსპორტო მნიშვნელობა აქვს.

ტრანსპორტი და საგარეო კავშირურთიერთობანი. ტრანსპორტი ჯერ კიდევ სუსტადაა განვითარებული, არის რკინიგზის ორი მთავარი მაგისტრალი: პნომ-პენი — პოიპეტი (385 კმ სიგრძისა) და პნომ-პენი — კომპონგი (270 კმ), საავტომობილო გზების სიგრძე 7 ათას კმ უდრის, სამდინარო გზებისა წვიმების პერიოდში 1400 კმ აღწევს, მშრალ პერიოდში — მხოლოდ 600 კმ. საგარეო ვაჭრობას ძირითადად უცხოეთის ფლოტი აწარმოებს. კამპუჩს გააქვს: ბრინჯი, კაუჩუკი, ძვირფასი ჯიშის მერქანი, ძვირფასი ქვები, მეცხოველეობის პროდუქცია. შაევი პილპილი, თევზი; შეაქვს: სამრეწველო საქონელი, მანქანა-მოწყობილობა, ნავთობპროდუქტები. საგარეო ვაჭრობაში მთავარი პარტნიორები არიან: საფრანგეთი, ამერიკის შეერთებული შტატები, ინგლისი, იაპონია, სინგაპური, სოციალისტური ქვეყნებიდან — სსრ კავშირი, პოლონეთი და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა. ფულის ერთეულია რიელი.

განათლება. კამპუჩში ჯერ კიდევ დიდია წერა-კითხვის უცოდინართა რაოდენობა. ითვლება 3700 დაწყებითი, 1150 სახელმწიფო, 1500 სამონასტრო და 190 საშუალო სკოლა, 10 ტექნიკუმი, 5 პედსასწავლებელი, პნომ-პენში არის კჰმერის უნივერსიტეტი, ტექნიკური უმაღლესი სკოლა, ბუდისტური უნივერსიტეტი და მეცნიერებათა აკადემია, ეროვნული მუზეუმი და ბიბლიოთეკა, გამოდის 12 ყოველდღიური გაზეთი კჰმერის, ფრანგულ, ინგლისურსა და ვიეტნამურ ენებზე. არის ორი საინფორმაციო სააგენტო, რადიომაუწყებლობა (6 ენაზე) და ტელევიზია.

სახელმწიფო წყობილება. ახალი კონსტიტუციის თანახმად კამპუჩი არის მუშათა და გლეხთა დამოუკიდებელი და ნეიტრალური

სახელმწიფო, სადაც წარმოების ძირითადი საშუალებები სახელმწიფოს ეკუთვნის ან კოლექტიურ საკუთრებას წარმოადგენს, სოფლად შექმნილია საწარმოო კოოპერატივები.

პოლიტიკური პარტიების საქმიანობა 1970 წლიდან აკრძალული იყო. დღეისათვის არსებობს კ ა მ პ უ ჩ ი ს ე რ ო ვ ნ უ ლ ი ე რ თ ი ა ნ ი ფ რ ო ნ ტ ი (1970), შეიქმნა პატრიოტული ძალების დახმარებით ამერიკელ იმპერიალისტებსა და პნომ-პენის რეჟიმთან ბრძოლისათვის, დამოუკიდებელი ნეიტრალური და დემოკრატიული კამპუჩის შესაქმნელად.

კატარი

არაბული სახელმწიფო (სამთავრო) კატარი მდებარეობს სპარსეთის ყურის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში, ამავე სახელწოდების ნახევარკუნძულზე. სამხრეთით მას ესაზღვრება საუდის არაბეთი და არაბთა გაერთიანებული ემირატები. რადგან მას ზუსტი საზღვრები არ გააჩნია, ფართობს დაახლოებით 22 ათას კვ. კმ ვარაუდობენ, მოსახლეობა 180 ათასი კაცია (1975), ძირითადად არაბები (40%-მდე), არიან ინდოელები, ზანგები. დედაქალაქია ნავსადგური დოჰა (100 ათასი მცხოვრებით), სადაც თავმოყრილია კატარის მოსახლეობის ნახევარზე მეტი. არის კიდევ 2 პატარა ქალაქი — დუჰანო და უმ-საიდი, საშუალო სიმჭიდროვე ძალზე დაბალია და 1 კვ. კმ-ზე 8 კაცს არ აღემატება. ოფიციალური ენა — არაბული, გაბატონებული რელიგია — მაჰმადიანური (სუნი), ეროვნული დღესასწაული — დამოუკიდებლობის გამოცხადების დღე — 3 სექტემბერი (1971).

ისტორია. კატარის სამთავრო შეიქმნა 1756 წელს და დიდხანს იყო ჯერ თურქეთისა და მერე ბაჰრეინის შეიხთა კონტროლ ის ქვეშ. 1916 წელს კი ბრიტანეთის პროტექტორატი გახდა. 1968 წელს კატარი უნდა შეერთებოდა არაბეთის სამთავროთა ფედერაციას, მაგრამ ინგლისელ კოლონიზატორთა ეს გეგმა ჩაიშალა. კატარი არის გაერთიანებული ერების ორგანიზაციისა და არაბული ქვეყნების ლიგის წევრი. სსრ კავშირთან დიპლომატიური ურთიერთობა დაამყარა 1971 წლის 8 სექტემბერს.

ბუნებრივი პირობები. კატარის რელიეფი ძირითადად სწორია, ქვიშიან უდაბნოთა სიჭარბით. სანაპირო ხაზი სუსტად არის დანა-

ნევრებული, ბევრია მარჯნის კუნძული და რიფი. კლიმატი — მშრალი, ტიპური უდაბნოსი, ზაფხული ცხელი. ჩრდილში ტემპერატურა 40° აღწევს, ზამთარი — რბილი, ნალექები ცოტაა, წლიურად 125-130 მმ მოდის, ძირითადად ზამთრის პერიოდში. კატარი საერთოდ უწყლო ქვეყანაა. ამიტომ მოსახლეობა მლაშეწყლიან ჭებსაც იყენებს, კარგი სასმელი წყალი მხოლოდ ქალაქ დოჰასთან არის, უწინ კი კატარში ბაჰრეინის კუნძულებიდან მოჰქონდათ, ამჟამად ზღვის მლაშე წყალს სპეციალური დანადგარებით ამტკნარებენ. მცენარეული საფარი ღარიბია, ბევრია სიმშრალისმოყვარული ბუჩქები, ცოტაა ოაზისები.

მეურნეობის მხრივ კატარი ერთ-ერთი ყველაზე ჩამორჩენილი ქვეყანაა არაბულ სამყაროში, ფეოდალიზმის ძლიერი გადმონაშთებით. მონობა კატარში მხოლოდ 1952 წელს იქნა გაუქმებული. კატარის მთავარი სიმდიდრეა ნავთობი (780 მლნ ტ.), წლიურად ზდება 27-28 მლნ ტ ნავთობის მოპოვება, რაც ძირითადად ინგლის-ამერიკელთა კომპანიების ხელშია (2010 წლამდე), არის აგრეთვე სასუქების, ცემენტის, ნავთობგადასამუშავებელი ქარხნები (ქალაქ უმ-საიდში), აშენდა ახალი მსხვილი ნავთობგადასამუშავებელი ქარხანა, გაყვანილია ნავთობსადენი მილებიც, რომელთა სიგრძე 140 კმ უდრის. განსაკუთრებით დიდია მიღებული შემოსავალი ნავთობის ექსპორტიდან, 1973 წელს ეს მაჩვენებელი უდრიდა 250 მლნ დოლარს, ამიტომ მოსახლეობის სიმცირის გამო ყოველ ერთ სულ მცხოვრებზე შემოსავლის მიხედვით კატარი ერთ-ერთ პირველ ადგილზეა პლანეტაზე კუვეიტთან ერთად.

დამუშავებული ფართობი მთელი ტერიტორიის 10%-ს შეადგენს. მიწათმოქმედება მხოლოდ ოაზისებშია განვითარებული, მთავარი კულტურაა ფინიკიური პალმა. მეცხოველეობის განვითარებას ხელს უშლის უწყლობა და საძოვრების სიმცირე, ბევრია მომთაბარე ბედუინები, სანაპიროებზე მისდევენ მეთევზეობასა და მარგალიტის ჭერას. მრეწველობა ძირითადად წარმოდგენილია მცირე საწარმოებითა და კუსტარული სახელოსნოებით. განსაკუთრებით აღსანიშნავია ზღვის წყლის გასამტკნარებელი დანადგარები, დიდი მაცივრები ნავსადგურში. დიდი მნიშვნელობა აქვს ნოხების ქსოვას, აქეჯის, ყინულის, გაზიანი წყლისა და ცნობილი პატარა ნაგების დამზადებას.

ტრანსპორტი და საგარეო კავშირურთიერთობანი. კატარისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს საგარეო ვაჭრობას, რაი-

ნიგზები არ არის, ავტოგზების სიგრძე 1700 კმ-ია, ტვირთბრუნვა და მგზავრთა გადაყვანა ხდება საზღვაო ტრანსპორტით, ავტომანქანებით. დოჰაში არის დიდი აეროპორტი. კატარიდან გააქვთ: უპირატესად ნავთობი და ნავთობპროდუქტები, მარგალიტი, პატარა ნაგები; შეაქვს: სურსათი, სამრეწველო საქონელი, სატრანსპორტო საშუალებანი, მედიკამენტები. საგარეო ვაჭრობაში მთავარი პარტნიორები არიან: ინგლისი, ამერიკის შეერთებული შტატები, ლიბანი, პაკისტანი, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა. ფულის ერთეულია კატარის რიალი.

განათლება. დიდია წერა-კითხვის უცოდინართა რაოდენობა, არის 30 დაწყებითი და რამდენიმე საშუალო სკოლა (ვაჟებისათვის), ერთი საშუალო და 5 დაწყებითი სკოლა გოგონებისათვის (სწავლება უფასოა), ტექნიკური და სავაჭრო სასწავლებლები, საჯარო ბიბლიოთეკა დოჰაში. უმაღლესი განათლების მისაღებად მიდიან ამერიკის შეერთებულ შტატებსა და ეგვიპტეში. გამოდის ერთი გაზეთი და ერთი ჟურნალი ინგლისურ ენაზე, არის რადიომაუწყებლობა და ტელევიზია.

სახელმწიფო წყობილება. კატარი აბსოლუტური მონარქიაა. სახელმწიფოს მეთაურია ემირი (ტანის დინასტიიდან), რომელსაც ეკუთვნის სამოქალაქო და სასულიერო ძალაუფლება, ერთდროულად ითვლება პრემიერ-მინისტრად და ფინანსთა და ნავთობის მრეწველობის მინისტრად.

პოლიტიკური პარტიების მოქმედება კატარში აკრძალულია.

კვიპროსი

კუნძულოვანი სახელმწიფო კვიპროსი მდებარეობს ხმელთაშუა ზღვის აღმოსავლეთ ნაწილში. ფართობი — 9251 კვ. კმ, მოსახლეობა —0,7 მლნ კაცი(1975), ძირითადად არიან ბერძნები (78%), თურქები (18%), სომხები, არაბები, დედაქალაქია **ნიკოზია** (120 ათასი მცხოვრებით). დიდი ქალაქებია აგრეთვე: ლიმასოლი, ფამაგუსტა, ლარნაკა, ათოსი. საშუალო სიმჭიდროვე 1 კვ. კმ-ზე 75 კაცს უდრის. ადმინისტრაციულად იყოფა 6 ოკრუგად. ოფიციალური ენა — ბერძნული და თურქული, გაბატონებული რელიგია — მართლმადიდებელი ქრისტიანობა და მუსლიმანური (სუნი), ეროვ-

ნული დღესასწაული — დამოუკიდებლობის გამოცხადების დღე — 16 აგვისტო (1960).

ისტორია. კვიპროსი ძველი საბერძნეთის ერთ-ერთი ისტორიული პროვინცია იყო. 1571-1878 წწ. თურქების ბატონობის ქვეშ მოექცა. შემდეგ 82 წლის განმავლობაში ინგლისის კოლონიას წარმოადგენდა. 1960 წლიდან რესპუბლიკაა. კვიპროსის სახელმწიფო წყობილებასა და კონსტიტუციას ციურიხ-ლონდონის შეთანხმება განსაზღვრავს. მიუხედავად იმისა, რომ კვიპროსი დამოუკიდებელი ქვეყანაა, ინგლისელებმა მაინც შეინარჩუნეს 99 კვ. კმ ფართობი თავიანთი სამხედრო ბაზებისათვის. კვიპროსი შედის ბრიტანეთის ერთა თანაშეგობრობაში, არის გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრი. 1976 წლის იელისში თურქებით დასახლებულ ტერიტორიაზე შეიქმნა კვიპროსის თურქული ფედერაციული რესპუბლიკა.

ბუნებრივი პირობები. კუნძულის უმეტესი ნაწილი მთიანია. სანაპირო დაბლობს განედური მიმართულებით კვეთს ორი დიდი ქედი. უმაღლესი წერტილია მთა ტროოდოსი (1953 მ), ქედებს შორის მოქცეულია მესაორის ვრცელი დაბლობები თავისი ნაყოფიერი მიწებით. სანაპირო ხაზი საკმაოდ განვითარებულია და ბევრი უბეები აქვს ნავსადგურებისათვის. კლიმატი სუბტროპიკულია, ხმელთაშუა ზღვის ტიპისა. დაბლობ ზონასა და სანაპიროებზე იანვრის საშუალო ტემპერატურა 9,5-დან 12°-მდე აღწევს. აგვისტოში — 26-28°-მდე. ყინვა ძალზე იშვიათია, ნალექების რაოდენობა — 300—600 მმ-მდე. მდინარეთა კალაპოტები უხვწყლიანია, მხოლოდ ზამთრის წვიმების პერიოდში, ამიტომ მდინარეთა რეგულაციისა და წყლის გამოყენებისათვის ბევრ ადგილას ხელოვნური წყალსაცავებია შექმნილი. მცენარეული საფარი წარმოდგენილია ძირითადად ტყის დიდი მასივებით. ვაკე-დაბლობებში კვიპროსზე ლანდშაფტი ან ხელოვნურია, ან კულტურული ლანდშაფტითაა შეცვლილი. ბუნების სილამაზის გამო კვიპროსი მსოფლიოში ცნობილია „ხმელთაშუა ზღვის მარგალიტის“ სახელწოდებით, რაც დიდად უწყობს ხელს უცხოური ტურიზმის განვითარებას. ამიტომ ეროვნულ შემოსავალში უცხოურ ტურიზმს საპატიო ადგილი უჭირავს.

მეურნეობა. კვიპროსი ტიპური აგრარული ქვეყანაა. მთავარი სასოფლო-სამეურნეო კულტურებია: ვაზი, ციტრუსოვანები (განსაკუთრებით ლიმონი), ზეთისხილი, თამბაქო, საერთოდ კვიპროსი ითვლება მევენახეობისა და მეხილეობის ერთ-ერთ კლასიკურ ქვეყნად მსოფლიოში, სწორედ ეს დარგი განსაზღვრავს მის სამეურნეო სპე-

ციალიზაციასა და საკმაოდ დიდი ხვედრითი წონა აქვს ეროვნულ შემოსავალში. ასევე განვითარებულია მეხილეობა, მებოსტნეობა, საკუთარი მარცვლეული არ ყოფნის და შეაქვს. კვიპროსზე წყალი ცოტაა და მიწათმოქმედება უპირატესად სარწყავია, ამიტომ დასამუშავებელი მიწის ფართობი ერთობ შეზღუდულია. განსაკუთრებით ცნობილია კვიპროსის ბროწეული და ნუში. განვითარებულია მეცხოველეობა, მთიან ზონაში სპარბობს თხისა და ცხვრის მოშენება.

მრეწველობა ძირითადად წარმოდგენილია კვების, ტყავ-ფეხსაცმლისი და საფეიქრო მრეწველობის საწარმოებით, ღვინის ქარხნებითა და თამბაქოს ფაბრიკებით, რომლებიც ძირითადად ექსპორტზე მუშაობენ. გარკვეული მნიშვნელობა აქვს ლითონდამუშავებასა და სამთომოპოვებით მრეწველობას. მწყობრში ჩადგა ავტომწყობი და ნავთობგადასამუშავებელი ქარხნები. კვიპროსზე ხდება აზბესტის (30 ათასი ტ), რკინის მადნის (0,5 მლნ ტ), ქრომისა (30 ათასი ტ) და სპილენძის (80 ათასი ტ) მოპოვება. ამასთან მთელი ეს პროდუქცია თითქმის მთლიანად ევროპაში გააქვთ. კვიპროსის ეკონომიკაში დიდ როლს თამაშობს აგრეთვე უცხოური ტურიზმი და საგარეო ვაჭრობიდან მიღებული შემოსავალი. ელექტროენერგიის გამომუშავება 720 მლნ კვტს შეადგენს.

ტრანსპორტი და საგარეო კავშირურთიერთობანი. ტრანსპორტის მთავარი სახეობაა საავტომობილო ტრანსპორტი (გზების სიგრძე 8400 კმ). საგარეო ვაჭრობა ხდება უცხოური გემებით. კვიპროსიდან გააქვთ: ყურძენი, ღვინო, სპირტი, ციტრუსები (განსაკუთრებით ლიმონის წვენი), თამბაქო, სამთომოპოვებითი მრეწველობის პროდუქცია. შეაქვს: მანქანა-მოწყობილობანი, სამრეწველო საქონელი, ნავთობპროდუქტები. ვაჭრობაში მთავარი პარტნიორები არიან: ინგლისი, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა და იტალია. ფულის ერთეულია კვიპროსის გირვანქა.

განათლება. სახალხო განათლების სისტემა კუნძულზე ჩამოყალიბდა როგორც ბერძნულ, ისე თურქულ ენებზე. დიდია სამღვდელოებისა და მოლების გავლენა მოსწავლეთა სწავლა-აღზრდის საქმეში. კვიპროსზე ითვლება 600-ზე მეტი დაწყებითი და საშუალო სკოლა ბერძნებისათვის, 380 დაწყებითი და საშუალო სკოლა თურქებისათვის. ამას გარდა, არის პროფტექნიკური და 2 პედაგოგიური სასწავლებელი, უმაღლესი სასწავლებლები არ არის. უმაღლესი განათლების მისაღებად ბერძნები მიემგზავრებიან საბერძნეთსა და ინ-

გლისში, თურქები — თურქეთში. გამოდის 20 ყოველდღიური და კვირეული გაზეთი. აქვს საკუთარი რადიომაუწყებლობა და ტელევიზია.

სახელმწიფო წყობილება. 1960 წლის კონსტიტუციის მიხედვით კვიპროსი რესპუბლიკაა. საკანონმდებლო ორგანოა წარმომადგენელთა პალატა (ერთპალატიანი პარლამენტი, რომელშიც 35 ბერძენი და 15 თურქია), შემსრულებელი — მინისტრთა საბჭო პრეზიდენტის მეთაურობით (როგორც წესი, პრეზიდენტი ბერძენი, ვიცეპრეზიდენტი კი თურქი უნდა იყოს).

პოლიტიკური პარტიები. ეროვნულად მოაზროვნე ერთიანი პარტია (1969), ბერძენ კიპრიოტთა ნაციონალისტური ორგანიზაცია; კვიპროსის პროგრესული ფრონტი (1970). ცენტრის ერთიანი. დემოკრატიული კავშირი (1970), დემოკრატიული ეროვნული პარტია. თურქეთის რესპუბლიკური პარტია (1970), მშრომელი ხალხის პროგრესული პარტია (კვიპროსის კომუნისტური პარტიის მემკვიდრე, 1941). ნაბეჭდი ორგანოა გაზეთი „ჰარავგი“.

კორეა*

კორეა მდებარეობს აღმოსავლეთ აზიაში ამავე სახელწოდების ნახევარკუნძულზე, მასვე ეკუთვნის 3300-მდე კუნძული. ფართობი — 220.800 კვ. კმ (მათ შორის 1200 კვ. კმ მოდის დემილიტარიზებულ ზონაზე), მოსახლეობა — 48 მლნ კაცი (1974). მოსახლეობის 99% კორეელები შეადგენენ. სახელმწიფო ენა — კორეული, გაბატონებული რელიგია — ბუდიზმი და კონფუციანობა.

ისტორია. 1945 წელს საბჭოთა არმიამ კორეის ჩრდილო ნაწილი იაპონელი კოლონიზატორების უღლისაგან გაათავისუფლა. ამერიკელ იმპერიალისტთა კარნახით 38 პარალელზე კორეა გაიყო ორ ნაწილად: 1948 წლის მაისში შეიქმნა სამხრეთ კორეის მარიონეტული სახელმწიფო, ხოლო იმავე წლის სექტემბერში— კორეის სა-

* კორეულად ჩოსონი, ე. ი. „დილის სიგრილის ქვეყანა“.

ხალხო-დემოკრატიული რესპუბლიკა. 1950 წლის ივლისში ამერიკის შეერთებული შტატებისა და სამხრეთ კორეის მარიონეტულმა ჯარებმა შეიარაღებული აგრესია წამოიწყეს კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის წინააღმდეგ. 1953 წლის აგვისტოში ხელმოწერილ იქნა საზავო ხელშეკრულება.

კორეის ნახევარკუნძული 600 კმ-ზეა ყვითელსა და იაპონიის ზღვებს შორის. სამხრეთ-აღმოსავლეთით მას კორეის სრუტე გამოყოფს იაპონიისაგან. აღმოსავლეთი სანაპირო სწორი და განუვითარებელია. ამასთან ძლიერ დანაწევრებულია მთიანი დასავლეთი და სამხრეთი სანაპირო ხაზი. არის დიდძალი წვრილი კუნძულები. კორეის ნახევარკუნძულის ზედაპირი ძირითადად მთიანია, აღმოსავლეთი ნაწილი უჭირავს აღმოსავლეთ კორეის მთებს, სჭარბობს საშუალო სიმაღლის ქედები, სამხრეთით განლაგებულია სამხრეთ კორეის ქედი უმაღლეს მწვერვალ ჩილისანით. კენსანისა და სომეკსანის ქედებს შუა მდებარეობს მნიშვნელოვანი სასოფლო-სამეურნეო რაიონი — დიდი ქვაბული მდინარე ნაკტონგანის ხეობაში. მთელ დასავლეთ სანაპიროს გასდევს ფართო ზოლიანი დაბლობი. კლიმატი მუსონურია, დიდ ნაწილზე ზომიერი, უკიდურეს სამხრეთით — სუბტროპიკული. იანვრის საშუალო ტემპერატურა 0-დან 2°-მდეა, აგვისტოსი —24-26°. ზამთრობით აღმოსავლეთ სანაპიროზე უფრო თბილა, ვიდრე დასავლეთით (2-4°-ით), ვინაიდან შიდა ნაწილს აღმოსავლეთ კორეის მთები იცავენ ჰაერის ცივი მასების შემოჭრისაგან. ნალექების საშუალო წლიური რაოდენობა დაახლოებით 900-1500 მმ-ია, ზაფხულობით ნალექების მაქსიმუმი დაკავშირებულია ზაფხულის მუსონებთან. მდინარეები წყალუხვია, უმთავრესად მოკლე, სწრაფი, ჭორომიანი, რაც ხელს უშლის მდინარეებზე ნაოსნობის განვითარებას. დიდი მდინარეებია: ნაკტონგანი, ხანგანი, ტედონგანი, კინგანი. მდინარეები გამოიყენება აგრეთვე ხე-ტყის დასაცურებლად, სარწყავად, ჰიდროელექტროსადგურებისათვის. ტყეები უმეტესად წიწვიანია და შემორჩენილია ჩრდილო ნაწილში. სამხრეთით კი სჭარბობს კულტურული ლანდშაფტი.

კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკა*

კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკა მდებარეობს კორეის ნახევარკუნძულის ჩრდილოეთით. ხმელეთზე კორეას ესაზღვრება ჩინეთი და მცირე ნაწილზე საბჭოთა კავშირი. ფართობი—121.200 კვ. კმ, მოსახლეობა—16,0 მლნ კაცი (1975), ძირითადად ცხოვრობენ კორეელები, აგრეთვე რამდენიმე ათასი ჩინელი, დედაქალაქია — ფხენიანი (1,5 მლნ მცხოვრებით, 1975), მოსახლეობის სიმჭიდროვე საკმაოდ მაღალია და 1 კვ. კმ-ზე დაახლოებით 133 კაცი მოდის. ყველაზე მჭიდროდაა დასახლებული დასავლეთი კორეის უბის სანაპირო, განსაკუთრებით ფხენიანის დაბლობი და ვიწრო პატარა ზოლი იაპონიის ზღვის სანაპიროზე. ქალაქებში, რომელთა შორისაც სჭარბობს პატარა და საშუალო ქალაქები, ცხოვრობს რესპუბლიკის მოსახლეობის თითქმის 3/5; დედაქალაქი ფხენიანი მდებარეობს ვაკეზე მდინარე ტედონგანის გაყოლებით, რესპუბლიკის უმნიშვნელოვანეს სასოფლო-სამეურნეო რაიონში. სახალხო ხელისუფლების წლებში ფხენიანი გახდა მანქანათმშენებლობის, მსუბუქი და კვების მრეწველობის დიდი ცენტრი. ფხენიანში თავმოყრილია უმნიშვნელოვანესი სამეცნიერო და კულტურული დაწესებულებანი. მრეწველობის განვითარების დონით ფხენიანმა გაუსწრო სეულს — სამხრეთ კორეის უდიდეს ქალაქს. ადმინისტრაციულად იყოფა 9 პროვინციად. ამას გარდა, პროვინციის უფლებები აქვთ აგრეთვე დიდ ქალაქებს — ფხენიანს, ჩხონჯინს, კესონსა და ხამრინს. ოფიციალური ენა — კორეული.

ისტორია. 1910 წლიდან 1945 წლამდე კორეა იაპონიის კოლონია იყო. მაგრამ 1945 წელს იაპონელი იმპერიალისტების განადგურების შემდეგ საბჭოთა არმიამ გაათავისუფლა კორეა კოლონიური ჩაგვრისაგან. სამხრეთ კორეის ოკუპაცია მოახდინეს ამერიკის ჯარებმა. ქვეყანა დროებით გაყოფილ იქნა ორ ზონად: საბჭოთა ჯარები იმყოფებოდა 38-ე პარალელის ჩრდილოეთით, ამერიკისა — მის სამხრეთით. მოკავშირეთა ხელისუფლება ვალდებული იყო მოემზადებინა პირობები ერთიანი დემოკრატიული დამოუკიდებელი კორეის შესაქმნელად. კორეის ჩრდილო ნაწილში ხელისუფლება გადაეცა მშრომელებს და განხორციელდა დემოკრატიული გარდაქმნები. იაპონელი კოლონიზატორების, სამღვდელოებისა და მემამუ-

* კორეულად ჩოსონ მინჯუდჯუნი ნიმინ კონჰვაგუკი.

ლეების მიწები გლეხებს დაურიგდათ, სამრეწველო საწარმოები, ბანკები და ტრანსპორტი, რომლებიც წინათ იაპონელი კაპიტალისტებისა და მათთან თანამშრომლობაში მყოფ კორეის ბურჟუაზიის ხელთ იყო, სახალხო საკუთრება გახდა. კაპიტალისტთა კლასი ლიკვიდირებულ იქნა, ჩრდილო კორეის ეკონომიკაში შეიქმნა სოციალისტური სექტორი.

სამხრეთ კორეაში ამერიკელმა ხელისუფლებმა შეინარჩუნეს კოლონიური წესები და განამტკიცეს რეაქციული ძალების მხედრობა — მემამულეებისა და კაპიტალისტების ბატონობა. ამ ძალებმა შექმნეს ანტიხალხური, ამერიკის შეერთებული შტატების მორჩილი მთავრობა და განაცხადეს თავისი პრეტენზიები მთელს კორეაზე. 1948 წლის აგვისტოში კორეის დემოკრატიულმა ძალებმა მოსახლეობის აქტიური მონაწილეობით ჩაატარეს უმაღლესი სახალხო კრების საყოველთაო არჩევნები მთელს ტერიტორიაზე. მოსახლეობის უდიდესმა უმრავლესობამ, მათ შორის სამხრეთ კორეაშიც, ხმა მისცა კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის შექმნას, რაც გამოცხადებულ იქნა 1948 წლის სექტემბერში. 1950 წელს სამხრეთ კორეის რეაქციულმა ძალებმა და ამერიკელმა იმპერიალისტებმა დაიწყეს ომი კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის წინააღმდეგ იმის იმედით, რომ მოახდენდნენ სახალხო-დემოკრატიული წყობილების ლიკვიდაციას. ბრძოლა სამ წელიწადს გაგრძელდა. კორეის სახალხო-დემოკრატიულმა რესპუბლიკამ დაიცვა თავისი დამოუკიდებლობა. 38-ე პარალელზე გავლებულ იქნა სამხედრო-სადემარკაციო ხაზი, რომელმაც კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკიდან გამოყო სამხრეთ კორეა. კორეის სახალხო-დემოკრატიულ რესპუბლიკას დიპლომატიური ურთიერთობა აქვს დამყარებული 69 სახელმწიფოსთან. მათ შორის საბჭოთა კავშირთან (1948 წლის 12 ოქტომბრიდან).

ბუნებრივი პირობები. კორეა მთაგორიანი ქვეყანაა, განსაკუთრებით იმ რაიონში, რომელიც იაპონიის ზღვას ეკვრის, სადაც მთები ნაპირთან ახლოსაა. მიუხედავად მცირე სიმაღლისა, მთები ციცაბოა, წვეტიანი თხემებითა და ხეობებით დასერილი. კორეა ყვითელი ზღვისაკენ მიქცეულია ბორცვიანი დაბლობებით, სადაც ნოყიერი მიწაა. კორეაში მუსონური კლიმატია, მიუხედავად იმისა, რომ იგი შედარებით სამხრეთით მდებარეობს და ზღვაშია შეჭრილი, მისი კლიმატი კონტინენტურს უფრო უახლოვდება, ვიდრე ოკეანურს. ეს განსაკუთრებით შეეხება ჩრდილო კორეას, რომელიც ოკეანიდან

უფრო დაშორებული და მთაგორიანია. რადგან ზამთარში კონტინენტთა სიღრმიდან ცივი მშრალი ქარი ქრის, ზამთარი სუსხიანი იცის.

მეურნეობა. სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის შექმნის პირველ წლებში მის წინაშე მეტად ძნელი ამოცანები იდგა: უნდა გადაელახათ ეკონომიური ჩამორჩენილობა, შეეცვალათ წარსულისგან მემკვიდრეობით მიღებული მეურნეობის კოლონიური სტრუქტურა, აღედგინათ მეურნეობა (გამანადგურებელი ომის შემდეგ 1950-1953 წწ.); მოეხდინათ კორეის ორ ნაწილად გაყოფის შედეგად გამოწვეული მძიმე შედეგების ლიკვიდაცია. საბჭოთა კავშირისა და სოციალისტური ბანაკის სხვა ქვეყნების ძმური დახმარებით კორეის სახალხო-დემოკრატიულმა რესპუბლიკამ დიდ წარმატებებს მიაღწია სახალხო მეურნეობის განვითარებაში. აღდგენილ იქნა ომის მიერ დანგრეული ფაბრიკა-ქარხნები, აშენდა ახალი საწარმოები, რის შედეგადაც რესპუბლიკა განვითარებულ ინდუსტრიულ-აგრარულ სახელმწიფოდ გადაიქცა. კორეის სახალხო-დემოკრატიულ რესპუბლიკას დიდი დახმარება გაუწიეს სოციალისტურმა ქვეყნებმა, მაგალითად, საბჭოთა კავშირის დახმარებით აშენდა ფხენიანის, რუპჰუნისა და პუკჩხუნის ჰიდროელექტროსადგურები, მეტალურგიული კომბინატი (ჩხონჯინში), ფოლადსადნობი (კიმ-ჩხეკში), ფერადი ლითონების, თევზკონსერვებისა და ხორცკონსერვების, ნავთობგადასამუშავებელი, აზოტის სასუქების, ცემენტის მსხვილი საწარმოები, საფეიქრო კომბინატი (ფხენიანში); ბულგარეთის დახმარებით — პარკეტისა და ხის ტარის საწარმოები; უნგრეთის დახმარებით — საღებავებისა და ინსტრუმენტების ქარხნები; გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის დახმარებით — რკინა-ბეტონის კონსტრუქციების, პოლიგრაფიული და ელექტროტექნიკური ქარხნები; ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის დახმარებით — აღდგენილ იქნა ხიდები და რკინიგზის ტრანსპორტი. აშენდა ემალის ჭურჭლის საწარმო; პოლონეთის დახმარებით — ფხენიანისა და ვონსანის ორთქლმავალ-ვაგონ სარემონტო ქარხნები, აღდგენილ იქნა ქვანახშირის საბადოები; რუმინეთის დახმარებით — საშენ მასალათა და ფარმაცევტული საწარმოები; ჩეხოსლოვაკიის დახმარებით აშენდა ხიჩხონის ჩარხმშენებელ-საინსტრუმენტო ქარხანა, აღდგენილ იქნა ჩანჯინგანის ჰიდროელექტროსადგურის კასკადი.

წამყვანი ადგილი ეკუთვნის **მძიმე მრეწველობას,** სამთამადნო მრეწველობას, მეტალურგიას, მანქანათმშენებლობას, საფეიქრო და კვების მრეწველობას. ენერგეტიკულ მეურნეობაში მთავარ როლს

ასრულებს ელექტროენერგიის წარმოება (17 მლრდ კვტს). რესპუბ-ლიკის წყალუხვ მდინარეებზე აგებულია და ახლაც შენდება სა-შუალო და დიდი სიმძლავრის ჰიდროელექტროსადგურების კასკა-დები, რომელთა შორის უდიდესია სუფხუნის ჰესი (მდ. ამნოკანზე, 700 ათასი კვტ სიმძლავრით).

მნიშვნელოვნად გაიზარდა ქვანახშირის მოპოვება (28 მლნ ტ) და მოხმარება, რკინის მადნის, ვოლფრამის, მოლიბდენის, ქრომიტე-ბის, ნიკელისა და მაგნეზიტის ბუდობების ქვანახშირის საბადოებ-თან სიახლოვემ ხელი შეუწყო აქ შავი მეტალურგიის განვითარებას (5 მლნ ტ ფოლადი და თუჯი); ჩრდილო კორეის მთები ძალზე მდი-დარია ფერად და იშვიათ ლითონთა მარაგით, რამაც ხელი შეუწ-ყო ფერადი მეტალურგიის განვითარებას (ნამპჰლი, ხამხინი), იგი განლაგებულია სამხრეთ-დასავლეთში დიდ ელექტროსადგურთან ახლოს.

მანქანათმშენებლობა გახდა კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის მრეწველობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დარგი. რეს-პუბლიკაში აწარმოებენ მანქანებს, სამთო-მოწყობილობებს, ჩარხებს, ხელსაწყოებს, ავტომობილებს (6500 ცალი), ტრაქტორებსა (10 ათა-სი ცალი) და საზღვაო გემებს. მანქანათმშენებლობის მთავარი ცენ-ტრია ფხენიანი. ქიმიური მრეწველობა წარმოდგენილია მინერალუ-რი სასუქების, სინთეზური ბოჭკოებისა და ფარმაცევტული პრო-დუქტების წარმოებით. აღდგენილია მძლავრი ქიმიური კომბინატი ხინამში.

საფეიქრო მრეწველობა განვითარების ტემპით ჩამორჩება მან-ქანათმშენებლობას, მაგრამ ქსოვილების წარმოების მოცულობა ჯერ კიდევ მცირეა ბამბისა და აბრეშუმის ნაკლებობის გამო, უფრო მე-ტად იყენებენ სინთეზურ ბოჭკოებს.

კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის ეკონომიკაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს სოფლის მეურნეობა, მასში ჩაბ-მულია მოსახლეობის ნახევარი, იგი ეროვნული შემოსავლის 1/3-ს იძლევა. რესპუბლიკის ტერიტორიის დიდი ნაწილი უჭირავს ტყითა და ბუჩქნარით დაფარულ მთებს. მთავარი სამიწათმოქმედო რაიონი მდებარეობს ქ. ფხენიანის გარშემო და მის სამხრეთით მდებარე ვაკეზე, რომელზედაც მოედინება ტედონგანი და სხვა მდინარეები, აქ მოჰყავთ უმთავრესად მარცვლეული: ბრინჯი (სარწყავ მიწებზე), სი-მინდი, სოია და სხვ. ნათესების გადიდების, მანქანებით მიწის დამუ-შავებისა და მინერალური სასუქების გამოყენების ხარჯზე მარცვ-

ლეულის მოსავლიანობა ორჯერ გაიზარდა. მნიშვნელოვანი ადგილი უკავია კარტოფილსა და ბოსტნეულ კულტურებს. ტექნიკური კულტურებიდან აღსანიშნავია: ბამბა, თამბაქო, სელი, კანაფი, სოია, არაქისი, მზესუმზირა, სამკურნალო მცენარეები და სხვ. დიდი მნიშვნელობა აქვს მეხილეობას. მეცხოველეობა მეორეხარისხოვან როლს ასრულებს. უკანასკნელ პერიოდში მნიშვნელოვნად ვითარდება მეფრინველეობა და მეთევზეობა.

ტრანსპორტი და საგარეო კავშირურთიერთობანი. კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის შინაგან ტრანსპორტში ძირითადია რკინიგზის ტრანსპორტი (სიგრძე 4500 კმ), მის წილად მოდის ქვეყნის შინაგანი ტვირთბრუნვის 90%. მიმდინარეობს რკინიგზის ახალი ხაზების მშენებლობა, რათა რესპუბლიკაში შეიქმნას რკინიგზების ერთიანი რკალისებური სისტემა. სულ უფრო იზრდება საავტომობილო ტრანსპორტი (ავტოგზების სიგრძე 20 ათასი კმ-ია), განსაკუთრებით მთიან რაიონებში, სადაც შედარებით გაძნელებულია რკინიგზების მშენებლობა. განუხრელად იზრდება საზღვაო ტრანსპორტის ტვირთბრუნვა. გააქვს: მინერალური ნედლეული, საშენი მასალები, კვების პროდუქტები; შეაქვს: უპირატესად მანქანა-მოწყობილობანი, სათბობი, ბამბა. საგარეო ვაჭრობაში მთავარი პარტნიორები არიან: იაპონია, სოციალისტური ქვეყნებიდან — ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა და საბჭოთა კავშირი. ფულის ერთეულია ვონა.

განათლება. 1950 წლიდან მიღებულ იქნა სპეციალური დადგენილება საყოველთაო სავალდებულო სწავლების შესახებ. 1974 წლისათვის კორეის სახალხო-დემოკრატიულ რესპუბლიკაში იყო 9165 ყველა ტიპის სკოლა, მათ შორის ხუთასზე მეტი ტექნიკუმი და 98 უმაღლესი სასწავლებელი, კიმ ირსენის სახელობის უნივერსიტეტი ფხენიანში, უმაღლესი ტექნიკური, სამეცნიერო, სასოფლო-სამეურნეო, პედაგოგიური ინსტიტუტები, კორეის მეცნიერებათა აკადემია, ცენტრალური ისტორიული, ეთნოგრაფიული, სახვითი ხელოვნებისა და კორეის რევოლუციის მუზეუმები, ოცამდე სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი; გამოდის 20 გაზეთი და ჟურნალი კორეულ, ინგლისურსა და ფრანგულ ენებზე. აქვს საკუთარი საინფორმაციო სააგენტო, რადიომაუწყებლობა (კორეულ, რუსულ, ინგლისურ, ფრანგულ, ესპანურ, იაპონურ და ჩინურ ენებზე) და ტელევიზია.

სახელმწიფო წყობილება. 1972 წლის კონსტიტუციით კორეის

სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ორგანოა ერთპალატიანი უმაღლესი სახალხო კრება, რომელსაც ირჩევენ 4 წელიწადში ერთხელ. კრება ირჩევს პრეზიდიუმსა და მის თავმჯდომარეს. უმაღლესი აღმასრულებელი ორგანოა მინისტრთა კაბინეტი და მისი თავმჯდომარე.

პოლიტიკური პარტიები. კ ო რ ე ი ს შ რ ო მ ი ს პარტია (1945 წ), 1946 წლამდე ეწოდებოდა კორეის კომუნისტური პარტია, რომელიც ხელმძღვანელობდა კორეაში ნაციონალურ-განმათავისუფლებელ მოძრაობას იაპონელი კოლონიზატორების წინააღმდეგ. სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის შექმნის შემდეგ იგი არის ერთიანი სამამულო ფრონტის წამყვანი ძალა; კ ო რ ე ი ს დ ე მ ო კ რ ა ტ ი-უ ლ ი პარტია (1945), მასში გაერთიანებულია ვაჭრების, გლეხობისა და ქალაქის წვრილი ბურჟუაზიის წარმომადგენლები, მოითხოვენ ბრძოლას უცხოეთის კაპიტალის წინააღმდეგ და ერთიანი დემოკრატიული კორეის შექმნას; ჩ ხ ო ნ დ ო გ ი ე — ჩნუდანი („ციური გზის რელიგიის ახალგაზრდა მეგობართა პარტია"), შეიქმნა 1949 წელს, თანამშრომლობს კორეის შრომის პარტიასთან.

სამხრეთი კორეა

სამხრეთი კორეა მდებარეობს შორეულ აღმოსავლეთში, კორეის ნახევარკუნძულზე, 38-ე პარალელის სამხრეთით. მასვე მიეკუთვნება დიდძალი წვრილი კუნძულები, მათ შორის ფართობით ყველაზე დიდია ჩეჯუდო. ფართობი — 98.400 კვ. კმ, მოსახლეობა — 34 მლნ კაცი (1975). აბსოლუტურ უმეტესობას შეადგენენ კორეელები, არიან ჩინელები, იაპონელები, ამერიკელები, დედაქალაქია — **სეული** (6,3 მლნ მცხოვრებით). დიდი ქალაქებია: პუსანი (1,8 მლნ), ტეგუ (1,0 მლნ), ინჩხონი, კვანჯუ, ტეჯონი. ადმინისტრაციულად იყოფა 9 პროვინციად და ორ ცენტრალური დაქვემდებარების ქალაქად (სეული და პუსანი), ოფიციალური ენა — კორეული.

სამხრეთ კორეის **მეურნეობის** საფუძველია მიწათმოქმედება. საერთოდ მის ეკონომიკაში გაბატონებულია ამერიკის შეერთებული შტატების, იაპონიისა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის კაპიტალი. სჭარბობს წვრილი მიწათმფლობელობა, მთავარი სასოფ-

ლო-სამეურნეო კულტურაა ბრინჯი (წლიურად 4—4,6 მლნ ტ), რომელსაც საექსპორტო მნიშვნელობა აქვს. მოჰყავთ აგრეთვე ხორბალი და სიმინდი.

მრეწველობაში გარკვეული მნიშვნელობა აქვს სამთომოპოვებითსა და ქიმიურ მრეწველობას. 1972 წ. მოპოვებულ იქნა 4,0 ათასი ტ ვოლფრამი, 12 მლნ ტ ქვანახშირი, წარმოებულ იქნა 110 მლნ ტ სინთეტური და 400 მლნ მ ბამბეულის ქსოვილი, 8,2 მლნ ტ ცემენტი. ქიმიური მრეწველობა ძირითადად ამზადებს სასუქს (0,7 მლნ ტ), ლაქ-საღებავებსა და პლასტმასას. დამუშავებითი მრეწველობა წარმოდგენილია ფოლადისა და ნაგლინის წარმოებით (1,2 მლნ ტ), მოტორებისა და რადიომიმღებების წარმოებით. პუსანში არის დიდი ნავთობგადასამუშავებელი ქარხანა. ელექტროენერგიის წლიური გამომუშავება 12,5 მლრდ კვტს შეადგენს. მეცხოველეობა სუსტად არის განვითარებული, სანაპიროებზე მისდევენ მეთევზეობას.

ტრანსპორტში წამყვანია რკინიგზები (5550 კმ), რომელზედაც მოდის მთელი ტვირთბრუნვისა და მგზავრთა გადაყვანის 9/10-ზე მეტი. გარკვეული მნიშვნელობა აქვს აგრეთვე საავტომობილო და საზღვაო ტრანსპორტს. სამხრეთ კორეას ძირითადად გააქვს: ბრინჯი და ვოლფრამის კონცენტრატები; შეაქვს: მანქანა-მოწყობილობანი. სამრეწველო საქონელი. საგარეო ვაჭრობაში მთავარი პარტნიორები არიან: იაპონია და ამერიკის შეერთებული შტატები. ფულის ერთეულია ვონა.

განათლება. სამხრეთ კორეაში ითვლება 69 უმაღლესი სასწავლებელი, მათ შორის 11 სახელმწიფოს ეკუთვნის, დანარჩენი — კერძო პირთ, არის კორეის მეცნიერებათა აკადემია, სეულში — ეროვნული ბიბლიოთეკა, მუზეუმი. გამოდის 25 გაზეთი და ჟურნალი, აქვს საკუთარი რადიომაუწყებლობა და ტელევიზია, საინფორმაციო სააგენტო.

სახელმწიფო წყობილება. 1972 წლის კონსტიტუციის მიხედვით შექმნილია ე. წ. — „გაერთიანების ეროვნული კონფერენცია", რომელმაც უნდა განსაზღვროს საგარეო და საშინაო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებანი ორივე კორეის გაერთიანებისათვის. სამხრეთ კორეის ფორმალურად რესპუბლიკას, ფაქტიურად კი უკანონო მარიონეტულ რეჟიმს სათავეში უდგას ფართო უფლებებით აღჭურვილი პრეზიდენტი, რომელიც ნიშნავს და ათავისუფლებს პრემიერ-მინისტრსა და მთავრობის წევრებს. სამხრეთ კორეის მთელი

რეჟიმი შექმნილია ამერიკელი საოკუპაციო ჯარების მიერ 1948 წლის 5 მაისს.

პოლიტიკური პარტიები. მმართველია დემოკრატიულ-რესპუბლიკური პარტია (1963), არის აგრეთვე ოპოზიციური ახალი დემოკრატიული პარტია — სინმინდანი (1967) და გაერთიანების დემოკრატიული პარტია (1973).

კუვეიტი*

არაბული სახელმწიფო (ემირატი) კუვეიტი მდებარეობს ახლო აღმოსავლეთში, სპარსეთის ყურის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში. მასვე მიეკუთვნება კუნძულები: ბუბიანი, ვაიბა, ფაილაკა და სხვ. ფართობი — 18 ათასი კვ. კმ. ამას გარდა, კუვეიტსა და საუდის არაბეთს შორის არსებული ნეიტრალური ზონის გაყოფის შედეგად მოემატა 5700 კვ. კმ. ამრიგად, კუვეიტის მთელი ფართობია 20.700 კვ. კმ, მოსახლეობა — 995 ათასი კაცი (1975), ძირითადად არაბები, აგრეთვე იორდანიისა და ერაყის არაბები, ირანელები, ინდოელები. დედაქალაქია ყველაზე დიდი სამრეწველო ცენტრი და ნავსადგური — ელ-კუვეიტი (700 ათასი მცხოვრებით). სხვა ქალაქებიდან აღსანიშნავია: ბურგანი, აჰმადი, მინაგიში, ელ-დუმნა. ადმინისტრაციულად იყოფა სამ საგუბერნატოროდ. ოფიციალური ენა — არაბული, გაბატონებული რელიგია — მაჰმადიანური (ძირითადად სუნი, არიან შიიტები და ვაჰაბისტები). ეროვნული დღესასწაულებია: ემირის გამეფების დღე — 25 თებერვალი (1960), დამოუკიდებლობის გამოცხადების დღე — 19 ივნისი (1961), ეროვნული დღე — 25 თებერვალი (1964). სსრ კავშირთან დიპლომატიური ურთიერთობა დაამყარა 1963 წლის 11 მარტს. კუვეიტი არის გაერთიანებული ერების ორგანიზაციისა და არაბთა ქვეყნების ლიგის წევრი.

ისტორია. კუვეიტის ტერიტორია 1871 წლიდან შედიოდა თურქეთის შემადგენლობაში, 1899 წლიდან ინგლისის პროტექტორატი გახდა, ხოლო 1961 წლიდან დამოუკიდებელი სახელმწიფოა. კუვე-

* არაბულად „დაულიათ ალ კუვეიტ".

იტის მთავრობა მხარს უჭერს პოზიციური ნეიტრალიტეტის კურსს. გამოდის ყოველგვარ სამხედრო-პოლიტიკურ ბლოკებში მონაწილეობის წინააღმდეგ, იცავს არაბული ქვეყნების ერთიანობის იდეას და არაბების სამართლიან ბრძოლას ისრაელის მხედრიონის წინააღმდეგ. ფინანსიურ დახმარებას უწევს ზოგიერთ არაბულ სახელმწიფოს.

ბუნებრივი პირობები. ტერიტორიის დიდი ნაწილი უდაბნოა, ჩრდილოეთით ქვიანი, სამხრეთით — ქვიშიანი. კლიმატი სუბტროპიკული, მშრალი, უდაბნოსებური, იანვრის საშუალო ტემპერატურა 11° აღწევს. ივლისისა — 34°, ნალექების წლიური რაოდენობა 125-130 მმ არ აღემატება, იცის ცხელი ქარი შამალი, მდინარეები არ არის, ბევრია ვადი (მშრალი ხევი), სასმელ წყალს იღებენ ჭებიდან, პირველ რიგში მდინარე შატ-ელ-არაბიდან. ქალაქ ბასრადან გაყვანილია არხი, რომელიც სათავეს იღებს შატ-ელ-არაბიდან და ტექნიკური და სასმელი წყლით ამარაგებს თითქმის მთელ მოსახლეობას. უწყლობის გამო მცენარეული საფარი ძალიან ღარიბია, ხეები მხოლოდ ოაზისებში გვხვდება.

მეურნეობა. კუვეიტი ძალზე დაბალგანვითარებული ქვეყანაა, ძლიერი ფეოდალური გადმონაშთებით. მეორე მსოფლიო ომამდე აქ განვითარებული იყო მხოლოდ მომთაბარე მესაქონლეობა, დამახასიათებელია მკვეთრად გამოხატული კოლონიური მეურნეობის ნიშნები. მუშა გაცილებით ნაკლებს ღებულობს კუვეიტში, ვიდრე ამერიკის შეერთებულ შტატებში, ამიტომ კუვეიტის ნავთობის თვითღირებულება ყველაზე დაბალია მსოფლიოში.

კუვეიტის მეურნეობის საფუძველს წარმოადგენს ნავთობის მოპოვება (დაიწყო 1946 წელს), რომლის მარაგითაც კუვეიტი პირველ ადგილზეა კაპიტალისტურ სამყაროში, ხოლო ნავთობის მოპოვებით — V ადგილზე (ამერიკის შეერთებული შტატების, ირანის, საუდის არაბეთისა და ვენესუელის შემდეგ). ნავთობის მოპოვება-გადამუშავება და ტრანსპორტირება მთლიანად უცხო კაპიტალის ხელშია (2026 წლამდე). ნავთობის წლიური მოპოვება საშუალოდ 160 მლნ ტონას შეადგენს (1974), კუვეიტის ნავთობის საბადოებს დიდი უპირატესობა აქვს სხვა ქვეყნის საბადოებთან შედარებით. ნავთობის საბადოები ახლოა სპარსეთის უბესთან და ადვილია ნავთობის გადატანა და ექსპორტი. ნავთობის ფენა მცირე სიღრმეზეა, რაც აადვილებს მის ბურღვასა და მოპოვებას, რადგან მიწისქვეშა წნევა მაღალია, ამიტომ ნავთობი ამოდის შადრევნის სახით. დიდია

ჭაბურღილების წარმადობა. მაგალითად, საშუალო წლიური წარმადობა ერთი ჭაბურღილისა კუვეიტში უდრის 300 ათას ტონას მაშინ, როდესაც ამერიკის შეერთებულ შტატებში — მხოლოდ 7 ათასი ტონაა. ნავთობი იძლევა მთელი ექსპორტის ღირებულების თითქმის 90%-ს. ხოლო შემოსავალი 1973 წ. 1,7 მლრდ დოლარს შეადგენდა, ამიტომ ერთ სულზე ეროვნული შემოსავლის ოდენობით კუვეიტი ერთ-ერთ პირველ ადგილზეა მსოფლიოში.

კუვეიტში არის ორი მსხვილი ნავთობგადასამუშავებელი, აგრეთვე სასუქების, შარდოვანას მწარმოებელი ქარხნები, გაზისა და ავტომობილების აკუმულატორების, საბურავების, მარგარინის, ფარმაცევტული და სხვა სახის საწარმოები. კუვეიტის ერთ-ერთ ძველ და ტრადიციულ დარგად ითვლება იალქნიანი ნავების მშენებლობა, არის რამდენიმე მსხვილი თბოელექტროსადგური, რომლებიც ბუნებრივ გაზზე მუშაობენ. ელექტროენერგიის წლიური გამომუშავება 1973 წელს 4,6 მლრდ კვტს შეადგენდა, ხდება მარმარილოს, აზბესტისა და მარილის მოპოვება. კუვეიტისათვის და მისი ნავთობის საწარმოებისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ზღვის წყლის გამტკნარებას. სპეციალური დანადგარები დღეში ამტკნარებენ 12 მლნ ლიტრ წყალს.

მეტად ჩამორჩენილი დარგია **სოფლის მეურნეობა.** საკუთარი სურსათი არ ყოფნის, მეცხოველეობა უფრო განვითარებულია, ვიდრე მიწათმოქმედება, უმეტესად აშენებენ ცხვარს, აქლემს, სახედარს. მთავარი სასოფლო-სამეურნეო კულტურებია: ქერი, ხორბალი, ფინიკიური პალმა, მისდევენ მეთევზეობას. მარგალიტისა და კიბორჩხალების ჭერით კუვეიტი პირველ ადგილზეა მსოფლიოში.

ტრანსპორტი და საგარეო კავშირურთიერთობანი. უფრო მეტად განვითარებულია საავტომობილო და საავიაციო ტრანსპორტი, არის კარგი ავტოსტრადები (სიგრძე 1700 კმ), დიდი მნიშვნელობა აქვს საზღვაო და მილსადენ ტრანსპორტს. მთავარი ნავსადგურებია ელ-კუვეიტი და მენა-ალ-აჰმადი. ძირითადად გააქვს: ნავთობი და ნავთობპროდუქტები (უპირატესად ევროპის ქვეყნებში), მარგალიტი; შეაქვს: მანქანები და სატრანსპორტო საშუალებები, სამრეწველო საქონელი, პირუტყვი, სურსათი, თამბაქო. კუვეიტი მსოფლიოში ერთ-ერთ პირველ ადგილზეა საქონლის შეტანის ოდენობით ერთ სულ მცხოვრებზე. საგარეო ვაჭრობაში მთავარი პარტნიორები არიან: ამერიკის შეერთებული შტატები, ინგლისი, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა, იაპონია. ფულის ერთეულია კუვეიტის დინარი.

განათლება. მოსახლეობის ნახევარზე მეტი წერა-კითხვის უცოდინარია. არის 100-ზე მეტი დაწყებითი და საშუალო მოსამზადებელი სკოლა, სწავლება უფასოა. პირველი ვაჟთა საშუალო სკოლა კუვეიტში გაიხსნა 1936 წელს, გოგონებისა — 1937 წელს. არის სპეციალური ტექნიკური და სამასწავლებლო სასწავლებლები, სადაც სწავლება უფასოა და მიმდინარეობს არაბულ ენაზე. ელ-კუვეიტში არის უნივერსიტეტი (1966), პარალელური ქალთა კოლეჯით, თეატრალური ხელოვნების ინსტიტუტი. 1965 წელს გაიხსნა პირველი სტამბა, გამოდის 6 ყოველდღიური და 4 კვირეული გაზეთი.არაბულსა და ინგლისურ ენებზე, არის რადიომაუწყებლობა და ტელევიზია (მხოლოდ არაბულ ენაზე).

სახელმწიფო წყობილება. კუვეიტი პარლამენტური მონარქიაა, თუმცა კონსტიტუციის მიხედვით მემკვიდრეობითი ემირატია. ემირი ამავე დროს უმაღლესი მთავარსარდალიც არის. საკანონმდებლო ძალაუფლება ეკუთვნის ემირსა და ეროვნულ ასამბლეას (ერთპალატიან პარლამენტს), შემსრულებელია მინისტრთა საბჭო.

პოლიტიკური პარტიების მოქმედება კუვეიტში აკრძალულია.

ლაოსი

სახელმწიფო ლაოსი მდებარეობს სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში, ინდოჩინეთის ნახევარკუნძულზე, დასავლეთით ესაზღვრება ტაილანდი, ჩრდილოეთით—ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა, აღმოსავლეთით — ვიეტნამი და სამხრეთით — კამბოჯა. ზღვაზე გასასვლელი არა აქვს. ფართობი — 236.800 კვ. კმ, მოსახლეობა — 5 მლნ კაცი (1976), აბსოლუტურ უმეტესობას შეადგენენ ლაოსელი ტომები (ლაო-ლუმი, ლაო-ტენგი, ლაო-სუგი), აგრეთვე კჰმუ, მეო, იაო და სხვ. საშუალო სიმჭიდროვე 1 კვ. კმ-ზე 13 კაცს აღწევს, დედაქალაქი ვიენტიანი (220 ათასი მცხოვრებით, მდ. მეკონგის მარცხენა ნაპირზე). ქალაქად ცხოვრობს მოსახლეობის მხოლოდ 1/5. მნიშვნელოვანი ქალაქებია: ლუანგ-პრაბანგი (მეფის რეზიდენ-, ცია, 50 ათასი მცხოვრებით), ტაკეკი, სუნგ-კუანგი, ფონგ-სალი და სხვ. ადმინისტრაციულად იყოფა 16 კჰუნგად. ოფიციალური ენა — ლაოსური. მთის მოსახლეობა ლაპარაკობს მონ-ქჰმერის ენაზე, გაბა-

ტონებული რელიგია — ბუდიზმი, ეროვნული დღესასწაული — კონსტიტუციის დღე — 11 მაისი (1947);

ისტორია. ლაოსის სახელმწიფო შეიქმნა 749 წელს. იგი საშუალო საუკუნეებში დიდ და მძლავრ სახელმწიფოს წარმოადგენდა მთელს სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში. 1893 წელს ლაოსის ტერიტორია ფრანგებმა დაიპყრეს, მეორე მსოფლიო ომის დროს კი — ოკუპირებულ იქნა იაპონელების მიერ. 1945 წლის 12 ოქტომბერს სახალხო აჯანყების შედეგად ლაოსი გამოცხადდა დამოუკიდებელ სახელმწიფოდ (პატეტ-ლაო ან ქვეყანა ლაო). 1946 წელს ფრანგები ხელმეორედ დაბრუნდნენ ლაოსში, მაგრამ 1954 წელს ჟენევის კონფერენციაზე საფრანგეთმა ცნო ლაოსის დამოუკიდებლობა და ჯარების გაყვანაზე დათანხმდა. 1960 წლის ნოემბერში ლაოსმა დიპლომატიური ურთიერთობა დაამყარა საბჭოთა კავშირთან. 1971 წლის თებერვლიდან ამერიკის შეერთებული შტატების წაქეზებით ლაოსი მხარს უჭერდა და ეხმარებოდა საიგონის მარიონეტულ ჯარებს, რომლებიც ბრძოლას ეწეოდნენ სამხრეთ ვიეტნამში. 1975 წლის მაისში ლაოსისა და საიგონის მარიონეტულმა ჯარებმა სრული კრახი განიცადეს. ლაოსელმა ხალხმა სახალხო-რევოლუციური პარტიების ხელმძღვანელობით დაამთავრა ეროვნულ-დემოკრატიული რევოლუცია და 1975 წლის 4 დეკემბერს ლაოსი გამოცხადდა სახალხო-დემოკრატიულ რესპუბლიკად.

ბუნებრივი პირობები. ლაოსი უმეტესად მთიანი ქვეყანაა, განსაკუთრებით ჩრდილო ნაწილი, აქვეა ლაოსის უმაღლესი მწვერვალი ბია (2820 მ) და ლაოს-ვიეტნამის საზღვარზე ჩიონგშონის ქედი. დაბლობები მხოლოდ მდინარე მეკონგის ხეობაშია. კლიმატი სუბეკვატორული, მუსონურია, ჩრდილოეთით ყველაზე ცივი თვის (1) საშუალო ტემპერატურა 15 გრადუსზე დაბლა არ ეშვება, სამხრეთით ზამთარი თბილია, ზაფხული — ცხელი, ივლისის საშუალო ტემპერატურა 28-30° აღწევს. მუსონური წვიმების დროს ნალექების რაოდენობა 2500-3000 მმ აღწევს. მდინარეები წყალუხვი და სწრაფია. მთავარი მდინარეა მეკონგი, რომელიც ჭორომების გამო ნაოსნობისათვის მხოლოდ ცალკეულ მონაკვეთებზეა გამოყენებული. მისი უმთავრესი შენაკადებია უ, ნგუმი, ტჰენი, ბანგფაი, კონგი-ტა. ქვეყნის 3/5-ზე მეტი ფართობი ტროპიკული და სუბტროპიკული ტყეებითაა დაფარული, მდიდარია ძვირფასი ჯიშის ხეებით, მათ შორის რკინის, წითელი, ვარდისფერი, სანდალოზის, ტიკის ხეებითა და სხვ. ტყე ლაოსის მთავარი სიმდიდრეა. ასევე მდიდარია ლაოსი ფაუ-

ნით. ტროპიკულ ტყეებში გვხვდება ვეფხვი, ლეოპარდი, პანტერა, დათვი, გარეული ღორი, მაიმუნები, განსაკუთრებით ბევრია ქვეწარმავალი, ფრინველები და მწერები.

მეურნეობა. ლაოსი ჩამორჩენილი აგრარული ქვეყანაა, რომლის ეკონომიკა დღესაც მნიშვნელოვანწილად დამოკიდებულია საფრანგეთისა და ამერიკის შეერთებული შტატების კაპიტალზე. სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა ძალზე დაბალ დონეზეა, სპარბობს მსხვილი მიწათმფლობელობა, ეკონომიკის საფუძველია მიწათმოქმედება, რომელშიც ჩაბმულია მოსახლეობის 4/5-ზე მეტი, გარკვეული მნიშვნელობა აქვს მეცხოველეობასა და ტყის რეწვას.

მთავარი **სასოფლო-სამეურნეო** კულტურაა ბრინჯი, წლიურად მოჰყავთ დაახლოებით 750-800 ათასი ტ, დიდი მნიშვნელობა აქვს სიმინდის, ბამბის, თამბაქოს, სოიას, შაქრის ლერწმისა და სამედიცინო ყაყაჩოს თესვას. საექსპორტო მნიშვნელობა აქვს ყავას. მთიან რაიონებში საკმაოდ განვითარებულია მეცხვარეობა, დიდი რაოდენობით აშენებენ აგრეთვე თხას, კამეჩს, ცხენს, ფრინველებს, საკუთარი სურსათი არ ყოფნის და შეაქვს.

მრეწველობა ჯერ კიდევ ჩამორჩენილია და წარმოდგენილია წვრილი საწარმოებით, მეტალურგია ან მანქანათმშენებლობა ლაოსს არ აქვს, წამყვანი დარგია სამთომოპოვებითი მრეწველობა, განსაკუთრებით კალის (წლიურად 1.880 ათასი ტ კონცენტრატი), ოქროსა და ვერცხლის მოპოვება, წიაღისეულით ლაოსი ძალიან მდიდარია, თუმცა მისი გამოყენება ჯერჯერობით არ ხდება. დიდი მნიშვნელობა აქვს შინახელოსნობას, აგრეთვე მერქნის (წლიურად 70-75 ათასი მ³), ხის ლაქისა (170 ტ) და განსაკუთრებით ბენზოს დამზადებასა და ექსპორტს, რომლითაც ლაოსი პირველ ადგილზეა მსოფლიოში. წლიურად ამზადებენ დაახლოებით 15 ათას ტ ბენზოს, რომელიც ძვირფას ნედლეულს წარმოადგენს საპარფიუმერიო მრეწველობისათვის. დიდი რაოდენობით მზადდება სურნელოვანი ნივთიერებანი კარდამონი (300 ტ), მიხაკ-დარიჩინი (15 ტ) და სხვ.

ტრანსპორტი და საგარეო კავშირურთიერთობანი. ლაოსში ტრანსპორტი საკმაოდ ჩამორჩენილია, რკინიგზები არ არის, ავტოგზების სიგრძე 6300 კმ არ აღემატება, საგარეო ვაჭრობას ძირითადად სამხრეთ ვიეტნამის რესპუბლიკისა და ტაილანდის ნავსადგურებით აწარმოებს. გააქვს: კალა, ძვირფასი ჯიშის მერქანი, ბამბა, ყავა, სუნამო; შეაქვს: სურსათი, საფეიქრო ნაწარმი, ნავთობპროდუქტები და მანქანები. საგარეო ვაჭრობაში მთავარი პარტნიორები არიან: ინგ-

ლისი, ამერიკის შეერთებული შტატები, ტაილანდი, მალაიზია, იაპონია, კანადა. ფულის ერთეულია განთავისუფლების კიპი.

კულტურა. ძალზე დიდია წერა-კითხვის უცოდინართა რაოდენობა (მთელი მოსახლეობის თითქმის 80%-ზე მეტი), მცირე რაოდენობით არის დაწყებითი და საშუალო სკოლები. მასწავლებლების უმეტესობა ფრანგები არიან. არსებობს 15 პედაგოგიური სასწავლებელი და 50-მდე სპეციალური საშუალო-ტექნიკური სკოლა, ცეკვისა და მუსიკის, სამედიცინო, სავაჭრო სასწავლებლები. უმაღლესი სასწავლებლები ლაოსში არ არის. საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ შეძლებული ახალგაზრდობის ერთი ნაწილი უმაღლესი განათლების მისაღებად უცხოეთში მიემგზავრება. 1971 წელს გაიხსნა სამედიცინო სასწავლებელი, არსებობს ნაციონალური ცეკვებისა და მუსიკის შემსწავლელი სკოლები, პედსასწავლებელი, ტექნიკური კოლეჯი, სასოფლო-სამეურნეო სკოლა. გამოდის 10 პერიოდული გაზეთი, აქვს საკუთარი საინფორმაციო სააგენტო და რადიოშაუწყებლობა.

სახელმწიფო წყობილება. არსებობს კონგრესი, რომელიც აერთიანებს 264 დელეგატსა და კონგრესირს. წევრებისაგან იქმნება მთავრობა. კონგრესმა მიიღო დადგენილება, რათა ტახტიდან გადაყენებულ იქნეს ლაოსის ყოფილი მეფე ბორომა სეტა კატაია სურიია ფონგსა პრა მაჰაშრი სავანგ ვატჰანა. უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოა ეროვნული კრება (წევრებს ირჩევენ 5 წლით), შემსრულებელი ძალაუფლება ეკუთვნის მინისტრთა საბჭოს და პრემიერ-მინისტრს.

პოლიტიკური პარტიები. ლ ა ო ს ი ს პ ა ტ რ ი ო ტ უ ლ ი ფ რ ო ნ ტ ი (1956) — მასიური პატრიოტული ორგანიზაცია, რომელიც სათავეში უდგას ლაოსელი ხალხის ბრძოლას დამოუკიდებლობისა და თავისუფლებისათვის, მოითხოვს უცხო ქვეყნების ჩაურევლობას ლაოსის შინაგან საქმეებში, წარმართავს ქვეყნის პატრიოტული ძალების ბრძოლას დემოკრატიული და ერთიანი ლაოსის შექმნისათვის; ლ ა ო ს ი ს ე რ ო ვ ნ უ ლ ი კ ა ვ შ ი რ ი (1947), მისი პროგრამაც ეყრდნობა ბუდიზმის რელიგიის დოგმებს, აერთიანებს ინტელიგენციის ნაწილსა და წვრილ ბურჟუაზიას; დ ე მ ო კ რ ა ტ ი უ ლ ი პ ა რ ტ ი ა (1947), ბურჟუაზიული ტიპის პარტიაა, რომლის მოქმედების არეალი ძირითადად სავანაკეტის პროვინციით შემოიფარგლება; პ ა რ ტ ი ა ლ ა ო ს ი ს ხ ა ლ ხ ი ს გ ა ე რ თ ი ა ნ ე ბ ა (1958), აერთიანებს სასახლის არისტოკრატიასა და სასული-

ერო პირებს; პარტია ახალი გზა (წინანდელი „მოძრაობა ახალი იდეებისათვის"), შეიქმნა 1970 წ., აერთიანებს მოსამსახურეებს, ინტელიგენციას, სტუდენტობას. გამოდის „ბურჟუაზიული ტიპის ცხოვრების" წინააღმდეგ, მოითხოვს ნეიტრალიტეტსა და მეგობრული კავშირურთიერთობის დამყარებას ყველა ქვეყანასთან; პარლამენტარიათა კავშირი მშვიდობიანობის, ურთიერთშეთანხმებისა და ეროვნულ თანხმობისათვის მოლაპარაკების გზით (1972), აერთიანებს ეროვნული კრების დეპუტატთა და საბჭოს წევრთა უმრავლესობას; ლაოსელი ხალხის გაერთიანება ნაციონალური გადვითარებისათვის (1973), აერთიანებს უცხოეთში მყოფ ლაოსელებს.

ლიბანი*

ლიბანი სახელმწიფოა ახლო აღმოსავლეთში, მდებარეობს ხმელთაშუა ზღვის სანაპიროზე, ჩრდილოეთით ესაზღვრება სირიის არაბთა რესპუბლიკა, სამხრეთით — ისრაელი, ფართო გასასვლელი აქვს ზღვაზე. ფართობი — 10.400 კვ. კმ, მოსახლეობა— 7 მლნ კაცი (1975). მოსახლეობის უმეტესობას შეადგენენ არაბები (90%), არიან თურქები, ებრაელები, ქურთები, სომხები, საშუალო სიმჭიდროვე მაღალია და 1 კვ. კმ-ზე 310 კაცს აღწევს. განსაკუთრებით მჭიდროდ არის დასახლებული ზღვისპირა სანაპირო ზოლი, სადაც სიმჭიდროვე 400 კაცს აღემატება. მოსახლეობის ნახევარი ცხოვრობს ქალაქად (მათ შორის 2/5 ბეირუთში). დედაქალაქი და უდიდესი ნავსადგურია ბეირუთი (1,3 მლნ მცხოვრებით). მნიშვნელოვანი ნავსადგურებია აგრეთვე საიდა, ტრიპოლი (ტარაბლიუსი), სური (ძვ. ტირი), ზაჰლი, ადმინისტრაციულად იყოფა 5 პროვინციად, ოფიციალური ენა — არაბული, ქალაქებში გავრცელებულია აგრეთვე ფრანგული ენა, გაბატონებული რელიგიებია —ქრისტიანობა (მათ შორის 2/3 მარონიტია) და მუსლიმანობა (სუნი და შიი), უმნიშვნელო რაოდენობით არიან იუდეველები.

ისტორია. ლიბანი უძველესი კულტურის ქვეყანაა. 1918 წლი-

---

* არაბ. ალ-ჯუმჰურია, ალ-ლუბნანია.

დან ოკუპირებულ იქნა საფრანგეთისა და ინგლისის მიერ, 1920 წლიდან კი საფრანგეთის სამანდატო ტერიტორია იყო. 1943 წლის 22 ნოემბერს გამოცხადდა დამოუკიდებელ სახელმწიფოდ. 1944 წელს დიპლომატიური ურთიერთობა დაამყარა საბჭოთა კავშირთან.

ბუნებრივი პირობები. ლიბანის რელიეფი ძირითადად მთიანია. დიდი ნაწილი უჭირავს ლიბანის მთათა სისტემას — ლიბანის მთებს დასავლეთითა და ანტილიბანისას — აღმოსავლეთით. უმაღლესი წერტილია კურნეტ-ეს-საუდა (3083 მ), ფართოდ გავრცელებულია კარსტული მოვლენები. ხმელთაშუა ზღვის სანაპიროს ვიწრო ზოლად მიუყვება დაბლობი, რომელიც უმეტესად კლდოვანი და სუსტად დანაწევრებულია, ხშირია მიწისძვრები. კლიმატი — სუბტროპიკული, ხმელთაშუა ზღვის ტიპისა, მშრალი, ცხელი ზაფხულითა და თბილი და ნოტიო ზამთრით. ნალექების რაოდენობა საშუალოდ 960 მმ აღწევს. მთიან ნაწილებში — 2500-3000 მმ. მდინარეები ცოტაა. მთავარი მდინარეა ალ-ასი, რომელიც შემდეგ სირიაში მიედინება. ლიბიის ტერიტორიაზე სათავეს იღებს მდინარე იორდანი. არც ერთი მდინარე სანაოსნო არ არის, მაგრამ შეიცავენ დიდძალ „თეთრი ნახშირის“ მარაგს. მდინარე ელ-ლიტანზე აგებულია დიდი კაშხალი მსხვილი ჰიდროელექტროსადგურით (სიმძლავრე 180 ათასი კვტ, წლიური გამომუშავება 750 მლნ კვტს). მცენარეული საფარი მდიდარია (გვხვდება ხმელთაშუა ზღვის ფლორის თითქმის ყველა წარმომადგენელი), ბევრია ველურად მზარდი დაფნა, კვიპაროსი, მუხა, ტყით დაფარულია ფართობის მხოლოდ 8%, სჭარბობს კულტურული ლანდშაფტი, ამიტომ ცხოველთა სამყაროს გავრცელების არეალი და სახეობანი ფრიად შეზღუდულია. მეთევზეობას თითქმის არავითარი მნიშვნელობა არა აქვს.

მეურნეობისათვის დამახასიათებელია საგარეო ვაჭრობიდან მიღებული შემოსავლის მაღალი ხვედრითი წონა, რაც ეროვნული შემოსავლის დაახლოებით 1/3 იძლევა. ეს ეხება უცხოურ ტურიზმსა და სატრანზიტო ვაჭრობას (ნავთობმილები).

სოფლის მეურნეობაში ჩაბმული და დასაქმებულია მოსახლეობის მეხუთედზე მეტი, მაგრამ სოფლის მეურნეობას უპირატესად ცალმხრივი განვითარება ახასიათებს. იგი სპეციალიზებულია მევენახეობასა და მეციტრუსეობაზე, ამასთან ადგილობრივ მოთხოვნილებას სურსათზე მხოლოდ 1/3 აკმაყოფილებს, ბევრია გამოუყენებელი მიწები.

მთავარი კულტურაა ვაზი, რომელსაც უკავია მთელი ფართო-

ბის 40%-ზე მეტი, შემდეგ მოდის ზეთისხილი (30%) და ციტრუსოვანები (20%). ვაზი ხარობს ყველგან, განსაკუთრებით ხეობებში (750 მეტრამდე ზღვის დონიდან).

წლიურად ამზადებენ 70 ათას ტ ზეთისხილს, 160 ათას ტ ფორთოხალს, 60 ათას ტ ლიმონს, 260 ათას ტ სხვადასხვა ციტრუსოვანს, 110-120 ათას ტ ვაშლსა და სხვ. ექსპორტის ნახევარზე მეტი ევროპის ქვეყნებში მოდის. მნიშვნელოვანი კულტურებია აგრეთვე: ბანანი (30 ათასი ტონა), თამბაქო და სხვ. მეცხოველეობა სუსტად არის განვითარებული და უპირატესად სამომხმარებლო მნიშვნელობა აქვს. უმეტესად აშენებენ თხასა (0,5 მლნ სული) და ფრინველს. სანაპიროებზე განვითარებულია მეაბრეშუმეობა. თევზჭერის დონე მეტად მცირეა, იჭერენ ზღვის ღრუბელს, ამზადებენ მარილს.

მრეწველობა სუსტად არის განვითარებული. სჭარბობს მსუბუქი და ფართო მოხმარების საგნების წარმოება. უპირატესად განვითარებულია კვებისა და საშენ მასალათა მრეწველობა. არა აქვს სახელმწიფო სექტორი. ძალზე ძლიერია უცხოეთის კაპიტალდაბანდებანი. სამრეწველო პროდუქციის 2/5-ზე მეტს იძლევა კვების მრეწველობა, მათ შორის შაქრის (ძირითადად მუშაობს კუბიდან შემოტანილ ნედლეულზე). თამბაქოს, საფეიქრო (მ. შ. აბრეშუმის), ცემენტის და სხვ. საწარმოები. ბამბა შემოაქვს ეგვიპტიდან და სირიიდან. ბეირუთში არის ბამბეულის დიდი კომბინატი „ასეილი". წიაღისეული სიმდიდრეები ჯერ კიდევ ნაკლებადაა შესწავლილი, ამიტომ სამთომოპოვებითი მრეწველობა წარმოდგენილია მხოლოდ მურა ნახშირისა (ტრიპოლის მახლობლად) და რკინის მადნის მოპოვებით (ქალაქ ბეირუთში). არის ალუმინის სამი ქარხანა, განვითარებას იწყებს მანქანათმშენებლობა, ქიმიური მრეწველობა. ელექტროენერგიის გამომუშავება შეადგენს 1,5 მლრდ კვტს.

ლიბანის ტერიტორიაზეა უცხოეთის კაპიტალის კუთვნილი ნავთობგადასამუშავებელი დიდი საწარმოები, მათ შორის ტრიპოლსა (ინგლისის კუთვნილი) და საიდში (ამერიკის შეერთებული შტატებისა). ქარხნები ნავთობს მილებით იღებენ ტრიპოლის ქარხანა კირკუკიდან (ერაყი, წლიურად 10 მლნ ტ), ხოლო საიდის ქარხანა ტრანსარაბეთის მილით წლიურად 15 მლნ ტ. ფართოდ ვითარდება უცხოური ტურიზმი (წლიურად 1,5 მლნ კაცი);

ტრანსპორტი და საგარეო კავშირურთიერთობანი. ნავთობის ფასატანად პირველხარისხოვანი მნიშვნელობა აქვს ლიბანის ნავსადგურებს. რკინიგზების სიგრძე უდრის 410 კმ, ავტოგზებისა —

7700 კმ (ტვირთბრუნვით პირველ ადგილზეა). მეორეხარისხოვანი მნიშვნელობა აქვს სარკინიგზო ტრანსპორტს, რომლის სიგრძე 410 კმ აღემატება. რკინიგზის ხაზი გასდევს ზღვის სანაპიროს. ლიბანი ვაჭრობს მსოფლიოს 80 ქვეყანასთან. ამასთან, სატრანსპორტო ვაჭრობა სჭარბობს საკუთარ საგარეო ტვირთბრუნვას. ძირითადად გააქვს: ხილი, ალუმინი, ნავთობი, ინგლისსა და ამერიკის შეერთებულ შტატებში; შეაქვს: მანქანა-მოწყობილობანი, ლითონი, ნედლეული შაქრის მრეწველობისათვის, ცოცხალი პირუტყვი, მარცვლეული, რძის პროდუქტები. ვაჭრობაში მთავარი პარტნიორები არიან: ინგლისი, ეგვიპტე, სირია, ამერიკის შეერთებული შტატები, საუდის არაბეთი, ერაყი და კუვეიტი. ფულის ერთეულია ლიბანის გირვანქა.

განათლება. ლიბანში ითვლება 1300 სახელმწიფო, კერძო და რელიგიური სკოლა. დიდი გავლენა აქვს დომინიკელთა, იეზუიტთა და ფრანცისკელთა ორდენებთან არსებულ საეკლესიო სკოლებს, რომლებიც დიდ გავლენას ახდენენ ახალგაზრდების სწავლა-განათლებაზე. დაწყებითი სწავლება უფასოა. არსებობს 5 პედაგოგიური სასწავლებელი, რომლებიც ამზადებს დაწყებითი და საშუალო სკოლების მასწავლებლებს, 4 უმაღლესი სასწავლებელი ბეირუთში, ხელოვნების აკადემია, კონსერვატორია, ლიბანის უნივერსიტეტი (1953), ლიბანის მეცნიერებათა აკადემია (1937), ამერიკული უნივერსიტეტი დიდი ბიბლიოთეკით ბეირუთში (1866), იეზუიტთა უნივერსიტეტი უმაღლესი საინჟინრო სკოლით, არაბული უნივერსიტეტი, იუნესკოს პედაგოგიური ცენტრი, სადაც ამზადებენ მასწავლებლებს, არაბული ქვეყნებისათვის, გეოგრაფიის ინსტიტუტი. გამოდის 25 ყოველდღიური, 15 კვირეული გაზეთი არაბულ, ფრანგულსა და ინგლისურ ენებზე, აქვს საინფორმაციო სააგენტო, რადიომაუწყებლობა და ტელევიზია.

სახელმწიფო წყობილება. ლიბანი ბურჟუაზიული რესპუბლიკაა. სახელმწიფოს მეთაურია პრეზიდენტი, რომელსაც ირჩევენ 6 წლით. პრეზიდენტი აუცილებლად ქრისტიანი-მარონიტი უნდა იყოს, პრემიერ-მინისტრი კი — მუსლიმანი-შიიტი, პარლამენტის თავმჯდომარე — მუსლიმანი-შიიტი, მისი მოადგილე — მართლმადიდებელი. უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოა პარლამენტი, შემსრულებელია — მინისტრთა საბჭო. პარლამენტში ირჩევენ 99 დეპუტატს სარწმუნოებითი წარმომადგენლობის სისტემის მიხედვით. მაგალითად, მუდმივად ირჩევენ 20 მარონიტს, 20 სუ-

ნიტს, 19 შიიტს, 11 ბერძენ-ორთოდოქსალს, შემდეგ თითო-ოროლა დეპუტატს, დანარჩენი სხვა რელიგიის ან სექტის წარმომადგენელს.

პოლიტიკური პარტიები. ახალგაზრდობის გასამხედროებული ორგანიზაცია ლიბანის ფალანგები (კათაიბი), დაარსდა 1936 წელს, როგორც პარტია, არის უკიდურესად მემარჯვენე წვრილბურჟუაზიული ქრისტიანული პარტია; ნაციონალურ-ლიბერალური პარტია (1958), გამოხატავს მარონიტთა ბურჟუაზიისა და მემამულეთა ინტერესებს; ნაციონალური ბლოკი (1943), ეყრდნობა მსხვილ საავაჭრო საფინანსო ბურჟუაზიას, მემამულეებსა და მარონიტთა სამღვდელოებას; ნაჯადე (1936) — წვრილბურჟუაზიული მუსლიმანური პარტია; არაბული სოციალისტური აღორძინების პარტია (ან ბაასი) — საერთო-არაბული ორგანიზაცია. 1963—70 წწ. მისი საქმიანობა აკრძალული იყო; კონსტიტუციური ბლოკი (1934) ქრისტიანული ბურჟუაზიულ-მემამულური პარტია; ამას გარდა, ლიბანში არის ისეთი წვრილი პარტიები, როგორებიცაა: გიჩაკი (1889) და რამკავარი (1908) — გამოხატავენ სომეხთა წვრილი ბურჟუაზიის ინტერესებს; დაშნაკციუტუნი (1890) — უკიდურესად მემარჯვენე სომხური ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური პარტია; პროგრესულ-სოციალისტური პარტია (1949), აერთიანებს წვრილბურჟუაზიასა და მთიანი ლიბანის გლეხობას; ლიბანის კომუნისტური პარტია (1944), მისი საქმიანობა აკრძალული იყო.

მალაიზია*

მალაიზიის ფედერაცია მდებარეობს სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში და შედგება ორი ნაწილისაგან. ეკვატორულ სარ-

* ტერმინი „მალაიზია" შემოღებულ იქნა XIX საუკუნეში მალაის არქიპელაგის გეოგრაფიული ცნების აღსანიშნავად. მასში შედიოდა სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის სამხრეთი ნაწილის ყველა კუნძული დაწყებული სუმატრის ჩრდილო-დასავლეთ ბოლოდან დამთავრებული აღმოსავლეთით სურნელოვანი კუნძულების ჩათვლით, აგრეთვე მალაის ნახევარკუნძული. თანამედროვე მალაიზიას არაფერი აქვს საერთო ამავე სახელწოდების ძველ გეოგრაფიულ ცნებასთან.

ტყელში დასავლეთი მალაიზია მოიცავს მალაკის ნახევარკუნძულის სამხრეთ ნაწილს (ყოფ. მალაის ფედერაცია), აღმოსავლეთი — კუნძულ კალიმანტანის ჩრდილო ნაწილს — სარავაკსა და საბაჰს (იხ. 7). მალაიზიას ჩრდილოეთით ესაზღვრება ტაილანდი, კუნძულ კალიმანტანზე — ინდონეზიისა და ინგლისის კოლონია ბრუნეი (იხ.). დასავლეთითა და სამხრეთ-დასავლეთით მალაკას ნახევარკუნძულს გამოყოფს ინდონეზიის კუნძულ სუმატრისაგან ჯოხორის სრუტე, რომლის გადაღმაც არის კუნძულოვანი სახელმწიფო სინგაპური. მალაიზიას მიეკუთვნება აგრეთვე დიდძალი წვრილი კუნძული სამხრეთ ჩინეთის ზღვასა და მალაკის სრუტეში.

მალაიზიის ფედერაციის საერთო ფართობია 332.800 კვ. კმ, აქედან დასავლეთ მალაიზიაზე მოდის 134.500 კვ. კმ, საბაჰზე — 76.100 კვ. კმ, სარავაკზე — 122.000 კვ. კმ, მოსახლეობა—12,3 მლნ კაცი (1975), ამათგან 9/10 ცხოვრობს დასავლეთ მალაიზიაში. მოსახლეობის უმეტესობას შეადგენენ მალაელები (47%), ჩინელები (341%), არიან ინდოელები (9%), პაკისტანელები, ადგილობრივი ტომები დაიაკები, კადაზონე, მელანუ, ბაჯიუ და სხვ. საშუალო სიმჭიდროვე არც ისე მაღალია, 1 კვ. კმ-ზე 36 კაცს აღწევს, საკუთრივ მალაკის ნახევარკუნძულზე კი სიმჭიდროვე 7-ჯერ მეტია, ვიდრე სარავაკსა და საბაჰში. დედაქალაქია კუალა-ლუმპური (1,1 მლნ მცხოვრებით), დიდი ქალაქებია: პენანგი, იპო, კუჩინგი, ჯორჯტაუნი, ადმინისტრაციულად იყოფა 13 შტატად (მათ შორის 9 შტატი სამთავროა, 4 საგუბერნატორო). 11 ადმინისტრაციული ერთეული მალაის ნახევარკუნძულზეა, 2 — კუნძულ კალიმანტანზე (იხ. საბაჰი და სარავაკი). ოფიციალური ენა მალაური და ინგლისური, გაბატონებული რელიგია — მუსლიმანური, ფრიან ბუდისტები, ინდუისტები, ქრისტიანები, ეროვნული დღესასწაულია დამოუკიდებლობის გამოცხადების დღე —31 აგვისტო (1957).

ისტორია. XVI საუკუნიდან მალაიაში ევროპელები იჭრებიან. 1511 წელს მთლიანად ხელთ იგდეს პორტუგალიელებმა, 1786 წლიდან კი ფეხს იკიდებენ ინგლისელები. 1826 წელს კოლონიები სინგაპური, პენანგი და მალაკა გაერთიანდნენ კოლონიად სტრეის-სეტლმენტის სახელწოდებით და ადმინისტრაციულად ინდოეთის გენერალ-გუბერნატორს ემორჩილებოდა. ინგლისელებმა მალაია თავის აგრარულ სანედლეულო ბაზად გადააქციეს, განსაკუთრებით დაიწყეს კაუჩუკის ხის ჰევეას გაშენება. მეორე მსოფლიო ომის დროს იგი ოკუპირებულ იქნა იაპონელების მიერ. 1948 წელს მალა-

ის კავშირს ეწოდა მალაის ფედერაცია, ხოლო 1959 წლიდან დამოუკიდებელი სახელმწიფოა. 1963 წელს კვლავ მალაიზიის ფედერაცია ეწოდა. მალაიზიის ფედერაცია შედის ბრიტანეთის ერთა თანამეგობრობაში და არის გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრი.

ბუნებრივი პირობები. მალაკის ცენტრალური ნაწილი საშუალო მთიანია. იქვე მდებარეობს კერმაუს ქედი უმაღლეს მწვერვალ ტახანით (2190 მ). სანაპიროებს გასდევს ვაკე-დაბლობები, მარჯნის კუნძულები და რიფები. კლიმატი ტროპიკულია, გამოირჩევა მაღალი სინოტივითა და მთელი წლის განმავლობაში მაღალი ტემპერატურით. კლიმატზე დიდ გავლენას ახდენს მუსონური ქარები, ნალექების საშუალო წლიური რაოდენობა მალაკაზე აღწევს 2-3 ათას მმ, მთებში — 4 ათას მმ-მდე, ჩრდილო კალიმანტანზე კი —5 ათას მმ. მდინარეები ბევრი და მოკლეა. მთავარი მდინარეა პახანგი (320 კმ სიგრძით), პერაკი (270 კმ), კელანტანი და ჯოხორი. მალაიზიის ტერიტორიის თითქმის 3/5 მარადმწვანე ტროპიკული ტყეებითაა დაფარული (განსაკუთრებული ძვირფასი ჯიშის ხეებით), მათ შორის აღსანიშნავია კაუჩუკოვანი ჰევეა, რომელიც დასავლეთ სანაპიროს ლანდშაფტის შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს.

მეურნეობა. მალაიზია ტიპური აგრარული ქვეყანაა, გაბატონებულია ინგლისის კაპიტალი. ეკონომიკაში განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს კალის მოპოვებასა და კაუჩუკის წარმოებას. სოფლის მეურნეობაში ჩაბმულია თვითმოქმედი მოსახლეობის 70%.

მალაიზიის ეკონომიკაში განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს კაუჩუკის წარმოებას. ჰევეა გაშენებულია 1,8 მლნ ჰექტარზე, რაც მთელი დამუშავებული ფართობის 3/5 შეადგენს. მალაიზია წლიურად იძლევა დაახლოებით 1,6 მლნ ტ კაუჩუკს, რაც კაუჩუკის მსოფლიო წარმოების 40-45%-ს შეადგენს. დანარჩენი კულტურებიდან აღსანიშნავია ქოქოსის პალმის პლანტაციები (350.000 ჰა) და წლიურად ამზადებს საშუალოდ 350—360 ათას ტონა კოპრს. კოპრის წარმოებითა და ექსპორტით მალაიზია მეხუთე ადგილზეა მსოფლიოში. ასევე დიდი მნიშვნელობა აქვს ზეთოვანი პალმის პლანტაციებს (ფართობი 480 ათასი ჰა, წლიურად ამზადებს 850—860 ათას ტონა ზეთს, რაც პალმის ზეთის მსოფლიო წარმოების 2/3 შეადგენს), მოჰყავთ აგრეთვე: ჩაი, ანანასი, ყავა, კაკაო. მთავარი სასურსათო კულტურაა ბრინჯი (2,0 მლნ ტ), საკუთარი სურსათი არ ჰყოფნის და შემოაქვს ბირმა-ტაილანდიდან.

მეცხოველეობა სუსტადაა განვითარებული და მას დამხმარე მნიშვნელობა აქვს, რაც გამოწვეულია, პირველ რიგში, საძოვრების სიმცირით. შედარებით უკეთ არის წარმოდგენილი მეღორეობა და შეფრინველეობა. სანაპიროებზე მისდევენ მეთევზეობას.

მრეწველობაში გაბატონებული მდგომარეობა უჭირავს სამთომოპოვებით მრეწველობას. წიაღისეული სიმდიდრეებიდან განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს კალის მოპოვებას. მალაკის მაღალხარისხოვანი კალის მთავარი საბადოა პერაკის შტატში (კინტის ხეობა). მალაიზია წლიურად აწარმოებს 75-80 ათას ტ კალის კონცენტრატს და ამ მონაცემით პირველ ადგილზეა მსოფლიოში (მსოფლიო წარმოების 35-40%).

გარკვეული მნიშვნელობა აქვს რკინის მადნის დამუშავებას ჯოხორსა და პერაკში. აქ მაღალხარისხოვანი მადანია და წლიურად 3-4 მლნ ტ მადნის მოპოვება ხდება. სამთომოპოვებით მრეწველობაში აღსანიშნავია კიდევ ნავთობის (4,5-5,0 მლნ ტ), ბოქსიტების (1,0 მლნ ტ), ოქროს, ილმენიტის (ნედლეული ტიტანის მისაღებად), კოლინისა და სხვათა მოპოვება. დამუშავებითი მრეწველობა წარმოდგენილია კვების, საფეიქრო (წლიურად 100 მლნ მ) და ხე-ტყის საწარმოებით. არის მეტალურგიული კომბინატი, ავტომაქანები ქარხანა კუალა-ლუმპურში, მალაიზია წლიურად ამზადებს 11-12 მლნ მ³ მერქანს. ელექტროენერგიის გამომუშავება 4,5 მლრდ კვტს შეადგენს.

ტრანსპორტი და საგარეო კავშირურთიერთობანი. რკინიგზა ტრანსპორტის მთავარი სახეობაა (სიგრძე 2300 კმ), მასზე მოდის ტვირთბრუნვისა და მგზავრთა გადაყვანის ნახევარზე მეტი. ავტოგზების სიგრძეა 19.000 კმ, გარკვეული მნიშვნელობა აქვს საზღვაო ტრანსპორტს, თუმცა საგარეო ვაჭრობას უცხოეთის ფლოტი აწარმოებს. მნიშვნელოვანი ნავსადგურებია: ჯორჯტაუნი, (პენანგი) კუნძულ პენანგზე, პორტ-სუეტენემი, აგრეთვე ალორ-სეტარი, მალაკა და კუალა-დუნგური. 1970 წლიდან წარმოებს პირდაპირი საჰაერო მიმოსვლა მოსკოვსა და კუალა-ლუმპურს შორის. მალაიზიას გააქვს: ნატურალური კაუჩუკი, კალა, ძვირფასი მერქანი, ქოქოსისა და პალმის ზეთი, კოპრი, რკინის მადანი, შავი პილპილი, ბოქსიტი, ჩაი; შეაქვს: სურსათი (უპირატესად ბრინჯი), სამრეწველო საქონელი, მანქანა-მოწყობილობანი, მინერალური სასუქები. კაუჩუკი და კალა იძლევა ექსპორტის მთელი ღირებულების 4/5-ზე მეტს. საგარეო ვაჭრობაში მთავარი პარტნიორები არიან: სინგაპური, იაპონია, ამე-

რიკის შეერთებული შტატები, გერმანიის ფედერაციული რესპუბ-ლიკა, ინგლისი, იტალია. ფულის ერთეულია მალაიზიის დოლარი.

განათლება. მალაიზიაში იფვლება 5500 დაწყებითი, 80 საშუალო და პროფტექნიკური სასწავლებელი. უმაღლესი ტექნიკური და სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტები, კუალა-ლუმპურსა და პენანგში არის მალაის უნივერსიტეტი, ნატურალური კაუჩუკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი, ეროვნული მუზეუმი, ხელოვნების მუდმივი გამოფენა. გამოდის ყოველდღიური 15 გაზეთი ინგლისურ, ტამილურ, ფენჯაბისა და ჩინურ ენებზე. აქვს საკუთარი საინფორმაციო სააგენტო, რადიომაუწყებლობა და ტელევიზია.

სახელმწიფო წყობილება. მალაიზიის ფედერაცია კონსტიტუციური მონარქიაა. სახელმწიფოს მეთაურია უზენაესი მმართველი, რომელსაც ირჩევს ცხრა შტატის სულთანი-მეთაური 5 წლით. ის ნიშნავს პრემიერ-მინისტრსა და კაბინეტის წევრებს. უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოა ორპალატიანი პარლამენტი (სენატი და წარმომადგენელთა პალატა), შემსრულებელია მინისტრთა კაბინეტი პრემიერ-მინისტრის მეთაურობით.

პოლიტიკური პარტიები. მმართველია მეკავშირე პარტია (1952), რომელიც წარმოადგენს სამი პარტიის კოალიციას: მალაის გაერთიანებული ეროვნული პარტიისას, მალაიზიის ჩინეთის ასოციაციისას და მალაიზიის ინდური კონგრესისას. ოპოზიციური პარტიებია: პანმალაის ისლამური პარტია, სახალხო პროგრესული პარტია, სოციალური სამართლიანობის პარტია, მალაის კომუნისტური პარტია (1948 წლიდან მოქმედებს არალეგალურად).

ვინაიდან აღმოსავლეთ მალაიზიას მიეკუთვნება სარავაკი და საბაჰი, რომლებიც ტერიტორიულად შორს მდებარეობენ მალაკის ნახევარკუნძულიდან, ამიტომ ვიძლევით მოკლე ცნობას ამ ორი ერთეულის შესახებ.

სარავაკი (შტატის უფლებით) მდებარეობს ჩრდილო კალიმანტანზე და ავტონომიური უფლებით შედის მალაიზიის ფედერაციაში. ფართობი — 125 ათასი კვ. კმ, მოსახლეობა — 1,0 მლნ კაცი (1974). ძირითად მასას შეადგენენ ადგილობრივი ტომები, ე. წ. ზღვის დაიაკები, აგრეთვე მელანაუ, კაინი და სხვ. დაახლოებით 1/3 შეადგენენ ჩინელები. ადმინისტრაციული ცენტრია კუჩინგი (0,3 მლნ მცხოვრებით). ადმინისტრაციულად იყოფა 5 ოლქად. გაბატონებულია რელიგია — მუსლიმანური, არიან ბუდისტები, ხოლო ჩინე-

ლები — კონფუცის მოძღვრების მიმდევარნი. ძველად სარავაკი ბრუნეის პროვინცია იყო. 1841 წელს ინგლისის პროტექტორატი გახდა. 1942—45 წწ. ოკუპირებულ იქნა იაპონელების მიერ, რის შემდეგ კვლავ ინგლისის კოლონიას წარმოადგენდა, 1963 წლიდან მალაიზიის ფედერაციაში შედის.

სარავაკის რელიეფი დაბლობია, მთიანი მხოლოდ ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილია უმაღლეს მწვერვალ ბატუ-სანგით (2300 მ), სანაპირო ხაზი — დაჭაობებული, კლიმატი — ეკვატორული, საშუალო თვიური ტემპერატურა 25-28°-მდე აღწევს. ნალექების საშუალო წლიური რაოდენობა — 44 ათას მმ-მდე. მდინარეები წყალუხვი ჰორმიან-ჩანჩქერიანია. მთავარი მდინარეა რაჯანგი. მდინარეთა უმეტესობა უხვწყლიანია, რის გამოც სანაოსნოდ გამოიყენება. ფართობის 3/4-ზე მეტი ეკვატორული ტყეებითაა დაფარული.

მეურნეობის მხრივ სარავაკი ჩამორჩენილია, ძალზე დაბალია გამოყენებული მიწების ხვედრითი წონა, ისიც მხოლოდ სანაპიროზე. მთავარი სასოფლო-სამეურნეო კულტურებია: ბრინჯი, სიმინდი, ბატატი, წიწაკა. საკუთარი სურსათი არ ყოფნის და შეაქვს. საექსპორტო მნიშვნელობა აქვს კაუჩუკის პლანტაციებს, რომლებიც ინგლისის კომპანიების ხელშია (400 ათასი ჰა), განვითარებულია აგრეთვე ტყის რეწვა (მერქნის დამზადება, ჯელუტონგისა და გამარის შეგროვება), მეთევზეობა, ნადირობა.

მრეწველობის მთავარი დარგია ნავთობის მოპოვება (წლიურად 60-70 ათასი ტ), ნავთობგადასამუშავებელი ცენტრია ქალაქი მირი, სადაც ნავთობსადენი მილებით ნავთობი მოდის ბრუნეიდან, ხდება ოქროს, ფოსფორიტებისა და ბოქსიტების მოპოვება, არის კვებისა და ხის დამმუშავებელი საწარმოები.

ტრანსპორტის მთავარი სახეობაა საზღვაო და სამდინარო, მნიშვნელოვანი ნავსადგურებია: კუჩინგი, მირი, სიბუ. ავტოგზების სიგრძეა 900 კმ. სარავაკიდან გააქვთ: ნავთობი და ნავთობპროდუქტები, ბოქსიტი, ხე-ტყე, პილპილი; შეაქვს: სურსათი, ნავთობი, საფეიქრო ნაწარმი, თამბაქო. ვაჭრობაში მთავარი პარტნიორები არიან: ინდონეზია და ინგლისი.

განათლება. დიდია წერა-კითხვის უცოდინართა რაოდენობა. არის 100-მდე დაწყებითი და 50 საშუალო სკოლა (სწავლება უფასოა). ქალაქ ბატუ-ლინგტანგეში — სამასწავლებლო კოლეჯი.

პარტიები. სარავაკზე მოქმედებს სარავაკის მეკავშირე პარტია და სარავაკის ეროვნული პარტია.

საბაჰი შტატის უფლებით მდებარეობს კუნძულ კალიმანტანის ჩრდილო ნაწილში და 1963 წლიდან შედის მალაიზიის არქიპელაგში ავტონომიის უფლებით. ფართობი — 76 ათასი კვ. კმ, მოსახლეობა — 0,7 მლნ კაცი (1974), ძირითადად ჩინელები, მალაელები და ინდოელები. ადმინისტრაციული ცენტრია **კოტა-კინაბალუ** (ყოფ. ჯესელტონი, 30 ათასი მცხოვრებით), სიმჭიდროვე ძალზე დაბალია და 1 კვ. კმ-ზე მხოლოდ 8 კაცი მოდის.

საბაჰის თანამედროვე ტერიტორია 1878 წლიდან ინგლისის სამფლობელო იყო, 1942-45 წწ. ოკუპირებულ იქნა იაპონელთა მიერ, 1941 წელს ოფიციალურად გამოცხადდა ინგლისის კოლონიად, 1963 წლიდან მალაიზიის ფედერაციაში შედის.

საბაჰის მთავარი სიმდიდრეა ტყე. გააქვს ძვირფასი ჯიშის მერქანი. მთავარი სასოფლო-სამეურნეო კულტურებია: კაკაო, თამბაქო, სიმინდი, საგო. განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს კაუჩუკის პლანტაციებს (250 ათასი ჰა), საკუთარი სურსათი არ ყოფნის და შეაქვს. საბაჰში აღმოჩენილია რკინის მადნის, ქვანახშირისა და ფოსფორიტების საბადოები, მაგრამ მათი დამუშავება ჯერჯერობით არ ხდება.

ტრანსპორტი სუსტად არის განვითარებული. რკინიგზების სიგრძე 185 კმ-ია (ჯესელტონი—ნავსადგური ლაბუანი), საავტომობილო გზებისა — 1500 კმ. საბაჰიდან გააქვთ: ხე-ტყე, კაუჩუკი, კოპრა; შეაქვს: სურსათი, საფეიქრო ნაწარმი, სატრანსპორტო საშუალებანი.

განათლება. მოსახლეობის 3/5-ზე მეტი წერა-კითხვის უცოდინარია, ეს მაჩვენებელი უფრო მაღალია ქალებში (90%-მდე), საბაჰში ითვლება 400-მდე დაწყებითი და 30 საშუალო სკოლა. დაწყებით სკოლაში სწავლება ხდება ინგლისურ, ჩინურსა და მალაურ ენებზე, საშუალო სკოლებში ინგლისურ ენაზე, არის სავაჭრო სასწავლებელი და სამასწავლებლო კოლეჯი.

მალდივის რესპუბლიკა

მალდივის კუნძულოვანი რესპუბლიკა მდებარეობს ინდოეთის სამხრეთ-დასავლეთით, შრი ლანკადან დაახლოებით 860 კმ-ზე, საკუთრივ ინდოეთის ოკეანეში, არქიპელაგი წაგრძელებულია

880 კმ-ზე, შედგება 1060 კუნძულისა და ატოლისაგან*, მათგან დასახლებულია მხოლოდ 220 ატოლი, ბევრია მეჩეჩი, კლდე, რიფი. მალდივი წარმოადგენს მსოფლიოში ყველაზე დიდ — „მარჯნიან სახელმწიფოს". ფართობი — 300 კვ. კმ, ხოლო კუნძულებს შორის არსებული წყლის ფართობის ჩათვლით დაახლოებით 100 ათასი კვ. კმ. ყველაზე დიდი ატოლია ჰილ-უმატი, მისი სიგრძე 7200 მ აღწევს. მოსახლეობა 125 ათასი კაცია (1975), ძირითადად კუნძულ ცეილონის მონათესავე სინგალელები, არიან მალდიელი არაბები, ევროპელები არქიპელაგზე აღარ ცხოვრობენ. მნიშვნელოვნად სჭარბობს მამაკაცთა რაოდენობა. დედაქალაქია არქიპელაგის ერთადერთი ქალაქი მალე (20 ათასი მცხოვრებით), ადმინისტრაციულად იყოფა 19 ატოლ-კუნძულოვან ჯგუფად. ქალაქი მალე დამოუკიდებელი ადმინისტრაციული ერთეულია. ოფიციალური ენა — მალდიური (დივეხი), გაბატონებული რელიგია — მუსლიმანური (სუნი), ეროვნული დღესასწაულები: დამოუკიდებლობის გამოცხადების დღე — 26 ივლისი (1965), რესპუბლიკად გამოცხადების დღე — 11 ნოემბერი (1968), ეროვნული დამოუკიდებლობის დღე — 26 ივლისი (1971).

ბუნებრივი პირობები. მთელი არქიპელაგი შედგება მარჯნიანი წარმოშობის მრავალი დაბალი და წვრილი ატოლისა და კლდოვანი კუნძულისაგან. რომელთა დიდი ნაწილი უკაცრიელია. მთავარი კუნძულის სიმაღლე არ აღემატება 1,5-2 მეტრს ზღვის დონიდან, ძლიერია ზღვის დამანგრეველი მოქმედება, ამიტომ ატოლები და კუნძულები ხშირად იცვლიან ფორმას, იძირებიან ან ხელახლა გამოჩნდებიან ხოლმე წყლის ზედაპირზე. კლიმატი ეკვატორულია. ქარებს ახასიათებთ მუსონური რეჟიმი. მთელი წლის განმავლობაში დგას ცხელი დღეები. საშუალო წლიური ტემპერატურა 24-29° აღწევს, ნალექების საშუალო წლიური რაოდენობა —2500-3750 მმ. არქიპელაგზე სასმელი წყლის დიდი ნაკლებობაა. მდინარეები არ არის, არის რამდენიმე პატარა ტბა და ხელოვნური წყალსაცავი. გარეული ცხოველები არ არიან, ბევრია ფრინველი და მწერი, მიმდებარე ზღვები მდიდარია თევზითა და წყალმცენარეებით.

მეურნეობაში დიდი მნიშვნელობა აქვს ქოქოსის პალმას, არის აგრეთვე პურის ხე, ბანანისა და ციტრუსოვანების ნარგავები, ვარგისი ფართობი მეტად შეზღუდულია, რაც არის, ისიც სახელმწიფოს

* ატოლი მალდიური სიტყვაა და ნიშნავს რგოლს.

კუთვნილებას შეადგენს. დიდი მნიშვნელობა აქვს მეთევზეობას. წლიურად იჭერენ დაახლოებით 25-30 ათას ტონა თევზს. **მრეწველობა** არ არის, არის მხოლოდ რამდენიმე წვრილი საწარმო, მათ შორის ხილკონსერვების, ხილის წვენებისა და თევზის ფქვილის დამამზადებელი. მისდევენ მარგალიტის ჭერას. მეცხოველეობა სუსტადაა განვითარებული, მცირე რაოდენობით ჰყავთ ცხვარი და თხა. კანონით აკრძალულია ძაღლისა და კატის შენახვა. დიდი მნიშვნელობა აქვს უცხოურ ტურიზმს.

ზიდატრანსპორტის მთავარი სახეობანია ნავი და ველოსიპედი. საგარეო ვაჭრობას აწარმოებს შრი ლანკას სავაჭრო ფლოტი. მალე „ღია ნავსადგურად" არის გამოცხადებული. უცხოეთის საქონელს ბაჟს არ ახდევინებენ. მალდივიდან გააქვთ: შებოლილი თევზი (წლიურად დაახლოებით 3-3,5 ათასი ტ, შრი ლანკაში, ინდოეთსა და პაკისტანში), აგრეთვე მარჯანი, ზვიგენის ფარფლები და კბილები, კუს ჯავშანი, ამბრა, კოპრა; შეაქვს: ბრინჯი ძირითადად ბირმასა და ფილიპინიდან, სურსათი — შრი ლანკადან. ფულის ერთეულია მალდიური რუპია.

განათლება. დამახასიათებელია წერა-კითხვის მცოდნეთა მაღალი დონე (40-45%-მდე), განათლების ერთიანი სისტემა არ არსებობს. პირველი სახელმწიფო სკოლა მალდივში გაიხსნა 1948 წელს. მალეში არის სახელმწიფო დაწყებითი და ორი საშუალო სკოლა (გოგონებისა და ბიჭებისათვის), სადაც სწავლება ინგლისურ ენაზე მიმდინარეობს, დიდ მეჩეთებთან არის მედრესები, რომლებშიც უმეტესად ყურანს ასწავლიან. ყველა სახის სწავლება უფასოა. უმაღლესი განათლების მისაღებად მალდიელები შრი ლანკასა და ინდოეთში მიემგზავრებიან. ნაწილი სსრ კავშირში სწავლობს. მალეში ერთი საშუალო ტექნიკური სკოლა და საჯარო ბიბლიოთეკაა.

სახელმწიფო წყობილება. 1933 წლამდე მალდივი აბსოლუტური მონარქია იყო. ერთდროულად ითვლებოდა ინგლისის პროტექტორატად. 1968 წლის კონსტიტუციით მალდივი რესპუბლიკაა. სახელმწიფოს მეთაურია პრეზიდენტი, მას ირჩევენ 5 წლით, უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოა ერთპალატიანი სახალხო მეჯლისი (პარლამენტი), შემსრულებელია პრეზიდენტი და მის მიერ დანიშნული მთავრობა. მალდივი არის ბრიტანეთის ერთა თანამეგობრობისა და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრი. 1961 წლის 14 სექტემბრიდან მალდივის რესპუბლიკასა და საბჭოთა კავშირს შორის

დამყარებულ იქნა დიპლომატიური ურთიერთობა. ინგლისი კვლავ ინარჩუნებს თავის სამხედრო-საზღვაო ბაზას ატოლ ადუზე.

პოლიტიკური პარტიები და პროფკავშირული ორგანიზაციები მალდივის რესპუბლიკაში არ არის.

მონგოლეთის სახალხო რესპუბლიკა

მონგოლეთის სახალხო რესპუბლიკა მდებარეობს ცენტრალური აზიის შუაგულში, რომელიც მნიშვნელოვნადაა დაცილებული ზღვებისა და ოკეანეებისაგან. მათგან გამოყოფილია მაღალი ქედებით, რაც თავისებურ გავლენას ახდენს მის ბუნებრივ პირობებზე. ფართობი — 1565 ათასი კვ. კმ. ტერიტორიის სიდიდით მას აზიის ქვეყნებს შორის მეხუთე ადგილი უკავია. მონგოლეთი აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ გადაჭიმულია 2405 კმ-ზე, ხოლო ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ — 1263 კმ-ზე. მას ესაზღვრება საბჭოთა კავშირი და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა. საზღვრების სიგრძე 7030 კმ-ია, მათ შორის საბჭოთა კავშირთან საზღვარი — 2730 კმ-ია, ხოლო ჩინეთთან — 4300 კმ.

მოსახლეობა. მონგოლეთის მოსახლეობა ისე, როგორც აზიის ტერიტორიაზე მდებარე სხვა თანამედროვე სახელმწიფოების მოსახლეობა, შეიქმნა უძველეს პერიოდში ცენტრალური აზიის სხვადასხვა მომთაბარე ტომების შერევის შედეგად. მოსახლეობა — 1468,600 კაცი (1976). მოსახლეობის ძირითად ნაწილს (90%) მონგოლები შეადგენენ. მონგოლთა შორის ყველაზე მრავალრიცხოვანია ხალხა-მონგოლები (73,0%), არიან აგრეთვე ყაზახები, ბურიატები, ტუველები და სხვ. დედაქალაქია **ულან-ბატორი** 325 ათასი მცხოვრებით (1975), მოსახლეობის საშუალო სიმჭიდროვე ყოველ 4 კვ კმ-ზე მხოლოდ 3 კაცია, სიმჭიდროვე ცალკეული აიმაკების მიხედვით მერყეობს 0,5-დან 1,2 კაცამდე.

მონგოლეთის სახალხო რევოლუციამდე — 1921 წლამდე მოსახლეობის ზრდა ძალზე ნელი ტემპით მიმდინარეობდა, რაც, პირველ რიგში, გამოწვეული იყო ფართოდ გავრცელებული სხვადასხვა ეპიდემიური დაავადებებით, მომთაბარე ცხოვრების მძიმე სოციალურ-საყოფაცხოვრებო პირობებით, არაკვალიფიციური სამედიცინო დახმარებით, დაბალი კულტურული დონითა და სხვ.

სახალხო ხელისუფლების წლებში ეროვნული მრეწველობის ზრდასთან დაკავშირებით მნიშვნელოვნად გაიზარდა ქალაქის მოსახლეობა (42%). დიდი ქალაქებია: დარხანი, ჩოიბალსანი, სუხებატორი, კობდო, მურენი. ადმინისტრაციულად იყოფა 18 აიმაკად და 2 საქალაქო უბნად (ულან-ბატორი, დარხანი), ოფიციალური ენა — მონგოლური, ეროვნული დღესასწაული — სახალხო რევოლუციის დღე — 10 ივლისი (1921).

ისტორია. მონგოლები აზიის უძველესი ხალხია. იმ ტერიტორიაზე, სადაც ამჟამად მონგოლეთის სახალხო რესპუბლიკა მდებარეობს, არა ერთი ტომობრივი კავშირი წარმოქმნილა. ამ კავშირების დაშლის შემდეგ კლასობრივ საზოგადოების წარმოქმნასთან დაკავშირებით ჩნდებოდა სახელმწიფოთა ადრეული ფორმაციები.

VI საუკუნეში თანამედროვე მონგოლეთის ტერიტორია აღმოსავლეთ თურქესტანის სამთავროს ემორჩილებოდა, თუმცა VIII საუკუნეში კაგანატი განადგურებულ იქნა უიუგურების მიერ. უიუგურთა სახანო ადრეფეოდალურ სახელმწიფოს წარმოადგენდა. 840 წელს უიუგურთა სახანო გაანადგურეს ყირგიზებმა, ყირგიზები მონგოლეთიდან განდევნეს კიდანებმა, რომელთაც მონგოლების წინაპრებად მიიჩნევენ. მონგოლები მთელი სიძლიერით მხოლოდ XII საუკუნის მეორე ნახევარში გამოჩნდნენ. ამავე პერიოდში დაწინაურდა თემუჩინი, რომელიც 1206 წელს მონგოლ დიდებულთა კრებაზე — დიდ ხურალზე არჩეულ იქნა მთელი მონგოლეთის დიდ ხანად და ჩინგის-ხანი ეწოდა. მონგოლეთის ფეოდალიზაციის პროცესი, რომელიც ჩინგის-ხანამდე დაიწყო, დამთავრდა XIII საუკუნეში ფეოდალური სახელმწიფოს ჩამოყალიბებით. სახელმწიფოს პროგრესული მნიშვნელობა იმაში მდგომარეობდა, რომ მან ხელი შეუწყო ტომებს შორის ომების შეწყვეტასა და ცალკეული დაქსაქსული ტომების გაერთიანებას. ჩინგის-ხანმა, პირველ რიგში, არმიის რეორგანიზაცია მოახდინა. ჩინგის-ხანისა და მისი მემკვიდრეების დაპყრობითმა ლაშქრობებმა — ჩინეთის, შუა აზიის, ამიერკავკასიის, რუსეთისა და სხვა ქვეყნების წინააღმდეგ დამღუპველი შედეგები მოუტანეს, როგორც დაპყრობილი ქვეყნების ხალხებს, ისე თვით მონგოლებს, რომელთა დიდი ნაწილი გამუდმებული ომების დროს დაპყრობილ ტერიტორიაზე გაიბნა. ეს ლაშქრობები იწვევდა მრავალი ქვეყნების ასეულ ათასობით მცხოვრებთა განადგურებას, მატერიალურ და კულტურულ სიმდიდრეთა კოლოსალურ ნგრევას.

ჩინგის-ხანის გარდაცვალების შემდეგ (1223 წ.) სამფლობელოების გაფართოებას მისი მემკვიდრეები განაგრძობდნენ. თავიანთი ლაშქრობით საკმაოდ შეცვალეს აზიის ეთნოგრაფიული რუკა, მაგრამ მათ ვერ შეძლეს დაპყრობილი ხალხის წინააღმდეგობის გატეხვა.

XVII საუკუნეში მონგოლეთი მანჯურელთა დინასტიას დაემორჩილა, ეს პერიოდი (1644-1911 წ.) მონგოლთათვის მძიმე ფეოდალური ბატონობის ხანას წარმოადგენდა. მონგოლი ხალხის ექსპლოატაციის გაძლიერებამ გამოიწვია ეროვნული დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის გაძლიერება. ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მთავარ ძალას არატები წარმოადგენდნენ. მასების ბრძოლამ 1911 წელს მანჯურიის დინასტიის ლიკვიდაცია გამოიწვია, მაგრამ გაბატონებული მდგომარეობა ქვეყანაში კვლავ ფეოდალებს ეკავათ. სწორედ ამ დროს საფუძველი ეყრებოდა მონგოლი არატების რევოლუციურ პარტიას, რომლის ორგანიზატორები იყვნენ სუხე-ბატორი და ჩოიბალსანი. 1919 წლის ბოლოს მათ შექმნეს პირველი იატაკქვეშა წრეები.

სუხე-ბატორმა და ჩოიბალსანმა მჭიდრო კავშირი დაამყარეს საბჭოთა რუსეთთან და 1921 წლის 10 აპრილს დროებითმა სახალხო მთავრობამ საბჭოთა რუსეთს დახმარებისათვის მიმართა. საბჭოთა მთავრობამ დააკმაყოფილა მონგოლეთის დროებითი მთავრობის თხოვნა და 1921 წლის 25 ივლისს დაიწყო წითელი არმიისა და მონგოლეთის რევოლუციური ნაწილების შეტევა ურგაზე, 1921 წლის 11 ივლისს სახალხო მთავრობის შექმნა საზეიმო ვითარებაში გამოაცხადეს. აქედან იწყება მონგოლეთის სახალხო რესპუბლიკის სამეურნეო და კულტურულ-საყოფაცხოვრებო ცხოვრების აღმავლობა.

ბუნებრივი პირობები. მონგოლეთი მდებარეობს ცენტრალური აზიის ჩრდილო-აღმოსავლეთით, ზომიერი სარტყლის სამ ზონაში (სტეპის, ნახევრად უდაბნოსა და უდაბნოს). ტერიტორიის დიდი ნაწილი 1000—2000 მ. სიმაღლის ზონაშია, რაც თავისებურ გავლენას ახდენს ქვეყნის კლიმატსა და მცენარეულ საფარზე. მნიშვნელოვანი ქედებია: მონგოლეთის ალტაი (უმაღლესი მწვერვალი მუნხ-ხაირხონულა, 4362 მ), გობის ალტაი, ხანგაი. ცენტრალური ნაწილი უჭირავს ხენტეის მთიანეთს, სამხრეთითა და სამხრეთ-აღმოსავლეთით შემოჭრილია მსოფლიოს ერთ-ერთი უდიდესი უდაბნო

ვობის ნაწილი, ჩრდილოეთითა და ჩრდილო-დასავლეთით — რამდენიმე მთათაშორისი ქვაბური, რომელთაგანაც ყველაზე მნიშვნელოვანია დიდი ტბების ქვაბული, რომელიც მდ. სელენგისა და ორხონის ვრცელი ხეობებითაა წარმოდგენილი. მონგოლეთის ჰავაზე გავლენას ახდენს ქვეყნის გეოგრაფიული მდებარეობა ცენტრალურ აზიაში და გაბატონებული კონტინენტური კლიმატი ტემპერატურის მკვეთრი რყევადობით, როგორც სეზონების მიხედვით, ისე დღეღამის განმავლობაში. ზაფხული მოკლე და ცხელია, ზამთარი — ცივი და ხანგრძლივი, ყველაზე ცხელი თვის — ივლისის ტემპერატურა ქვეყნის ჩრდილო ნაწილში 15—20° აღწევს, სტეპურ რაიონებში — 20—25°, გობის სტეპურ რაიონებში — 38—41°, ულან-ბატორში ზოგჯერ — 40°-მდეა. ჩრდილოეთით იცის ყინვები. ნალექების წლიური რაოდენობა ქვეყნის უმეტეს ნაწილში 100-დან 200 მმ-მდე მერყეობს, უკიდურეს სამხრეთში 60 მმ-მდე ეცემა, ხოლო ჩრდილოეთში, მთიან ნაწილში 400—550 მმ შეადგენს. ნალექები მეტწილად ზაფხულში მოდის, ზამთარი მშრალია, ტერიტორიის დიდ ნაწილზე თოვლის საფარი მცირე და არამდგრადია. მუდმივი თოვლითა და მყინვარებითაა დაფარული მონგოლეთის ალტაის ქედები და მწვერვალები. ჰაერის სიმშრალე ადვილად ასატანს ხდის როგორც სამთრის. მკაცრ ყინვებს, ისე ზაფხულის სიცხეებს. მონგოლეთის თითქმის შუა ნაწილში მდებარეობს ე. წ. აზიის დიდი წყალგამყოფი, რომლის ჩრდილოეთითაც მდინარეები მიედინებიან ჩრდილო ყინულოვანი ოკეანისაკენ, ხოლო აღმოსავლეთით წყნარ ოკეანესა და სამხრეთით — ცენტრალურ აზიის დახშული აუზისაკენ. უხვწყლიანობითა და აუზის სიდიდით გამოირჩევა მდინარე სელენგა თავისი შენაკადებით.

მონგოლეთში სამი ათასზე მეტი დიდი და პატარა ტბაა. ტბათა უმეტესობა ჩრდილო-დასავლეთ რაიონში მდებარეობს. მათ შორის ყველაზე დიდია გაუდინარი მლაშე ტბა უბსუნური (3350 კვ. კმ), მტკნარი ტბა ხუბსუგული (2620 კვ. კმ), რომელშიც 46 მდინარე ჩაედინება. ქვეყნისათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს მიწისქვეშა წყლებს, განსაკუთრებით მის სამხრეთ ნაწილში, სადაც ზედაპირული წყლები თითქმის არ არის. გობის ტერიტორიის დიდ ნაწილზე ძირითადად მიწისქვეშა წყლებია გამოყენებული. ნიადაგსაფარი მრავალფეროვნებით გამოირჩევა, რაც დაკავშირებულია გეოგრაფიული აგებულების სირთულესთან, კლიმატურ პირობებსა და მცენარეულ საფართან. შედარებით დიდი ფართობები უკავია სტეპის წაბლა

ნიადაგებს. ტაიგის ფლორისა და ფაუნის დასაცავად ხენტეის მთიანეთზე შექმნილია ნაკრძალი ბოგდო-ულა (ჩოიბალსან-ულა).

მეურნეობა. XX საუკუნის დასაწყისში მონგოლეთი ეკონომიური განვითარებით ერთ-ერთი ჩამორჩენილი ქვეყანა იყო მსოფლიოში. მატერიალური წარმოების ერთადერთ ფორმას წარმოადგენდა ექსტენსიური მომთაბარე მესაქონლეობა. ეკონომიკას წარმართავდა ჩინეთის სავაჭრო კაპიტალი, მონგოლეთის სახალხო რესპუბლიკის განვითარების სოციალისტურმა წყობამ 1921 წლიდან განაპირობა საზოგადოებრივი წარმოების ტემპების ზრდის დაჩქარება და სახალხო მეურნეობის დარგობრივი სტრუქტურის საგრძნობი შეცვლა.

ეროვნული მრეწველობის შექმნამ და თანამედროვე სატრანსპორტო საშუალებათა განვითარებამ მონგოლეთი ჩამორჩენილ, აგრარულ, უპირატესად მეცხოველეობის ქვეყნიდან აგრარულ-ინდუსტრიულ სახელმწიფოდ გადააქცია. **სოფლის მეურნეობა** ჯერ კიდევ რჩება წამყვან დარგად. მასში დასაქმებულია თვითმოქმედი მოსახლეობის 70% და ქვეყნის ეროვნული შემოსავლის 2/3 იძლევა. სოფლის მეურნეობის პროდუქციის ღირებულების 80%-ს მეცხოველეობა, ხოლო 20%-ს მიწათმოქმედება იძლევა. რევოლუციის წინა პერიოდთან შედარებით პირუტყვის სულადობა ორჯერ გაიზარდა. ერთ სულ მოსახლეზე პირუტყვის სულადობით მონგოლეთს მსოფლიოში ერთ-ერთი პირველი ადგილი უკავია. 1954 წლამდე მიწით სარგებლობა მონგოლეთში საყოველთაო იყო, ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე, მაგრამ არატული მეურნეობის კოოპერირებამ და ახალი სახელმწიფო მეურნეობების შექმნამ განაპირობა ქვეყანაში მეურნეობათა შორის მიწათმოწყობის ახალი სისტემის განხორციელება, რომელიც დაიწყო 1955 წელს და დამთავრდა 1959 წელს. მიწათსარგებლობის საკითხების მოგვარებამ მონგოლეთის სოფლის მეურნეობის სოციალისტური გარდაქმნა დააჩქარა, 1959 წელს ძირითადად დამთავრდა სოფლის მეურნეობის კოოპერირება, ნაცვლად 200 ათასი წვრილი ინდივიდუალური მეურნეობისა, შეიქმნა 272 მსხვილი კოოპერაციული სასოფლო-სამეურნეო გაერთიანება, 35 — სახელმწიფო მეურნეობა და 36—მანქანა-მეცხენეობის სადგური. ამჟამად მონგოლეთის სახალხო რესპუბლიკაში არსებობს სოციალისტური მეურნეობის ორი ტიპი: სახელმწიფო მეურნეობანი და სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციული გაერთიანებები, რომელთა ხელშია ქვეყნის სასოფლო-სამეურნეო სავარგულების 95%-ზე მე-

ტი, მათვე ეკუთვნით ქვეყნის მთელი პირუტყვის 90%, ისინი წარმოადგენენ სახელმწიფოსათვის მესაქონლეობის პროდუქტების მთავარ მიმწოდებლებს. სახელმწიფო მეურნეობანი ძირითადად მიწათმოქმედებასა და ჯიშიანი პირუტყვის მოშენებას მისდევენ, მათ ხელშია თავმოყრილი ქვეყნის სასოფლო-სამეურნეო სავარგულების 3%, სახნავ-სათესი მიწების — 2/3 და პირუტყვის — 3,2%. სახელმწიფო მეურნეობანი მიწათმოქმედების პროდუქტის ძირითად მწარმოებლებს წარმოადგენენ, ისინი იძლევიან მარცვლეულის მთელი წარმოების 80%-ს, კარტოფილისა და ბოსტნეულის — 40%-ს, მანქანა-მეცხენეობის სადგურები ტექნიკურ დახმარებას უწევენ სასოფლო-სამეურნეო გაერთიანებებს მეცხოველეობისა და მიწათმოქმედების განვითარებისათვის.

სახალხო რევოლუციის შემდგომ პერიოდში მონგოლეთში შეიქმნა კუსტარული კოოპერაციული მრეწველობა, რომელიც მასიური მოთხოვნილების პროდუქციას აწარმოებდა. პირველი დიდი სამრეწველო კომბინატი ულან-ბატორში მწყობრში ჩადგა 1934 წელს, მეორე მსოფლიო ომის წინა პერიოდში აშენდა მატყლისა და ტყავის, საფეიქრო, ტანსაცმლისა და ფეხსაცმლის სამკერვალოები, საშენ მასალათა საწარმოები, დაიწყო ქვანახშირის მოპოვებაც. 1948 წლიდან დაიწყო ქვეყნის სახალხო მეურნეობის გეგმიანი განვითარება, საბჭოთა კავშირის დახმარებით აშენდა გამამდიდრებელი ფაბრიკა, მსუბუქი და კვების საწარმოები, გაყვანილ იქნა რკინიგზა ჩრდილო საზღვრიდან დედაქალაქ ულან-ბატორამდე. 1958 წელს მწყობრში ჩადგა ქვანახშირის მაღარო (შარინ-გოლი და ნალაიხა, 1973, 2,3 მლნ ტ), აშენდა მონგოლეთის პირველი მძლავრი თბოელექტროსადგურები, საშენ მასალათა საწარმოები.

60-იანი წლებიდან მონგოლეთს სამრეწველო მშენებლობაში დახმარებას უწევს არა მარტო საბჭოთა კავშირი, არამედ სხვა სოციალისტური ქვეყნებიც. ამ პერიოდში შეიქმნა ულან-ბატორის შემდეგ მეორე, დარხანის სამრეწველო კომპლექსი.

სამთომოპოვებითი მრეწველობა მონგოლეთის სახალხო მეურნეობის პერსპექტიული დარგია. მონგოლეთში ხდება ფლუორიტის, ვოლფრამისა და სუფრის მარილის მოპოვება.

ლითონდამმუშავებელი მრეწველობა წარმოდგენილია ულან-ბატორის მექანიკურ-ჩამომსხმელი ქარხნით, ქიმიური მრეწველობა— ულან-ბატორის ფარმაცევტული ფაბრიკით, სინგიინ-დალაის ვეტერინარულ-ბიოლოგიური კომბინატით, მთელ რიგ აიმაკებში აგებუ-

ლია პროფილაქტიკური პრეპარატების დამამზადებელი ბიოლაბორატორიები.

მსუბუქი მრეწველობის დარგებიდან გამოირჩევა საფეიქრო, ტყავ-ფეხსაცმლის, სამკერვალო და მატყლის სარეცხი საწარმოები. საშენ მასალათა საწარმოებიდან — შლაკ-ბეტონის, სილიკატური აგურის. ხის დამმუშავებელი მრეწველობიდან — ხე-ტყის სახერხი, ავეჯის, სტანდარტული სახლების, ასანთისა და ქაღალდის ფაბრიკები.

მონგოლეთში ფართო განვითარება პოვა კვების მრეწველობამ. მასზე მოდის მთლიანი სამრეწველო პროდუქციის 25%-ზე მეტი, ძირითადი დარგია ხორცის, რძისა და ყველ-კარაქის წარმოება. ამჟამად მონგოლეთში კვების მრეწველობის ორი ათასზე მეტი დიდი და პატარა საწარმოა, რომელთაგან ყველაზე მნიშვნელოვანია ულან-ბატორის რძის კომბინატი. ელექტროენერგიის გამომუშავება 650 მლნ კვტს აღწევს.

ტრანსპორტი და საგარეო კავშირურთიერთობანი. ფეოდალურ მონგოლეთში ფაქტიურად არ არსებობდა თანამედროვე ტრანსპორტის სახეობანი. ტრანსპორტის ძირითად საშუალებას წარმოადგენდა ყამირი გზები და საქარავნო ბილიკები. სახალხო ხელისუფლების წლებში მონგოლეთში გაშენდა კეთილმოწყობილი საავტომობილო გზები, რკინიგზა. პირველი რკინიგზა 1938 წელს გაიყვანეს ულან-ბატორსა და ნალაიხას შორის (43 კმ), რკინიგზის სიგრძე 1400 კმ-ია, ეს არის ხაზი, რომელიც მონგოლეთს გადაკვეთს ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ და გრძელდება ჩინეთისაკენ. საავტომობილო ტრანსპორტზე მოდის ტვირთბრუნვის თითქმის 30% და მგზავრთა გადაყვანის 50%. გზატკეცილების საერთო სიგრძე 8700 კმ უდრის. წარმატებით ვითარდება საჰაერო ტრანსპორტი, რომელიც უზრუნველყოფს მგზავრთა გადაყვანასა და სასწრაფო ტვირთების გადაზიდვას ულან-ბატორსა და აიმაკების ცენტრებს შორის.

მონგოლეთიდან გააქვთ მეცხოველეობის პროდუქცია. შეაქვს: მანქანა-მოწყობილობანი, ნავთობპროდუქტები, შავი ლითონი, სურსათი, ფართო მოხმარების საგნები. საგარეო ვაჭრობა, ეკონომიური და მეცნიერულ-ტექნიკური ურთიერთობა აქვს ძირითადად სოციალისტურ ქვეყნებთან, მათგან ასევე დახმარებითაც აშენდა ბევრი საწარმო. მაგალითად, სსრ კავშირის დახმარებით — მსხვილი ელექტროსადგურები ულან-ბატორსა და დარხანში, ქვანახშირის შახტები—

შარინ-გ ილს, ნალაიხასა და ადუნ-ჩუნუნში, ავტომაწყობი ქარხანა, ხის დამ.ულშავებელი და სახლმშენებელი კომბინატები, მატყლის სარეცხი საწარმოები; ჩეხოსლოვაკიის დახმარებით — ქვანახშირის შახტი — ულეგეეში, ცემენტის ქარხანა, ტყავის საწარმოები; პოლონეთ ს დახმარებით— ქვანახშირის შახტი — ხარხორინში, სილიკატური ოგურის ქარხანა; უნგრეთის დახმარებით — საფეიქრო კომბინატი; ბულგარეთის დახმარებით — ბეწვეულის ფაბრიკა, ხორცკომბინატები და სხვ. ფულის ერთეულია ტუგრიკი.

კულტურა. მონგოლეთს უდიდესი მიღწევები აქვს კულტურული მშენებლობის დარგშიც. ძველ მონგოლეთში ერთი დაწყებითი სკოლა არსებობდა, მოსახლეობის 99% წერა-კითხვის უცოდინარი იყო, სახალხო რესპუბლიკის დამყარების შემდეგ განსაკუთრებული ყურადღება მიექცა მოსახლეობის სწავლა-განათლების საქმეს. უკვე 30-იან წლებში მონგოლეთში ლიკვიდირებულ იქნა წერა-კითხვის უცოდინარობა, ხოლო 50-იან წლებში შემოღებულ იქნა სკოლის ასაკის ბავშვთა სავალდებულო სწავლება. მონგოლეთში ითვლება 550 ყველა საფეხურის სკოლა, 20 პროფტექნიკური სასწავლებელი, 20 ტექნიკუმი, უნივერსიტეტი ულან-ბატორში (8 ფაკულტეტით), პედაგოგიური, სასოფლო-სამეურნეო, სამედიცინო, პოლიტექნიკური ინსტიტუტები, მონგოლეთის მეცნიერებათა აკადემია ოცამდე სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტით, საჯარო ბიბლიოთეკა, სახელმწიფო ცენტრალური, ვ. ი. ლენინის, რევოლუციის, რელიგიის, ისტორიის, სახვითი ხელოვნებისა და ულან-ბატორის რეკონსტრუქციის მუზეუმები. გამოდის 12 ცენტრალური და 18 ადგილობრივი გაზეთი, რამდენიმე ჟურნალი. აქვს საკუთარი საინფორმაციო სააგენტო (მონცამე) რადიომაუწყებლობა და ტელევიზია.

სახელმწიფო წყობილება. მონგოლეთის სახალხო რესპუბლიკა სოციალისტური რესპუბლიკაა. უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოა დიდი სახალხო ხურალი, რომელსაც ირჩევენ საყოველთაო და პირდაპირი საარჩევნო უფლების საფუძველზე ოთხი წლის ვადით (ფარული კენჭისყრით), სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ორგანო — დიდი სახალხო ხურალის პრეზიდიუმი, სახელმწიფოს უმაღლესი აღმასრულებელი და განმკარგულებელი ორგანოა მინისტრთა საბჭო.

პოლიტიკური პარტიები. ქვეყნის ცხოვრებაში ხელმძღვანელი როლი ეკუთვნის მონგოლეთის სახალხო-რევოლუციურ პარტიას, რომელიც შეიქმნა 1921 წელს. მისი ნაბეჭდი

ორგანოებია გაზეთი „უნენი“ („სიმართლე“) და თეორიული ჟურნალ „ნამინ-ამდრალი“ („პარტიული ცხოვრება“). მასიური საზოგადოებრივი ორგანიზაციებია: პროფკავშირები, მონგოლეთის რევოლუციური ახალგაზრდობის კავშირი, მონგოლეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობის საზოგადოება და სხვ.

ნეპალი

კონსტიტუციური სამეფო ნეპალი მდებარეობს ინდოეთსა და ჩინეთს შორის და უჭირავს ჰიმალაის ქედის ძნელადსავალი და ყველაზე მაღალი ნაწილი იმავე განედზე, როშელზედაც მდებარეობს მდინარე ნილოსის შესართავი აფრიკაში. თავისი მდებარეობის გამო ნეპალი ერთ-ერთი ყველაზე სუსტად შესწავლილი ქვეყანაა მსოფლიოში. ჰიმალაის მთათა სისტემის სახით ნეპალი ერთგვარ საზღვარს წარმოადგენს ჩრდილო და სამხრეთ აზიას შორის, ქვეყნის მაქსიმალური სიგრძე ჩრდილო-აღმოსავლეთიდან სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ 800 კმ-ია, ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ — 250 კმ. მას ჩრდილოეთით ესაზღვრება ტიბეტი (ჩინეთი), სამი მხრიდან კი ინდოეთის რესპუბლიკა. ფართობი — 140,800 კვ. კმ, მოსახლეობა — 12 მლნ კაცი (1975), დედაქალაქია კატმანდუ 250 ათასი მცხოვრებით, (დაარსდა 724 წ.), ადმინისტრაციულად იყოფა 14 ძონგად (ოლქი), ოფიციალური ენა — ნეპალი და ინგლისური, გაბატონებული რელიგია — ინდუიზმი (მოსახლეობის 90%-მდე), არიან აგრეთვე ბუდისტები და მუსლიმანები. ეროვნული დღესასწაული — ერთიანი დემოკრატიული დღე—18 თებერვალი (1951) და მეფის დაბადების დღე—11 ივლისი (1920). ნეპალი არის გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრი, სსრ კავშირთან დიპლომატიური ურთიერთობა დაამყარა 1956 წელს.

მოსახლეობა, ნეპალი გამოირჩევა მოსახლეობის ბუნებრივი მატების მაღალი მაჩვენებლებით 2,5—2,7% (მოსახლეობის დინამიკა: 1911 წ. — 5,5; 1941 წ. — 6.2; 1954 წ. — 8,4; 1961 წ. — 9,3). საშუალო სიმჭიდროვე 1 კვ. კმ-ზე 60 კაცს აღწევს, მაღალმთიან რაიონებში კი ეს მაჩვენებელი დაბალია (16-17 კაცი). სამაგიეროდ კატმანდუს ოლქში 1 კვ. კმ-ზე 800-ზე მეტი კაცი მოდის, რაც, პირ-

ველ რიგში, გამოწვეულია იმით, რომ აქ შესანიშნავი ბუნებრივი პირობებია ადამიანის არსებობისა და სამეურნეო საქმიანობისათვის. ქალაქები ცოტაა, ქალაქად მოსახლეობის მხოლოდ 5% ცხოვრობს, დანარჩენი კი სოფლად. დედაქალაქს გარდა მნიშვნელოვანი ქალაქებია: პატანი (100 ათასი მცხოვრებით), ლალიტბური (50 ათასი), ბჰაკტაპური და სხვ.

ეროვნული შემადგენლობის მიხედვით ნეპალის მოსახლეობა მეტად ჭრელია. მთავარი ტომები არიან: ინდური წარმოშობის ტომი გურკჰი (რომელთა ენა ნეპალის ენის სახელწოდებითაა ცნობილი), ნავარი, დანარჩენი ტომებიდან აღსანიშნავია: გურუნგი, პაჰარი, მაგარი, კჰაზა, ტარუ, აგრეთვე წვრილი ტიბეტური წარმოშობის ტომები, ინდოელები (ნეპალში კჰუმჰუს და სოუს ოლქებში), ჯომოლუნგმის სამხრეთით ცხოვრობენ შერპები. ეს მცირერიცხოვანი ტომი, ცნობილია როგორც საუკეთესო გამყოლები მწვერვალების დასალაშქრავად. ბევრი მათგანის სახელი ალპინიზმის ისტორიაშიც ჩაიწერა. ასე, მაგალითად, შერპი თენსინგ ნორგეი თან ახლდა ახალზელანდიელ ედმუნ ჰილარის და ისინი პირველნი ავიდნენ მსოფლიოს უმაღლეს მწვერვალ ჯომოლუნგმაზე.

ზოგი რამ ნეპალის ეთნოგრაფიიდან. ნეპალში სჭარბობენ ქალები, მაგრამ გერაის მხარეში მამაკაცებია მეტი. ნეპალელებს გააჩნიათ საკუთარი „წმინდა მდინარე"— ბაგმატი, კალი-განდაკი, წმინდა ცხოველებად ითვლება ძროხა, გველი, ხე ბანიანი. აღსანიშნავია მრავალცოლიანობა, რაც დამოკიდებულია მატერიალურ მდგომარეობაზე. შერპებსა და ბჰოტიას ტომებში გავრცელებულია მრავალქმრიანობა. 1951 წელს შეიქმნა „მამაც ქალთა ორგანიზაცია", რომელთა მიზანია მამაკაცებთან ერთად თანაბარი უფლებების მოპოვება. ბავშვები მამას უწოდებენ არა მარტო საკუთარ მშობლებს, არამედ ძმებსაც და ბიძაშვილებსაც. გურუნგის ტომებში ბავშვებს უფროს-უმცროსობით მიმართავენ, მაგალითად, უფროსი ვაჟი, მეორე ვაჟი, მესამე შვილი და ა. შ. ნეპალში სასაფლაო არ არის, მიცვალებულებს კოცონზე წვავენ და ფერფლს მდინარეში ყრიან. მათი სამგლოვიარო ფერია თეთრი.

ისტორია. პირველი ცნობები ნეპალის შესახებ ეკუთვნის გამოჩენილ ხორეზმელ მეცნიერს ბირუნის, რომელმაც შედარებით ვრცლად აღწერა ეს ქვეყანა თავის „ინდოეთში". XVII—XVIII სს. ნეპალში იყვნენ ინდოეთიდან ტიბეტში მიმავალი ქრისტიანი მისიონერები კაბრალი (1626 წ.), ტრიუბერი (1662 წ.), დეზიდერი და

ფრეირე (1721 წ.), რომელთა შრომებიც მცირე რაოდენობით შეიცავენ ისტორიულ-გეოგრაფიული ხასიათის ცნობებს. 1770 წ. ნეპალში გამოიცა კანონი, რომლის მიხედვითაც ქრისტიან მისიონერებს ეკრძალებოდათ ნეპალში შესვლა. 1815 წელს ინგლისელებმა კონტროლი დააწესეს ნეპალის ტერიტორიაზე.

ნეპალის შესწავლაში დიდი დამსახურება მიუძღვით ინდოელ ტოპოგრაფებსა და პანდიტებს (სწავლულ ადამიანებს). პანდიტები ბუდისტ მისიონერების სახით ჩუმად შედიოდნენ ნეპალში და სწავლობდნენ მას.

ნეპალის საინტერესო აღწერა დატოვა პანდიტ ნაინ-სინგმა (1865 წ.) და ჰარი რამმა (1871). რაც ნეპალი ინგლისის პროტექტორატი გახდა, მას შემდეგ დაიწყო მისი სისტემატური შესწავლა. აწარმოებდნენ ტოპოგადაღებებს. XX საუკუნის 20-იანი წლებიდან ზდება ასვლები ჯომოლუნგმაზე ნეპალის მხრიდან.

ბუნებრივი პირობები. ნეპალი ტიპური მაღალმთიანი ქვეყანაა, მდებარეობს ჰიმალაიზე, რომლის საშუალო სიმაღლე 6 ათას მ აღწევს, გადასასვლელები კი — 4-5 ათას მეტრ სიმაღლეზე მდებარეობენ ზღვ. დონიდან. აქ ჩინეთის საზღვართან არის მსოფლიოში უმაღლესი მწვერვალები ჯომოლუნგმა (ე. ი. — „სამყაროს ქალღმერთი", მისი მეორე სახელწოდებაა ევერესტი — 8882 მ), კანჩენჯანგა (8585 მ), ლხოძე (8546 მ), მაკალუ (8470 მ), ჩო-ოიუ (8182 მ), დჰაულაგირი (8172 მ), ანაპურნა (8078 მ) და სხვ. ხშირია სეისმური მოვლენები (დიდი მიწისძვრა იყო 1939 წ.), რაც იმის მაჩვენებელია, რომ მთათა წარმოშობის პროცესები ჰიმალაიში კვლავ გრძელდება.

გეოგრაფიული მდებარეობის სპეციფიკამ მნიშვნელოვანწილად განაპირობა ნეპალის სამეურნეო განვითარება, მისი საგარეო პოლიტიკური მდგომარეობა. ნეპალი დახშული, ძნელადსავალი მთიანი ქვეყანაა თავისი საოცარი ბუნებით. მაგალითად, ქვეყნის ჩრდილო ნაწილი 5-6 თვის განმავლობაში თოვლითაა დაფარული ისე, როგორც არქტიკა, ხოლო ტერიტორიის დიდ ნაწილზე არასოდეს თოვლი არ იცის. ზაფხული მშრალია. ნეპალში შეიმჩნევა ყველა ბუნებრივი ზონის ანალოგია — დაწყებული სუბტროპიკულიდან და დამთავრებული ყინვარული ზონით. მრავლად ხარობს ბანანი და ჩრდილოეთის არყის ხე. გარეული ცხოველებიდან აღსანიშნავია თოვლის ავაზა, ვეფხვი და მარტორქა.

კლიმატი სუბეკვატორული, მუსონურია, იანვრის საშუალო

ტემპერატურა უდრის 15°, ივლისისა — 30°, ნალექების რაოდენობა 2500 მმ-ზე მეტია, შუა ნაწილში 4500 მმ აღწევს. კლიმატისა და ნიადაგმცენარეული საფარის მიხედვით ნეპალში მკვეთრად გამოიყოფა 4 ბუნებრივ-სიმაღლითი ზონა. სუბტროპიკული (2200 მეტრამდე, ყველაზე მჭიდროდ დასახლებული და ათვისებული), შუა (2200—4500 მ შორის), ალპური (4500-5200 მ) და სულ ზევით (5200 მ) ყინულის ზონა. მდინარეები სწრაფი და წყალუხვია. შეიცავენ „თეთრი ნახშირის" დიდძალ მარაგს. დიდი მდინარეებია: განგას შემდინარეები კარნალი, კალაი, განდაკი, კოსი და არუნი. ჩრდილოეთ ნეპალში არის ყინვაროული წარმოშობის ტბები.

მეურნეობა. ნეპალი ტიპური ჩამორჩენილი სასოფლო-სამეურნეო ქვეყანაა, **ხოფლის მეურნეობა** ეძლევა მთელი შემოსავლის 2/3-ზე მეტს და მასში ჩაბმულია მოსახლეობის 9/10. ძლიერია ფეოდალური და ნატურალური წყობის გავლენა. ნეპალი მდიდარია ბუნებრივი რესურსებით, „თეთრი ნახშირით", ტყეებით, წიაღისეული სიმდიდრეებით, მაგრამ მათი გამოყენება ჯერჯერობით არ ხდება.

4,7 მლნ ჰექტარიდან მიწათმოქმედებისათვის გამოყენებულია მხოლოდ 2 მლნ ჰა. მიწათმოქმედებას ძირითადად ხეობებში მისდევენ, მთებზე კი გამოყენებულია ტერასები. ნეპალი ერთადერთი ქვეყანაა მსოფლიოში, სადაც ხორბლის ნათესი 4100 მეტრამდე ადის, ხოლო ქერისა — 4600 მეტრამდე. ნალექი საკმაო რაოდენობით მოდის, მაგრამ ზოგან მაინც საჭიროა მორწყვა. მთავარი სასოფლო-სამეურნეო კულტურებია: ბრინჯი, რომელსაც მთელი ნათესი ფართობის 2/5 უკავია (წლიურად 2,5—2,6 მლნ ტ), სიმინდი, ხორბალი, ფეტვი, ითესება სხვა მარცვლეულიც. სსრ კავშირის დახმარებით შაქრის ლერწმის ბაზაზე ქალაქ ბირგანჯში აშენდა შაქრის ქარხანა (წლიურად 12 ათასი ტ), მოჰყავთ ჯუთი, რომლის ნათესებითა და მოსავლიანობით მესამე ადგილზეა მსოფლიოში ინდოეთისა და ბანგლადეშის შემდეგ. ჯუთის ორ ფაბრიკაში წლიურად მზადდება 3,5 მლნ მ ქსოვილი. თესენ აგრეთვე თამბაქოს (ჯანგპურსა და კატმანდუში არის სიგარეტების ფაბრიკები); გავრცელებულია ციტრუსოვანები, ახალი მზარდი კულტურაა ჩაი.

მრეწველობა ჩანასახ მდგომარეობაშია, ამჟამად არის 15 წვრილი საწარმო, მათ შორის კვების, საფეიქრო და ხე-ტყის სახერხი. დედაქალაქში აგებულია ტყავ-ფეხსაცმლის ფაბრიკა, მაგრამ ვინაიდან პირუტყვის დაკვლა რელიგიის მიხედვით აკრძალულია, ამიტომ მხოლოდ მკვდარი საქონლის ტყავს იყენებენ. აშენდა ხილის

წვენების, ხილკონსერვებისა და ჩაის საწარმოები. დიდი პერსპექტივები აქვს სამთომოპოვებითი მრეწველობის განვითარებას, აღმოჩენილია ურანისა და სპილენძის საბადოები. საბჭოთა გეოლოგებმა აღმოაჩინეს ქარსის ახალი მდიდარი საბადოები. დღეისათვის ხდება მხოლოდ ქარსის მოპოვება, რომლის პროდუქცია მთლიანად ინდოეთში გააქვთ. ძლიერია შინამრეწველობა. ნეპალში მხოლოდ სამი მცირე სიმძლავრის ჰიდროელექტროსადგურია სულ 50 კვტ სიმძლავრით. წლიური გამომუშავება 72 მლნ კვტს აღწევს. სსრ კავშირის დახმარებით მდინარე როროაიზე აშენდა პანაუტისჰესი (2400 კვტ სიმძლავრით). ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობაში დიდ დასპარებას უწევს ინდოეთი. სსრ კავშირის დახმარებით აშენდა სასოფლო-სამეურნეო მანქანების ქარხანა (ბირგანჯი), თამბაქოს ფაბრიკა. მეცხოველეობა შედარებით კარგადაა განვითარებული. ძირითადად გავრცელებულია ზებუს მაგვარი პირუტყვი, ცხვარი და იაკი. მსხვილფეხა რქოსანი საქონლის სულადობით თითოეულ მცხოვრებზე (4 სული) ნეპალი პირველ ადგილზეა მსოფლიოში (8 მლნ სული), ეარკვეული მნიშვნელობა აქვს უცხოურ ტურიზმს.

ტრანსპორტი და საგარეო კავშირურთიერთობანი. ნეპალი ძირითადად უგზო ქვეყანაა. მთავარი ავტომაგისტრალია „ტრიბჰუვან რაჯპატჰი", რომელიც ნეპალს აკავშირებს ინდოეთთან. ავტოგზების სიგრძე — 500 კმ-ია, ვიწროლიანდაგიანი რკინიგზის ერთადერთი ტოტი (100 კილომეტრი სიგრძით) კატმანდუს სამხრეთით მდებარე ქალაქ ამლეკ-განჯის აკავშირებს ინდოეთთან. შენდება ახალი დიდი ავტომაგისტრალი „გზა — აღმოსავლეთ-დასავლეთით" (1170 კმ სიგრძისა) სსრ კავშირის, ინგლისისა და ინდოეთის დახმარებით, გზა დჰანგარი-ლადხელპურა (140) ამერიკის შეერთებული შტატების დახმარებით, გზა ნაუბისი-პოკჰარა (170 კმ) ჩინეთის დახმარებით. შემოღებულია მუდმივი ავიამიმოსვლა ინდოეთსა და კატმანდუს შორის. მთიან რაიონებში ტრანსპორტის მთავარი სახეობაა საჭაპანო, განსაკუთრებით ზურგით გადააქვთ ბევრი ტვირთი, ტვირთის გადასატანად გამოყენებულია აგრეთვე სპილო და იაკი.

ნეპალს გააქვს: ბრინჯი, ჯუთი, თამბაქო, მატყლი, სამკურნალო ბალახები; შეაქვს: სამრეწველო საქონელი, მანქანა-მოწყობილობა, ცემენტი, მარილი. ვაჭრობაში მთავარი პარტნიორები არიან: ინდოეთი (რომელზედაც მოდის ექსპორტის 70%), გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა, იაპონია და პაკისტანი. ფულის ერთეულია ნეპალის რუპია.

განათლება. დიდია წერა-კითხვის უცოდინართა რაოდენობა (თითქმის 90%), ითვლება 600 დაწყებითი, 100 სრული (ინგლისური) სკოლა და 2 კოლეჯი, ინდოეთის ქალაქ პატნას უნივერსიტეტის ფილიალი კატმანდუში, დედაქალაქში არის სამხატვრო აკადემია, უნივერსიტეტი, სამი მსხვილი ბიბლიოთეკა, მათ შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია ბიბლიოთეკა ბირ-ლაიბრარი, რომელიც დაარსდა XVIII საუკუნეში. მასში დაცულია ნეპალის, ნევარის, სანსკრიტის ენებზე 1500 უძველესი ხელნაწერი (პალმის ფოთლებზე), რომელთა ასაკი 1600 წლით განისაზღვრება. არის ეროვნული მუზეუმი. ნეპალში დიდი სასკოლო მშენებლობა მიდის. დედაქალაქში გაიხსნა პედაგოგიური და სამედიცინო კოლეჯები. 1959 წელს კატმანდუში გაიხსნა ეროვნული უნივერსიტეტი. ბევრი ნეპალელი ცხოვრობს უცხოეთში, მათ შორის საბჭოთა კავშირში. გამოდის 15 ყოველდღიური გაზეთი, 10 ნეპალის, 5 ინგლისურსა და 1 ჰინდი ენებზე, აგრეთვე ორი კვირეული გაზეთი. აქვს საკუთარი საინფორმაციო სააგენტო და რადიომაუწყებლობა.

სახელმწიფო წყობილება. ნეპალი კონსტიტუციური მონარქიაა. მეფეს (1972 წლიდან ბირენდრა ბირ ბიკრამ შაჰ დევა) გააჩნია გარკვეული საკანონმდებლო და აღმასრულებელი უფლებები. ქვეყნის ცენტრალური საკანონმდებლო ორგანოა ეროვნული კრება (პანჩაიატი), მის მიერ მიღებული კანონი ძალაში შედის მხოლოდ მას შემდეგ, როდესაც მეფე დაამტკიცებს. მეფის წინაშე პასუხისმგებელი და უმაღლესი შემსრულებელია მინისტრთა საბჭო.

1961 წლის 5 იანვრის ბრძანებულებით ყველა **პოლიტიკური პარტიის** მოქმედება ნეპალში აკრძალულია.

ომანი

სასულთნო ომანი (1970 წლის აგვისტომდე მუსკატი ომანი და სასულთნო მასკატი) მდებარეობს არაბეთის ნახევარკუნძულის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში, თითქმის 1600 კმ მანძილზე ეკვრის არაბეთის ზღვას, ჩრდილოეთით ესაზღვრება დიდი უდაბნო რუბ-ალ-ჰალი, ფართობი — 212.400 კვ. კმ (ზოგიერთი ცნობით 200.000 კვ. კმ. ან 230.000 კვ. კმ, დღემდე საზღვრები დაზუსტებული არ არის), მოსახლეობა — 750.000 კაცი (გაერთიანებული ერე-

ბის ორგანიზაციის მონაცემებით, 1976). ძირითად მასას შეადგენენ არაბები (90%), არიან აგრეთვე სპარსელები, ინდოელები, ბელუჯები. ბევრია მოხეტიალე ტომი. დედაქალაქია ნავსადგური **მასკატი** (ნავსადგურ მატრახტთან ერთად 35 ათასამდე მცხოვრებით). ადმინისტრაციულად იყოფა ორ პროვინციად (ომანი და დოფარი), ოფიციალური ენა — არაბული, გაბატონებული რელიგია — მუსლიმანური (სუნი).

ისტორია. VII საუკუნიდან თანამედროვე ომანის ტერიტორია არაბთა ხალიფატის შემადგენელი ნაწილი იყო. XVIII საუკუნიდან ინგლისის გავლენის ქვეშ მოექცა, 1920 წელს კი შეიქმნა იმამატი ომანი, არის არაბთა ქვეყნების ლიგის წევრი, 1971 წლის ოქტომბრიდან — გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრი. მიუხედავად დამოუკიდებლობისა, ომანში კვლავ რჩება ინგლისის სამხედრო-საზღვაო და საჰაერო ბაზები.

ბუნებრივი პირობები. ომანის შიდა ნაწილი უპირატესად მთიანია. ჯებელ-აჰდარის მასივის მაქსიმალური სიმაღლე 3352 მ აღწევს, ზღვის სანაპიროს გასდევს ვიწრო დაბლობი. საერთოდ სანაპირო ხაზს ტიპური უდაბნოს იერი აქვს და საკმაოდ შეჭრილ-შემოჭრილია. ამიტომ ბევრია ნავსადგურებისათვის ვარგისი უბე-ყურეები. კლიმატი ცხელი, მშრალია. ნალექების რაოდენობა დაბლობ ზონაში 125 მმ აღწევს, მთებში — უფრო მეტს. ომანში მდინარეები საერთოდ არ არის, მხოლოდ წვიმების დროს ივსება მშრალი ხევები (ვადი), სამაგიეროდ საკმაო რაოდენობით არის გრუნტის წყლები, რომლებიც გამოიყენება, როგორც სასმელად, ისე. სარწყავად (ციარიზი), სამხრეთითა და დასავლეთით მთელი ტერიტორია უდაბნოსებურია, გამონაკლისს წარმოადგენს სამხრეთით მდებარე ტერიტორია, რომელიც გამოირჩევა თავისი ნაყოფიერი მიწებით, ეს არის ვიწრო სანაპირო ზოლი ელ-ბატანა. ომანის დედაქალაქი მასკატი მსოფლიოში ერთ-ერთ ყველაზე ცხელ ადგილად ითვლება, მაგალითად, ივლისის საშუალო ტემპერატურა 32°-ია, იანვრისა —20,7°, განსაკუთრებით მაღალი ტემპერატურაა, როდესაც რუბ-ელ-ჰალის უდაბნოდან ცხელი ქარი ქრის.

მეურნეობის მხრივ ომანი მეტად ჩამორჩენილი და ტიპური აგრარული ქვეყანაა, გაბატონებულია ფეოდალური და თემური ურთიერთობანი, სოფლის მეურნეობაში ჩაბმულია მოსახლეობის 9/10-ზე მეტი, მიწათმოქმედებას ოაზისური მიმართულება აქვს. მთავარი ტექნიკური კულტურაა ბამბა, ფინიკური პალმა და თამ-

ბაქო. საკმაოდ განვითარებულია მებოსტნეობა, განსაკუთრებით დიდი რაოდენობით თესენ ლუცერნას, ხახვსა და ნიორს. დიდი მნიშვნელობა აქვს მომთაბარე მესაქონლეობას, აშენებენ თხასა და ცხვარს. ომანი მთელს აღმოსავლეთში ცნობილია ერთკუზიანი (დრომადერი) აქლემის ჯიშით, იგი დიდი რაოდენობით გაჰყავთ მეზობელ ქვეყნებში, სანაპიროებზე მისდევენ მეთევზეობას.

მრეწველობა ჩანასახ მდგომარეობაშია. სჭარბობს წვრილი კუსტარული საწარმოები, განსაკუთრებით ცნობილია ომანის საიუველირო ნაწარმი და ნავების მშენებლობა. ბოლო წლებში აღმოჩენილ იქნა ნავთობი, რომელიც ამჟამად მთელი მეურნეობის საფუძველს წარმოადგენს. ნავთობმოპოვება მთლიანად ამერიკის შეერთებული შტატებისა და ინგლისის კომპანიების ხელშია. 1974 წელს ომანში მოპოვებულ იქნა 20 მლნ ტ ნავთობი, აშენდა გამაგრილებელი წყლების ქარხანა, ელექტროენერგიის გამომუშავება 30 მლნ კვტს შეადგენს.

ტრანსპორტი და საგარეო კავშირურთიერთობანი. ტრანსპორტის ერთადერთი საშუალებაა ავტოგზები, ასფალტირებული გზა მასკატს აერთებს შარჯასთან (420 კმ), ომანთან არის საერთაშორისო აეროპორტი, ომანიდან გააქვთ: ნავთობი (ნავთობმილებით), ფინიკი, თამბაქო, თევზი, ლიმონი, ბროწეული; შეაქვთ: ბრინჯი, სურსათი, სამრეწველო საქონელი. მთავარი საზღვაო ნავსადგურებია: მასკატი, მუთბატი, სოჰარი, სური. საგარეო ვაჭრობაში მთავარი პარტნიორები არიან: ინდოეთი, ამერიკის შეერთებული შტატები, ინგლისი და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა. ფულის ერთეულია ომანის რიელი.

განათლება. ძალზე დიდია წერა-კითხვის უცოდინართა რაოდენობა, განსაკუთრებით ქალთა შორის (90%-მდე), ომანში ითვლება 70 დაწყებითი და საშუალო სკოლა, კომერციული და სასოფლო-სამეურნეო სასწავლებლები, საკუთარი მასწავლებლები არ ყოფნით და უცხოეთიდან იწვევენ. არის რადიომაუწყებლობა.

სახელმწიფო წყობილება. ომანი აბსოლუტური თეოკრატიული ქვეყანაა, მთელი საკანონმდებლო და შემსრულებელი ძალაუფლება ეკუთვნის სულთანს, რომელიც ერთდროულად ითვლება პრემიერ-მინისტრად, საგარეო საქმეთა, ფინანსთა და თავდაცვის მინისტრად.

პოლიტიკური პარტიების საქმიანობა ომანში აკრძალულია.

პაკისტანი

პაკისტანის ისლამური რესპუბლიკა მდებარეობს სამხრეთ-აზიური სუბკონტინენტის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში. აღმოსავლეთიდან მას ესაზღვრება ინდოეთი, დასავლეთიდან და ჩრდილო-დასავლეთიდან ავღანეთი და ირანი, ხოლო ჩრდილოეთით სსრ კავშირის ტერიტორიიდან გამოყოფს ავღანეთის კუთვნილი ხმელეთის ვიწრო ზოლი. სამხრეთით პაკისტანს ფართო გასასვლელი აქვს არაბეთის ზღვაზე (ინდოეთის ოკეანე). ფართობი — 806,500 კვ. კმ, მოსახლეობა — 70,3 მლნ კაცი (1976). მთავარი ტომები არიან: ფენჯაბელები, პუშტუ ან პატანი, სინდჰი, ბელუჯი, ბრაგუი და სხვ. საშუალო სიმჭიდროვე 1 კვ. კმ-ზე 80 კაცს აღემატება, თუმცა ძალზე მჭიდროდაა დასახლებული მდ. ინდოსის ხეობა. განაპირა ტერიტორიები, განსაკუთრებით მთიანი ზონა კი სუსტად არის ათვისებული და დასახლებული. დედაქალაქია ისლამაბადი (0,3 მლნ მცხოვრებით). მნიშვნელოვანი ქალაქებია: ყოფილი დედაქალაქი ყარაჩი (4,0 მლნ), ლაჰორი (2,3 მლნ), ხარნაი, რავალპინდი. ქალაქად ცხოვრობს მთელი მოსახლეობის 1/4. ადმინისტრაციულად იყოფა 4 პროვინციად (ფენჯაბი, სინდი, ბელუჯისტანი, ჩრდილო-დასავლეთ სასაზღვრო პროვინცია). ოფიციალური ენა — ურდუ (არაბული ალფაბეტით), თუმცა ინგლისურ ენასაც იყენებენ. ყველა პროვინციას თავისი საკუთარი ოფიციალური ენა აქვს. გაბატონებული რელიგია — მუსლიმანური (სუნი, არიან ბუდისტები, ქრისტიანებიცა და სიკჰიც), ეროვნული დღესასწაული — პაკისტანის დღე — 23 მარტი (1956), დამოუკიდებლობის გამოცხადების დღე — 14 აგვისტო (1947).

ისტორია. პაკისტანის დამოუკიდებელი სახელმწიფო შეიქმნა 1947 წელს, როდესაც ინგლისის ყოფილი კოლონია ინდოეთი რელიგიური ნიშნების მიხედვით გაიყო ორ დომინიონად: ბუდისტურ ინდოეთად და მუსლიმანურ პაკისტანად. 1956 წ. პაკისტანი რესპუბლიკად გამოცხადდა და შედგებოდა ორი ნაწილისაგან დასავლეთ პაკისტანისა (თანამედროვე პაკისტანის ტერიტორია) და აღმოსავლეთ პაკისტანისაგან (თანამედროვე ბანგლადეშის სახალხო რესპუბლიკის ტერიტორია). 1965 წ. სადავო ტერიტორიის გამო სასაზღვრო ომი დაიწყო ინდოეთსა და პაკისტანს შორის. სსრ კავშირის ინიციატივით ინდოეთმა და პაკისტანმა ხელი მოაწერეს ტაშკენტის

დეკლარაციას, რომლითაც საფუძველი ჩაეყარა ნორმალურ ურთიერთობათა საწყისებს ამ ორ ქვეყანას შორის.

1970 წ. საყოველთაო საპარლამენტო არჩევნების შედეგად აღმოსავლეთ პაკისტანში (ბენგალია) გაიმარჯვა სახალხო ლიგამ, რომელმაც მოითხოვა ავტონომიური უფლებები. ამის გამო დაიწყო უთანხმოება აღმოსავლეთ და დასავლეთ პაკისტანს შორის. სახალხო ლიგა აკრძალულ იქნა. რეპრესიების შედეგად დაახლოებით 10 მილიონმა ბენგალელმა თავი შეაფარა ინდოეთს. 1971 წლის დეკემბერში ბენგალიის პარტიზანებმა ინდოეთის ჯარების დახმარებით აიძულეს პაკისტანის არმია კაპიტულაცია მოეხდინათ. აღმოსავლეთ პაკისტანის ტერიტორიაზე შეიქმნა ახალი დამოუკიდებელი სახელმწიფო — ბანგლადეშის სახალხო რესპუბლიკა.

1972 წლის გაზაფხულზე საფუძველი ჩაეყარა პაკისტანსა და სსრ კავშირს შორის ურთიერთობათა გაუმჯობესებას. პაკისტანი გამოვიდა სეატოს ბლოკიდან და ოფიციალურად ცნო ბანგლადეშის სახალხო რესპუბლიკა.

ბუნებრივი პირობების მიხედვით თანამედროვე პაკისტანის ტერიტორიაზე შეიძლება გამოიყოს რამდენიმე მსხვილი ბუნებრივ-გეოგრაფიული ერთეული.

სანაპირო დაბლობი. მდ. ინდოსის დიდი დელტის ჩათვლით საკმაოდ დაჭაობებულია. მდ. ინდოსის მარჯვენა მხარე მთიანია. ეს არის მეკრანის სანაპირო ქედი. ცენტრალური მეკრანისა და მის ჩრდილოეთით მდებარე სიახანის ქედი სანაპიროს გამოყოფს ბელუჯისტანისაგან. ამ უკანასკნელის სახელწოდებით ცნობილია ვრცელი ხარანის ქვაბული, რომელიც მაღალი ქედებითაა გარშემორტყმული. მდ. ინდოსის მარჯვენა მხარეს მიუყვება ძნელადსავალი სულეიმანის ქედი, რომელიც ჩრდილოეთითა და ჩრდილო-აღმოსავლეთით ჰინდუკუშის მთათა სისტემაში გადადის. სწორედ აქ არის პაკისტანის უმაღლესი მწვერვალი ტირიჩ-მირი (7690 მ) და ჰაიბერის ცნობილი გადასასვლელი, რომლითაც პაკისტანი ავღანეთს უკავშირდება. ხშირია სეისმური მოვლენები. მდ. ინდოსის მარჯვენა მხარის დიდი ნაწილი უკავია ტარის უდაბნოს, რომელიც ინდოეთის საზღვარზე მდებარეობს.

კლიმატი უმეტეს ნაწილზე ტროპიკულია, ჩრდილო-დასავლეთით კი — სუბტროპიკული, მშრალი, მთიან ზონაში იცის თოვლი, ნალექების საშუალო წლიური რაოდენობა აღწევს ფენჯაბში 1000 მმ, სინდში — 75-230 მმ, ბელუჯისტანის ტერიტორიაზე ზაფხულობით

წვიმა საერთოდ აო მოდის, მთელი დაბლობი ნაწილი ინდოეთის მუსონის გავლენის ქვეშაა. მთავარი მდინარეა ინდოსი ორი შენაკადით — ფენჯაბითა და ქაბულით. მდინარეები გამოიყენება სარწყავად, ტყეები ცოტაა, გაჩეხილი, დაბლობ რაიონებში გაბატონებულია უდაბნოსა და ნახევრად უდაბნოს ტიპის მცენარეულობა.

მეურნეობა. პაკისტანი უპირატესად აგრარული ქვეყანაა, მაგრამ ბოლო წლებში სწრაფად ვითარდება მრეწველობა. ძლიერია უცხო კაპიტალის გავლენა, განსაკუთრებით ინგლისისა და ამერიკის შეერთებული შტატებისა. პაკისტანის მეურნეობის შემდგომ განვითარებას ხელს უწყობს სსრ კავშირი და სხვა სოციალისტური ქვეყნები. მეურნეობის წამყვანი დარგია საფეიქრო მრეწველობა, რომელიც ძირითადად მეორე მსოფლიო ომის შემდეგ შეიქმნა. დიდია კვების მრეწველობის ხვედრითი წონა (განსაკუთრებით შაქრისა). მძიმე მრეწველობა წარმოდგენილია ბუნებრივი გაზის მოპოვებით, სასუქების, ცემენტის წარმოებითა და ნავთობგადასამუშავებელი საწარმოებით. სსრ კავშირის დახმარებით ყარაჩიში აშენდა პირველი მეტალურგიული ქარხანა. სხვადასხვა ქვეყნების დახმარებით — ავტო და ველოსიპედების ამწყობი ქარხნები, მსხვილი საფეიქრო კომბინატი (წლიურად 650—700 ათასი მ), გემთმშენებლობის ვერფები. გამოვლენილია წიაღისეულ სიმდიდრეთა მნიშვნელოვანი საბადოები, მაგრამ გარდა ბუნებრივი გაზისა, არც ერთი მათგანის დამუშავება არ ხდება, დიდ მნიშვნელობას ინარჩუნებს შინახელოსნობა.

სოფლის მეურნეობა წამყვანი დარგია. წყლის სიმცირის გამო მიწათმოქმედება მთლიანად სარწყავია. მდ. ინდოსზე აგებულია რამდენიმე საირიგაცრო მსხვილი ნაგებობა. დამუშავებული მიწების თითქმის 4/5 ხორბალს უკავია (წლიურად 7,5-8,0 მლნ ტ), მოჰყავთ სიმინდი, ბრინჯი (2,3-2,5 მლნ ტ), ბამბა, შაქრის ლერწამი. ფართოდ არის გავრცელებული მეხილეობა, რომლის პროდუქცია ფაქტიურად ექსპორტის ერთადერთ დარგს წარმოადგენს. მეცხოველეობა უფრო მთიან რაიონებშია განვითარებული. დიდი რაოდენობით აშენებენ ცხვარსა და თხას.

ტრანსპორტი და საგარეო კავშირურთიერთობანი. რკინიგზების სიგრძე 8700 კმ-ია, ავტოგზების — 16000 კმ. საზღვაო ვაჭრობა ძირითადად ნავსადგურ ყარაჩით ხდება. შენდება ახალი ნავსადგურები კასიმი და განტე. პაკისტანიდან გააქვთ: ბამბა, ქსოვილები, ტყავი, ხილი, სპორტ-საქონელი; შეაქვს: ავტომობილები, ელექტ-

რომოწყობილობანი, რკინიგზის მოძრავი შემადგენლობა. საგარეო ვაჭრობაში მთავარი პარტნიორები არიან: ამერიკის შეერთებული შტატები, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა, ინგლისი, იაპონია, ნიდერლანდი. ფულის ერთეულია პაკისტანის რუპია.

განათლება. პაკისტანში ითვლება 20 ათასი დაწყებითი და 6 ათასი საშუალო სკოლა, 40 კოლეჯი. სწავლება ინგლისურსა და ურდუ ენებზეა. მეჩეთებთან არის რელიგიური სკოლები. პაკისტანში ითვლება 110 სამრეწველო და ტექნიკური, 20 სავაჭრო, 5 სამედიცინო, 5 სასოფლო-სამეურნეო და 100 პედაგოგიური სასწავლებელი, 7 უმაღლესი ტექნიკური სასწავლებელი, 6 უნივერსიტეტი დიდი ბიბლიოთეკებით, ეროვნული მუზეუმები ყარაჩისა და ლაჰორში.

პაკისტანში გამოდის 300-მდე პერიოდული გამოცემა, მათ შორის 30 ყოველდღიური და კვირეული გაზეთი. არის რადიომაუწყებლობა (ინგლისურ, ურდუ, პუშტუ, სინდის, ბელუჯის, ქაშმირის, ფარსის ენებზე), ტელევიზია და ორი საინფორმაციო საგენტო.

სახელმწიფო წყობილება. 1973 წლის კონსტიტუციის მიხედვით პაკისტანი ფედერაციული რესპუბლიკაა. სახელმწიფოს მეთაურია პრეზიდენტი, რომელსაც ირჩევენ პარლამენტის ორივე პალატის ერთობლივ სხდომაზე. უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოა პარლამენტი (63 დეპუტატი), პროვინციებში არის საკუთარი საკანონმდებლო კრებები.

პოლიტიკური პარტიები. მმართველი იყო პ ა კ ი ს ტ ა ნ ი ს ს ა ხ ა ლ ხ ო პარტია (1967), გამოდიოდა ისლამის სოციალიზმის ლოზუნგით (ეკონომიკაში — სოციალიზმი, იდეოლოგიაში — ისლამი), გამოხატავდა საშუალო ბურჟუაზიისა და ნაციონალისტურად განწყობილ მემამულეთა, ინტელიგენტთა და სტუდენტთა ინტერესებს, მოითხოვდა მონოპოლისტთა ლიკვიდაციას მეურნეობაში, მრეწველობის, ბანკებისა და ტრანსპორტის ნაციონალიზაციას; ჯ ა მ ა ა თ - ი ი ს ლ ა მ ი (1941) — მ ე მ ა რ ჯ ვ ე ნ ე ო პ ო ზ ი ც ი უ რ ი პარტია, აღმოცენდა როგორც მუსლიმანური რელიგიურ-პოლიტიკური ორგანიზაცია, მხარს უჭერდა მსხვილ ბურჟუაზიასა და მემამულეებს, მოითხოვდა პაკისტანის თეოკრატიულის სახელმწიფოს შექმნას; ე რ ო ვ ნ უ ლ ი ს ა ხ ა ლ ხ ო პარტია, მ ე მ ა რ ცხ ე ნ ე ბ უ რ ჟ უ ა ზ ი უ ლ-დ ე მ ო კ რ ა ტ ი უ ლ ი პარტია (1957), ეყრდნობოდა დემოკრატიულად განწყობილ საშუალო და წვრილ ბურჟუაზიას, ინ-

ტელიგენციას, პროლეტარულსა და ნახევრად პროლეტარულ ფენებს; ტ ე ჰ რ ი კ-ი-ი ს ტ ი ქ ლ ი ა ლ ი (მოძრაობა დამოუკიდებლობისათვის), შეიქმნა 1970 წ. დიდი გავლენა ჰქონდა მსხვილ და საშუალო ბურჟუაზიისა და სტუდენტთა ფენებში; პ ა კ ი ს ტ ა ნ ი ს კ ო მ უ ნ ი ს ტ უ რ ი პარტია (1948).

1977 წლიდან ყველა პოლიტიკური პარტიის საქმიანობა აკრძალულია.

საუდის არაბეთი

საუდის არაბეთი („ალ-მამლაკატ ალ-არაბიია ას-საუდია") მდებარეობს არაბეთის ნახევარკუნძულზე, მას უჭირავს ნახევარკუნძულის ჩრდილო და ცენტრალური ნაწილი. აგრეთვე რამდენიმე კუნძული სპარსეთის უბესა და მეწამულ ზღვაში. ჩრდილოეთით ესაზღვრება იორდანია, ერაყი, კუვეიტი, სამხრეთითა და სამხრეთ-აღმოსავლეთით — ორივე იემენი, ომანი, კატარი. კუვეიტისა და ერაყისაგან საუდის არაბეთს გამოყოფს ე. წ. ნეიტრალური ზონები, თუმცა ერთი ზონა უკვე განაწილდა კუვეიტსა და საუდის არაბეთს შორის. საუდის არაბეთის ზუსტი ფართობი დღემდე არ არის დადგენილი და ამიტომ მის ფართობს 1,6-დან 2,4 მლნ კვ. კმ-მდე ვარაუდობენ. მოსახლეობა —დაახლოებით 8,4 მლნ კაცი (1975), აბსოლუტურ უმეტესობას შეადგენენ არაბები, რომელთა თითქმის 1 მლნ კაცი მოხეტიალე ცხოვრებას ეწევა, დედაქალაქია ერ-რიადი (0,4 მლნ მცხოვრებით). დიდი ქალაქებია აგრეთვე მექა (მუსლიმანთა „წმინდა ქალაქი", 0,3 მლნ მცხოვრებით), გადმოცემით აქ დაიბადა მუსლიმანური რელიგიის შემქმნელი, წინასწარმეტყველი მუჰამედი — მუსლიმანური სამყაროს „ქალაქთა დედა". ყოველწლიურად აქ სალოცავად და წმინდა ქვის—კააბას სანახავად მოდის ათეულ ათასობით მლოცველი. ქალაქი მედინა (60 ათასი მცხოვრებით). ითვლება წინასწარმეტყველის ქალაქად. იგი მექას შემდეგ მეორე ქალაქია როგორც მუსლიმანთა სამლოცველო. გადმოცემით აქ მოღვაწეობდა მუჰამედი. საშუალო სიმჭიდროვე დაბალია, 1 კვ. კმ-ზე 4 კაცი მოდის. ადმინისტრაციულად იყოფა ოთხ პროვინციად (ნეჯი, ჰიჯასი, ელ-ჰასა, ასირი). ოფიციალური ენა — არაბული, გაბატონებული რელიგია — მუსლიმანური (ვაჰაბისტუ-

რი მიმართულებისა, მუჰამედ იბნ-აბდ-ულ-ვაჰაბის გვარიდან, რომელმაც შექმნა მუსლიმანთა ახალი სექტა). საუდის არაბეთში შექმნილია სპეციალური რელიგიური პოლიცია, რომელიც ზუსტად ადევნებს თვალყურს თითოეულ მართლმორწმუნეს, რათა მათ დღეში ხუთჯერ ილოცონ. არსებობს „შრალი კანონი“(მაგარი სასმელების აკრძალვა), ეროვნული დღესასწაულია სამეფო დღე — 23 სექტემბერი (1932).

ისტორია. XVIII საუკუნეში საუდის არაბეთის მთელი ტერიტორია თურქეთის ხელში იყო. XX საუკუნის დამდეგს აბდ-ალ აზიზ იბნ-საუდმა განდევნა თურქი დამპყრობლები და ვაჰაბისტთა ხელისუფლება დაამყარა. პირველ მსოფლიო ომში თურქეთის დამარცხების შემდეგ მისი დაკავება ინგლისელებს სურდათ, მაგრამ ამაოდ. 1925 წელს იბნ-საუდი გამოაცხადეს ჰიჯასისა და ნეჯის მეფედ. სსრკ-ს კავშირმა პირველმა ცნო არაბეთის უდიდესი სახელმწიფოს დამოუკიდებლობა. 1926 წელს სრულიად მუსლიმანთა კონგრესმა იბნ-საუდი გამოაცხადა „ისლამის წმინდა ადგილების მცველად“, რამაც დიდად ასწია მისი ავტორიტეტი მუსლიმანურ სამყაროში. ამავე წელს მოსაზღვრე პროვინცია ასირი შეუერთდა ჰიჯასსა და ნეჯს, შეიქმნა ერთი მთლიანი არაბული სახელმწიფო, რომელსაც საუდის არაბეთის სამეფო ეწოდა. 1945 წლიდან არაბეთი გაერთიანებული ერების ორგანიზაციისა და არაბთა ქვეყნების ლიგის წევრია. საუდის არაბეთში მონათმფლობელობა მხოლოდ 1962 წელს გაუქმდა.

ბუნებრივი პირობები. საუდის არაბეთის დიდი ნაწილი მოსწორებული უდაბნოსებრი ზეგანია 400-დან 100 მეტრ სიმაღლემდე. რელიეფში გამოირჩევა საკუთრივ ნახევარკუნძული და მის დასავლეთით მდებარე ვიწრო სანაპირო ზოლი ტიხამა. ტერიტორიის დიდი ნაწილი უკავია უდაბნოებს, მათ შორის უდაბნო პატარა ნეფუდს (დეჰნა), ქვიშიან ელ-ჰამიდას, უდიდეს რუბ-ელ-ჰალისა და დიდ ნეფუდს. მარტო ამ უკანასკნელის ფართობი 670 ათას კვ. კმ შეადგენს. უდაბნოების მნიშვნელოვანი ნაწილი უწყლოა, კლიმატი— ცხელი, უდაბნოსებრი, ზამთრობით ქრის ჩრდილოეთის ქარი, უკიდურესი სამხრეთისათვის დამახასიათებელია მუსონური ქარები. სანაპირო ზოლი ტიხამა ერთ-ერთი ცხელი კლიმატით ხასიათდება არა მარტო საუდის არაბეთში, არამედ მთელ მსოფლიოში. აქ მეწამული ზღვა ისე ცხელდება, რომ წყლის ტემპერატურა — 29° აღწევს, ხოლო სიცხისაგან კლდეები იშლება. ნალექები ძალზე ცოტაა, წლი-

ურად 25 მმ, უდაბნოში წვიმა საერთოდ არ იცის. ხშირია ცხელი ქარი სამუმი, რომლის დროს ჰაერი 50°-მდე თბება.

საუდის არაბეთის უზარმაზარ ტერიტორიაზე არ არის არც ერთი მუდმივი მდინარე, მხოლოდ წვიმების დროს ივსება წყლით მრავალრიცხოვანი მშრალი ხევები (ვადი), ბევრია მიწისქვეშა წყაროები და მათთან, როგორც წესი, ოაზისები. სარწყავად გამოიყენება ჭის წყალი, ბოლო წლებში აღმოჩენილ იქნა მიწისქვეშა სასმელი წყლის დიდი მარაგი. მცენარეთა საფარი უდაბნოსა და ნახევრად უდაბნოს ტიპისაა, დიდი ფართობი უკავია ერთწლიან ბალახს, რომელიც საუკეთესო საკვებია აქლემისა და თხისათვის. საკმაოდ გავრცელებულია ბუჩქოვანი მცენარე გადა, რომელიც არა მარტო ადგილობრივ მცხოვრებთა სათბობია, არამედ აქლემების პირველხარისხოვანი საკვებიცაა. ცხოველთა სამყარო ღარიბია, სამაგიეროდ უდაბნოს კლიმატი ფრიად ხელსაყრელ პირობებს ქმნის ქალიის გასამრავლებლად, ამიტომ საუდის არაბეთის სამხრეთი ნაწილი ქალიის კავრცელების ქერად ითვლება. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ადგილობრივი მცხოვრებნი ქალიას საჭმელადაც იყენებენ.

მეურნეობა. საუდის არაბეთის მეურნეობა საკმაოდ ჩამორჩენილია და წარმოადგენს აგრარულ-მეცხოველეობის ქვეყანას ფეოდალიზმის ძლიერი გადმონაშთებით. მთელი მეურნეობის საფუძველს წარმოადგენს ნავთობის მოპოვება, რომელიც მთლიანად უცხო კაპიტალის ხელშია და ეროვნული შემოსავლის თითქმის 9/10 იძლევა. ნავთობის მარაგი შეადგენს კაპიტალისტური სამყაროს ნავთობის მარაგის 18—20%-ს (დაახლოებით 23 მლრდ ტ). წლიურად ხდება 370—380 მლნ ტ ნავთობის მოპოვება (1974), რითაც კაპიტალისტურ სამყაროში III-IV ადგილზე იმყოფება. ნავთობმოპოვების მთავარი რაიონებია: გავარი, აბკაიტი, საფანია, ხურსანია და სხვ. (ძირითადად ელ-ჰასას პროვინციაში). მოპოვებული ნავთობის მხოლოდ 6-7%-ის გადამუშავება ხდება ადგილობრივ, დანარჩენი მილებით გადის ევროპაში. იაპონელებს კი ტანკერებით მიაქვთ. არის ორი მსხვილი ნავთობგადასამუშავებელი ქარხანა ერ-რიადში (სიმძლავრე 15 მლნ ტ წელიწადში). ნავთობის ექსპორტირება ხდება მილებით ნავსადგურ საიდამდე. მრეწველობაში აღსანიშნავია აგრეთვე მინის, ხილის წვენების ქარხნები, შენდება ავტომაწყობი (წლიურად 5 ათასი ავტომანქანა) და მეტალურგიული ქარხანა (წლიურად 1 მლნ ტ ლითონის სიმძლავრით). ხდება სპილენძის, გოგირდის, ოქროსა და მარილის მოპოვება, აღმოჩენილია რკინის მადნის, თუთი-

ის, ტყვიის, ნიკელის მდიდარი საბადოები. ამერიკის შეერთებული შტატების, იაპონიის, საფრანგეთისა და კანადის სამთომოპოვებითი კომპანიები კვლავ განაგრძობენ წიაღისეული სიმდიდრეების ძებნასა და პროექტების შედგენას მათ დასამუშავებლად. ელექტროენერგიის გამომუშავება 930 მლნ კვტს შეადგენს.

სოფლის მეურნეობა უპირატესად მომთაბარე სასაძოვრო მესაქონლეობითაა წარმოდგენილი. აშენებენ ცხვარს, აქლემს, განთქმულ არაბულ ცხენს. მიწათმოქმედებისათვის ვარგისი ფართობები მეტად მცირეა, მთავარი სასოფლო-სამეურნეო პროვინციებია ჰიჯასი და ელ-ასირი. ეს უკანასკნელი ცნობილია თავისი ფინიკიური პალმითა და მაღალხარისხოვანი ხილით.

მეცხოველეობაში სჭარბობს აქლემების მოშენება, პროვინცია ჰიჯასი „აქლემის სამშობლოდ" ითვლება. აქ იცის რამდენიმე ბაზრობა, საიდანაც ყოველწლიურად 15 ათასზე მეტი აქლემი გაჰყავთ უცხოეთში. უპირატესად გავრცელებულია ერთკუზიანი აქლემი (დრომადერი). არაბეთისათვის აქლემი არის ტრანსპორტი, ტანსაცმელი, საკვები (ხორცი, რძე). სანაპიროებზე მისდევენ მეთევზეობას. სპარსეთის ყურეში გარკვეული მნიშვნელობა აქვს მარგალიტის ჭერას. მიწათმოქმედების პროდუქცია ვერ აკმაყოფილებს ქვეყნის მოთხოვნილებას სურსათზე. საუდის არაბეთის შემოსავლის მნიშვნელოვანი წყაროა მლოცველთა მასიური მიმოსვლა „წმინდა ადგილების" სანახავად, განსაკუთრებით მექაში.

ტრანსპორტი და საგარეო კავშირურთიერთობანი. ტრანსპორტიდან აღსანიშნავია რკინიგზის ტრანსპორტი, რომელიც დედაქალაქ ერ-რიადს აკავშირებს ნავსადგურ დამამთან (სიგრძე 580 კმ). შენდება რკინიგზის ახალი ხაზი მედინა-მაანი (იორდანია), რომლის სიგრძე 1800 კმ იქნება. საავტომობილო გზების სიგრძე 4 ათასი კმ-ია, ნავთობსადენი მილებისა — 1800 კმ. მეწამულ ზღვაზე მნიშვნელოვანი ნავსადგურია ჯიდა, რომელიც რეკონსტრუქციის შემდეგ საოკეანო გემებს ღებულობს, არის აგრეთვე მცირე ნავსადგურები: იანბო, ელ-ვაჯჰი, კუნფიდა, ჯიზანი. სპარსეთის ყურეში მდებარეობს ახლო აღმოსავლეთის ერთ-ერთი უდიდესი ნავსადგური დამანი. მასზე გადის საუდის არაბეთის იმპორტული ტვირთის 3/5-ზე მეტი. ნავსადგური რკინიგზით უკავშირდება დედაქალაქ ერ-რიადს. ნავთობის გატანაზე სპეციალიზებულია ნავსადგური რას-ტანურა. საუდის არაბეთიდან გააქვთ: ნავთობი და ნავთობპროდუქტები, ბამბა,

ფრინეკი, შებოლილი თევზი, ტყავი; შეაქვს: მოწყობილობანი ნავთობის საწარმოებისათვის, საშენი მასალები, სურსათი, ფართო მოხმარების საგნები. საგარეო ვაჭრობაში მთავარი პარტნიორები არიან: ინგლისი, ამერიკის შეერთებული შტატები, იაპონია, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა, ფულის ერთეულია საუდის არაბეთის რიალი.

კულტურა და განათლება. საუდის არაბეთი ისლამის ძველი კულტურის ქვეყანაა. აქ აღმოცენდა მაჰმადიანური რელიგია (ისლამი), ბევრია მუსლიმანური კულტურის ძეგლები, მეჩეთები. თანამედროვე კულტურულ დაწესებულებათა დონე მეტად დაბალია. საუდის არაბეთში ითვლება 500-მდე დაწყებითი და 150 საშუალო სკოლა. 1963 წელს გაიხსნა პირველი დაწყებითი სკოლა გოგონებისათვის ქალაქ ბურაიდაში, რასაც მოჰყვა ადგილობრივი მოსახლეობის მღელვარება და პოლიციასა და ადგილობრივ მოსახლეობას შორის შეტაკება; მეფე საუდის უნივერსიტეტი ერ-რიადში (1957 , ისლამის უნივერსიტეტი მედინაში, ტექნოლოგიური ინსტიტუტი დედაქალაქში. გამოდის სამი ყოველდღიური, 11 კვირეული გაზეთი, 12 ჟურნალი, აქვს საკუთარი რადიომაუწყებლობა და ტელევიზია.

სახელმწიფო წყობილება. საუდის არაბეთი აბსოლუტური თეოკრატიული მონარქიაა, სახელმწიფოს მეთაურია მეფე, რომელსაც ეკუთვნის მთელი ხელისუფლება — განუსაზღვრელი საკანონმდებლო და შემსრულებელი ძალაუფლებით. მეფის ხელისუფლების რეგლამენტირება ხდება მხოლოდ მუსლიმანური რელიგიის კანონით — შარიატით. მეფე ერთდროულად ითვლება იმამად, ე. ი. რელიგიური ხელისუფლების ხელმძღვანელადაც და უზენაეს მოსამართლედაც. თავის ძალაუფლებას მეფე ახორციელებს მინისტრთა საბჭოს მეშვეობით. ყველაზე დიდ და მჭიდროდ დასახლებულ პროვინციას — ნეჯს უშუალოდ მეფე მართავს, ჰიჯასს — მისი რწმუნებული, ელ-ასირსა და ელ-ჰასას — მეფის მიერ დანიშნული გუბერნატორები.

პოლიტიკური პარტიების საქმიანობა საუდის არაბეთში აკრძალულია.

სიანგანი

სიანგანი (ჰონკონგი) ინგლისის სამფლობელოა და მდებარეობს ჩინეთის სამხრეთ-აღმოსავლეთ სანაპიროზე. მასვე მიეკუთვნება სიანგანის კუნძულთა ჯგუფი და ნაწილობრივ ჩინეთის ტერიტორიაზეა. ფართობი — 1013 კვ. კმ, მოსახლეობა— 4,4 მლნ კაცი (1975), აბსოლუტურ უმრავლესობას შეადგენენ ჩინელები (98%), მცირე რაოდენობით არიან ევროპელები. მთავარი ქალაქია **სიანგანი** (ვიქტორია, 1,1 მლნ მცხოვრებით), ოფიციალური ენა — ინგლისური და ჩინური.

ისტორია. სიანგანის კუნძულები და ტერიტორია ინგლისელებმა ხელთ იგდეს და ნანკინის ხელშეკრულებით გაიფორმეს 1842 წელს ე. წ. პირველი „ოპიუმის ომის" დროს, ხოლო ძიულუნის ნახევარკუნძულის ნაწილი 1860 წელს შეიერთეს პეკინის ხელშეკრულებით, ძიულუნის ნახევარკუნძული კი მიმდებარე 33 პატარა კუნძულით — 1898 წელს და სიანგანის მთელი ტერიტორია ინგლისის სამფლობელო გახდა 99 წლის ვადით.

მეურნეობა. სიანგანი მეტად მსხვილი სავაჭრო, საფინანსო და სამრეწველო ცენტრია მთელს აზიაში. **მრეწველობაში** ჩაბმულია 1,5 მლნ კაცი, რაც მთელი მოსახლეობის დაახლოებით 1/3 შეადგენს, ყველაზე მეტი მუშა-მოსამსახურე ჩაბმულია საფეიქრო და სამკერვალო მრეწველობაში, რომლებიც იძლევიან სიანგანის მთელი პროდუქციის ღირებულების ნახევარზე მეტს. მრეწველობის რიგი დარგის პროდუქციას—პლასტმასის ნაწარმისა და ელექტროსაქონელს ძირითადად საექსპორტო მნიშვნელობა აქვს. ასევე მაღალგანვითარებულია ელექტროტექნიკური და რადიოელექტრონული, ქიმიური მრეწველობის დარგები, გემთმშენებლობა. ელექტროენერგიის გამომუშავება 5,4 მლრდ კვტს შეადგენს.

მარტო ჩინეთის სახალხო რესპუბლიკას სიანგანში აქვს 200-მდე სამრეწველო საწარმო, 12 ბანკი და ღია ნავსადგურის მეშვეობით ვაჭრობას ეწევა დასავლეთის სახელმწიფოებთან, მათ შორის იმ სახელმწიფოებთანაც, რომლებთანაც ჩინეთს არა აქვს დიპლომატიური ურთიერთობა. სიანგანში 1975 წ. ითვლებოდა 74 ბანკი და 540 საბანკო კანტორა. სიანგანის საგარეო ვაჭრობიდან და მთელი ქალაქის სურსათისა და სასმელი წყლიდან მიღებული თანხა ჩინეთისათვის დაახლოებით ყოველწლიურად ერთ მლრდ დოლარს შეადგენს. ალბათ ამიტომ არის დაინტერესებული ჩინეთი ამ ტერიტორიის შე-

ნარჩუნებით. ქალაქის გარშემო განლაგებულია საგარეუბნო სოფლის მეურნეობა, საკმაო ფართობები უკავია ბოსტნეულსა და ყვავილებს, ხეხილს. საკუთარი სურსათი არ ყოფნის და შეაქვს. მისდევენ მეთევზეობას (წლიურად 80-85 ათასი ტ).

სიანგანი ფართო ვაჭრობას ეწევა ამერიკის შეერთებულ შტატებთან. ამას გარდა, ამერიკის შეერთებული შტატები სიანგანს იყენებს სათბობის, სურსათისა და სასმელი წყლის მომარაგების ბაზად თავისი სამხედრო გემებისათვის. სიანგანი ვაჭრობას ეწევა აგრეთვე ინგლისსა და იაპონიასთან. სიანგანიდან გააქვთ: ქსოვილები, მზა ტანსაცმელი, ელექტრომოწყობილობა, ელექტროტექნიკური ნაწარმი, ხოლო სათამაშოების ექსპორტით სიანგანი პირველ ადგილზეა მსოფლიოში. დიდი მნიშვნელობა აქვს რეექსპორტს (ძვირფასი ქვები, საათები, მედიკამენტები); ძირითადად შეაქვს: სურსათი და ლითონი. ეროვნულ შემოსავალში დიდი ხვედრითი წონა აქვს უცხოურ ტურიზმს (წლიურად 1,2—1,3 მლნ კაცი). ფულის ერთეულია სიანგანის დოლარი.

განათლება. სიანგანში არის სახელმწიფო და კერძო სკოლების ფართო ქსელი, სწავლება ყველა საფეხურზე უფასოა. სულ ითვლება 120 დაწყებითი და საშუალო სკოლა, სწავლება ხდება ინგლისურსა და ჩინურ ენებზე, არის ტექნიკური და პედაგოგიური კოლეჯები, უნივერსიტეტი, სამედიცინო, ხელოვნებათმცოდნეობისა და ინჟინერ-არქიტექტურის ფაკულტეტები; გამოდის 7 ყოველდღიური და 4 კვირეული გაზეთი. აქვს საკუთარი რადიომაუწყებლობა და ტელევიზია.

სახელმწიფო წყობილება. სიანგანის სამფლობელოს მართავს ინგლისის გუბერნატორი, რომელთანაც არის საკანონმდებლო და შემსრულებელი საბჭოები.

პოლიტიკური პარტიები. აღსანიშნავია თ ვ ი თ მ მ ა რ თ ვ ე ლ ობის დ ე მ ო კ რ ა ტ ი უ ლ ი პ ა რ ტ ი ა (1963); ჰ ო ნ კ ო ნ გ ი ს ლ ე ი ბ ო რ ი ს ტ უ ლ ი (1964) და ს ო ც ი ა ლ-დ ე მ ო კ რ ა ტ ი უ ლ ი (1964) პარტიები. ამას გარდა, სიანგანში მოქმედებს კიდევ ხუთი ბურჟუაზიული პოლიტიკური ორგანიზაცია, საიდუმლო საზოგადოება და 400-მდე წვრილი პროფკავშირული გაერთიანებები, რომელთაც ერთიანი ცენტრი არ აქვთ.

სინგაპური

რესპუბლიკა სინგაპური მდებარეობს სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში, ამავე სახელწოდების კუნძულზე, ჯოხორის სრუტეში. მასვე ეკუთვნის რამდენიმე წვრილი კუნძული. ფართობი — 581,5 კვ. კმ, მოსახლეობა — 2,3 მლნ კაცი (1976), ძირითადად ჩინელები (75%), არიან მალაელები, ინდოელები, პაკისტანელები. დედაქალაქია **სინგაპური** (1,2 მლნ მცხოვრებით), სახელმწიფო ენა—მალაური, ამას გარდა, ოფიციალურ ენებად ითვლება ინგლისური, ჩინური, ტამილური. გაბატონებული რელიგია — კონფუცის მოძღვრების მიმდევარნი (უპირატესად ჩინელები), აგრეთვე მუსლიმანები და ბუდისტები. ეროვნული დღესასწაული — დამოუკიდებლობის გამოცხადების დღე —9 აგვისტო (1965). სსრ კავშირთან დიპლომატიური ურთიერთობა დაამყარა 1968 წლის პირველ ივნისს.

ისტორია. ქალაქი დაარსდა VII საუკუნეში. დიდი ხნის განმავლობაში ინდოჩინეთის ვასალი იყო. XVI საუკუნის დამდეგს ხელთ იგდეს პორტუგალიელებმა, შემდეგ — ჰოლანდიელებმა, 1842 წლიდან ინგლისის კოლონიას წარმოადგენდა, ერთხანს ზღვის მეკობრეთა სადგომი იყო. 1942-45 წწ. ოკუპირებულ იქნა იაპონელების მიერ. 1962 წელს მალაიზიის ფედერაციაში შევიდა, 1965 წლიდან კი დამოუკიდებელი რესპუბლიკაა. სინგაპური შედის ბრიტანეთის ერთა თანამეგობრობაში, არის გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრი. სინგაპურში დღემდე გვხვდება ინგლისის საჰაერო და საზღვაო ბაზები, ამიტომ მას ხშირად „აღმოსავლეთის გიბრალტარსაც“ უწოდებენ.

სინგაპურს განსაკუთრებული სტრატეგიული მდებარეობა აქვს სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში, რაც მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავს მის **სამეურნეო** ფუნქციას. სინგაპური მდებარეობს უმნიშვნელოვანეს საზღვაო და საჰაერო გზაჯვარედინზე, ამიტომ ეკონომიკის საფუძველია საგარეო ვაჭრობა და რეექსპორტი. მასზე გადის სამოცზე მეტი საერთაშორისო სავაჭრო საზღვაო მაგისტრალი. საგარეო ვაჭრობის 2/5-ზე მეტი მოდის კაუჩუკის, ნავთობისა და ნავთობპროდუქტების ვაჭრობაზე. მარტო ვაჭრობის შუამავლობაში მიღებული მოგება ეროვნული შემოსავლის თითქმის 30%-ს შეადგენს.

საგარეო ვაჭრობასა და, საერთოდ, რესპუბლიკის მთელ ეკონომიკაში გაბატონებულია ინგლის-ამერიკის კამპანიები. სინგაპურ-

ში ითვლება 1500-მდე **სამრეწველო** საწარმო. აქ არის მსოფლიოში უდიდესი კალის სადნობი, კაუჩუკის პირველადი გადამუშავებისა და ქოქოსის ზეთის დამამზადებელი საწარმოები, აგრეთვე ხილ-კონსერვების, ფოლადსადნობი და ცემენტის საწარმოები. სწრაფად ვითარდება სატრანსპორტო მანქანათმშენებლობა, განსაკუთრებით გემთმშენებლობა, ქაღალდის წარმოება, ქიმიური და ელექტრონული მოწყობილობის წარმოება, არის ორი დიდი ნავთობგადასამუშავებელი საწარმო (სიმძლავრე 30 მლნ ტ), მსხვილი თბოელექტროსადგური, აშენდა ახალი სამრეწველო კომპლექსი ჯურონგი (12 კმ-ზე სინგაპურის დასავლეთით), სადაც თავმოყრილია სამრეწველო საწარმოთა დიდი ნაწილი, შენდება ახალი ნავსადგური ჯურონგის ტერიტორიაზე. ელექტროენერგიის გამომუშავება 25 მლნ კვტს შეადგენს, განვითარებულია მეთევზეობა.

სავარგულების შეზღუდვის გამო **სოფლის მეურნეობას** მეორეხარისხოვანი მნიშვნელობა აქვს, მასში ჩაბმულია თვითმოქმედი მოსახლეობის მხოლოდ 10%, მისდევენ მეხილეობასა და მებოსტნეობას, საკუთარი სურსათი არ ყოფნის და შეაქვს. ბოლო წლებში მეცხოველეობა იმდენად განვითარდა, რომ სინგაპური არა მარტო უზრუნველყოფს საკუთარ მოთხოვნილებას, არამედ ხორცი და რძის პროდუქტები გააქვს კიდეც. სწრაფად ვითარდება უცხოური ტურიზმი, მისგან მიღებული შემოსავალი ყოველწლიურად დაახლოებით 300 მლნ დოლარს შეადგენს.

სინგაპური არის სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ვაჭრობის უმნიშვნელოვანესი ცენტრი, აქ ხდება შემოზიდული საქონლის დახარისხება, შეფუთვა, გადატვირთვა, გაგზავნა. საერთოდ ტვირთბრუნვით სინგაპურის ნავსადგურს ერთ-ერთი პირველი ადგილი უკავია მსოფლიოში (1974 წ. — 51 მლნ ტ). სინგაპური მსოფლიო მნიშვნელობის საფინანსო ცენტრია. აქ არის საერთაშორისო მნიშვნელობის აეროპორტი, 1969 წლიდან დაიწყო საჰაერო მიმოსვლა მოსკოვი-სინგაპური.

სინგაპური ფოსტა-ტელეგრაფის კავშირების უდიდესი ცენტრიც არის. აქვს თერთმეტი საერთაშორისო წყალქვეშა სატელეგრაფო ხაზი. კუნძული რკინიგზით დაკავშირებულია კონტინენტთან. სინგაპურიდან გააქვთ: კაუჩუკი, ნავთობპროდუქტები, მანქანა-მოწყობილობანი, ქსოვილები, მცენარეული ზეთი, პილპილი; შეაქვს: ნავთობი, კაუჩუკი, სურსათი, ლითონი, სასმელი წყალი ჩინეთიდან. საგარეო ვაჭრობაში მთავარი პარტნიორები არიან: ამერიკის შეერ-

თებული შტატები, ინგლისი, იაპონია, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა, მალაიზია, მსოფლიოს ასამდე სახელმწიფოს აქვს სინგაპურთან კავშირურთიერთობა. ფულის ერთეულია სინგაპურის დოლარი.

განათლება. სინგაპურში არის ასამდე დაწყებითი და საშუალო სკოლა. სწავლება ხდება ჩინურ და ინგლისურ ენებზე, არის ტექნიკური, კომერციული და პედაგოგიური სასწავლებლები, პოლიტექნიკური, პედაგოგიური და სამედიცინო ინსტიტუტები, ორი უნივერსიტეტი (მათ შორის ჩინური ნანიანის უნივერსიტეტი), ხელოვნების ეროვნული მუზეუმი. გამოდის ექვსი ყოველდღიური და ერთი კვირეული გაზეთი ინგლისურსა და ჩინურ ენებზე. არის რადიომაუწყებლობა და ტელევიზია.

სახელმწიფო წყობილება. სინგაპური რესპუბლიკაა, სახელმწიფოს მეთაურია პრეზიდენტი, რომელსაც ირჩევენ ოთხი წლით. პრეზიდენტი ნიშნავს პრემიერ-მინისტრსა და მთავრობის წევრებს. საკანონმდებლო ორგანოა კანონმდებელი კრება, არის ერთპალატიანი პარლამენტი.

პოლიტიკური პარტიები. მმართველია სახალხო მოქმედების პარტია (1954), რომელსაც პარლამენტში ეკუთვნის თითქმის ყველა ადგილი; ოპოზიციური პარტიაა სინგაპურის სოციალისტური ფრონტი (1961); არის აგრეთვე წვრილი პარტიები: სინგაპურის სახალხო პარტია (1958), მუშათა პარტია (1957), ლიბერალურ-სოციალისტური პარტია (1957). გაერთიანებული ეროვნული ფრონტი აერთიანებს მალაის ეროვნულ ორგანიზაციებს, ჩინეთის პარტიასა და სინგაპურის ისლამის მოძრაობას.

სირიის არაბთა რესპუბლიკა

სირიის არაბთა რესპუბლიკა მდებარეობს სამხრეთ-დასავლეთ აზიაში. ჩრდილოეთით ესაზღვრება თურქეთი, აღმოსავლეთით — ერაყი, სამხრეთით — იორდანია და ისრაელი, დასავლეთით — ლიბანი, ჩრდილო-დასავლეთით უშუალო გასასვლელი აქვს ხმელთაშუა ზღვაში. ფართობი — 185.200 კვ. კმ (სირიის კუთვნილი ფართობის 1760 კვ. კმ. ისრაელის მხედრიონმა მიიტაცა), მოსახლეობა — 7,4 მლნ კაცი (1976) დედაქალაქია დამასკი, რომელიც მდე-

ბარეობს გუტას ოაზისში, 0,9 მლნ მცხოვრებით (გადმოცემის თანახმად დამასკის მახლობლად მდებარე ბაღში ცხოვრობდნენ მითიური ადამ და ევა, მცირე კლდეც იქვეა, სადაც თურმე კაენმა მოკლა აბელი). დიდი ქალაქებია: ჰალები (ან ალეპო, 0,7 მლნ), ხომსი (0,3 მლნ), ხამა (150 ათასი), აგრეთვე სირიის მთავარი ნავსადგური ლატაკია. მოსახლეობის უმეტესობას შეადგენენ: სირიელი არაბები, არიან ქურთები (0,3 მლნ), ხომხები, თურქები, თურქმენები, ჩერქეზები. საშუალო სიმჭიდროვე 1 კვ. კმ-ზე 38 კაცს უდრის, შედარებით მჭიდროდ არის დასახლებული ზღვის სანაპირო ზოლი (100 კაცი), ხოლო აღმოსავლეთითა და სამხრეთ-აღმოსავლეთით 1 კვ. კმ-ზე დაახლოებით 3 კაცი მოდის. ადმინისტრაციულად იყოფა 12 მუჰაფაზად, ოფიციალური ენა — არაბული. თუმცა მეორე ენად ფრანგული ითვლება, გაბატონებული რელიგია — მუსლიმანური (სუნი, აგრეთვე შიი, ისმაილიტები), დაახლოებით 1/6 ქრისტიანები არიან. ეროვნული დღესასწაული — სირიიდან უცხოელი ჯარების ევაკუაციის დღე — 17 აპრილი (1946) და რევოლუციის დღე — 8 მარტი (1963);

ისტორია. სირია მსოფლიოს უძველესი სახელმწიფოა. VII-VIII სს. სირია არაბთა სამყაროს ცენტრში იყო, ქალაქი დამასკი კი — არაბული ხალიფატის დედაქალაქს წარმოადგენდა. XI ს. სირიის დიდი ნაწილი თურქ-სელჯუკების გავლენის ქვეშ მოექცა, ხოლო XII-XIII სს. ევროპელმა ჯვაროსნებმა დაიპყრეს. XIII ს. ბოლოს ჯვაროსნები სირიიდან განდევნეს და ქვეყანას ეგვიპტელი მამელუკები დაეპატრონენ. 1516 წელს კვლავ თურქებმა დაიპყრეს, 1920 წლიდან კი საფრანგეთის სამანდატო ტერიტორია გახდა. ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლების შედეგად საფრანგეთის ჯარი გაყვანილ იქნა სირიიდან, 1958 წელს ეგვიპტეს შეუერთდა და მას არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკა ეწოდა. 1961 წელს აღნიშნული კავშირი დაიშალა, სამხედრო გადატრიალების შედეგად სირია დამოუკიდებელ არაბულ რესპუბლიკად გამოცხადდა. სირია არის არაბული ქვეყნების ლიგისა და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრი. სსრ კავშირთან დიპლომატიური ურთიერთობა დაამყარა 1944 წლის 22 მარტს. .

ბუნებრივი პირობები. ქვეყნის დიდი ნაწილი 200—700 მ სიმაღლის ზეგანია. დასავლეთ ნაწილს მკვეთრად გამოხატული მთიანი ხასიათი აქვს. აღმოსავლეთით დიდი ფართობი უჭირავს სირიის უდაბნოს, ჩრდილო-აღმოსავლეთით—უდაბნო ჯებირეს, ბევრია ჩამქ-

რალი ვულკანი. ხმელთაშუა ზღვის სანაპიროს მიუყვება 20-30 კმ. სიგანის დაბლობი. კლიმატი სანაპიროზე სუბტროპიკული, ხმელთაშუა ზღვის ტიპისაა. ქვეყნის ცენტრალურ ნაწილში უფრო მშრალი კონტინენტური კლიმატია ცხელი ზაფხულითა და ცივი მკაცრი ზამთრით. დამახასიათებელია ჰაერის საშუალო წლიური ტემპერატურა მთელი ტერიტორიისათვის, ხმელთაშუა ზღვის სანაპიროზე — 19°, სამხრეთ-აღმოსავლეთით — 20°, მთიან რაიონებში— 15° (1000 მ-ზე ზევით). ნალექები მეტად არათანაბრადაა განაწილებული, ხმელთაშუა ზღვის სანაპიროზე წლიურად საშუალოდ 600—900 მმ მოდის, ანსარის მთის კალთებზე—1500 მმ, მთიან რაიონებში — 1000 მმ, ხოლო სამხრეთ-აღმოსავლეთით ნალექების რაოდენობა კლებულობს და 250—100 მმ-მდე ეცემა. გაზაფხულსა და ზაფხულის დამდეგს არაბეთის უდაბნოში ქრის ცხელი ქარი ხამსინი, რომელსაც დიდძალი ქვიშის მტვერი მოაქვს და ტემპერატურა ამ დროს 10—15 გრადუსით მაღლა იწევს.

სირიის ყველაზე დიდი მდინარე ევფრატი (არაბულად შატ-ელ-ფირატ) სათავეს იღებს თურქეთში და 675 კმ მანძილზე სირიის ტერიტორიაზე მიედინება, მდინარე ხაბური (460 კმ) და დელიხი (105 კმ) წარმოადგენენ ევფრატის მარცხენა შემდინარეებს. ევფრატის შემდეგ სიგრძით მეორე მდინარეა ელ-ასი (325 კმ), რომელიც სარწყავად გამოიყენება, სამხრეთ-დასავლეთით — ბარადა (71 კმ), იგი ბუჰაირ-ალ-უტეიდის ტბაში ჩაედინება და დიდი ოაზისების მიწების მოსარწყავად გამოიყენება. იორდანიის მოსაზღვრე მდინარეა იარმუკი. სირიის ტერიტორიის დიდი ნაწილი დაფარულია უდაბნოსა და ნახევრად უდაბნოს ტიპის მცენარეულით, ზღვის სანაპიროზე ხარობს: ზეთის ხილი, ნუში, დაფნა, ოლიანდრა, კედარი, სჭარბობს კულტურული ლანდშაფტი. ოაზისებისათვის დამახასიათებელია ფინიკის პალმა და ციტრუსოვანები.

მეურნეობის მხრივ სირია საკმაოდ ჩამორჩენილია, ძლიერია უცხოეთის კაპიტალის, განსაკუთრებით საფრანგეთისა და ამერიკის შეერთებული შტატების გავლენა, რომლებიც ფაქტიურად სრულ კონტროლს უწევენ მეურნეობის წამყვან დარგებს. მეურნეობაში წამყვანია სოფლის მეურნეობა, რომლის განვითარების დონეც დაბალია, ასევე სუსტად არის წარმოდგენილი მრეწველობა. დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ სირია პირველი იყო არაბულ სახელმწიფოებს შორის, რომელიც უცხოური კაპიტალის კუთვნილი საწარმოების, რკინიგზებისა და ბანკების ნაციონალიზაციის გზას და-

ადგა. ამავე დროს ქვეყნის ბუნებრივი რესურსები სახელმწიფო კუთვნილებად გამოცხადდა. 1958 წელს ჩატარდა აგრარული რეფორმა, მიწების დიდი ნაწილი გლეხობას დაურიგდა, დაწესდა კონტროლი საგარეო ვაჭრობაზე, სოციალისტური ქვეყნების დახმარებით აშენდა მსხვილი სამრეწველო ობიექტები, მაგალითად, საბჭოთა კავშირის დახმარებით აშენდა დიდი ჰიდროენერგეტიკული კომპლექსი მდინარე ევფრატზე (რომელიც დამატებით მორწყავს 0,6 მლნ ჰექტარ მიწას უდაბნოსა და ნახევრად უდაბნოების ზონაში), ნავთობსაცავები, სასოფლო-სამეურნეო საცდელი სადგურები, რკინიგზის ხაზი ლატაკია-ყამიშლი; ჩეხოსლოვაკიის დახმარებით — ნავთობგადასამუშავებელი და შაქრის ქარხნები, ფეხსაცმლის ორი ფაბრიკა; გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის დახმარებით — ცემენტის, თამბაქოს, ფეხსაცმლის, საფეიქრო და სხვა საწარმოები; პოლონეთის დახმარებით — მექანიკური სახელოსნო, ბულგარეთის დახმარებით კი — დიდი კაშხალი „მაჰარდე“ მდ. ელ-ასიზე და სხვ.

სოფლის მეურნეობა სირიის ეკონომიკის წამყვანი დარგია, მასში ჩაბმულია დასაქმებული მოსახლეობის დაახლოებით 3/4 და იძლევა ეროვნული შემოსავლის 40%-მდე, ხოლო ექსპორტის 75—80%-ს. წამყვანია მიწათმოქმედება, დამუშავებულია მთელი ფართობის 1/3, მათ შორის მხოლოდ მცირე ნაწილი ირწყვება. მაღალი ხვედრითი წონა აქვს ხორბლის, ბრინჯის, ქერისა და შვრიის ნათესებს. ტექნიკური კულტურებიდან აღსანიშნავია: ბამბა (ძირითადად ხომსის, ხამისა და ჰაბაკის რაიონებში, წლიურად 0,4-0,3 მლნ ტ), შაქრის ჭარხალი, დიდი ფართობები უჭირავს აგრეთვე თამბაქოს, კარტოფილს, ბოსტნეულს, ზღვის სანაპიროზე საუკეთესო ადგილები გამოყენებულია ზეთის ხილისა და ვაზისათვის (წლიურად 240—260 ათასი ტ). მეცხოველეობის პროდუქცია დაბალია და ძალზე პრიმიტიული გზით ვითარდება, ამიტომ ადგილობრივ მოთხოვნილებასაც კი ვერ აკმაყოფილებს.

ისრაელის მხედრიონის დაპყრობითმა ომმა დიდი ზიანი მიაყენა სირიის მეურნეობას, დანგრეული იყო ბევრი საწარმო, რომელთა აღდგენა სოციალისტური ქვეყნების, პირველ რიგში, სსრ კავშირის დახმარებით ხდებოდა. **მრეწველობაში** წამყვანია სახელმწიფო სექტორი, უმნიშვნელოვანეს დარგებს კონტროლს უწევს სახელმწიფო, უმთავრესი სამრეწველო ცენტრებია: დამასკი, ალეპო, ხომსი, ხამა და ლატაკია.

მრეწველობის წამყვანი დარგია ნავთობგადასამუშავებელი და

საფეიქრო მრეწველობა, აღსანიშნავია ბამბის საწმენდი 60 ქარხანა და სართავ-საქსოვი ფაბრიკები, რომლებშიც ჩაბმულია მუშა-მოსამსახურეთა ნახევარზე მეტი. ამ პროდუქციას საექსპორტო მნიშვნელობა აქვს. საკმაოდ განვითარებულია კვების მრეწველობა, განსაკუთრებით ხილკონსერვების, მცენარეული ზეთისა (სელის, ზეითუნის, ქუნჯუთის) და შაქრის წარმოება. დამასკოსა და ხომსის დიდი ქარხნები კვიპროსიდან შემოზიდული შაქრის ლერწმის ნედლეულზე მუშაობენ. სირიაში მეტალურგია არ არის, ლითონი შეაქვს, აღმოჩენილია რკინის მადნის მსხვილი საბადოები, რომლის დასამუშავებლადაც ხომსში შენდება ნაგლინის ქარხანა.

სათბობ-ენერგეტიკული ბაზა ჯერ კიდევ ჩამორჩენილია, აღმოჩენილია ნავთობის საბადოები, რომლის სამრეწველო დამუშავებაც 1968 წლიდან დაიწყო, ხომსში მუშაობს საბჭოთა კავშირის დახმარებით აგებული პირველი ნავთობგადასამუშავებელი ქარხანა, რომლის წლიური წარმადობა 1 მლნ ტ აღწევს. ამას გარდა, სხვა ქარხნები ნავთობს ღებულობენ მილსადენებით ერაყიდან, სწრაფად იზრდება აგრეთვე ქიმიური მრეწველობა.

ელექტროენერგიის გამომუშავება შეადგენს 1,0 მლრდ კვტს (1974);

ტრანსპორტი და საგარეო კავშირურთიერთობანი. ტრანსპორტიც სუსტად არის განვითარებული, ტვირთბრუნვისა და მგზავრთა გადაყვანისათვის ძირითადად გამოყენებულია ავტოტრანსპორტი (ავტოგზების სიგრძე 11,700 კმ), ტვირთბრუნვაში უმნიშვნელო ადგილი უკავია რკინიგზებს (სიგრძე 1400 კმ), მათ შორის 545 კმ ფართოლიანდაგიანია. ორთქლმავალ-ვაგონების პარკის შემადგენლობა მოძველებულია. მნიშვნელოვანი ნავსადგურებია ლატაკია, ტარტუსი. საგარეო ვაჭრობას ძირითადად უცხოეთის ფლოტი აწარმოებს. დიდი მნიშვნელობა აქვს მილსადენ ტრანსპორტს, მაგალითად, ნავთობსადენები, ჯერჯერობით მთლიანად უცხო კაპიტალის ხელშია. სირიის ტერიტორიაზე გადის ხუთი ნავთსადენი მილი, მნიშვნელოვანი ნავთსადენებია კირკუკი-ბანიარი (ნაციონალიზებულია), ყარაკოკი-ტარტუსი, რომელთა საშუალებით ხდება ნავთობის გადმოქაჩვა ერაყიდან და საუდის არაბეთიდან ხმელთაშუა ზღვისაკენ. დამასკო წარმოადგენს საერთაშორისო მნიშვნელობის აეროპორტს.

საგარეო ვაჭრობა განსაკუთრებულ როლს თამაშობს ქვეყნის ეკონომიკაში. სოფლის მეურნეობის ცალმხრივი განვითარების გამო სირიას შეაქვს: საკმაო რაოდენობის სურსათი, მანქანა-მოწყობი-

ლობანი, ქიმიური და ფარმაცევტული ნაწარმი, ხე-ტყე; გააქვს: ბამბა, საფეიქრო ნაწარმი, მატყლი. დამახასიათებელია საგარეო ვაჭრობის განუხრელი ზრდა სოციალისტურ ქვეყნებთან, განსაკუთრებით სსრ კავშირთან. საგარეო ვაჭრობაში მთავარი პარტნიორები არიან აგრეთვე: ამერიკის შეერთებული შტატები, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა, საფრანგეთი, ინგლისი და იაპონია. ფულის ერთეულია სირიის გირვანქა.

კულტურა და განათლება. სირია კულტურის უძველესი ქვეყანაა. ჯერ კიდევ XIV საუკუნეში ჩვენს წელთაღრიცხვამდე სირიაში შეიქმნა დღემდე ალფაბეტთა შორის ყველაზე ძველი უგარიტის ალფაბეტი. დამასკოში არის ომეიადების ცნობილი მეჩეთი, რომლის მსგავსი ნაგებობა თურმე მთელს მუსლიმანურ სამყაროში არ მოიპოვებოდა. მეჩეთი აგებულია ძველრომაელთა ტაძრის დამასკის იუპიტერის ადგილზე. საყოველთაო სწავლება-განათლება იწყება მხოლოდ XIX საუკუნის დამდეგიდან, განსაკუთრებით მას შემდეგ, მისიონერების მოსვლა რომ დაიწყო. სირიაში ითვლება ათასზე მეტი დაწყებითი (სწავლა უფასოა) და სამასამდე საშუალო სკოლა, 40 საშუალო-სპეციალური პროფტექნიკური სასწავლებელი, 4 სპეციალური ინსტიტუტი, აგრეთვე სავაჭრო, სასოფლო-სამეურნეო, სამხატვრო, ინდუსტრიული და მუსიკალური სასწავლებლები, 9 პედაგოგიური ინსტიტუტი, დამასკსა და ხალებში ორი უნივერსიტეტი, მათ შორის უდიდესია დამასკის არაბული უნივერსიტეტი (1923), სირიის მეცნიერებათა აკადემია, არქეოლოგიური მუზეუმი, გამოდის 12 ყოველდღიური გაზეთი, აქვს საკუთარი საინფორმაციო სააგენტო, რადიომაუწყებლობა და ტელევიზია.

სახელმწიფო წყობილება. დროებითი კონსტიტუციის მიხედვით სახელმწიფოს მეთაურია პრეზიდენტი, რომელიც ერთდროულად სირიის მთელი შეიარაღებული ძალების მთავარსარდლადაც ითვლება. პრეზიდენტის არჩევნები ხდება საყოველთაო ღია კენჭისყრით. შემსრულებელი ორგანოა მთავრობა პრემიერ-მინისტრის მეთაურობით.

პოლიტიკური პარტიები. მმართველია არაბული სოციალისტური აღორძინების პარტია ბაასი (1947), არაბთა სოციალისტური კავშირი; სირიის კომუნისტური პარტია (1924). მისი ნაბეჭდი ორგანოა გაზეთი „ნიდალ აშ-შაბი („ხალხის ბრძოლა").

ტაილანდი

სახელმწიფო ტაილანდი (უწინ სიამი, მერე ტაი) მდებარეობს სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში, მას უჭირავს ინდოჩინეთის ნახევარკუნძულის ცენტრალური ნაწილი. დასავლეთით ესაზღვრება ბირმა, აღმოსავლეთით — ლაოსი და კამბოჯა, სამხრეთით — მალაიზია და სიამის უბე. აქვს გასასვლელი ანდამანის ზღვაში. ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ წაგრძელებულია 1600 კმ მანძილზე. სიამის უბეში მახვე ეკუთვნის რიგი წვრილი კუნძულები. ფართობი — 514.000 კვ. კმ, მოსახლეობა — 43 მლნ კაცი (1976), მოსახლეობა მეტად ჭრელია, უმეტესობას შეადგენენ კჰონ-ტაი (სიამელი) და ლაო (დაახლოებით 85%), არიან აგრეთვე: ჩინელები, მალაელები, კჰმერი და სხვ. საშუალო სიმჭიდროვე ნორმალურია და 1 კვ. კმ-ზე 77 კაცს აღწევს. დედაქალაქია ბანგკოკი (4,0 მლნ მცხოვრებით გარეუბნებითა და თანამგზავრ ქალაქ ტომბერით, მდინარე ჩაო-პრაიაზე); ბანგკოკი მსოფლიოში ყველაზე გრძელი ქალაქია, განლაგებულია მდინარე მეკონგის ორსავე მხარეზე და წაგრძელებულია 120 კმ-ზე. დიდი ქალაქებია აგრეთვე: ნაკონ-რატჩარიმა, შუნგმაი, უბონი. ადმინისტრაციულად იყოფა 72 ჩანგვადად (პროვინციად), ოფიციალური ენა — ტაი (ჩინურ-ტიბეტურ ენათა ოჯახიდან), გაბატონებული რელიგია — ბუდიზმი, ეროვნული დღესასწაული — მეფის დაბადების დღე — 5 დეკემბერი (1927).

ისტორია. სახელმწიფო ტაი შეიქმნა XIV საუკუნეში. XIX საუკუნიდან მისი ტერიტორია ხდება ქიშპობის საგანი ინგლის-საფრანგეთსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის. 1855 წელს კაპიტალისტურმა ქვეყნებმა ტაის თავს მოახვიეს პირველი არასწორუფლებიანი ხელშეკრულება, რომლის თანახმად ტაი ნახევრად კოლონიად გადაიქცა. 1932 წლამდე იყო განუსაზღვრელი მონარქია, შაგრამ ბურჟუაზიული რევოლუციის შემდეგ მეფის უფლებები მნიშვნელოვნად შეიზღუდა. მეორე მსოფლიო ომის პერიოდში ტაი ოკუპირებული იყო იაპონელების მიერ. 1947 წელს ტაისა და სსრ კავშირს შორის დამყარდა დიპლომატიური ურთიერთობა.

ბუნებრივი პირობები. ტერიტორიის დიდი ნაწილი ვაკე-დაბლობია. ცენტრალური ნაწილი უკავია მდ. მენამის დაბლობს, რომელიც ყველაზე მეტადაა ათვისებული და დასახლებული. დიდი დაბლობი აღმოსავლეთით გადადის კორაპის პლატოსა და კარდამონის მთათა ჯაჭვში, სადაც არის უმაღლესი მწვერვალი დოი-ინტანონი

(2576 მ), სწორედ ამ მთებზე გადის ბირმა-ტაილანდის საზღვარი. ჩრდილო-დასავლეთი ნაწილი მთიანია და ცნობილია კუნ-ტანის სახელწოდებით, სამხრეთ ნაწილი კი უჭირავს მიწის ვიწრო ზოლს, რომელიც კრას ყელის სახელწოდებითაა ცნობილი. აქ არის ყველაზე ვიწრო ადგილი (50 კმ), რომელიც ინდოეთის ოკეანეს სიამის ყურისაგან გამოყოფს. ტაილანდის აღმოსავლეთი ნაწილი მოიცავს ყველაზე მაღალ მთიანეთს — პლატო კორატს, რომლის საშუალო სიმაღლე 500 მეტრს აღემატება.

ტაილანდი მთლიანად ტროპიკულ ზონაში მდებარეობს, ამიტომ კლიმატიც ტროპიკული და მუსონურია. ზამთარი, ჩვენი გაგებით, არ არსებობს, თოვლი თვით მთიან ნაწილებშიც კი არ მოდის. ყველაზე ცივი თვის (XII) საშუალო ტემპერატურა უდრის 24° (ბანგკოკში), ყველაზე თბილი თვის (IV) — 29°; მკვეთრად გამოირჩევა ორი სეზონი — წვიმიანი (V-X თვეებში), გრძელდება დაახლოებით 175-დან 236 დღემდე და შშრალი სეზონი (II-XI თვეებში). რელიეფი არსებით გავლენას ახდენს კლიმატზე, იცავს ტაილანდის ტერიტორიას ჰაერის ცივი მასების შემოჭრისაგან. დასავლეთით მდებარე მთები კი აკავებენ ინდოეთის ოკეანიდან წამოსულ სამხრეთ-დასავლეთის ნოტიო ქარებს, ამიტომ ტაილანდი თვით წვიმების პერიოდშიც უფრო ნაკლებ ნალექს ღებულობს, ვიდრე სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის სხვა ქვეყნები. ტაილანდის ცენტრალურ ნაწილს რწყავს მდინარე მენამი (სიგრძე 1200 კმ, ტაილანდის ტერიტორიაზე 800 კმ), რომლის ადგილობრივი სახელწოდებაა ჩაო-პრაია ე. ი. „მდინარის დედა". ეს ერთადერთი სანაოსნო მაგისტრალია, რომელზედაც ხდება აგრეთვე დაცურება, გამოიყენება როგორც სასმელი და ტექნიკური წყალი, იჭერენ თევზს, წყალმცენარეებს, ქვემო წელში იცის ადიდება და დიდ ზიანს აყენებს მოსახლეობას. აღმოსავლეთ ტაილანდში ლაოსის საზღვარზე 400 კმ მანძილზე მიედინება დიდი მდინარე მეკონგი, რომელიც დიდძალ ჭორომებს ქმნის და მხოლოდ დასაცურებლად გამოიყენება.

ტაილანდის მთელი ფართობის 3/5 ნაწილი დაფარულია ტროპიკული მცენარეებით, რომელთა სახეობის რაოდენობით ტაილანდს მსოფლიოში ბადალი არ მოეპოვება (დიდძალი ფიკუსები, პანდანუსი, ქაფურის, ქინაქინის, კაუჩუკის, ლაქის, წითელი და შავი, რკინის ხე). ფაუნისათვის დამახასიათებელია: ადამიანისმაგვარი მაიმუნების არსებობა, გიბონისა და ორანგუტანგის სიმრავლე, ციყვების, მფრინავი ღამურების დიდი რაოდენობა. გვხვდება აგრეთვე: ვეფხვი, ლე-

ოპარდი, გარეული კატა, გარეული ხარი გაური და ბანტენგი, დიდ-ძალი ფრინველი, ქვეწარმავალი, მწერი. ტაილანდი ინდო-მალაიას-თან ერთად ბევრი შინაური ცხოველისა და ფრინველის სამშობლოა, მაგალითად, კამეჩის, კუზიანი ხარი ზებუსი, ფრინველებიდან შინაური ქათმის, ფარშევანგის, მწერებიდან — ფუტკრისა და სხვ.

მეურნეობის მხრივ ტაილანდი ტიპური აგრარული ქვეყანაა და ფაქტიურად მისი ეკონომიკა მსხვილი კაპიტალისტური ქვეყნების უშუალო გავლენის ქვეშაა. მეურნეობის წამყვანი დარგებია მიწათ-მოქმედება და სამთომოპოვებითი მრეწველობა, **სოფლის მეურნეობაში** ჩაბმულია თვითმოქმედი მოსახლეობის 4/5-ზე მეტი. სოფ-ლის მეურნეობის საფუძველია ნატურალური კაუჩუკის წარმოება და მისი ექსპორტი. ტაილანდში კაუჩუკის ხე ჩინელებმა XX ს. დამ-დეგს შეიტანეს. დღეისათვის ჰევეა-კაუჩუკის ფართობი დაახლოებით 0,7 მლნ ჰა-ს აღწევს, წლიური წარმოება 0,3-0,4 მლნ ტონას. კაუ-ჩუკის წარმოებითა და ექსპორტით ტაილანდი მესამე ადგილზეა მსოფლიოში.

მეორე საექსპორტო კულტურაა ბრინჯი ანუ ადგილობრივ უწო-დებენ „თეთრ ოქროს“ და უკავია დამუშავებული ფართობის და-ახლოებით 3/4. ბრინჯი თითქმის ერთადერთი საარსებო წყაროა ტა-ილანდის მოსახლეობისათვის. ნათესები ძირითადად განლაგებულია მდინარე მენამის დაბლობზე (8,0 მლნ ჰა), წლიური მოსავალი 13,5-14,0 მლნ ტონას შეადგენს. მთელი მოსავლის თითქმის მესამედზე მეტი საზღვარგარეთ გააქვთ.

დიდი მნიშვნელობა აქვს მეხილეობას, მთელ სამხრეთ-აღმოსავ-ლეთ აზიაშია გავრცელებული ცნობილი მანგო, ციტრუსოვანები, პა-პაია (პესვის ხე), მოჰყავთ აგრეთვე შაქრის ლერწამი, თამბაქო, ჩაი, გარკვეული მნიშვნელობა აქვს შავი პილპილის წარმოებასა და კოპ-რის დამზადებას ქოქოსის პალმისაგან. მეცხოველეობა უფრო მეტად განვითარებულია კორატის ზეგანზე. მსხვილფეხა რქოსანი საქონე-ლი ძირითადად გამწევ ძალად გამოიყენება, უფრო მეტად განვითა-რებულია მეკამეჩეობა, მეღორეობა, რომელთაც აგრეთვე საექსპორ-ტო მნიშვნელობა აქვთ, ზღვის სანაპიროზე მისდევენ თევზჭერას.

ტაილანდისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს სატყეო მეურნეო-ბას. დიდი ფართობები უკავია ძვირფასი ჯიშის ხეებს, როგორები-ცაა: ტიკი (წლიურად დაახლოებით 300 ათასი $მ^3$), იანგი — 500 ათა-სი $მ^3$, წითელი ხე, რკინის ხე და სხვ. წლიურად ამზადებენ საშუა-

ლოდ 2,4-2,5 მლნ მ³ მერქანს. მერქნის დამზადებითა და ექსპორტით ტაილანდი მესამე ადგილზეა მსოფლიოში.

მრეწველობიდან განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს წიაღისეული სიმდიდრეების დამუშავებას. ტაილანდი ერთ-ერთი მწარმოებელი და დიდი ექსპორტიორია კალისა (პირველი ადგილი მსოფლიოში), რომლის მოპოვებაც ხდება მდინარე პუკეტის ხეობაში და გამოირჩევა თავისი მაღალი ხარისხით (65% ლითონის შეცულობით). ტაილანდს წლიურად უცხოეთში გააქვს დაახლოებით: 30 ათასი ტ კალა (გამოდნობა ძირითადად ხდება მალაკაში), 26 ათასი ტ რკინის მადანი, 30 ათასი ტ მანგანუმი, 1800 ტ ვოლფრამი, 3 ათასი ტ ტყვია, აგრეთვე მდნობი შპატი (370 ათასი ტ), სურმა, მურა ნახშირი, ფლუორიტი და სხვ. სამთომოპოვებითი მრეწველობის ხვედრითი წონა ექსპორტის ღირებულებაში თითქმის 40%-ს შეადგენს. შეიქმნა ახალი დარგი — ნავთობგადასამუშავებელი მრეწველობა.

მრეწველობის დანარჩენი დარგებიდან დიდი მნიშვნელობა აქვს კოპრის დამამზადებელ, კვების, ხე-ტყის საწარმოებს (მათ შორის საფეიქროსა და სხვ.). ტაილანდი ცნობილია მსოფლიოში ფერადი აბრეშუმის ქსოვილების დამზადებით, ფაიფურის ნაწარმით, ხეზე კვეთილობით. ბამბეულისა და პალმის ფოთლების ბოჭკოსაგან დამზადებული ნაწარმით. უმთავრესი საწარმოების თითქმის 1/3 თავმოყრილია ბანგკოკში. სწრაფად ფართოვდება უცხოური ტურიზმი, ელექტროენერგიის გამომუშავება 600 მლნ კვტს შეადგენს.

ტრანსპორტი და საგარეო კავშირურთიერთობანი. ტაილანდში ტრანსპორტი სუსტად არის განვითარებული, ტვირთბრუნვისა და მგზავრთა გადაყვანის 2/3-ზე მეტი სამდინარო ტრანსპორტზე მოდის. სანაოსნო გზებისა და არხების სიგრძე 3200 კმ აღწევს, რკინიგზებისა — 3700 კმ, ავტოგზებისა — 12.500 კმ. დიდი მნიშვნელობა აქვს საზღვაო ტრანსპორტს, საგარეო კავშირურთიერთობანი უცხოეთის ფლოტით ხდება. ტაილანდს აქვს 22 ნავსადგური, მათგან ყველაზე დიდი და მნიშვნელოვანია ბანგკოკი მდ. მენამზე, მასზე მოდის ტაილანდის ექსპორტისა და იმპორტის ნახევარზე მეტი. მნიშვნელოვანი ნავსადგურებია აგრეთვე: ტუნგმაპრა

, კანკანგი, პჰკუტი. არის საერთაშორისო აეროპორტი — ბანგკოკში. განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება კრას არხს. ნახევარკუნძულის ყველაზე ვიწრო ადგილს კრა ეწოდება, მისი სიგრძე 40 კმ-ია და ზღვის დონიდან 500 მეტრზე მაღლა მდებარეობს. არხს ნაოსნობისათვის უდი-

დესი მნიშვნელობა ექნება, მაგალითად, ბირმის დედაქალაქ რანგუნიდან ტაილანდის დედაქალაქ ბანგკოკამდე მანძილი 3 300 კმ მცირდება, ხოლო ინდოეთიდან ჩინეთამდე დაახლოებით 1500 კმ-ია. ტაილანდის მთავრობამ არხის პროექტის შედგენა ამერიკელ ინჟინერს ე. ტალერს შეუკვეთა, არხი 10 წელიწადში უნდა აშენდეს. არხისა და ნავსადგურის მშენებლობა დაახლოებით ერთი მილიარდი დოლარი დაჯდება. ორივე მხარეს აშენდება დიდი ტვირთგადამტანი ნავსადგურები, აგრეთვე მსხვილი ნავთობგადასამუშავებელი ქარხნები. არხი თითქმის 1 მლნ ტ წყალწყვის გემებს გაატარებს.

ტაილანდის ექსპორტის მთავარი საგნებია: კაუჩუკი, ბრინჯი, ძვირფასი ჯიშის მერქანი, შებოლილი თევზი და სხვ. შეაქვს: საფეიქრო ნაწარმი, ნავთობპროდუქტები, სამრეწველო საქონელი, ვაჭრობაში მთავარი პარტნიორები არიან: ინგლისი, იაპონია, ამერიკის შეერთებული შტატები, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა, ფულის ერთეულია ბატი (ტიკალი).

განათლება. ტაილანდში ითვლება 24 ათასი დაწყებითი და 10 ათასი საშუალო სკოლა, მათ შორის ბევრია პროფტექნიკური და სამასწავლებლო სასწავლებლები. სწავლება მიმდინარეობს ტაის, ინგლისურ და ჩინურ ენებზე. არის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი, 12 უმაღლესი სასწავლებელი, ეროვნული მუზეუმი და მსხვილი ბიბლიოთეკა ბანგკოკში. გამოდის 21 ყოველდღიური და 8 კვირეული გაზეთი, აქვს საკუთარი რადიომაუწყებლობა, ტელევიზია და საინფორმაციო სააგენტო.

სახელმწიფო წყობილება. ტაილანდი კონსტიტუციური მონარქიაა, თუმცა მეფეს პრაქტიკულად არ გააჩნია საკანონმდებლო ინიციატივა. სახელმწიფოს მეთაურია მეფე, მასთან არის საიდუმლო საბჭო (9 კაცი), საკანონმდებლო ორგანო ეროვნული კრება, აღმასრულებელი ძალაუფლება ეკუთვნის მეფის მიერ დანიშნულ პრემიერ-მინისტრს. მთავრობის წევრებს პალატის წევრებად არ ირჩევენ.

პოლიტიკური პარტიების საქმიანობა 1973 წლიდან აკრძალულია.

ფილიპინი

კუნძულოვანი სახელმწიფო ფილიპინი მდებარეობს სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში და წარმოადგენს კუნძულთა ჯაჭვს წაგ-

რძელებულს ჩრდილო-დასავლეთიდან სამხრეთ-აღმოსავლეთით 1800 კმ-ზე. სანაპირო ხაზი ძალზე შეჭრილ-შემოჭრილია და სიგრძე 18 ათას კმ აღწევს. არქიპელაგში დაახლოებით 7100 კუნძული ითვლება, მათ შორის დასახლებულია 800. გამოირჩევა 10 დიდი კუნძული: ლუსონი (ფართობი 105.000 კვ. კმ), მინდანაო (ფართობი 95.000 კვ. კმ), სამარი, ნეგროსი, პალავანი, პანაი, მინდორო, ლეიტე, ბოჰოლო, მასბატე; წვრილი კუნძულებიდან აღსანიშნავია სებუ და მაქტანა. ამ ორი კუნძულის მცხოვრებთა ბრძოლის დროს 1521 წელს დაიღუბა ფერნანდო მაგელანი და მისი ბევრი თანამგზავრი. არქიპელაგის საერთო ფართობი 300.000 კვ. კმ აღწევს, მოსახლეობა — 425 მლნ კაცს (1975), უმეტესობას შეადგენენ მალაელი ტომები, რომლებიც ოთხმოცდაათ ენასა და დიალექტზე ლაპარაკობენ. 2/5-ზე მეტს შეადგენენ ტომი ვისაია (40%), ტაგალი (20%), ილოკი, ბიკოლი, პანგასინანე, კატაიანე, იბანანგე. ქვეყნის უძველესი მოსახლეობაა ნეგრიტოსები, ქალაქად არიან ჩინელები, პაკისტანელები, ინდოელები, ევროპელები. საშუალო სიმჭიდროვე 1 კვ. კმ-ზე მაღალია და 140 კაცს აღწევს. მოსახლეობის განლაგება მეტად არათანაბარია. შედარებით მჭიდროდ დასახლებულია კუნძულები სებუ და ბოჰოლი, სხვა კუნძულების საშუალო სიმჭიდროვე 120 კაცს არ აღემატება.

დედაქალაქია კესონ-სიტი (1 მლნ მცხოვრებით), ფაქტიური დედაქალაქია ყველაზე დიდი ქალაქი ნავსადგური **მანილა** (3,7 მლნ), ქალაქად ცხოვრობს მოსახლეობის მხოლოდ 15%. დიდი ქალაქებია: სებუ (200 ათასი მცხოვრებით), ილოილო (150 ათასი), პასაი (110 ათასი), ადმინისტრაციულად იყოფა 56 პროვინციად, ოფიციალური ენა — ტაგალოგი და ინგლისური, გაბატონებული რელიგია — კათოლიციზმი (80%-მდე), არიან მუსლიმანებიც (ძირითადად კუნძულ მინდანაოზე), ეროვნული დღესასწაული — დამოუკიდებლობის გამოცხადების დღე —12 ივნისი (1898) და რესპუბლიკის გამოცხადების დღე — 4 ივლისი (1946).

ისტორია. კუნძულების აღმოჩენად ითვლება ფერნანდო მაგელანი, რომელიც ქვეყნის გარშემო მოგზაურობის დროს 1521 წელს მიადგა ამ კუნძულებს. 1565—1571 წწ. ესპანეთმა მთლიანად დაიპყრო ყველა კუნძული, მაგრამ 1898 წლის აჯანყების შედეგად ესპანეთის ბატონობას ბოლო მოეღო. ერთი წლის შემდეგ ამერიკის შეერთებულმა შტატებმა ფილიპინის არქიპელაგი თავის სამფლობელოდ გამოაცხადა. მეორე მსოფლიო ომის დროს არქიპელაგი ოკუ-

პირებულ იქნა იაპონელთა მიერ. 1946 წელს ფილიპინი რესპუბ-ლიკად ვამოცხადდა. სსრ კავშირთან დიპლომატიური ურთიერთობა არა აქვს.

ბუნებრივი პირობები. ფილიპინის არქიპელაგში 4500 კუნძულს არა აქვს სახელწოდება, ისინი წარმოადგენენ კლდეს ან მარჯნის რიფს. არქიპელაგს ჩრდილოეთიდან და ჩრდილო-აღმოსავლეთიდან ეკვრის სამხრეთ ჩინეთის ზღვა, აღმოსავლეთიდან წყნარი ოკეანე. სულუსა და ცელებესის ზღვები ფილიპინს გამოყოფს კალიმანტანისა და სულავესის კუნძულებისაგან.

არქიპელაგის დიდი ნაწილი მთიანია, ყველაზე დიდი ფართობი უჭირავს და ეკონომიურად განვითარებული კუნძულია ლუსონი. კუნძული მთიანია, მისი აღმოსავლეთი ნაწილი უჭირავს ცენტრალური კორდილიერის მთიან სისტემას უმაღლეს მწვერვალ პულოგით (2930 მ), დასავლეთით ილოკოს ვრცელი დაბლობია, სამხრეთ ნაწილში — ბევრი მოქმედი ვულკანი.

კუნძული მინდანაოც მთიანია, აქ არის ფილიპინის ყველაზე მაღალი მწვერვალი აპო (2955 მ). კუნძული ჯერ კიდევ სუსტად არის გამოკვლეული და ათვისებული, ბევრია გამოუყენებელი მიწები, აქვეა ფილიპინის ყველაზე გრძელი მდინარე პულანგი (სიგრძე 550 კმ).

კუნძულების კლიმატი ძირითადად ზღვაურია, ტროპიკული, ტიპური მუსონური, ზამთარი ჩრდილო-აღმოსავლეთით უფრო გრილია. ზაფხულობით სპარბობს სამხრეთ-დასავლეთური ქარები. დამახასიათებელია დიდძალი ნალექი. წლიურად 100-დან 4000 მმ-მდე, ყველაზე ცხელი თვის (II) საშუალო ტემპერატურა უდრის 29°. ზაფხულში სოფლის მეურნეობისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს მუსონებს, რადგან საველე სამუშაოები ძირითადად მასთანაა დაკავშირებული. ყველაზე ცივი თვის — დეკემბრის საშუალო ტემპერატურა უდრის 26-27°. ხშირია გამანადგურებელი გრიგალი — ტაიფუნი, რომელიც დიდ ზიანს აყენებს მოსახლეობასა და მეურნეობას. ფილიპინის ტერიტორიის თითქმის ნახევარი დაფარულია ტროპიკული ტყეებით.

მეურნეობის მხრივ ფილიპინი სუსტად განვითარებული აგრარული ქვეყანაა. ბუნებრივი სიმდიდრეებიდან პირველხარისხოვანი მნიშვნელობა აქვს ძვირფასი ჯიშის ხეებს, ჰიდროენერგორესურსებს და წიაღისეულ სიმდიდრეებს. მეურნეობაში გაბატონებულია ამე-

რიკის შეერთებული შტატების კაპიტალი, განსაკუთრებით სამთო-მოპოვებით მრეწველობაში.

სოფლის მეურნეობაში ჩაბმულია თვითმოქმედი მოსახლეობის დაახლოებით 3/5, ხოლო დამუშავებული ფართობის ნახევარზე მეტი უპირავს საექსპორტოდ განკუთვნილ კულტურებს. წამყვანია ქოქოსის პალმის გაშენება. ფილიპინი იძლევა კოპრას მსოფლიო წარმოების დაახლოებით 2/3 და ამ მხრივ პირველ ადგილზეა მსოფლიოში, წლიურად საშუალოდ მზადდება 1,5-1,6 მლნ ტ კოპრა. დიდი მნიშვნელობა აქვს აბაკას (მანილის ქერელა) ნათესებს. იგი გამოიყენება ბოჭკოს უხეში ქსოვილების დასამზადებლად და ფილიპინზე მოდის აბაკას მსოფლიო წარმოების 9/10-ზე მეტი (140 ათასი ტ). საექსპორტო და საკმაოდ გავრცელებულია შაქრის ლერწამი. დანარჩენი კულტურებიდან გარკვეული მნიშვნელობა აქვს ბრინჯის თესვას (წლიურად 5,0-5,5 მლნ ტ). სოფლის მეურნეობის ცალმხრივი განვითარების გამო საკუთარი სურსათი არ ყოფნის და შეაქვს. ადგილობრივი მნიშვნელობა აქვს მეცხოველეობასა და მეთევზეობას.

დამუშავებითი **მრეწველობა** წარმოდგენილია შაქრის, თამბაქოს, ქოქოსის ზეთის, ხე-ტყის, საფეიქრო და სხვა საწარმოებით. ბანგკოკში არის ავტოამწყობი (წლიურად 16 ათასი მსუბუქი და 15 ათასი სატვირთო ავტომანქანა) და მსხვილი ნავთობგადასამუშავებელი ქარხნები. მრეწველობაში წამყვან ადგილს იკავებს და საექსპორტო მნიშვნელობა აქვს სამთომოპოვებით მრეწველობას. ფილიპინში ხდება მაღალხარისხოვანი ქრომიტის (0,6 მლნ ტ), სპილენძის (230 ათასი ტ), ოქროს (600 ათასი უნცია), ვერცხლის (1,7 მლნ უნცია), რკინის მადნისა (2,3 მლნ ტ) და სხვათა მოპოვება. ელექტროენერგიის გამომუშავება შეადგენს 8 მლრდ კვტს.

ტრანსპორტი და საგარეო კავშირურთიერთობანი. შიდა ტრანსპორტი კუნძულებს შორის ხდება მოტორიანი და აფრებიანი ნავებით, საგარეო ვაჭრობას ძირითადად მომსახურებას უწევს უცხოეთის ფლოტი. მთავარი ნავსადგურია მანილა. რკინიგზების სიგრძე 1200 კმ-ია. ფილიპინს გააქვს: ქოქოსის პალმის პროდუქცია, შაქარი, ძვირფასი ხე-ტყე, ქრომიტი; შეაქვს: ნავთობი, სურსათი, საწრეწველო საქონელი. საგარეო ვაჭრობაში მთავარი პარტნიორები არიან: ამერიკის შეერთებული შტატები, იაპონია, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა, საუდის არაბეთი. ფულის ერთეულია ესო.

განათლება. ჯერ კიდევ დიდია წერა-კითხვის უცოდინართა რაოდენობა (60%-მდე). ფილიპინში ითვლება 30 ათასი დაწყებითი,

2100 საშუალო და ტექნიკური სკოლა, უნივერსიტეტი (კესონ-სიტიში), რომელიც ძირითადად საშუალო სკოლის მასწავლებლებს ამზადებს, არის საეკლესიო და კერძო უნივერსიტეტები, ორი ტექნოლოგიური ინსტიტუტი, თორმეტი უნივერსიტეტი, ეროვნული მუზეუმი და მსხვილი ბიბლიოთეკა მანილაში, გამოდის 19 ყოველდღიური და კვირეული გაზეთი, არის საინფორმაციო სააგენტო, რადიომ. უწყებლობა და ტელევიზია.

სახელმწიფო წყობილება. 1973 წლის კონსტიტუციის მიხედვით ფილიპინი რესპუბლიკაა. სახელმწიფოს მეთაურია პრეზიდენტი, რომელსაც ირჩევენ 6 წლით, მაგრამ არა უმეტეს 12 წლისა, საკანონმდებლო ორგანოა ეროვნული კრება, რომელიც შედგება ერთპალატიანი პარლამენტისაგან. აღმასრულებელია თვით პრეზიდენტი და მის მ. ერ დანიშნული მთავრობა.

პოლიტიკური პარტიები. მმართველი იყო ნაციონალისტების პარტია (1907), რომელიც იცავდა ეროვნული ბურჟუაზიისა და მემამულეების ინტერესებს; ლიბერალური პარტია (1946). გამოდიოდა კომპრადორული ბურჟუაზიისა და მემამულეების ინტერესებიდან. დანარჩენი პარტიების საქმიანობა 1972 წლიდან აკრძალულია.

შრი-ლანკა

სახელმწიფო შრი-ლანკა (1972 წლამდე ცეილონი) მდებარეობს ამავე სახელწოდების კუნძულზე ინდოეთის ოკეანეში, ზედ ეკვატორზე, ინდუსტანის ნახევარკუნძულისაგან გამოყოფილია 60 კმ სიგანის პოლკის სრუტით, რომელზედაც კონტინენტისა და კუნძულის შემაერთებელი ბორანია აგებული („ადამის ხიდი"). კუნძულის სიგრძეა ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ — 432 კმ, მაქსიმალური სიგანე დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ —224 კმ, ფართობი — 65.500 კვ. კმ, მოსახლეობა—15 მლნ-მდე კაცი (1975). ძირითადი მასაა სინგალები (10 მლნ კაცი), აგრეთვე ტამილები, კუნძულის უძველესი მცხოვრებნი ვედები, მავრები (არაბებისა და ადგილობრივ მუსლიმანთა შთამომავალნი), დედაქალაქია — **კოლომბო** (0,7 მლნ მცხოვრებით), სიმჭიდროვე საკმაოდ მაღალია და 1 კვ. კმ-ზე 215 კაცს აღწევს, ქალაქად ცხოვრობს მოსახლეობის 1/3, ადმინისტრა-

ცულად იყოფა 9 პროვინციად, ოფიციალური ენა —სინგალი, გაბატონებული რელიგია — ბუდიზმი (2/3-ზე მეტი), არიან ინდუისტები (ტამილების რაიონი), ქრისტიანები, მაჰმადიანები. ეროვნული დღესასწაულებია: დამოუკიდებლობის გამოცხადების დღე — 4 თებერვალი (1948 წ.) და რესპუბლიკის გამოცხადების დღე — 22 მაისი (1972 წ.). დიპლომატიური ურთიერთობა სსრ კავშირთან დაამყარა 1957 წლის 19 თებერვალს.

ისტორია. ცეილონის კუნძული უკანასკნელი ოთხი წლის განმავლობაში სხვადასხვა სახელმწიფოების სამფლობელოს წარმოადგენდა: 1517—1656 წწ. დაპყრობილი ჰქონდათ პორტუგალიელებს, რომლებიც 1656—1798 წწ. ჰოლანდიელებმა შეცვალეს, 1798-1948 წლამდე კუნძული ინგლისის სამფლობელოს წარმოადგენდა, 1948 წელს დომინიონის სტატუსი მიიღო, 1972 წლის 22 მაისს კი — გამოცხადდა თავისუფალ და სუვენერულ რესპუბლიკად და ცეილონის ნაცვლად სახელმწიფოს შრი-ლანკა ეწოდა. იგი შედის ბრიტანეთის ერთა თანამეგობრობაში (ს. ს. ორბელიანს მოხსენიებული აქვს „ცეილონ კუნძული ინდოთა“).

ბუნებრივი პირობები. კუნძულის რელიეფი ძირითადად მოსწორებულია. ბუნებრივი პირობების მიხედვით, შრი-ლანკა იყოფა ცენტრალურ და მთიან ნაწილად. კუნძულის დაახლოებით 1/5 ნაწილი მთიანია, სჭარბობს დაბლობები, ცენტრალურ მთიანეთში არის უმაღლესი მწვერვალი ადამის პიკი (2524 მ) და ვულკანი პიდუროტალაგალა. სანაპირო ხაზი განუვითარებელია, თითქმის ყოველი მხრიდან გარს აკრავს მარჯნის რიფები. კლიმატი ეკვატორული, მუსონურია, კლიმატური ნიშნების მიხედვით კუნძულზე მკვეთრად გამოიყოფა ორი არეალი: ჩრდილო-აღმოსავლეთი—მშრალი კლიმატით, სამხრეთ-დასავლეთი—ნოტიო ტროპიკული კლიმატით. საშუალო წლიური ტემპერატურა კოლომბოში 28°-ია, ტირიკუნამალიაში (ყოფ. ტრინკომალი) — 30°. ნალექების რაოდენობა საკმაოდ დიდია და 2 ათასიდან 5 ათას მმ-მდეა. მდინარეები ცოტაა, მათი რეჟიმი ძირითადად დამოკიდებულია მუსონური წვიმებისაგან. მთავარი მდინარეა მაჰაველი-განგა (330 კმ სიგრძით), რომელიც მოსარწყავად და წყალსატევებისათვის გამოიყენება.

დიდი ფართობები უჭირავს ტროპიკულ ტყეებს, ქალაქი პერადენი განთქმულია თავისი უნიკალური ბოტანიკური ბაღით. ცხოველთა სამყაროსათვის დამახასიათებელია გარეული სპილო, გარეული კამეჩი, ლეოპარდი, გარეული კატა (ვივერა), მანგუსტა—გვე-

ლისმჭამელი მცირე ზომის ცხოველი, ძალიან ბევრია ლემური, მაიმუნი, განსაკუთრებით მრავლრიცხოვანია ფრთოსანთან სამყარო. ფაუნის დაცვის მიზნით არსებობს სამი სახელმწიფო ნაკრძალი.

მეურნეობა. შრი ლანკა ტიპური აგრარული ქვეყანაა. ხორციელდება სახალხო მეურნეობის განვითარების მორიგი ხუთწლიანი გეგმა (1972-76 წწ.) **სოფლის მეურნეობაში** ჩაბმულია თვითმოქმედი მოსახლეობის ნახევარზე მეტი და სპეციალიზებულია საექსპორტოდ განკუთვნილი სამი სასოფლო-სამეურნეო კულტურის — ჩაის, ქოქოსის პალმისა და კაუჩუკოსნების წარმოებაზე. აღნიშნული სამი კულტურის ხვედრითი წონა ძვირფას ქვებთან ერთად ექსპორტის ღირებულებაში 90%-ს შეადგენს. ინგლისელი კოლონიზატორების მიერ თავზემოხვეული სოფლის მეურნეობის ცალმხრივი განვითარება გამუდმებით ქმნის სურსათის დეფიციტს.

შრი ლანკა იძლევა მსოფლიო ჩაის წარმოების დაახლოებით 30%, გამოირჩევა უმაღლესი ხარისხითა და წლიურად ამზადებს 210-220 ათას ტონა მაღალხარისხოვან ჩაის. ფართოდ არის გავრცელებული კაუჩუკოვანი მცენარეები. წლიურად გააქვს დაახლოებით 150-160 ათასი ტ კაუჩუკი. განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ქოქოსის პალმას. საქმე იმაშია, რომ ქოქოსის პალმა იძლევა არა მარტო შესანიშნავ ზეთს, არამედ საექსპორტო კოპრასაც. ამას გარდა, ნარჩენებისაგან მზადდება პუნაკი — შესანიშნავი ნოყიერი საკვები პირუტყვისათვის (თუმცა საძოვრების სიმცირის გამო მეცხოველეობის განვითარება ერთობ შეზღუდულია). ნაყოფი გამოიყენება აგრეთვე ალკოჰოლიანი სასმელების მისაღებად (არკა, ტოლი), ძმრის დასამზადებლად, ბოჭკოს უხეში ქსოვილის წარმოებაში და სხვ.

დანარჩენი კულტურებიდან ყველაზე მეტად გავრცელებულია ბრინჯი (წლიურად 1,0-1,5 მლნ ტ, მაგრამ საკუთარი წარმოების ბრინჯი არ ყოფნის და შეაქვს), შაქრის ლერწამი, ბამბა, თამბაქო, ციტრუსოვანები, განსაკუთრებით აღსანიშნავია შრი ლანკას ცნობილი შავი პილპილი, რომლის ექსპორტიორიც არის (წლიურად 6-7 ათასი ტ).

ქვეყნის ეკონომიკაში დიდი ხვედრითი წონა აქვს სამთომოპოვებით მრეწველობას. შრი ლანკა მსოფლიო ექსპორტიორია მაღალხარისხოვანი ტიგელის გრაფიტისა (წლიურად დაახლოებით 25-27 ათასი ტ), ხდება რკინის მადნის მოპოვება ღია წესით (5-6 მლნ ტ), ამას გარდა, მზადდება შავი და ტორიუმის ქვიშები (ნედლეული რა-

დიაქტიული ელემენტებისათვის), შავი ქვიშები შეიცავენ 75% ილმენიტს, 12% რუტილს. შრი ლანკა ძველთაგანვე ცნობილია თავისი ძვირფასი ქვების მოპოვებით, რომელიც დიდი რაოდენობით გადის უცხოეთში.

გადამამუშავებელი მრეწველობა წარმოდგენილია ძირითადად კვებისა და საფეიქრო მრეწველობის საწარმოებით, ასე, მაგალითად, შრი ლანკაში ითვლება ათასამდე ჩაის ფაბრიკა, 600 კაუჩუკის პირველადი დამუშავების საწარმო, 300-მდე ქოქოსის ზეთისა და ბოჭკოს დამამზადებელი საწარმო, არის აგრეთვე თამბაქოს, საკონსერვო და ცემენტის საწარმოები. სსრ კავშირის დახმარებით ქალაქ ორუველში აშენდა მეტალურგიული კომბინატი (წლიურად 60 ათასი ტ ნაგლინი) და საბურავების ქარხანა ქალაქ კელანდში (წლიურად 0,4 მლნ ცალი), არის მსხვილი ჰიდროელექტროსადგურები მდინარე მაჰაველსა და ვალავაზე. დღემდე დიდი მნიშვნელობა აქვს შინახელოსნობას. ელექტროენერგიის გამომუშავება შეადგენს მილიარდ კვტს. მუშავდება საკუთარი თევზსაჭერი ფლოტის შექმნის გეგმა. შრი ლანკა დიდ შემოსავალს ღებულობს უცხოური ტურიზმისაგან.

ტრანსპორტი და საგარეო კავშირურთიერთობანი. რკინიგზების სიგრძე 173 კმ უდრის, ავტოგზებისა — 25 ათასი კმ-ს. შრი ლანკა საზღვაო ქვეყანაა, ამიტომ ექსპორტსა და იმპორტს მთლიანად ინგლისის სავაჭრო ფლოტი აწარმოებს. უდიდესი ნავსადგურია კოლომბო, რომელზედაც მოდის მთელი ტვირთბრუნვის თითქმის ნახევარი. ძირითადად გააქვს: ჩაი, კაუჩუკი, ქოქოსის ზეთი და კოპრა; შეაქვს: ბრინჯი, სამრეწველო საქონელი, მანქანა-მოწყობილობანი. საგარეო ვაჭრობაში მთავარი პარტნიორები არიან: ამერიკის შეერთებული შტატები, ჩინეთი, ინდოეთი, ავსტრალია, სსრ კავშირი, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა. ფულის ერთეულია შრი ლანკას რუპია.

განათლება. შრი ლანკაში ითვლება 3500 დაწყებითი და საშუალო სკოლა, ბევრია რელიგიური და კერძო სკოლები, სახელმწიფო სკოლებში სწავლება უფასოა, კოლომბოსა და პარადენში არის უნივერსიტეტები, საინჟინრო და სამედიცინო ინსტიტუტები კანდიში, ბუდისტური უნივერსიტეტები ვიდაიალან კარასა და ვილოიდსაიში, აგრეთვე ოცამდე ექსპერიმენტული სასოფლო-სამეურნეო ტექნიკური სკოლა, პედაგოგიური კოლეჯი, ნაციონალური მუზეუმები და მსხვილი საჯარო ბიბლიოთეკა დედაქალაქში. გამოდის 15 ყოველ-

დღიური და 18 კვირეული გაზეთი, აქვს საკუთარი საინფორმაციო სააგენტო, რადიომაუწყებლობა და ტელევიზია.

სახელმწიფო წყობილება. 1972 წლის კონსტიტუციის მიხედვით სახელმწიფოს მეთაურია პრეზიდენტი, რომელიც ერთდროულად მთელი შეიარაღებული ძალების მთავარსარდლადაც ითვლება. მას აქვს უფლება დანიშნოს ან გადააყენოს პრემიერ-მინისტრი ან სხვა ნებისმიერი თანამდებობის პირი, გამოაცხადოს საგანგებო მდგომარეობა. საკანონმდებლო ძალაუფლება ეკუთვნის ერთპალატიან ეროვნულ სახელმწიფო ასამბლეას, აღმასრულებელია მთავრობა პრემიერ-მინისტრის მეთაურობით.

პოლიტიკური პარტიები. მმართველია სოლომონ ბანდარანაიკეს მიერ შექმნილი შრი ლანკას თავისუფლების პარტია (1951), გამოხატავს ეროვნული ბურჟუაზიისა და მოსახლეობის ფართო ფენების ინტერესებს. ს. ბანდარანაიკეს მკვლელობის შემდეგ პარტიის ლიდერია მისი მეუღლე სირიმავო ბანდარანაიკე; შრი ლანკას სოციალისტური პარტია (1935), შრი ლანკას კომუნისტური პარტია (1943); გაერთიანებული ეროვნული პარტია (1946), გამოხატავს ეროვნული მსხვილი ბურჟუაზიისა და იმ ზედაფენების ინტერესებს, რომლებიც დაკავშირებულნი არიან უცხოეთის კაპიტალთან; აღსანიშნავია კიდევ ფედერალური პარტია (1949) და სრულიად შრი ლანკას ტამილთა კონგრესი (1944), რომელიც ძირითადად ტამილების ინტერესებს გამოხატავს.

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა (ჩინურად — ჯუნხუა ჯენმინ გენხეგო) მდებარეობს აზიის მატერიკის სამხრეთ-აღმოსავლეთ და ცენტრალურ ნაწილში. აღმოსავლეთით ესაზღვრება წყნარი ოკეანის ზღვები, დასავლეთით ვრცელდება პამირამდე, მანძილი დასავლეთიდან აღმოსავლეთის მიმართულებით 5700 კილომეტრია, ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ — 3650 კმ-ზე მეტი. უფრო სამხრეთით, ეკვატორამდე, ეკუთვნის რიგი წვრილი კუნძულებისა. სასაზღვრო ხაზის სიგრძე 26 ათას კმ უდრის, მათგან 15 ათასი კმ სახმელეთო საზღვარზე მოდის, უკიდურესი წერტილებია აღმოსაველ-

თით — მდინარე უსური, დასავლეთით — უზ-ბერის გადასავლელი პამირზე, ჩრდილოეთით დასახლებული პუნქტი მოხე (მდინარე ამურზე) და სამხრეთით განანშას კუნძულები. სანაპირო ხაზი ძლიერ დასერილია, ბევრია უბე-ყურეები, სანაპიროებზე წვრილი კუნძულები და ატოლები. ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ფართობი 9,6 მლნ კვ. კმ უდრის, რაც აზიის თითქმის 1/4 და მთელი ხმელეთის ფართობის მე-14-ედ ნაწილს შეადგენს. ფართობის მიხედვით ჩინეთი მხოლოდ საბჭოთა კავშირს ჩამორჩება, აღემატება კანადას, ხოლო ინდოეთზე სამჯერ მეტია. სანაპირეებზე განლაგებული კუნძულებიდან ყველაზე დიდია ტაივანი (ფორმოზა, 36 ათასი კვ. კმ ფართობით), კუნძული ჰაინანი (34 ათასი კვ. კმ) და მდინარე იანძის შესართავში მდებარე კუნძული ჩურმინი (700 კვ. კმ), რომელიც მდინარის მიერ მოტანილი დანალექი ქანებითაა შექმნილი ექვსი საუკუნის წინათ, ამას გარდა, აღსანიშნავია ჯოუშანის (ჰანჯოუს უბეში), პენხულედაოს ან პესკადორის (ტაივანის სრუტეში), დენშას (პრატას), სიშისა (პარასელის) და ნანშას არქიპელაგები სამხრეთ ჩინეთის ზღვაში.

მოსახლეობა 850 მილიონზე მეტი კაცია (1976) გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მონაცემებით. მოსახლეობის დინამიკა: პირველი საუკუნე (ჩვ. წ.) — 13,5 მლნ; მეორე საუკუნე — 60 მლნ; 1400 წ.—80 მლნ; 1741 წ. — 143 მლნ; 1909-1911 წწ. — 374 მლნ; 1931 წ.—475 მლნ; 1953 წ.—602 მლნ; 1963 წ. — 680 მლნ; 1970 წ. — 740 მლნ). მოსახლეობის მთავარ მასას შეადგენენ ჩინელები (ან ხანი, 94%), სულ ჩინეთში არის 50-მდე ეროვნების წარმომადგენელი, მათ შორის შედარებით მრავალრიცხოვანია ხანინჯუანი (110 მლნ კაცი), უიღური (6 მლნ), ხუეი ან დუნგანი (4,5 მლნ), ტიბეტელი (3,5 მლნ), მიაო (3 მლნ), მანჯური (3 მლნ), მონგოლი (2 მლნ), ბუი (1,5 მლნ), კორეელი (1,5 მლნ) და ა. შ. ყველაზე მცირერიცხოვანი არიან იროჩები (2 ათასამდე კაცი). საშუალო სიმჭიდროვე 1 კვ. კმ-ზე უდრის 86 კაცს, მაგრამ მოსახლეობა მეტად არათანაბრად არის განლაგებული, აღმოსავლეთ რაიონებში ეს მაჩვენებელი 200-ზე მეტს აღწევს, დასავლეთ რაიონებში — 10, შიდა მონგოლეთში 6 და ტიბეტში—ერთს. ბევრი ჩინელი ცხოვრობს აზიის სხვა ქვეყნებში (1970 წელს—15 მილიონი კაცი), მათ შორის ინდონეზიაში, მალაის ფედერაციაში, ბირმაში, ტაილანდში, ვიეტნამში, ფილიპინზე, სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში, ამერიკის შეერთებულ შტატებში, კანადაში, მექსიკაში და სხვ.

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის დედაქალაქია პეკინი (8 მლნ მცხოვრებით გარეუბნებიანად, ჩინურად — ბეიპინი). დიდი ქალაქებიდან აღსანიშნავია მსოფლიოს ერთ-ერთი უდიდესი ქალაქი-ნავსადგური და სამრეწველო ცენტრი შანხაი (11 მლნ მცხოვრებით), ტიანძინი (4 მლნ), შენიანი ან მუკდენი (3 მლნ), ჩუნცინი (2,2 მლნ), კანტონი ან გუანჯოუ (2 მლნ), უხანი (2,1 მლნ), ხარბინი (1,5 მლნ), ნანკინი (1,7 მლნ). ქალაქისა და სოფლის მოსახლეობის შეფარდება შეადგენს 2:8. ადმინისტრაციულად იყოფა 29 პროვინციად და 5 ავტონომიურ რაიონად (სინძიან-უიღურთა, შიდა მონგოლეთის, ნინსია-სუეი, გუანსი-ჯუანი, ტიბეტი). არის სამი ცენტრალური დაქვემდებარების ქალაქი პეკინი, შანხაი და ტიანძინი; ოფიციალური ენა— ჩინური (ხანი) და 8 მთავარი დიალექტი. 1955 წელს ჩრდილო დიალექტის (რომელზედაც ლაპარაკობს ხანების თითქმის 70%) პეკინურ გამოთქმასთან ერთად მიღებულ იქნა საყოველთაო ჩინური სალიტერატურო ენა. სახელმწიფო მხარს არ უჭერს რელიგიას, 1954 წლის კონსტიტუციის თანახმად მოქალაქეებს რელიგიური რწმენის სრული თავისუფლება აქვთ მინიჭებული. გავრცელებულია დაოიზმი, კონფუციანელობა, ბუდიზმი, ლამაიზმი, მუსლიმანობა, ქრისტიანობა და სხვა რელიგიები, მაგრამ არც ერთი მათგანი არ არის გაბატონებული. ეროვნული დღესასწაულია — რესპუბლიკის გამოცხადების დღე — 1 ოქტომბერი (1949 წ.) სსრ კავშირმა პირველმა ცნო ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა.

ისტორია. ჩინეთი მსოფლიოს უძველესი ქვეყანაა — გაბატონებული კლასები წინათ მუდამ უნერგავდნენ ხალხს რწმენას, რომ ჩინეთი არის „ცისქვეშეთის ცენტრი" და, რომ მის გარშემო არიან მხოლოდ ბარბაროსები. ისტორიულად ჩინეთის ბოგდიხანები ატარებდნენ თავიანთი ქვეყნის სრული იზოლაციის პოლიტიკას უცხო ქვეყნების მიმართ, რაც დიდად აფერხებდა ჩინეთის ეკონომიურსა და კულტურულ განვითარებას. ცინის უკანასკნელი დინასტიის (1644-1911) ბატონობის პერიოდში ჩინეთი აწარმოებდა აგრესიულ ომებს მეზობელი ქვეყნების მიმართ და შეიერთა შიდა მონგოლეთი, ჯუნღარია, ყაშღარი, გააფართოვა ჩინეთის ტერიტორია სამხრეთ-აღმოსავლეთისა და სამხრეთის მიმართულებით. XIX საუკუნის დამდეგიდან იმპერიალისტური ქვეყნები, პირველ რიგში, ამერიკის შეერთებული შტატები, ინგლისი და იაპონია ატარებენ დამპყრობლურ პოლიტიკას ჩინეთის მიმართ და მათ იგი ფაქტიურად ნახევრად კოლონიად აქციეს.

1919 წელს ჩინეთში დაიწყო ანტიფეოდალური და ანტიიმპერიალისტური „4 მაისის მოძრაობა". 1921 წელს შეიქმნა ჩინეთის კომუნისტური პარტია, რომელიც სათავეში ჩაუდგა ხალხთა ბრძოლას ჩან-კაი-შის რეაქციული რეჟიმის წინააღმდეგ. 1937-1945 წლებში ოკუპირებულ იქნა მილიტარისტების მიერ, ხოლო მეორე მსოფლიო ომში იაპონიის დამარცხების შემდეგ გაგრძელდა შინაგანი ომები, 1949 წელს გამოცხადდა სახალხო რესპუბლიკად. 1960 წლიდან ჩინეთის ხელმძღვანელობამ მტრული პოზიცია დაიკავა საბჭოთა კავშირის მიმართ. ასეთი გამთიშველი კურსი დადასტურებულ იქნა ჩინეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის XI და XII პლენუმებისა (1966 და 1968 წლები), ჩინეთის კომუნისტური პარტიის IX ყრილობისა (1969 წ.) და X ყრილობის მიერ (1973 წ.) ჩინეთი გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრია 1971 წლიდან.

ბუნებრივი პირობები. ცენტრალური მდებარეობის გამო ჩინეთის ტერიტორია რამდენიმე ბუნებრივ ზონაშია მოქცეული. კერძოდ, ჩრდილო ნაწილი მდებარეობს ზომიერ სარტყელში, ცენტრალური — სუბტროპიკულში, ხოლო სამხრეთი — ტროპიკულში. თითოეულ ზონას გააჩნია თავისი სპეციფიკური ბუნებრივი პირობები, რესურსები და მეურნეობის დამახასიათებელი დარგები. რელიეფი მეტად ნაირგვარია, სჭარბობს მთიანი რელიეფი, ვაკე-დაბლობებს მთელი ტერიტორიის 1/5 უჭირავს. რელიეფის მთავარ ერთეულთა განლაგება მოგვაგონებს წყნარი ოკეანიდან დასავლეთისაკენ წაგრძელებულ გიგანტურ კიბეს. პირველ საფეხურს ქმნის აღმოსავლეთით ზღვისპირა რაიონებში არსებული ვაკე-დაბლობები, დასავლეთით შემოსაზღვრულია მთათა ჯაჭვით, რომელიც ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ ვრცელდება და წარმოადგენს მცირე საფეხურის — ვრცელი საშუალო მთიანეთის ზონის საზღვარს. ამ მთიან ზონას ქმნის დიდი ხინგანის ქედი და ე. წ. კონტინენტური ქედი, რომელიც გადადის ქალაქების—პეკინის, ლოიანის, იჩანისა და გუილინის მიმართულებით. მესამე საფეხურს ქმნის მსოფლიოს უმაღლესი ტიბეტის მთიანეთი, თავისი მიმდებარე გრანდიოზული ქედებით.

ჩინეთის ტერიტორიაზე გამოიყოფა შემდეგი მსხვილი ბუნებრივი სამეურნეო ერთეულები: ჩ ი ნ ე თ ი ს დ ი დ ი დ ა ბ ლ ო ბ ი — ძირითადად მოიცავს ხუანხეს, იანძისა და სინძიანის ქვემო წელს, ბევრია ტბები, კარგად არის განვითარებული სამდინარო ქსელი არხებით. აქ მდებარეობს ყველაზე დიდი და მჭიდროდ დასახლე-

ბული ქალაქები. დაბლობი დასავლეთით თანდათანობით გადადის ვაკე-მაღლობების ზონაში. უ დ ა ბ ნ ო ე ბ ი ს ზ ო ნ ა — მოიცავს ბეიშანის, ალაშანის, ორდოსის, ინშანის უდაბნოებსა და გობის (შამოს) უდაბნოს სამხრეთ ნაწილს, წყალი ცოტაა, თითქმის მოკლებულია მცენარეულ საფარს, სუსტად არის დასახლებული და ათვისებული. ს ი ნ ძ ი ა ნ ი — ამ სახელწოდებით ცნობილია სინძიანუიღურთას ავტონომიური რაიონის მოზრდილი ტერიტორია, რომელსაც თითქმის ორ ნაწილად ყოფს ტიანშანის ქედი, ჩრდილოეთით — ჯუელარია, სამხრეთით — ყაშღარია ტაკლამაკანის დიდი უდაბნოთი. აქ არის მსოფლიოში ყველაზე დაბალი დეპრესია ტურფანის ან ლუქჩუნის დაბლობი, რომელიც 154 მეტრით დაბლაა ზღვის დონეზე (სიგრძე დაახლოებით 200 კმ, სიგანე — 70 კმ). ტიბეტის მთიანეთის (დაახლოებით 2 მლნ კმ ფართობით) საშუალო სიმაღლე 4500 მ-ია, ძალზე სუსტადაა დასახლებული, არის დიდძალი ყინვარული წარმოშობის ტბები, სამხრეთითა და სამხრეთ-აღმოსავლეთით უშუალოდ ჰიმალაის ქედს ებჯინება.

თავისი გეოგრაფიული მდებარეობის გამო ჩინეთის უმეტესი ნაწილი (90%-მდე) ჩრდილოეთ ზომიერ სარტყელშია, ხოლო უკიდურესი სამხრეთი—ტროპიკულში. კლიმატშემქმნელი მთავარი ფაქტორია საკუთრივ ჩინეთის მდებარეობა ჩრდილო აზიის კონტინენტსა და წყნარი ოკეანის თვალუწვდენელ წყლის მასებს შორის. მაღალი ატმოსფერული წნევის ცენტრის გადაადგილება ზამთრობით აზიის მატერიკზე და ზაფხულობით ოკეანის სივრცეებზე ქმნის ჰაერის მუდმივ სეზონურ ცირკულაციას, ე. ი. ზამთრისა და ზაფხულის მუსონურ ქარებს. ზამთრობით ჩინეთში უფრო ცივა, ვიდრე ამავე სარტყელში მდებარე სხვა ქვეყნებში. მაგ., პეკინში იანვრის საშუალო ტემპერატურა უდრის მინუს 4,3°, ხოლო კუნძულ კორფუზე (საბერძნეთი) — 12°. მოყინვას ადგილი აქვს თვით ტროპიკულ სარტყელშიც კი. ყველაზე ცივი ზამთარი იცის ხელუძიანის პროვინციაში. მაგალითად, ციციკარში აბსოლუტური მინიმუმი უდრის მინ. 44°, ყველაზე თბილი ზამთარი — სამხრეთით, განსაკუთრებით იმ რაიონებში, რომლებიც არ განიცდიან ზამთრის მუსონების გავლენას. ეს უკანასკნელი ქრის ცენტრალური აზიიდან, მაგრამ უნაღ ექოდ, სამაგიეროდ გობის უდაბნოდან მოაქვს დიდი რაოდენობით მტვერი, რომლითაც ანაყოფიერებს მიწებს. ზაფხულში მშრალ მუსონებს ცვლის ოკეანიდან მონაბერი ნოტიო ქარი, ამიტომ ჩინეთში ყველაზე უხვნალექიანი სწორედ ზაფხული არის. შედარებით მეტი

ნალექი მოდის სამხრეთით (2000 მმ-მდე), ჩრდილოეთიდან სამხრეთის მიმართულებით ნალექების რაოდენობა კლებულობს. ამას გარდა, განაწილებაზე დიდ გავლენას ახდენს რელიეფის ფორმები, ყველაზე ცოტა ნალექია ტაკლამაკანის უდაბნოში (5-10 მმ), ასევე ტიბეტის მთიანეთზე (100 მმ), სამაგიეროდ ტიბეტის მთიანეთის სამხრეთ კალთებზე, კერძოდ, ლხასაში ნალექების რაოდენობა მუსონების ზეგავლენით 1600 მმ-ზე მეტს აღწევს. აგვისტო-სექტემბერში გაბატონებულია ძლიერი ქარები, რომლის სიჩქარე 40-50 მეტრს აღწევს წამში. მოსახლეობას დიდ ზიანს აყენებს აგრეთვე თვით ტაიფუნი და გიგანტური ტალღები.

შიდაწყლები. ჩინეთის სამხრეთ და აღმოსავლეთ რაიონებში ქარგად არის განვითარებული ჰიდროქსელი. ყველაზე დიდი მდინარეები წყნარი ოკეანის აუზს მიეკუთვნებიან. მათ განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვთ ჩინეთისათვის. ნალექების არათანაბარი განაწილებისა და მათი არასაკმაო რაოდენობის გამო დიდი მნიშვნელობა ენიჭება წყლის გამოყენებას სარწყავად. ჩინეთისათვის მდინარეები ეს არის ტრანსპორტი, „თეთრი ნახშირი", ტექნიკური და სასმელი წყალი, თევზი და წყალმცენარეები. წვიმების პერიოდში ხშირია წყალმოვარდნები, განსაკუთრებით ხუანხეზე. ჩინეთის უდიდესი მდინარეა იანძი, რომლის სიგრძეც 5200 კმ-ია (ზოგიერთი ცნობით — 5590 კმ ან 5700 კმ), ამ მხრივ იგი ჩამორჩება მხოლოდ ნილოსს, მისისიპსა და ამაზონს. მას ზემო წელში უწოდებენ ულან-მურენს, შუა წელში —სანსიას, მერე ძინშაძიანს და ქალაქ ჩუნცინთან კი იანძის (ჩანძი). იანძის აქვს უამრავი შენაკადი. მასზე მდებარეობს დიდი ქალაქები: შანხაი, ნანკინი, უჰანი, ჩუნცინი. მეორე დიდი მდინარეა წყალუხვი ხუანხე ან ყვითელი მდინარე (სიგრძე 4840 კმ, მსოფლიოში არც ერთ მდინარეს არ მიუყენებია ადამიანებისათვის იმდენი უბედურება, რამდენიც ამ მდინარემ მიაყენა ქვემო წელში). 2500 წლის განმავლობაში ხუანხემ ცხრაჯერ შეიცვალა თავისი კალაპოტი და პირვანდელი შესართავიდან 700 კმ-ით გადაინაცვლა. 1938 წელს გაარღვია კაშხალები, შეუერთდა მდინარე ხუაიხეს, შემდეგ კი ხუნძეხუს ტბებით იანძის. 1947 წელს კაშხალები აღადგინეს და ხუანხე ძველ კალაპოტს დაუბრუნეს. მესამე მდინარეა სიძიანი (1960 კმ), აღსანიშნავია აგრეთვე ხუაიხე (1280 კმ), დასავლეთით ტარიმი, სსრ კავშირისა და ჩინეთის საზღვარზე ამური (ჩინურად ხეილუნძიანი). ჩინეთში სათავეს იღებენ აგრეთვე შავი ირტიში და ილი, რომლებიც შემდეგ საბჭოთა კავშირის ტერიტორი-

აზე მიედინებიან. ტიბეტის ზეგანზე სათავეს იღებს დიდი მდინარეები: სალუინი, მეკონგი, ბრაჰმაპუტრა და სხვ. ბევრია ტბა, განსაკუთრებით მდ. იანძის დინებაზე. ტბებიდან აღსანიშნავია მლაშე ტბები: კუკუნორი (ცაიდამში), ლობნორი (ყაშღარში), ები-მური (ჯუნღარიაში), მტკნარი ტბა დალაინორი (დიდი ხინგანის ქედზე) და სხვ.

რელიეფის, კლიმატისა და ნიადაგების მრავალფეროვნებამ საკმაო ხელსაყრელი პირობები შექმნა სხვადასხვა მცენარეულის განვითარებისათვის დაწყებული ტროპიკებით, დამთავრებული ტაიგის ფლორით ჩრდილოეთში. ჩინეთში ტყეები ცოტაა (მთელი ფართობის 5,2%). ტყეები ძირითადად თავმოყრილია დიდი და მცირე ხინგანის მთებზე, აგრეთვე სამხრეთით — ტროპიკულ ზონაში. სამხრეთში განსაკუთრებით ბევრია ბამბუკის მასივები. ჩინეთში დიდი სამუშაოები ტარდება ტყის ახალი ფართობების გასაშენებლად, განსაკუთრებით უდაბნოსა და ნახევრად უდაბნოს რაიონებში.

ჩინეთის ტერიტორიაზე გამოიყოფა **4 მთავარი ბუნებრივ-მცენარეული ზონა:**

ზ ო მ ი ე რ ი ფ ო თ ო ლ მ ც ვ ე ნ ი ტ ყ ე ე ბ ი ს ზ ო ნ ა, ძირითადად მოიცავს ქვეყნის აღმოსავლეთ ნაწილს, მდ. იანძის ჩრდილოეთით. ტყის დიდი მასივები შემორჩენილია დიდი და პატარა ხინგანის მთებზე, ბევრია ველურად მზარდი სამკურნალო მცენარეები, მათ შორის ჟენ-შენი.

მ ა რ ა დ მ წ ვ ა ნ ე ს უ ბ ტ რ ო პ ი კ უ ლ ი დ ა ტ რ ო პ ი კ უ ლ ი ტ ყ ე ე ბ ი ს ზ ო ნ ა — იწყება მდ. იანძის სამხრეთით (ჯეძიანის, ფუძიანის, ძიანსის, სიჩუანის, გუიჯოუს, გუანდუნისა და გუანსის პროვინციებში). მრავლად გეხვდება ისეთი ხე-მცენარეები, როგორებიცაა: ტუნგო, ქაფურის, ლაქის, ცვილის, კაუჩუკის ხეები, პალმები, ციტრუსოვანები, ბანანი, ანანასი, ჩაის ბუჩქი, 35-მდე სახეობის ბამბუკი, რომელთაც განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვთ ჩინეთის მეურნეობასა და ყოფა-ცხოვრებაში. ჩინელისათვის ბამბუკი არის სახლი, ავეჯი, ჭურჭელი, კალათა, მილები, ელექტროგადამცემი ბოძები, ანძები გემებისათვის, სასოფლო-სამეურნეო იარაღი, კიბეები, მუსიკალური ინსტრუმენტი, ქუდები, ნედლეული ქაღალდის დასამზადებლად, ხოლო მისი ყლორტები გამოიყენება საკვებად.

ს ტ ე პ ი ს მ ც ე ნ ა რ ე უ ლ ი ს ზ ო ნ ა — მოიცავს შიდა მონგოლეთის ავტონომიური რაიონის დასავლეთ ნაწილს, აგრეთვე ცინხაისა და სინძიან-უიღურთა ავტონომიური რაიონის ნაწილს, საგ-

რძნობლად სჭარბობს ბალახისნაირნი, ამიტომ საკმაოდ მდიდარია საძოვრებით.

უდაბნოს მცენარეულის ზონა — მოიცავს მონგოლეთის ზეგანსა და ძირითადად სინძიან-უიღურთა ავტონომიური რაიონის ტერიტორიას.

ტიბეტის ზეგანი მაღალმთიანია. ფლორისათვის დამახასიათებელია დიდი მრავალფეროვნება, რაც, პირველ რიგში, გამოწვეულია ვერტიკალური ზონალობით და განსაკუთრებული კლიმატის ნაირსახეობით.

მეურნეობა. ჩინეთს აქვს უმდიდრესი ბუნებრივი სიმდიდრეები, მაგრამ წინათ ამ სიმდიდრეების ათვისება-გამოყენებას ხელს უშლიდა უცხოეთის კაპიტალის ძლიერი გავლენა, აგრეთვე გამუდმებული სამოქალაქო და საგარეო ომები. 1949 წლის შემდეგ ნაციონალიზებულ იქნა მსხვილი სამრეწველო საწარმოები, რკინიგზები, საჰაერო ტრანსპორტი, დიდი ბანკები. სახელმწიფოს ხელში გადავიდა მთელი მიწა, წიაღისეული, ტყეები, წყალი. ამით შეიქმნა მძლავრი სახელმწიფო სოციალისტური სექტორი. ჩინეთს უანგარო დახმარებას უწევდა სსრ კავშირი, რომლის დახმარებითაც აშენდა 256 მსხვილი საწარმო-ობიექტი.

ჩინეთის სახალხო მეურნეობა მთავარ მატერიალურ ბაზას წარმოადგენს ქვეყნის შემდგომი განვითარებისათვის და სოციალისტურ სექტორს გაბატონებული მდგომარეობა უჭირავს სხვა სამეურნეო სექტორთა შორის. სახელმწიფოს სოციალისტურ სექტორზე დაყრდნობით ჩინეთის სახალხო მეურნეობაში გარკვეული ადგილი უჭირავს აგრეთვე კოოპერატიულ, წვრილ-სასაქონლო, კერძო კაპიტალისტურსა და სახელმწიფო კაპიტალისტურ სექტორებს. სოციალისტური სექტორის შემდეგ ჩინეთის ეკონომიკაში დიდ როლს თამაშობს ნახევრად სოციალისტური კოოპერაციული სექტორი.

ჩინეთის სახალხო მეურნეობას აქვს თითქმის ყველა თანამედროვე რესურსი. მძლავრი **მრეწველობის განვითარებისათვის,** ჰიდროენერგიის მარაგით ჩინეთი ერთ-ერთ პირველ ადგილზეა მსოფლიოში, ქვანახშირის მარაგით კი ჩამორჩება მხოლოდ საბჭოთა კავშირსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს. უწინ მიაჩნდათ, რომ ჩინეთს არ ჰქონდა ნავთობი. 1960 წლიდან დაწყებული გეოლოგებმა აღმოაჩინეს ნავთობის ახალი მდიდარი საბადოები, ასევე დიდია ჩინეთის რკინის მადნის, მანგანუმის, ბოქსიტების, ფერადი ლითონებისა და სხვა წიაღისეულთა მარაგი.

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის თანამედროვე მეურნეობისათვის დამახასიათებელია: ახალი წიაღისეული სიმდიდრეების აღმოჩენა და შემდგომი ათვისება, მძიმე მრეწველობის, განსაკუთრებით შანქანათმშენებლობისა და ქიმიური მრეწველობის წამყვანი როლი მრეწველობაში, მრეწველობის მთავარი დარგების თანდათანობითი გადაადგილება დასავლეთ რაიონებში, ახალი ქალაქების ზრდა, რკინიგზისა და ავტოგზების ახალი ხაზების სწრაფი მშენებლობა.

ჩინეთის ინდუსტრიალიზაციისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ენერგეტიკულ მეურნეობას. ენერგიის სხვა წყაროებთან ერთად ჩინეთის ეკონომიკის საფუძველი იყო და დარჩა ქვანახშირი. მისი საბადოები თითქმის ყველა პროვინციაში გვხვდება, მაგრამ მთავარი საბადოები მაინც თავმოყრილია შენსისა და შანსის პროვინციებში. ჯერ კიდევ 1500 წლის წინათ ჩინელები ქვანახშირს სათბობად იყენებდნენ, შემდეგ ლითონის გამოსადნობად. ცნობილია, რომ მარკო პოლოც იტყობინება ჩინელების მიერ ქვანახშირის გამოყენების წესებზე.

ქვანახშირის პერსპექტიული მარაგი ჩინეთში 1200-1500 მლრდ ტ აღწევს. დიდი ნაწილი მაღალი ხარისხისაა, ბევრ ადგილას ქვანახშირის მოპოვება ღია წესით ხდება, რაც დიდად აიაფებს მის მოპოვებას. ქვანახშირის მოპოვებით იგი პირველ ადგილზეა მსოფლიოში. უდიდესი აუზებია: ფუშუნის, ფუსინისა და ხეგანის ქვანახშირის აუზები, მეორე ადგილზეა ჩრდილო ჩინეთი — კალდუანისა და დატუნის ქვანახშირის აუზები. ეს უკანასკნელი ძირითადად მომსახურებას უწევს პეკინისა და შანჰაის საწარმოებს, აგრეთვე ბაოტოუს მეტალურგიულ კომბინატს. აღმოსავლეთ ჩინეთში დიდი საბადოებია: ხუანანისა და ბაგუშანის საბადოები. (ქვანახშირის მოპოვების დინამიკა: 1942 წ.—62 მლნ ტ; 1950 წ.— 67 მლნ ტ; 1958 წ.—270 მლნ ტ; 1971 წ.—300 მლნ ტ; 1974 წ.—430 მლნ ტ); დასავლეთ რაიონებში ქვანახშირი უპირატესად აღმოსავლეთ რაიონებიდან შეაქვთ.

ნავთობმოპოვებითი მრეწველობა ჩინეთში სრულიად ახალი დარგია (წლიური მოპოვება დაახლოებით 50 მლნ ტ), ნავთობის მთავარი საბადოებია იუმინის, ჰენსუს, ნაწილობრივ შენსის პროვინციებში (მარაგი დაახლოებით 8 მლრდ ტ). ნავთობის დამუშავება ხდება ადგილობრივ, მაგრამ ნაწილობრივ შან ჰაისა და ლიუიდაოს ნავთობგადასამუშავებელ საწარმოებში გაქვთ. ახალი საბადოები

აღმოჩენილია დასავლეთით ცაიდამსა და სინძიან-უიღურთა ავტონომიურ რაიონში. ვარაუდობენ, რომ ეს უკანასკნელი გადაიქცევა „ჩინეთის ბაქოდ“. 1975 წ. ჩინეთში 21 ნავთობგადასამუშავებელი ქარხანა ითვლებოდა, რომელთა საერთო სიმძლავრე 65 მლნ ტ აღწევდა.

სინთეტური თხევადი სათბობის წარმოების ოდენობით ჩინეთი არ ჩამორჩება ნავთობმოპოვებას. ჩრდილო-აღმოსავლეთით ფუშენში ხდება ფიქლის მოპოვება და გადამუშავება. სინთეზური საწვავი მიიღება აგრეთვე ბითუმიზირებული ქვანახშირისა და ბუნებრივი გაზისაგან.

ჩინეთი მდიდარია „თეთრი ნახშირით“. მისი მარაგი დაახლოებით 550 მლრდ კვტ შეადგენს. დიდი ჰიდროელექტროსადგურებია მდინარე იანძისა და მის შემდინარეებზე. მათ შორის არის ჰიდროკვანძებიც. მაგალითად: სანმინსის, ლიუძიას, სინანძიანის, მანძიანისა და სხვათა ჰიდროკვანძები. დიდი ყურადღება ექცევა ჩინეთში მცირე სიმძლავრის ჰიდროელექტროსადგურებისა და თბოსადგურების მშენებლობას. ამასთან მთელი გამომუშავებული ელექტროენერგიის 4/5 მეტს იძლევიან თბოენერგოსადგურები. ელექტროენერგიის წლიური გამომუშავება შეადგენს 168 მლრდ კვტს (1974).

შავი მეტალურგია წარმოდგენილია როგორც მაპროფილებელი დარგი. ჩინეთს დიდი რაოდენობით გააჩნია რკინის მადნის, მანგანუმისა და მალეგირებელი ლითონების საბადოები, რაც მნიშვნელოვნად უწყობს ხელს როგორც შავი, ისე ფერადი მეტალურგიის განვითარებას. შავი მეტალურგია უპირატესად განვითარებულია აღმოსავლეთ პროვინციებში, ხოლო რაც შეეხება ცენტრალურსა და, მით უმეტეს, დასავლეთ რაიონებს, მეტალურგიის არც ერთი საწარმო არ არის. რკინის მადნის საბადოები კი პირიქით, თითქმის ყველა პროვინციაშია. განსაკუთრებით აღსანიშნავია ლიაონინის პროვინცია, სადაც ანშანის რკინის მადნის საბადოსთან არის ჩინეთის პირველი მეტალურგიული ბაზა. ეს უკანასკნელი იძლევა ჩინეთის თუჯის გამოდნობის 3/4 და ფოლადის წარმოების 4/5. ანშანის მეტალურგიული კომბინატი მანგანუმს ღებულობს ძიანსიდან და ლიაონინიდან, ვანადიუმსა და ტიტანს ლუანშიდან (ხებეის პროვინცია), ანშანს გარდა, ჩინეთის მეტალურგიის მეორე ბაზად ითვლება უჰანი (ჰენანის პროვინცია), ხოლო მესამე ბაზად —ბაოტოუ (წიდა მონგოლეთი). მეტალურგიის მსხვილი ცენტრებია: ფულაერძი, დაე, შინძიშანი (პეკინის მახლობლად), აგრეთვე ჩუნცინი, მაანშანი (შანხაის-

თან), ტაინძინი, რომლებიც ძირითადად მანქანათმშენებლობის საწარმოებს ამარაგებენ ლითონით (1974 წ. — 23 მლნ ტ ფოლადი, 1973 წ. — 24 მლნ ტ).

ჩინეთში არის მსოფლიოში ფერადი ლითონების უდიდესი საბადოები, მათ შორის ჩინეთი იძლევა ვოლფრამის მსოფლიო მოპოვების დაახლოებით 78%-ს, აგრეთვე დიდი რაოდენობით მოლიბდენს, ქრომს, ნიკელს, კობალტს, ვანადიუმს, დამხმარე მასალებს— ცეცხლგამძლე თიხებს, მაგნეზიტს, კირქვებს, ფლუორიტსა (შპატი) და ა. შ.

დიდძალ ფერად და იშვიათ ლითონთა ბაზაზე ასევე მაღალგანვითარებულია ფერადი მეტალურგია. ფერადი. და განსაკუთრებით იშვიათი ლითონების სიუხვით გამოირჩევა სამხრეთით მდებარე იუნანის პროვინცია, აქ არის მსოფლიო მნიშვნელობის სპილენძის, კალისა და ნიკელის საბადოები. ჩინეთი ფლობს მსოფლიოს კალის მარაგის თითქმის ორ მეხუთედს. ვოლფრამის მოპოვებითა და მარაგით პირველ ადგილზეა ძიანსის პროვინცია, ტუნჯენში (ჩრდილოაღმოსავლეთ ჩინეთი) არის ბოქსიტი, ალუმინი და ალუმინის ფიქალი, რამაც ხელი შეუწყო ალუმინის მრეწველობის სწრაფ განვითარებას. ფერადი მეტალურგიის უმნიშვნელოვანესი ცენტრებია: გეძიუ, მოძიანი, პანში, ჯუანხე, დუნჩალი, აგრეთვე შენიანი, ფუშენი, კუნმინი, ჩუნცინი, გუიანი. უნდა აღინიშნოს, რომ ჩინეთი ფერადი და იშვიათი ლითონებით არა მარტო უზრუნველყოფს საკუთარ მოთხოვნილებას, არამედ მსოფლიო ექსპორტიორიც არის.

მანქანათმშენებლობა სრულიად ახალი დარგია. იგი შეიქმნა მხოლოდ უკანასკნელი 30 წლის განმავლობაში. დამახასიათებელია მძიმე მანქანათმშენებლობის უპირატესობა, ამას გარდა, მუშაობს საკუთარ ნედლეულზე და მანქანათმშენებლობის პროდუქცია აზიის ქვეყნებშიც გააქვს. ჩინეთში მანქანათმშენებლობის ყველაზე დიდ ცენტრებად ითვლება შანხაი, სადაც თავმოყრილია ჩინეთის მთელი მანქანათმშენებლობის საწარმოთა თითქმის 1/4. განსაკუთრებით განვითარებულია საფეიქრო, სასოფლო-სამეურნეო და ელექტროტექნიკური მანქანათმშენებლობა, გემთმშენებლობა, მოწყობილობათა წარმოება შავი და ფერადი მეტალურგიის საწარმოებისათვის. მანქანათმშენებლობის მეორე ცენტრია შენიანი, რომელიც იძლევა ქვეყნის მანქანათმშენებლობის პროდუქციის დაახლოებით 1/5. მანქანათმშენებლობის მთავარ სახეობათა და ცენტრთა მიახლოებითი განლაგება შემდეგ სურათს იძლევა: მძიმე მანქანათმშენებლო-

ბის მთავარი ცენტრებია: შანხაი, შენიანი, ხარბინი, ფულაერძი, პეკინი, ჩუნცინი, ფუშუნი.

ჩარხმშენებლობის ცენტრებია: შანხაი, ლუიდა და პეკინი (80 ათასი ლითონსაჭრელი ჩარხი), ავტომშენებლობის — ჩანჩუხი (მძიმე სატვირთო ავტომანქანები), აგრეთვე შანხაი, პეკინი და უჰანი (წლიურად დაახლოებით 80 000 ავტომანქანა). ხარბინში აშენდა ბურთულსაკისარების დიდი საწარმო. ტრაქტორმშენებლობის ცენტრებს წარმოადგენს: ლოიანი (პირველი სატრაქტორო ქარხანა ჩინეთში), ტიანძიანი, ხარბინი და ანანკინი; გემთმშენებლობის უდიდეს ცენტრებად ითვლება: შანხაი, უჰანი, დალნი, ლუიდა, ხარბინი და სხვ. ამას გარდა, ტრაქტორებსა (65 ათასი ცალი) და ავტომობილებს უშვებენ მთელი რიგი წვრილი საწარმოები თითქმის ყველა პროვინციაში. მეურნეობის ყველა დარგთა შორის ზრდის ტემპებით მანქანათმშენებლობა ქიმიურ მრეწველობასთან ერთად პირველ ადგილზეა და ახლო მომავალში ჩინეთი (იაპონიის შემდეგ) მთელს აზიაში უნდა გადაიქცეს მანქანათმშენებლობის მეორე უდიდეს ქვეყნად.

ქიმიურ მრეწველობას გააჩნია ძალზე მდიდარი სანედლეულო ბაზა. ეს არის: ქვანახშირი, ფიქალი, ნავთობი, გაზი, ფოსფორიტები, **გოგირდი, განსაკუთრებით ზღვის მარილი, რომელთა მიღებაც ხდება** ზღვის მთელს სანაპიროზე. ქიმიური მრეწველობის მთავარი რაიონები თანხვდება შავი და ფერადი მეტალურგიისა და სამთომოპოვებითი მრეწველობის ძირითად რაიონებს: აღმოსავლეთ ჩინეთს, განსაკუთრებით კი ჩრდილო-აღმოსავლეთ რაიონებს. ქიმიური მრეწველობა უპირატესად იძლევა: პლასტმასას, რეზინის ფეხსაცმელებს, სამედიცინო პრეპარატებს, საღებავს, სინთეტურ ბოჭკოს, სოდას, დიდი რაოდენობის სასუქსა და სხვ.

ჩინეთის ტრადიციული დარგია საფეიქრო მრეწველობა, განსაკუთრებით ბამბეულის წარმოება, როგორც ცნობილია, ბამბის პლანტაციების ფართობითა და მოსავლიანობით ჩინეთი მესამე ადგილზეა ამერიკის შეერთებული შტატებისა და ინდოეთის შემდეგ; საფეიქრო მრეწველობის მთავარი ცენტრია შანხაი, რომელიც იძლევა ბამბეულის პროდუქციის მესამედზე მეტს. ამასთან შანხაის საწარმოები ძირითადად მუშაობენ იმპორტულ ბამბაზე. ჩინეთი წლიურად იძლევა დაახლოებით 8,8-9 მლრდ ბამბეულის ქსოვილს. აბრეშუმისა და შალის საწარმოები მუშაობენ ექსპორტზე. ჩინეთი აბრეშუმის სამშობლოა. 1920 წლამდე აბრეშუმის ექსპორტით ჩი-

ნეთი პირველ ადგილზე იყო მსოფლიოში, მაგრამ შემდეგში იაპონიის ნატურალური აბრეშუმისა და ამერიკის შეერთებული შტატების, იტალიისა და იაპონიის ვისკოზის ქსოვილების წარმოებამ მსოფლიო ბაზრიდან განდევნა ჩინეთის აბრეშუმი, კიდევ მეტი, მეორე მსოფლიო ომის პერიოდში იაპონელმა ოკუპანტებმა თითქმის მთლიანად მოსპეს თუთის ნარგავები და ამით მთლიანად დააქვეითეს აბრეშუმის წარმოება ჩინეთში. ამჟამად მეაბრეშუმეობის განვითარებასთან ერთად იქმნება საფეიქრო მრეწველობის ახალი ცენტრები ჩრდილო-აღმოსავლეთ და აღმოსავლეთ ჩინეთში.

მრეწველობის დარგებიდან ყველაზე მეტად განვითარებულია კვების მრეწველობა, განსაკუთრებით საფქვავი, ბრინჯსაწმენდი, თამბაქოს, ჩაის, ზეთსახდელი და სხვ. კვების მრეწველობის პროდუქციას საექსპორტო მნიშვნელობა თითქმის არა აქვს, თუნდაც იმიტომ, რომ ჩინეთი თვითონ ხმარობს საკუთარ პროდუქციას. მრეწველობის სხვა დარგებიდან გარკვეული მნიშვნელობა აქვს ხე-ტყისა და ტყავ-ფეხსაცმლის მრეწველობას.

ინდუსტრიალიზაციის ზრდასთან ერთად სულ უფრო მცირდება კუსტარული მრეწველობის ხვედრითი წონა ჩინეთში, მაგრამ მისი როლი განსაკუთრებით კვლავ საკმაოდ დიდია დასავლეთ რაიონებში. ჩინეთი ოდითგანვე ცნობილი იყო თავისი ხელოსნობით, ამიტომ კუსტარულ ნაწარმთაგან განსაკუთრებით გამოირჩევა და დიდი მოწონებით სარგებლობს მთელს მსოფლიოში მხატვრული ქაქმანი (კანტონი, სიამინი), ქაღალდის მხატვრული ნაკეთობანი ექსპონირებულია ჩინეთის ყველა საერთაშორისო გამოფენებზე (გუანჯოუ), მსოფლიო აღიარება ჰპოვა ლაქის საწარმოებმა (ფუჯოუ, ნინბო, იანძიანი); ჰანჯოუ ცნობილია თავისი ქოლგებით, სინხუას ოლქი სპეციალიზებულია პალმის ფოთლისაგან დამზადებული ლამაზი მარაოთი, სპილოს ძვლის ნაკეთობით ცნობილია კანტონი, იაშმის ნაწარმით — სინძიანი. ასევე ცნობილია ჩინეთის ქოთნები, პატარ-პატარა ქანდაკებები, ვაზები, ემალისა და კერამიკის ნაწარმი.

ჩინეთი ფაიფურის სამშობლოდ ითვლება. ჯერ კიდევ 2 ათასი წლის წინათ ჩინეთში ამზადებდნენ უმაღლესი ხარისხის ფაიფურის ნაწარმს, ჩინური ფაიფურის ნაწარმი დღესაც არ ჩამოუვარდება მსოფლიოში ცნობილ საქსსა და კოპენჰაგენის ფაიფურის ნაწარმს. ფაიფურის წარმოების მთავარი ცენტრებია: ძინდენჯენი, დიჰუა, ცისიანი და სხვ. ჩინეთში მზადდება აგრეთვე ატლასის საუკეთესო ქსოვილები, ბამბუკის მარაო, კალათები, ქუდები და ბევრი სხვა.

სოფლის მეურნეობას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ჩინეთისათვის. იგი უზრუნველყოფს საკვებით ჩინეთის 800 მილიონზე მეტ ადამიანს, ნედლეულით ამარაგებს მრეწველობას, ექსპორტის 4/5-ზე მეტი სწორედ სასოფლო-სამეურნეო კულტურებზე მოდის.

სოფლის მეურნეობის განვითარებას ხელს უწყობს ახალი აგროტექნიკის შემოღება, სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა მექანიზაცია, მანქანათმშენებლობისა და ქიმიური მრეწველობის განვითარება, ახალი საირიგაციო მშენებლობანი და სარწყავი ფართობის განუხრელი ზრდა, ახალი მიწების ათვისება დასავლეთ რაიონებში.

ჩინეთის სოფლის მეურნეობა მრავალდარგოვანია. წამყვანი სასოფლო-სამეურნეო კულტურებია მარცვლეული (1974 წ. — 240 მლნ ტ), მათ შორის ბრინჯი სამხრეთ ჩინეთში, ხორბალი, შვრია, შვრიისნაირნი გაოლიანი და ჩუმიზა ცენტრალურსა და ჩრდილო ჩინეთში, ქერი მთიან რაიონებში. დიდი რაოდენობით იზრდება სიმინდი (მოსავლიანობით II ადგილზეა მსოფლიოში ამერიკის შეერთებული შტატების შემდეგ), ბატატი, კარტოფილი, საყოველთაოდ არის განვითარებული მეხილეობა, მათ შორის სამხრეთით ციტრუსოვანები, ბანანი და ანანასი, მებოსტნეობა (ჩინეთში 160-ზე მეტი სახეობის ბოსტნეულ-ბაღჩეული მოჰყავთ).

ტექნიკური კულტურებიდან დიდი მნიშვნელობა აქვს ბამბას. ბოჭკოვანებიდან მოჰყავთ: რამი, სელი, ჯუთი, კანაფი. ზეთოვანი კულტურებიდან ყველაზე მეტად გავრცელებულია სოია და არაქისი (მიწის თხილი), რომელთა ფართობითა და მოსავლიანობით ჩინეთი პირველ ადგილზეა მსოფლიოში (არაქისის მოსავალი წლიურად საშუალოდ უდრის 3,5 მლნ ტ). ჩინეთი მსოფლიო მწარმოებელია აგრეთვე ზეთოვანი კულტურების: რაფსის, ქუნჯუთისა და ტუნგოს ზეთის.

ტრადიციული კულტურაა ჩაი (500-მდე ხარისხისა). XIX საუკუნის პირველი ნახევრის ჩათვლით ჩინეთი ჩაის წარმოებით მსოფლიო მონოპოლისტი იყო, მაგრამ ინდოეთში, შრილანკაზე, იაპონიასა და იავაზე მეჩაიეობის სწრაფმა განვითარებამ დიდად შეამცირა ჩინეთის ექსპორტის ხვედრითი წონა მსოფლიო ბაზარზე. შედარებით ახალი კულტურაა შაქრის ლერწამი (სამხრეთ რაიონებში) და შაქრის ჭარხალი. საქმე იმაშია, რომ ძველ ჩინეთში შაქრის ლერწმის გაშენების მთავარი ბაზა იყო კუნძული ტაივანი (ფორმოზა), მაგრამ რადგან ტაივანი დროებით მოწყდა ჩინეთს, ამიტომ შაქრის

კომპენსაციისათვის საჭირო გახდა შაქრის ლერწმისა და შაქრის ჭარხლის ნათესების ფართობთა შემდგომი ზრდა;

იუნანის, ჰენანისა და შანდუნის პროვინციებში მოჰყავთ საუკეთესო საექსპორტო სურნელოვანი თამბაქო, ჩრდილო-აღმოსავლეთ ჩინეთში განვითარდა მიწათმოქმედების სპეციფიკური დარგი—განთქმული სამკურნალო მცენარის ჟენ-შენის ხელოვნური მოყვანა. ჟენ-შენს დიდი გამოყენება აქვს ჩინეთისა და ტიბეტის მედიცინაში და უკვე აღიარებულია მისი განსაკუთრებული სამკურნალო თვისებები მსოფლიო მედიცინის მიერ. 1973 წელს ჟენ-შენის პლანტაციების ფართობი უდრიდა 1500 ჰექტარს. ტრადიციული დარგია მეყვავილეობა, განსაკუთრებით ცნობილია ქრიზანთემის მოყვანა (700 სახეობა არსებობს), ჩინეთის ქალაქებში რეგულარულად ეწყობა ყვავილების გამოფენა, ამას გარდა, ყვავილი საუკეთესო ნედლეულია პარფიუმერიისათვის.

ჩინეთი მეაბრეშუმეობის სამშობლოა. ჯერ კიდევ 4 ათასი წლის წინათ ჩინელებმა იცოდნენ აბრეშუმის ქსოვილების დამზადება. III-II საუკუნეში ჩვენს წელთაღრიცხვამდე აბრეშუმი გატანის ერთ-ერთი მთავარი საგანი იყო. ძველი საქარავნო გზა ჩინეთს აკავშირებდა ევროპის ქვეყნებთან და ეს გზა ცნობილი იყო „დიდი აბრეშუმის გზის“ სახელწოდებით. მეაბრეშუმეობა ძირითადად განვითარებულია სამხრეთ და ცენტრალურ პროვინციებში. მნიშვნელოვანი დარგია მეფუტკრეობა, განსაკუთრებით ჩრდილო-აღმოსავლეთ ჩინეთში. მეცხოველეობა ყველგან არის განვითარებული, მაგრამ მისი ხვედრითი წონა და მნიშვნელობა სხვადასხვა რაიონში სხვადასხვაა. ეკონომიურად მაღალგანვითარებულსა და მჭიდროდ დასახლებულ სამხრეთ რაიონებში მიწის სიმცირის გამო მეცხოველეობის განვითარება ერთობ შეზღუდულია, სამაგიეროდ უკეთაა განვითარებული მეღორეობა. ბრინჯის მომყვან მთავარ რაიონებში (მდ. ხუაიხეს ჩრდილოეთით) უმეტესად გავრცელებულია კამეჩი, ნაწილობრივ ხარი (ძირითადად იყენებენ სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებისათვის), როგორც გამწევ ძალას გარკვეული მნიშვნელობა აქვს სახედარსა და ჯორს. მეცხენეობა, როგორც დამოუკიდებელი დარგი, განვითარებულია მხოლოდ შიდა მონგოლეთში;

მეცხოველეობის ტრადიციული დარგია მეღორეობა, რომელსაც დიდი მნიშვნელობა აქვს ჩინელი მოსახლეობისათვის. ღორის საერთო სულადობითა და ჯაგრის დამზადება-გატანით ჩინეთი ერთ-ერთ პირველ ადგილზეა მსოფლიოში. დასავლეთ რაიონებში, (ცინ-

ბაი, ცაიდამი, სინძიან-უიღურთა ავტონომიური რაიონი) მეცხოველეობა თითქმის ერთადერთი დარგია, განსაკუთრებით მეცხვარეობა და აქლემების მოშენება. ტიბეტში გავრცელებულია იაკი — უნივერსალური საქონელი და სარლიკი (იაკისა და ძროხის ჰიბრიდი). იაკი და სარლიკი არა მარტო სატრანსპორტო საშუალებაა, არამედ ეს არის ხორცი, რძე, მატყლი, ტყავი. ჩრდილო-აღმოსავლეთ ჩინეთში შექმნილია სპეციალური მეურნეობები ხალიანი ირმის გასამრავლებლად;

უდიდესი მნიშვნელობა აქვს მეთევზეობასა და ზღვის რეწვას. საზღვაო თევზსაჭერი ფართობი ჩინეთში შეადგენს დაახლოებით 1,5 მლნ კვ. კმ. დიდია შიდა წყლებში დაჭერილი თევზის ხვედრითი წონა. ბევრი მეთევზე თევზის საჭერად იყენებს სპეციალურად გაწვრთნილ ფრინველს ჩვამას (ბაკლანი), ფართოდ არის გავრცელებული ხელოვნურ წყალსაცავებში თევზის მოშენება (მათ შორის ბრინჯის ნათესებში), რომელიც მთელი თევზჭერის თითქმის 1/3 იძლევა. დიდი რაოდენობით ამზადებენ ზღვის წყალმცენარეებს, მათ შორის ზღვის კომბოსტოს (ლამინარიას), რომელიც წარმოადგენს საკვებს ადამიანისათვის, პირუტყვისათვის, ფრინველისათვის, ნედლეულს სამედიცინო პრეპარატის მისაღებად, აგრეთვე გამოიყენება კვების მრეწველობაში, საპნის, მუყაოს, ფირფიცრის დასამზადებლად და სხვ. იჭერენ აგრეთვე მოლუსკებს.

ტრანსპორტი და საგარეო კავშირურთიერთობანი. ჩინეთისათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს ტრანსპორტს, განსაკუთრებით შიდა რაიონების დამაკავშირებელს ზღვისპირა რაიონებთან. რკინიგზების სიგრძე უდრის 36 ათას კმ. მათი დიდი ნაწილი აღმოსავლეთ რაიონებშია განლაგებული, მათ შორის ჩრდილო-აღმოსავლეთ ჩინეთში. დასავლეთ რაიონებში არის რკინიგზის ერთადერთი ხაზი ლანჯოუ-ხამი-ურუმჩი, რომლითაც სინძიან-უიღურთას ავტონომიური რაიონი უკავშირდება აღმოსავლეთ ჩინეთს. ჩრდილო-აღმოსავლეთის უზარმაზარ ტერიტორიაზე რკინიგზა საერთოდ არ არის. ჩინეთის ტრანსპორტში ტვირთბრუნვითა და მგზავრთა გადაყვანით პირველ ადგილზეა რკინიგზის ტრანსპორტი.

მაღალგანვითარებულია საზღვაო და სამდინარო ტრანსპორტი. უდიდესი ნავსადგურებია: შანჰაი, დალნი, ტიანძინი; სამხრეთით — გუანჯოუ (კანტონი). ამ ნავსადგურებით ჩინეთი ვაჭრობას აწარმოებს აზიის ქვეყნებთან, ავსტრალიასთან, ოკეანეთთან. მაღალგანვითარებულია სამდინარო ტრანსპორტი. ბევრი მდინარე მთელი

წლის განმავლობაში გამოიყენება სანაოსნოდ. სანაოსნო მდინარეების სიგრძე 160 ათას კმ აღწევს, მათ შორის 30 ათასი კმ გამოყენებულია სამდინარო, ხოლო 4 ათასი კმ — საზღვაო გემების მიერ. მთავარი სამდინარო არტერიაა იანძი, ამ მდინარით ხუთჯერ მეტი ტვირთი გადაიზიდება, ვიდრე ჩინეთის დანარჩენი მდინარეებით. იანძი სანაოსნოა თითქმის 4 ათას კმ-ზე. მეორე სანაოსნო მდინარეა სინძიანი, რომელიც ძირითადად მომსახურეობას უწევს გუანდუნისა და გუანსის პროვინციებს. სინძიანში 850 კმ-ზე შედიან საზღვაო გემები. მდინარე სინძიანი სანაოსნო არხით დაკავშირებულია მდინარე იანძისთან. ტვირთბრუნვაში მნიშვნელოვან როლს თამაშობს მდინარე ამური. მდ. ხუანხეს სატრანსპორტო შესაძლებლობანი ერთობ შეზღუდულია დიდძალი ჭორომებისა და ჩანჩქერების და განსაკუთრებით ცვალებადი რეჟიმის გამო. ბევრია სანაოსნო არხი, მათ შორის მსოფლიოში ცნობილი დიდი არხი იუნხე, რომელიც აშენდა XIII საუკუნეში და მიემართება პეკინიდან ხანჯოუს მიმართულებით 1800 კმ-ზე;

საავტომობილო ტრანსპორტს დამოუკიდებელი მნიშვნელობა აქვს იმ რაიონებში, სადაც არ არის რკინიგზა და სამდინარო ტრანსპორტი. გზების სიგრძე 680 ათასი კილომეტრია. ასევე განვითარებულია საჰაერო ტრანსპორტი. დასავლეთ რაიონებში ჯერ კიდევ საკმაო მნიშვნელობა აქვს საჭაპანო ტრანსპორტს. ტრანსპორტის მთავარ სახეობათა ხვედრითი წონა %-ობით ტვირთბრუნვაში დაახლოებით ასეთია: რკინიგზის — 70,0, საზღვაო და სამდინაროსი — 20,0; საავტომობილოსი — 10,0; საავიაციო ტრანსპორტით ერთმანეთთან დაკავშირებულია 70 ქალაქი, არის 15 საერთაშორისო აეროპორტი.

საგარეო ვაჭრობა, ექსპორტი და იმპორტი ფაქტიურად ქვეყნის ეკონომიკას ასახავს. ჩინეთს ძირითადად გააქვს: ფერადი ლითონები, ჩაი, არაქისი, ზოგიერთი სახის მანქანები: შეაქვს: უპირატესად სასოფლო-სამეურნეო მანქანა-იარაღები, სასუქი, ხე-ტყე; ვაჭრობაში მთავარი პარტნიორები არიან: იაპონია, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა, ინგლისი, საფრანგეთი, სიანგანი და ავსტრალია. ჩინეთის ხელმძღვანელობის გამთიშველი პოლიტიკის გამო, სულ უფრო მცირდება ვაჭრობა სოციალიზმის ბანაკის ქვეყნებთან. ფულის ერთეულია იუანი.

კულტურა და განათლება. დიდია ჩინელი ხალხის წვლილი მსოფლიო კულტურაში. მას ეკუთვნის ბევრი ღირსშესანიშნავი გამო-

ფონება მეცნიერების თითქმის ყველა დარგში. ჯერ კიდევ XVIII-XI საუკუნეებში ჩვენს წელთაღრიცხვამდე ჩინეთში იცოდნენ თითბრის დამზადება, ამავე პერიოდს მიეკუთვნება ჩინური დამწერლობის (იეროგლიფური) გამოგონებაც, რაც იაპონელებმა მხოლოდ VIII საუკუნის დამდეგს გადაიღეს მათგან.

ძველი ჩინელები საუკეთესო ასტრონომები იყვნენ. 611 წელს ჩვენს წელთაღრიცხვამდე ჯოუს ეპოქის ხელნაწერებში მოხსენიებულია მზე, მთვარე, დიდი დათვის თანავარსკვლავედი და ხუთი ცთომილი ვარსკვლავი. მათი წელიწადი შედგებოდა 365,5 დღისაგან. ჩინელებმა იცოდნენ მზისა და მთვარის დაბნელების პერიოდები. 720 წელს ჩვენს წელთაღრიცხვამდე აღნიშნულია მზის პირველი დაბნელება. IV საუკუნეში ჩინელებმა შეადგინეს ვარსკვლავთკატალოგი.

III საუკუნეში ჩვენს წელთაღრიცხვამდე არის ცნობა კომპასზე. ისინი კომპასს მხოლოდ ხმელეთზე მოგზაურობის დროს იყენებდნენ. ევროპელები კომპასს მხოლოდ XI საუკუნეში გაეცვნენ (იგი იტალიელმა ფლავიო ჯოიამ შეიტანა აღმოსავლეთიდან). ჩინელებმა გამოიგონეს აბრეშუმის საუკეთესო ქსოვილები, მაგალითად, ქსოვილი „კრეპ-დე-შინ“, „კრეპ“ ფრანგული სიტყვაა და ნიშნავს მსუბუქ ქსოვილს, „შინ“ კი ჩინეთია, ე. ი. მსუბუქი ქსოვილი ჩინეთიდან. ასევეა „ფაი-დე-შინი“, „ფაი“ ფრანგულად ნიშნავს მკვრივ აბრეშუმის ქსოვილს, ე. ი. მკვრივი ქსოვილი ჩინეთიდანაა.

პრიორიტეტი ქაღალდის დამზადებასა და სტამბურ ბეჭდვაში უთუოდ ჩინელებს ეკუთვნით. 105 წელს ცაი ლუნმა ნაჭრებისა და ხის მერქნისაგან დაამზადა ქაღალდი, რაც შემდეგში ისწავლეს კორეელებმა და იაპონელებმა. პირველი გაზეთი მსოფლიოში ჩინეთში დაიბეჭდა. 132 წელს ჯანხენმა გამოიგონა სეისმოგრაფი, მა-ძიუნმა, ხელსაწყო, რომელიც განვლილ მანძილს აღნიშნავდა (ეს იყო თანამედროვე სპიდომეტრის წინაპარი). ჩინელების გამოგონებაა ჩაის ბუჩქის მოყვანა და ჩაის დამზადების ასამდე წესი. ასევე ითვლება ჩინეთი ციტრუსოვანთა სამშობლოდ. ფორთოხალი პირველად ევროპაში პორტუგალიელებმა შეიტანეს XVI საუკუნეში და მას მათივე შემომტანის სახელი პორტო-გალის (ე. ი. პორტუგალია) უწოდეს. ასევე ვუწოდებთ ჩვენც — ქართველები, აგრეთვე თურქები, ეგვიპტელები და სხვ. რუსები და ევროპელები ამ ნაყოფს უწოდებენ აპფელსინს. გერმანულად აპფელ — ვაშლია, სინ — ჩინეთი, ე. ი. ჩინური ვაშლი, ასევეა მანდარინიც, ევროპელები ძველ

ჩინეთში ამ სახელს დიდ მოხელეებს უწოდებდნენ და შემდეგ მათ საყვარელ ნაყოფს მანდარინი დაერქვა.

ჩინელები ითვლებიან დენთის გამომგონებლებად. ჯერ კიდევ X საუკუნეში თურმე ჩინელები გვარჯილისაგან ამზადებდნენ თოფის წამალს, ხოლო დენთი ევროპაში შეიტანა გერმანელმა მღვდელმა შვარცმა XVI საუკუნეში. ძველი ქართველები იცნობდნენ ჩინეთს. „ვეფხისტყაოსანში“ ამირანის ეპოსში ჩინეთი იხსენიება ხატაეთის სამეფოდ, თუმცა ერთ ადგილას შოთა ჩინსაც ხმარობს („ჩინს ქვასა ზედა სწერია“).

ჯერ კიდევ პირველ ათასწლეულში ჩვენს წელთაღრიცხვამდე ჩინეთში არსებობდა პირველი სკოლები. როგორც წესი, სკოლებში პირველი მასწავლებლები ისევე, როგორც ძველ საბერძნეთში, ფილოსოფოსები იყვნენ. ძველ და საშუალო საუკუნეებში სკოლები მთლიანად კერძო პირთა და სამღვდელოებათა ხელში იყო. ჩინეთში სწავლა-განათლების საკითხში სიძნელე იმაში მდგომარეობდა, რომ ბავშვებს ძალიან უჭირდათ ათასობით იეროგლიფის შესწავლა, მაგალითად; 7-8 წლის ასაკის ბავშვს უნდა ესწავლა 2-3 ათასი იეროგლიფი, ხოლო 14-15 წლისას — 5-6 ათასი. ტრადიციის თანახმად მათემატიკა და არაჰუმანიტარული ციკლის მეცნიერებანი არ ისწავლებოდა. ცოდნა ისტორიასა და გეოგრაფიაში მხოლოდ ჩინეთის ტერიტორიით შემოიფარგლებოდა. პეკინსა და ტიანძინში XIX საუკუნის მეორე ნახევარში გაიხსნა სრული საშუალო სკოლები, სადაც ტრადიციულ საგნებთან ერთად ასწავლიდნენ უცხო ენებს, მათემატიკას, ფიზიკას, ქიმიასა და სამხედრო საქმესაც კი. 1898 წელს პეკინში გაიხსნა პირველი უნივერსიტეტი.

1902-1903 წლებში ჩინეთში ჩატარდა დიდი რეფორმა და შემოღებულ იქნა სწავლა-განათლების ევროპული სისტემა. 1910 წლისათვის ჩინეთში ითვლებოდა სამი უნივერსიტეტი და 53 ათასი ყველა ტიპის სკოლა. ცოდნის გავრცელების მიზნით სახელმწიფომ შეზღუდა სასკოლო იეროგლიფების რაოდენობა (საფეხურების მიხედვით 1600—2400—3200). მიუხედავად დიდი რეფორმებისა ჩინეთში სახალხო ხელისუფლების დამყარებამდე მთელი მოსახლეობის 9/10 წერა-კითხვის უცოდინარი იყო. საკმარისი არ იყო სკოლები, სახელმძღვანელოები, მასწავლებლები.

1949 წლიდან დიდი ძვრები მოხდა სწავლა-განათლების საქმეში. 1958 წლისათვის ჩინეთში ითვლებოდა 800 ათასი დაწყებითი სკოლა, 76 000 საშუალო სკოლა, 45 უნივერსიტეტი, 60 უმაღლესი

ტექნიკური სკოლა, 60 პედინსტიტუტი, 35 კვალიფიკაციის ასამაღლებელი ინსტიტუტი. 300 საღამოს უნივერსიტეტი. ორასამდე სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი. ჩინეთში ბევრია მუზეუმი, ბიბლიოთეკა, არის მეცნიერებათა აკადემია მრავალი სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტით, გამოდის 500-ზე მეტი ყოველდღიური და კვირეული გაზეთი, აქვს საკუთარი საინფორმაციო სააგენტო (სინჰუა), რადიომაუწყებლობა და ტელევიზია.

სახელმწიფო წყობილება. 1954 წლის კონსტიტუციის თანახმად ჩინეთი სოციალისტური სახელმწიფოა. ძალაუფლების უმაღლესი ორგანოა სრულიად ჩინეთის სახალხო წარმომადგენელთა კრება, რომელიც ყოველ ხუთ წელიწადში ერთხელ ირჩევა ავტონომიური რაიონების, პროვინციებისა და ცენტრალური დაქვემდებარების ქალაქების სახალხო წარმომადგენლების მიერ. აგრეთვე სამხედრო მსახურთა, უცხოეთში მყოფ ჩინელ ემიგრანტთა კომისიის მიერ. სახელმწიფო მმართველობის უმაღლესი და შემსრულებელი ორგანოა სახელმწიფო საბჭო. წარმომადგენელთა საბჭო ამტკიცებს პრემიერი მინისტრის კანდიდატურასა და სახელმწიფო საბჭოს სხვა წევრებს.

პოლიტიკური პარტიები. ჩინეთის კომუნისტური პარტია (1921) მმართველია 1949 წლიდან. ჩინეთში არის რიგი პოლიტიკური პარტიები და დაჯგუფებანი, რომლებიც გამოხატავენ ეროვნული ბურჟუაზიის ინტერესებს: გომინდანის რევოლუციური კომიტეტი, ჩინეთის დემოკრატიული ლიგა, დემოკრატიულ-ეროვნული მშენებლობის ასოციაცია, ჩინეთში დემოკრატიის განვითარების ხელშემწყობი ასოციაცია, გლეხურ-მუშური დემოკრატიული პარტია, ჯუნგო ჯიგუნდანი (ჩინური პარტია — „მისწრაფება სამართლიანობისაკენ“), „ძიუსან სიუშე („3 სექტემბრის საზოგადოება“), დემოკრატიული თვითმმართველობის ტაივანის ლიგა. ამ პარტიების საქმიანობის შესახებ ბოლო წლებში არავითარი ცნობები არ არსებობდა, თუმცა მათი არსებობა დამოწმებულია ჩინელების მიერ. ეროვნული ბურჟუაზიის წარმომადგენლები გამოყენებულნი არიან ტაივანთან და უცხოეთში მყოფ ჩინელ ემიგრანტებთან კონტაქტის დასამყარებლად. აგრეთვე ამერიკის შეერთებულ შტატებსა, იაპონიასა და სხვა კაპიტალისტურ ქვეყნებთან კავშირურთიერთობათა დასამყარებლად.

კუნძული ტაივანი თავისი მიმდებარე კუნძულებით ჩინეთის სა-

ხალხო რესპუბლიკის შემადგენელი ნაწილია. ფართობი — 36.000 კვ. კმ-ია. კუნძულის სიგრძე —394 კმ, მაქსიმალური სიგანე — 122 კმ. მატერიკისაგან მას გამოყოფს 130 კმ სიგანის ტაივანის სრუტე, მოსახლეობა — 16 მლნ კაცი (1975), აბსოლუტურ უმეტესობას შეადგენენ ჩინელები (97%), არიან აბორიგენი გაოშანები (200 ათასი კაცი), მცირე რაოდენობით ევროპელები და ამერიკელები. საშუალო სიმჭიდროვე მეტად მაღალია და —1 კვ. კმ-ზე 415 კაცს აღემატება. შედარებით სუსტად არის დასახლებული ცენტრალური მთიანი რაიონები. ადმინისტრაციული ცენტრია ქალაქი **ტაიბეი** (2;6 მლნ მცხოვრებით), სანაოსნო მდინარე დანშუიხეზე. მნიშვნელოვანი ქალაქებია აგრეთვე: დაოსიუნი, ტაინანი, ტაიჯუნი, ძილუნი.

ისტორია. კუნძული ტაივანი აღმოაჩინეს პორტუგალიელებმა და მას ფორმოზა, ე. ი. ლამაზი, შესანიშნავი უწოდეს. 1641 წელს კუნძული ხელთ იგდეს ჰოლანდიელებმა, 1887 წლიდან კი ჩინეთმა დაისაკუთრა. 1895 წელს ტაივანი იაპონელებმა დაიპყრეს და თავის კოლონიად გადააქციეს. 1945 წელს იაპონიის დამარცხების შემდეგ ტაივანი კვლავ ჩინეთს დაუბრუნდა. ვინაიდან 1949 წელს ჩინეთში სახალხო რევოლუციამ გაიმარჯვა და ჩინეთი სახალხო რესპუბლიკად გამოაცხადა, ჩან-კაიშის რეაქციული რეჟიმის მოხელეები და გომინდანელთა ჯარის ნარჩენები გაიქცნენ ტაივანზე, სადაც ამერიკის შეერთებული შტატების დახმარებით შექმნეს მარიონეტული მთავრობა. ამერიკელებმა ტაივანი თავიანთ სამხედრო ბაზად გადააქციეს.

ბუნებრივი პირობები. სანაპირო ხაზის სიგრძე 1300 კმ უდრის. სანაპიროებთან ბევრია პატარა დელტა, ლაგუნა, ჭაობი და მლაშე ტბა. კუნძულის ცენტრში მდებარეობს მერიდიანული მიმართულების წყალგამყოფი ქედი ჯუნიანშანი, რომლის უმაღლესი მწვერვალია იუიშანი (3950 მ), ბევრია ჩამქრალი ვულკანი, 60-მდე ტალახის ვულკანი, ხშირია მიწისძვრა, მათ შორის დიდი მიწისძვრები იყო 1904, 1906, 1935 წლებში; კლიმატი ტროპიკული, მუსონური, ნოტიოა, იანვრის საშუალო ტემპერატურა 15-20°, ხოლო ივლისისა — 27-28° უდრის. ნალექების საშუალო წლიური რაოდენობა 1000 მმ-მდეა, დასავლეთით, მთებში — 2-4 ათასი მმ, ხოლო ჩრდილოეთით — 5000 მმ. ზაფხულში ნალექების სიჭარბე სამხრეთის მუსონებთანაა დაკავშირებული, ხშირია ტაიფუნი. მდინარეთა ქსელი მდიდარია, წყალუხვი, „თეთრი ნანშირის“ დიდი მარაგით. მთავარი

მდინარეებია: დანშუიცი, ჯოშუიცი, დანშუიხე, დაძიატი. მცენარეთა სამყაროში 2200-ზე მეტი სახეობა ითვლება, მათ შორის 1600-ზე მეტი ენდემურია. მთელი ფართობის თითქმის ნახევარი დაფარულია ტყით. ტაივანი განსაკუთრებით ცნობილია ქაფურის ხის ნარგავებით.

მეურნეობა. ტაივანი სამიწათმოქმედო ქვეყანაა. მთავარი სასოფლო-სამეურნეო კულტურაა: ბრინჯი (2-3 მოსავალი წელიწადში), შაქრის ლერწამი და ჩაი. გარკვეული მნიშვნელობა აქვს მეთევზეობას. ტაივანი მსოფლიოში უდიდესი მწარმოებელი და ექსპორტიორია ქაფურისა (600-650 ტ), მცირე რაოდენობით ხდება ტაიბეისთან ქვანახშირის (2 მლნ ტ), აგრეთვე ოქროსა და მარილის მოპოვება.

დამუშავებითი მრეწველობა წარმოდგენილია შაქრის, სპირტის, ბრინჯ საწმენდი, ხილკონსერვების, სასუქების, ქაფურის, არომატული ზეთებისა და სხვა წვრილი საწარმოებით. მსხვილ საწარმოთა რიცხვს მიეკუთვნება ქაღალდ-ცელულოზის, ცემენტის, ნავთობგადასამუშავებელი და ალუმინის (შემოზიდულ ნედლეულზე) საწარმოები; ტაიბეისა და გაოსიუნში არის მცირე სიმძლავრის მეტალურგიული ქარხნები, ნავსადგურ ძირუნში — გემთმშენებლობა. ფულის ერთეულია ტაივანის იუანი.

აზიის ქვეყნების საერთაშორისო ორგანიზაციები

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ეკონომიური კომისია აზიისა და შორეული აღმოსავლეთისა, შეიქმნა 1947 წელს. მისი წევრები არიან (გადამწყვეტი ხმის უფლებით) სამხრეთ, სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიისა და შორეული აღმოსავლეთის 26 ქვეყანა (მ. შ. სსრ კავშირი), აგრეთვე ინგლისი, ნიდერლანდი, ამერიკის შეერთებული შტატები და საფრანგეთი. ეკონომიური კომისიის უმაღლესი ორგანოა სესია (რომელიც წელიწადში ერთხელ ტარდება), შემსრულებელი ორგანო — სამდივნო (მისი ადგილსამყოფელი ბანგკოკი, ტაილანდი). ყოველწლიურად ხდება მუდმივი კომიტეტის მოწვევა (მრეწველობისა და ბუნებრივი რესურსებისა, ტრანსპორტისა, კავშირგაბმულობისა და ვაჭრობისა). ეკონომიური კომისიის მეთაურობის ქვეშაა ეკონომიური განვითარებისა და დაგეგმვის, სტატისტიკისა და სხვა ინსტიტუტები. მთელი რიგი მუშაობა ტარდება რეგიონული პროექტის განხორციელებისათვის.

განვითარების აზიური ბანკი შეიქმნა 1966 წ. მისი წევრია 39 სახელმწიფო, უმაღლესი ორგანო — მმართველთა კავშირი, რომელიც წარმოდგენილია ბანკის ყველა წევრით, ხელმძღვანელი ორგანოა დირექტორების საბჭო, ბანკის ადგილსამყოფელია მანილა (ფილიპინი). აზიური ბანკის კაპიტალის 50% შეადგენს წევრ-ქვეყნების შენატანი, 50% ობლიგაციებია, რომლებიც დაბანდებულია ძირითადად განვითარებულ კაპიტალისტურ ქვეყნებში. მთავარი მეანაბრეები არიან: ამერიკის შეერთებული შტატები, იაპონია, ავსტრალია, ინდოეთი, კანადა, ევროპის განვითარებული ქვეყნები. ბანკი სესხს გასცემს უმთავრესად 10-26 წლის ვადით კომერციული კრედიტის ფორმით და იღებს 7,5% მოგებას, მოქმედებს მრავალრიცხოვანი სპეციალური ტექნიკური დახმარების სპეციალური და სოფლის მეურნეობის ფონდები, რომლებიც გამოიყოფა დანარიცხებიდან.

სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის სახელმწიფოთა ასოციაცია. ასოციაციაში შედის ინდონეზია, მალაიზია, სინგაპური, ტაილანდი და ფილიპინი. ასოციაციის მიზანია რეგიონული ორგანიზაცია, რომელიც შეიქმნა 1967 წ. ინდონეზიის ინიციატივით.

წევრ-ქვეყნების ეკონომიური, სოციალური და კულტურული თანამშრომლობა და სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში „მშვიდობიანობისა და სტაბილურობის" დამყარება. ხელმძღვანელი ორგანოებია წევრ-ქვეყნების საგარეო საქმეთა მინისტრების ყოველწლიური და სპეციალური თათბირები, თათბირებს შორის მოქმედებს მუდმივი კომიტეტი.

კონფერენცია სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ქვეყნების ეკონომიური განვითარების საკითხებზე. ეს ორგანიზაცია შეიქმნა 1966 წელს, იაპონიის ინიციატივით. წევრ-ქვეყნები არიან: იაპონია, ინდონეზია, კამბოჯა, მალაიზია, ლაოსი, სინგაპური, ტაილანდი, ფილიპინი, უმაღლესი ორგანოა სესია, რომელიც წელიწადში ერთხელ ტარდება. მეთვალყურეობის სახით სესიებს ესწრებიან სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიისა და შორეული აღმოსავლეთის სხვა ქვეყნების წარმომადგენლები. კონფერენციის ჩარჩოებში შექმნილია რეგიონული ცენტრი მეთევზეობის განვითარებისა და ვაჭრობის ხელშეწყობისა, კაპიტალდაბანდებისა და ტურიზმისა (მათ მოქმედებას ძირითადად იაპონია აფინანსებს), იქმნება მედიცინისა და ჯანმრთელობის დაცვის ორგანიზაციები.

სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ხელშეკრულების ორგანიზაცია (სეატო), წარმოადგენს აგრესიულ-სამხედრო-პოლიტიკურ ბლოკს, შეიქმნა 1954 წელს ამერიკის შეერთებული შტატების ინიციატივით. ორგანიზაციის წევრები არიან: ამერიკის შეერთებული შტატები, ინგლისი, საფრანგეთი, ავსტრალია, ახალი ზელანდი, ტაილანდი, ფილიპინი. შტაბ-ბინა არის ბანგკოკში (ტაილანდი).

აზია-წყნაროკეანური საბჭო (აზპაკი), შეიქმნა 1966 წელს სამხრეთ-კორეის მთავრობის ინიციატივით. რეგიონული პოლიტიკური კავშირი მიმართულია სამხრეთ-აღმოსავლეთისა და შორეული აღმოსავლეთის ქვეყნებში ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის წინააღმდეგ. ამასთან მჭიდროდ არის დაკავშირებული იმპერიალისტური სისტემის სამხედრო-პოლიტიკურ ბლოკებსა და დაჯგუფებებთან. აზპაკის ერთ-ერთი ფუნქციაა ეკონომიური, სამხედრო-ტექნიკური, კულტურული და სხვა სახის ურთიერთთანამშრომლობა საბჭოს წევრ-ქვეყნებს შორის. საბჭოს წევრები არი-

ან: ავსტრალია, ახალი ზელანდი, ტაილანდი, იაპონია, ფილიპინი, სამხრეთ კორეა, ტაივანი.

1973 წელს მალაიზია გამოვიდა საბჭოდან. მეთვალყურეობის თვალსაზრისით ყოველწლიურ სესიებს ესწრებიან ლაოსის, კამბოჯისა და ინდონეზიის წარმომადგენლები;

კოლომბოს გეგმა — რეგიონული ორგანიზაცია სამხრეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ერთობლივი ეკონომიური განვითარების შესახებ, შეიქმნა 1950 წელს ბრიტანეთის ერთა თანამეგობრობის სახელმწიფოთა საგარეო საქმეთა მინისტრების კონფერენციაზე კოლომბოში (ცეილონი, ახლა შრი ლანკა). ორგანიზაციის წევრები არიან: ამერიკის შეერთებული შტატები, იაპონია, ინგლისი, კანადა, ავსტრალია, ახალი ზელანდი. ამას გარდა, სამხრეთ, სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიისა და შორეული აღმოსავლეთის 21 ქვეყანა. კოლომბოს გეგმის მიზანია რეგიონის განვითარებადი ქვეყნის ეკონომიური და ტექნიკური ზრდა-განვითარება. ხელმძღვანელი ორგანოა კონსულტატური კომიტეტი, რომელიც ყოველწლიურად იკრიბება. 1973 წელს სინგაპურში შეიქმნა ტექნიკური პირველი რეგიონული სასწავლო ცენტრი — კოლეჯი, რომელიც ამზადებს მექანიზატორებსა და გემების მექანიკოსებს. კოლომბოს გეგმაში ჩართულია პაპუა ახალი გვინეა;

რეგიონული თანამშრომლობა-განვითარებისათვის, ორგანიზაცია, რომელიც აერთიანებს ირანს, პაკისტანსა და თურქეთს, შეიქმნა 1964 წელს. მთავარი მიზანია წევრ-ქვეყნების „უფრო მჭიდრო ეკონომიური, ტექნიკური და კულტურული თანამშრომლობა ეკონომიური განვითარების დაჩქარების მიზნით". ხელმძღვანელი ორგანოებია: მინისტრთა საბჭო საგარეო საქმეთა მინისტრების მონაწილეობით, რეგიონული დაგეგმვის საბჭო, სამდივნო ორგანიზაციის ადგილსამყოფელია თეირანი (ირანი);

ცენტრალური ხელშეკრულების ორგანიზაცია (სენტო) აგრესიული სამხედრო-პოლიტიკური ბლოკი, შეიქმნა 1965 წელს (უწინ ერქვა „ბაღდადის პაქტი", მაგრამ ერაყი გამოვიდა ამ ბლოკიდან და სახელიც შეიცვალა). მასში შედიან: ინგლისი, ირანი, პაკისტანი, თურქეთი, ამერიკის შეერთებული შტატები. ფორმალურად ეს უკანასკნელი არ არის ამ ბლოკის წევრი, თუმცა აქტიურ მონაწილეობას იღებს ბლოკის საქმიანობაში. უმაღლესი ორგანოა სენტოს მინისტრთა საბჭო, ადგილსამყოფელი — ანკარა (თურქეთი);

ს ი ა

საზღვარგარეთული აზიის იმ ქვეყნებისა, რომლებიც გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრები არიან:

ავღანეთი (1946 წ.), არაბთა გაერთიანებული ემირატები (1971), ბანგლადეში (1974), ბაჰრეინის სამთავრო (1971), ბირმა (1948), ბუტანი (1971), ერაყი (1975), თურქეთი (1962), იაპონია (1956), იემენის არაბთა რესპუბლიკა (1947), იემენის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკა (1967), ინდოეთი (1955), ინდონეზია (1955), იორდანია (1955), ირანი (1955), ისრაელი (1949), კამპუჩი (1965), კატარი (1971), კიპროსი (1960), კუვეიტი (1963), ლაოსი (1955), ლიბანი (1955), მალაიზია (1957), მალდივის რესპუბლიკა (1965), მონგოლეთის სახალხო რესპუბლიკა (1961), ნეპალი (1955), ომანი (1971), პაკისტანი (1947), საუდის არაბეთი (1968), სინგაპური (1965), სირია (1960), ტაილანდი (1946), ფილიპინი (1955), შრილანკა (1955), ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა (1963).

შ ე ნ ი შ ვ ნ ა: ფრჩხილებში ნაჩვენებია მათი გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში მიღების თარიღი.

შინაარსი

აღანეთი	3
ომანი (მაკაო)	9
არაბთა გაერთიანებული ემირატები	10
ბანგლადეშის სახალხო რესპუბლიკა	14
ბაჰრეინი	17
ბირმა	21
ბრუნეი	26
ბუტანი	27
ერაყი	31
ვიეტნამის სოციალისტური რესპუბლიკა	36
თურქეთი	39
იაპონია	47
იემენის არაბთა რესპუბლიკა	62
იემენის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკა	66
ინდოეთი	71
ინდონეზია	86
იორდანიის ჰაშიმიტთა სამეფო	94
ირანი	98
ისრაელი	104
კამბუჩი	110
კატარი	114
კვიპროსი	116
კორეა	119
სამხრეთი კორეა	126
კუვეიტი	128
ლაოსი	131
ლიბანი	135
მალაიზია	139
მალდივის რესპუბლიკა	145
მონგოლეთის სახალხო რესპუბლიკა	148
ნეპალი	156
ომანი	161
პაკისტანი	164
საუდის არაბეთი	168
სიანგანი	173

სინგაპური 175
სირიის არაბთა რესპუბლიკა 177
ტაილანდი 183
ფილიპინი 187
შრი ლანკა 191
ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა 195
აზიის ქვეყნების საერთაშორისო ორგანიზაციები 217
სია საზღვარგარეთული აზიის იმ ქვეყნებისა, რომლებიც გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრები არიან 220

რედაქტორი ნ. ასათიანი
მხატვარი კ. ტუხაშვილი
მხატვრული რედაქტორი რ. მახარაძე
ტექნიკური რედაქტორი მ. ანუაშვილი
კორექტორები თ. ტურიაშვილი და ნ. სარჯველაძე
გამომშვები ნ. მანაგაძე
გადაეცა წარმოებას 24. III. 77 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 9. I. 78 წ.
საბეჭდი ქაღალდის № 1 60×84 1/16; პირობითი ნაბეჭდი თაბახი 13,02; საღ-
რიცხვო-საგამომცემლო თაბახი 11.62; უე 07167; ტირაჟი 5000; შეკვ. № 1121
ფასი 80 კაპ.

გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო"
თბილისი, მარჯანიშვილის 5.

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა,
თბილისი, ლენინის 14
Типография издательства ЦК КП Грузии, Тбилиси, ул. Ленина, 14